

K 34047  
2



რანაწერები  
ინვანს უბნიდან

სიყვანის  
მღვაწე



821.353.1-1/4  
599  
საქართველოს  
საგარეო  
საგარეო  
საგარეო



რანაწერები  
ინგას უბნიდან



სოციალური  
მედიის

ბათუმი-2018



K 34047  
2

10-9  
2

+ 821. 353. 1-32



რედაქტორ-შემდგენელი - ინგა გოგობერიძე

დამხმარე რედაქტორი - ნონა ლატარია

© ISBN -978-9941-8-0364-2

დაიბეჭდა: შპს „World.Print“  
კომპიუტერულ ცენტრში.



\*\*\*

ბათუმის მკითხველთა და ლიტერატურის მოყვარულთა რუკაზე 5 წელია ახალი ტერიტორია გაჩნდა - „ინგას უბანი“. ასეთი ლამაზი, სათნო, გულითადი დიასახლისი კი ყველა უბანმა და სახლმა ინატროს. ლიტერატურაც ხომ ჩვენი სახლია, ჩვენი სახეცაა, ჩვენი სულის ხილული მხარეც. მოვლაც ჭირდება, ზრუნვაც, მოჭირნახულებაც, გაზიარებაც... „ინგას უბანს“ სწორედ რომ მზრუნველი დიასახლისის ხელი ეტყობა. ახალი გამოცემები, ახალი ტექსტები, შეხვედრები, წარდგენები... აქ წუთით მოცლა არ აქვს არავის. ამასობაში 5 წელიც გასულა და შედეგებიც თვალნათელია. სათნოდ ექცეს თანამედროვე ქართულ ლიტერატურას თქვენი ნამუშევარი, ქალბატონო ინგა. განსაკუთრებით ვაფასებ თქვენ ღვაწლს მოზარდების განვითარების უმნიშვნელოვანეს საქმეში. მიხარია ისეთ ადამიანთან შეხვედრა, ვისაც თავისი საქმე აბედნიერებს. თქვენც მათ შორის მეგულებით! გილოცავთ ! უბედობით ბათუმს!

მარიამ წიკლაური,  
მწერალი.





\*\*\*

ჩანაწერები ინგას უბნიდან" 5 წლისა გამბდარა!

ჯერ ნორჩია, სრულიად ბავშვი, მაგრამ რა ომანიანი ხმა აქვს!

ღმერთმა მკითხველი და შემკვასებელი არ გამოუღიოს ამ მშვენიერ კრებულს!

გილოცავთ და ყოველგვარ სიკეთეს ეუსურვებ ამ კრებულების შემქმნელებს და მათ ავტორებს!

დავით ჭელიძე

\*\*\*

ფიქრი ერთი რამის საქმე მრავალი, მხოლოდ ერთი სიტყვა შვება მაგანის!

მზე მხოლოდ დედამიწის მშვენებად არ უთავსია ჰბადებად უფალს ერის ხვედრში, თავად ერის აზრში დაუდვია ბრწყინვალედ არსებულ მნათსხივებში ისე, რომ ცხოველ არს აზრში და აქედან გამომდინარე აზრი იბადება ცხოვრების ძალაში! აზრი სიტყვის ძალაში, სიტყვანიც მისგან არის მდინარე! აზრი სულიერ ღვაწლში უკვდავად, ვინაიდან აზრი სათავეა სულიერების! ამას, იმიტომ ვამბობ, რომ ჯანსაღი აზრი სუფთაა, როგორც მაცოცხლებელი წყალი ანკარა, საწყისია სულიერების და არს შთამბონებელი ყოვლისა წყაროდ! არ ძალუძს ერს წაშალის ან უგულვებელჰყოს იგი, რაოდენ დიდია ის სწორედ წარმოაჩინოს უდიდეს მნიშვნელოვნად „ინგას უბანმა“, სწორედ ამ აზრთა სისავსეზეა საუბარი დალოცოს მაღალმა ღმერთმა მისი ნაკადი, აზრი და ღვაწლი სულიერი მერმისად!



„ინგას უბანი“ დიდი ოჯახია, სადაც ერთსულოვნად არიან გულთმეტყველები, სურვილში და რა რიგად აცხოველებს თავად ინგა თითოეულის სულიერ ამოძახილს სიყვარულზე, სათნოებაზე, იმ უხვ სიკეთეებზე სადაც ერწყმის სამშალებანი კაცთაბუნების არსის ფრქვევისა და აღქმის მზრუნველობაში დამკვიდრებული, თორემ ისე რა ზიზღი ექნება სიტყვასა და საქმეს!

მცირეოდენ წლებსაც ძალუძთ ამოიყვანოს უჩინარი სიღრმე ზედაპირზე ისე რომ დაიპყროს მრჩეველთა და მოპასუხეთა სადავეები. ხატოვნად წარმოაჩინოს მათი ძირეული საწყისები, ჰფანტოს ისე, როგორც მზის ბრწყინვალე ნათებას ხივები განცდად ხელოვანთა საოცარი ნიჭნი მისად, რომელნიც ასე კადნიერად, მაგრამ მაინც მოკრძალებულად ამატა წლებს შემხვედრი განვლილი დროთახმანი! ვფიქრობ, სულ საწყისში უნდა იყოს ეს სულიერი მაცოცხლებელი აზრი მისი, კეთილშობილური „ინგას უბნის“ ლაზათი, რომ კვლავ აფრქვიოს, გამოავლინოს, კიდევ უფრო გაზარდოს სიტყვა, სწორედ სიტყვას აქვს ულევი ძალა, მისივე მაცოცხლებელ ძალაში და აზრი მისი უკუდევანი! გახდეს ისე როგორც ეკლესია მლოცველთა სული უღწველნი მოღვაწეში, მისივე მადლის შესამოსელში! განა ეს უდიდესად მნიშვნელოვანი არ არის?! შემოქმედების, შემოქმედთა ძახილი სულთა და ხორცთა ხატოვანთა!

არც მაღალი ღმერთი დაჰკარგავს მათ და არც ქალბატონი ინგა, რომელიც ასე სიყვარულით ამშვენებს ცხოვრების წამსს, მისივე არსებულ მდინარებაში.

წარმატებები ყველას!

უფალმა დაგლოცოთ მისივე მაცოცხლებელ მრწამსში!

დიდი სიყვარულით, ერის მორჩილად  
ირმა კიკოლიაშვილი



...ინგას უბანი!

ინგა. ეს, მთაწმინდელი, კუკარაჩას ინგა არ გეგონოთ! (ეს ისე, ხუმრობით) ეს, ჩვენი ინგაა, ბათუმელი, გოგიბერიძე-ყველასათვის საყვარელი და მისაღები ქალბატონი. თვალეზში - ბათუმური მზე რომ უბრწყინავს, ცრემლებში-შავი ზღვა რომ ზობოქრობს; ღიმილში კი-თეთარი, ზღვის ნაპირიდან ამომხტარი კენჭები ცეკვავენ.

ინგას უბანი, ერთი დიდი ოჯახია ლიტერატურისა და ხელოვნების მოყვარულთათვის.. მეც მისი უბნიდან, უფრო სწორედ - უბიდან ამოფრენილი „შაშვი“ ვარ. ქალბატონმა ინგამ შემარქვა და მომხათლა ამ მეტსახელით ლიტერატურულ კონკურსს „ხვარამზიობაზე“ წარმოდგენილი ლექსისათვის: „შაშვი“ და დამაჯილდოვა სახელობითი პრიზით. ვმადლობ მას და მთელ უბანს, დიდი სითბოსა და სიყვარულისათვის.

გილოცავთ, ინგას უბნელებო ხუთი წლის იუბილეს. ხუთჯერ ათიც მომელოცოს. მრავალყამიერ!!!

პატივისცემით,  
ციური მესხიშვილი, პოეტი.





\*\*\*

...ჩემი ფიქრები და გრძნობები სამშობლოს და ხალხის სიყვარულით არის განმსჭვალული, ამიტომაც ლექსთა დიდი ნაწილი ეროვნულ მოტივებზე და სამშობლოს სევდიან სიყვარულზე იწერება. მინდა ჩემს სიცოცხლეში ვიხილო საქართველო აღორძინებული და ბედნიერი ქართველი ერით დახუნძლული.....ამ ჩემს ფიქრებს და ლექსებს კი „ინგას უბანში“ ვაზიარებ. მიხარია, რომ ქალბატონ ინგას სახით ასეთი წარმატებული და გულისხმიერი მეგობარი გვყავს. ის აფასებს მეგობრების შემოქმედებით ღვაწლს და ერთად გვაერთიანებს თავის კრებულებში - „ჩანაწერები ინგას უბნიდან“.

ინგას უბანში სიყვარული სუფევს.... გილოცავთ ხუთი წლის იუბილეს და წარმატებებს გისურვებთ.

პატივისცემით,  
დალი შენგელია, პოეტი.

\*\*\*

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ქალბატონ ინგას ამ სასიკეთო საქმისთვის და იმისთვის, რომ პატივი დამდო და მეც მონაწილეობას ვღებულობ ამ საიუბილეო კრებულში, სხვა თანამედროვე პოეტებთან ერთად. ასევე მინდა წარმატებები ვუსურვო ყველას, ვისი ლექსებიც შევა ამ კრებულში და პირადად ქალბატონ ინგას, პირად და შემოქმედებით საქმიანობაში. მხნეობა და წინსვლა მწვერვალებსაკენ. უფალი გვარავდეთ ყველას.

გილოცავთ იუბილეს!  
პატივისცემით, მზადო ოსიშვილი, პოეტი.





ბათუმს ქათქასას, ბათუმს თვალწარმტაცს“  
 ამშვენებს სიტყვის ნავთსაყუდელი  
 ამ ლამაზ ჩეროს, ამ ლამაზ ადგილს  
 „ინგას უბანი“ ჰქვია სახელი!  
 ჯერ პატარაა, მხოლოდ ხუთი წლის,  
 დაბადების დღეც გადაეჩდება  
 მინდა გოსურვით დებო და ძმებო  
 ყაძლიერება და აღზევება!  
 თქვენი უზნელი მე კი არა ვარ,  
 მაგრამ ღვინით მაინც გლოცავთ,  
 ნასტუდენტარ ფიზიკოსებს,  
 აღარა გვაქვს თქვენგან მოცლა!  
 ხან თქვენს პოეზიას ვსწავლობთ,  
 ხან თქვენს პროზას შევესევით,  
 გამრავლდით და გაიხარეთ,  
 ჩვენი ლოცვით ადივსებით!

ზურაბ გოგუა, მკითხველი





უიმედობა, მაშინ, როდესაც ადამიანებმა სიტყვები ერთი-მეორეზე დააკალმეს, წინადადებებად, სტრიქონებად აქციეს, მერე მათ ლექსი, ჩანახატი, მოთხრობა... უწოდეს და ყოველივე ეს, სცნეს ადამიანის სულის პურად, სულის საკვებად, რომლებიც შემდეგ წიგნებში დააბინავენ!

ძას შემდეგ - წიგნი, თითქმის სასიცოცხლო ფუნქციას ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში. სხვაგან სად შეიძლება ადამიანმა, იპოვნოს დაკარგული ბავშვობა?

ხელმოკრედ შეიგრძნოს სიყვარულის არსი... რამ შეიძლება ასე ცხადი, ძლიერი ალელეგია ან ინედის აკაფების ჩქოლოვა განგაცდევინოს, თუ არა, პატარა, ჯადოსნურმა - წიგნმა?!

ჩვენ უკვე „ინგას უბნის“ წევრებმა, ლიტერატურასა და პოეზიაზე უზომოდ შეყვარებულმა ადამიანებმა, ერთმანეთის თანადგომითა და სიყვარულით, რვა კრებული დავაფრთიანეთ... დღეს კი საიუბილეო კრებულს წარმოგიდგენთ და როგორც ეს ქართველებს გვჩვევია, ფეხზე წამოდგომით დავლოცოთ ეს არაჩვეულებრივი წიგნი, რომელიც ცხადია ადამიანების სულისა და გულის სანუგეშოდ მოვევლინა დღის სინათლეს...

ამ კრებულის თამადობით კი თქვენ გაგიძარჯოთ! იმრავლეთ და იხარეთ ჩვენო მკითხველო! გილოცავთ იუბილეს!!

თქვენი ანა გელაშვილი, პოეტი





აჭარის ულამაზეს ქალაქში, ზათუმში, ერთი პატარა უბანია რონელისაღ „ინგას უბანი“ ჰქვია. ამ უბნის დიასახლისი, ყველასათვის ცნობილი, ღვთისმოსავი ქალბატონი, ინგა გოგიბერიძე გახლავთ. ვერ გეტყვით რამდენი ადამიანის სიყვარულს იტევს ეს უბანი, მაგრამ მისი „სახლი-ბინლიოთეკის“ კარები ყოველთვის ღიაა ნიჭიერი და შემოქმედი ადამიანებისთვის.

2018 წლის 24 სექტემბერს, „ინგას უბანს“ დაარსებიდან 5 წელი უსრულდება. მინდა დღევანდელი დღე მივულოცო ქალბატონ ინგას, ამ უბნის დიასახლისს და უბნის ყველა წევრს.

ხელოვნების მადლიანი შუქურა გინათებდეთ შემოქმედებით გზას!

პატივისცემით,  
ნანა ზერაია, პოეტი

„5 წელი არ არის დიდი დრო იმისათვის, რომ ყოველდღიურად მინდვრის ყვავილებს მოეფერო... 5 წელი არ არის დიდი დრო იმისათვის, რომ იისფერსურნელნაკურევი სიხარულები მზით სავსე პეშვებით შეაგროვო... 5 წელი არ არის დიდი დრო იმისათვის, რომ ყოველი განთიადი სიცოცხლის, ზღვის, მზის და სიყვარულის სურნელით იყოს გამთზარი... 5 წელი არ არის დიდი დრო იმისათვის, რომ ლამაზ ქალაქში უნატიფეს შადრევანთან, შენი ტერეზა, ცეცხლოვანი სიყვარულის ისტორიას როკვით გადმოსცემდეს... 5 წელი არ არის დიდი დრო იმისათვის, რომ სინატიფით შესუდრული ახალგაზრდების ნიჭი ერთ დიდ



ზრდელია მზედ შეკრა და ნება-ნება მწყურვალ ადამიანებს უწილადო... თითქოს 5 წელი არ არის დიდი დრო ისტორიისათვის, მაგრამ ის მთელი საუკუნეა ინგას უზნისთვის. სადაც მისვლა, ყოფნა, არსებობა ჩვენი სულის უნატიფეს სიმებს აქლერებს... რე მიყვარს... მეძვირფასება და შეიმედება ინგას ხუთწლიანი სიყვარულის ისტორია... ზროწეულისფრად აზრდელიალებული.

მედუა ჩარკვიანი.


\*\*\*

მაქვს პატივი, ინგას უზნის საიუბილეო გამოცემისთვის მისალოცი ორიოდუ სიტყვა ეთქვა:

გულზე გადამდის ადიდებული გაზაფხულის მწვანე ჩუბ-ჩუბივით განვლილი წლები. ვიხსენებ ინგას უზნის პირველ ნაბიჯებს, ულამაზეს სადამოებს და ბედნიერების სურნელით გაჟღენთილ წუთებს. ვიხსენებ პირველ წიგნს, ინგას უზნის ჩანაწერები. სადაც გახლდით თანარედაქტორი. პირველმა გამოცემამ სტარტი წარმატებით აიღო, რასაც მოჰყვა შემდეგი წიგნები... წარდგინებები და ცინცხალი ურთიერთობები ინგას უზნელებთან.

წიგნის, ინგას უზნის ჩანაწერები, სულის ჩამდგმელი და უცვლელი რედაქტორ-შემდგენელი ინგა გოგიბერიძე დაუღალავი მოამაგეა. ინგას უზნის მიერ გამოცემული კრებულების საშუალებით, ბევრჯერ კიდევ უცნობ ავტორს მიეცა შესაძლებლობა გაეცნო თავი და ნაფიქრალ-ნააზრევი მიეტანა წიგნის სახით მკითხველამდე.

სასიამოვნოდ მახსენდება განვლილი ხუთი წელი. არასოდეს დამავიწყდება ქალბატონ ინგას მიერ ორგანიზებული, სიხარულით განცდილი ღონისძიებები და თბილი ურთიერ-



თობა ინგას უზნელებთან, მაღლობა ქალბატონ ინგას საინტერესო ნაყოფიერი და გულისხმიერი მოღვაწეობისთვის.

ინგას უბანს, ვულოცავ საიუბილეო კრებულის გამოცემას და ვუსურვებ მომავალ წარმატებებს.

დათო არახამია,  
პოეტი.

\*\*\*

ვულოცავ ინგას უბანს 5 წლის იუბილეს. ამ წლების განმავლობაში უამრავმა პოეზიის მორტივალემ, დამწყებმა თუ შემოქმედების კარიბჭესთან მყარად მდგარმა მეკალმემ, გაიცნო ერთმანეთის შემოქმედება და უზნის დიასახლისის გულიდან წამოსული სხივების შუქზე საკუთარი წარმოაჩინა.

წლების განმავლობაში აქ გროვდება და ერთიანდება ეროვნული ღირებულებები, რაც ჩვენ ქვეყანას ემსახურება და მის ტკივილს მალამოდ ეღება. ამ უზნის მეშვეობით ხდება ახალის შემომატება და მომავლისთვის ჭეშმარიტი შემოქმედების დატოვება.

ინგას უბანს წარმატებულ და ნაყოფიერ შემოქმედებას ვუსურვებ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ნინო სპანდერაშვილი,  
პოეტი.





ჩემთვის ინგას უბანი სიმშვიდისა და სიხარულის წყაროა. სიყვარულის სხივია, პოეზიისა და პროზის, ხელოვნების ყველა სფეროს მანათებელი ვარსკვლავია, შუქურა, რომელიც ინგა გოგიბერიძემ შექმნა და ყველას მზის მძივებივით მოგვაბნია სულში. ხუთი წელი სწრაფად გასულა...წლები ჩვენი დამეგობრების, ერთად უამრავი სიხარულისა და წარმატებების გაზიარების. მე ამ უბნის პირველი წევრი ვარ, არასოდეს დამავიწყდება ჩვენი პირველი ნაბიჯები, ჩვენი დამეგობრების წუთები, ჩვენი პირველი წიგნი, მზესავით ყვესაული და ხასხასა წიგნი „ჩანაწერები ინგას უბნიდან“. ეს იყო აღლუმი თბილისში. ჩვენი პირველი გამარჯვება! დიდი წარმატება. გადაჭედული დარბაზი. უამრავი მოსიყვარულე თვალი და ინგას უბნელების ტრიუმფი დიდ შემოქმედებით ასპარეზზე, როგორ მიყვარხართ უბნელებო!

ვულოცავ პირველ რიგში ჩვენი უბნის დიასახლისს, ჩვენზე დღედაღამ მზრუნველს, საოცარი მინიატურების ავტორს, მწერალსა და პუბლიცისტს ინგა გოგიბერიძეს! მქუხარე აპლოდისმენტები, ყვავილების საოვა და უამრავი ღიმილები ჩემს ძვირფასს ძეგობარს! ინგას ულამაზეს სამყაროში უამრავმა პროექტმა და პროზაიკოსმა აიღვა ფეხი და შემოაბიჯა თამამად ქართულ მწერლობაში! ყოველი ახალი წიგნის დაბადებას, რუდუნებით, კოლოსალური შრომით აღწევდა! და დღეს შედეგი ჩვენს თვალწინაა... აქა ჩვენი მატთანე! ინგა გოგიბერიძემ შექმნა ჩვენი ისტორია! ეს ისტორია არასოდეს დამველდება, არასოდეს გახუმდება, არსად დაივარგება! „ინგას უბანი“ დარჩება ყოველთვის ოცდამეერთე საუკუნის ერთერთ უნიკალურ ნიმუშად!... ინგას უბანი-მეგობრობის სიმბოლოა! ბედნიერი ხუთი წელი განვლეთ ერთად ხელგაკიდებულებმა! გილოცავთ უბნელებო! უცვვე ბევრი თქვენთაგანი მწერალთა კავშირის წევრია, უამრავი ემიგრანტი ჩვენი უბნელია!

ყველას, ყველას გილოცავთ ამ დიდებულ დღეს! ინგას უბანს ხუთი წელი შეუსრულდა! დიდება უფალს! მადლობა ძეგობრობო, თქვენგან უდიდესი თანადგომისათვის და სიყვარულისთვის! მემამაეებო, რომ „ინგას უბნელი ვარ!!!“

მაცვალა დავლაძე,  
პოეტი.

\*\*\*

დრმა პატივისცემით მინდა გულწრფელად მივულოცო 5 წლის იუბილე ყველა იმ ადამიანს, ვისაც ინგას უბნის შესახებ სმენია. ეს არის სივრცე, სადაც უამრავი კეთილი, თბილი, ნიჭიერი და ხელოვნებაზე შეყვარებული ადამიანი თავის ნაზრევს, გამოცდილებას, ნაშრომებს უზიარებს ერთმანეთს. ეს ერთი დიდი ოჯახია, სადაც მუდამ გულში გიხუტებენ და გამხნეებენ, გვერდში გიდგანან და სტიმულს გაძლევენ უფრო მეტი შრომისთვის. აქ ვერ ნახავთ შურს, წყენას და პირმოთენობას, ყველას ერთი დიდი ძალა გვაერთიანებს - პოეზიისადმი, ხელოვნებისადმი, ნიჭიერებისადმი სიყვარული და პატივისცემა.

უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ლიტერატურის დაუღალავ ქომაგს, ქალბატონ ინგა გოგიბერიძეს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ინგას უბნის ჩანაწერების ქრონიკებს და ასე თავგამოდებით, მშობელი დედასავით გვინაწილებს ყურადღებას და სიყვარულს.

ვიდეგ მრავალი იუბილე აგველნიშნოს შემოქმედებითად მეტად გაზრდილებს და დახელოვნებულებს. მიხარია, რომ მეც ერთ-ერთი თქვენგანი ვარ და რომ ყველაზე დიდი ფენომენი - „სიყვარული კაცთა შორის“ გვაერთიანებს.

თამარ ხარშილაძე,  
პოეტი.



ინგა გოვიბერიძე - ეს სახელი და გვარი ჩემთვის მშვენიერებასთან, საოწროებასთან, ნიჭიერებასთან და პროფესიონალიზმთან ასოცირდება. მე, როგორც მკითხველი მოხიბლული ვარ მისი მინიატურებით, ნოველებით, ჩანახატებით, რომელიც იტევს ცხოვრებისეულ სიბრძნეს, მშვენიერებაა და მკითხველს დიდ სულიერ სიამოვნებას აზიარებს.

„ჩანახატები ინგას უბნიდან“, ბევრი მკითხველის სამაგიდო წიგნად იქცა...ეს წიგნი თავისი მრავალმხრივობით და გამორჩეულობით მართლაც დიდ სიყვარულს იმსახურებს. ცალკე საუბრის თემაა „ინგა მეზღაპრე“, რომელიც უთვალავ ბავშვს აზიარებს ზღაპრების იდუმალებას, ზღაპრის სიბრძნეს, საბავშვო მწერლობის მაღლს და ჯავარს... ინგას უბანში მუდამ ჟრიაშულია. მუდამ ბედნიერება და სიხარული სუფევს, რადგან ამ უბანს წიგნთან დამეგობრებული ადამიანები სტუმრობენ. ცხოვრობს მზიურ აკარაში ჩემი მშვენიერი მეგობარი, რომელიც მთელ საქართველოს აწვდენს ხმას და მისი „საქმიანი ხმაური“ ზარივით რეკავს მომავლის საქართველოსთვის.

იზა ვეფხვაძე, რეზო თაბუკაშვილის  
სახელობის სახალხო ლიტერატურული  
თეატრის დირექტორი







ბავშვობაში ლენინისა და სტალინის კვეთაში მყუდრო სკვერი იყო-ყვავილებით და ჩიტებით სავსე. იქვე სიღრმეში თუ კარს შეადებდი, საბავშვო ბიბლიოთეკაში აღმოჩნდებოდი: ძველი წიგნების სუნი, მოჭრიალე იატაკი, მომღიმარი შუახნის ქალბატონები-ბიბლიოთეკარები... პირველი წიგნი მახსოვს - „უფლისწული და მათხოვარი“... ეხლა მაქვს 5000 წიგნზე მეტი, მაშინ არ მქონდა და აქედან გადავივიტოხე მთელი სათავგადასავლო და დეტექტიური ლიტერატურა...

ეხლა-შხიანი, ნათელი, კუთილგანწყობილი ბიბლიოთეკარებით და მუდამ ღია კარით, ღონისძიებებით და აქტივობებით დახუნძლული ინგა გოგიბერიძის სამყარო... თანაც ბიბლიოთეკა (თუგინდ ბიბლიოთეკარი) წიგნებს გამოსცემდეს-პირველად ვნახე! არაჩვეულებრივი, ორიგინალური, ლამაზი, ფერადი, ნახატ-სურათებიანი, სამახსოვრო, შინაარსიანი-ასეთია ყველაფერი, რასაც ქალბატონი ინგა ხელს შეეწლებს!

ამ საქმის იუბილეს გილოცავთ და გისურვებთ ბიბლიოთეკა-გამომცემლობის ჩამოყალიბებას!

ქვეყნის საქმეა წინ და აბა, თქვენ იცით!

ავთანდილ ბერიძე





...

მოხდა ისე, რომ საქართველოში, ბოლო 25 წელი, დიდ პოლიტიკური რღვევების ფონზე, ინტერესებით მსგავსმა ადამიანებმა ერთმანეთი დაკარგეს. სხვა მრავალ მიზეზთა შორის, ამის ერთ-ერთი მიზეზი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე შინაარსის ცვლილება, ან საერთოდ, მათი მოშლა და გაუქმება იყო. ყველაზე მეტად სწორედ იმ მოქალაქეთა წყება გაიკრიფა, რომელსაც ე.წ. „შუა“ ჰქვია, რომელსაც კულტურული ურთიერთობების, როგორც ქანგადაის გარეშე, უბრალოდ, არ შეუძლიათ ცხოვრება, სიცოცხლე. და აი, ამ პოლიტიკური ოკეანის მორევში ჩაძირვისაგან სახსნელად, გამბედავ და კეთილშობილ ადამიანთა მცირე ჯგუფმა მამველი რგოლები გადაუგდო უმისამართოდ და უსაგნოდ ჩარჩენილებს. ერთი ასეთი მაშველი რგოლი „ინგას უბანია“. მე, სხვათა მსგავსად, მაგრად ჩავეჭიდე ამ რგოლს და ამით იმ კუნძულს მივადწიე, სადაც გარიყულებმა კულტურის ჯერ კიდევ ხელთუხლებელი ოაზისი ვიპოვეთ. იმ დღიდან მოყოლებული ეს პატარა კუნძული შემოქმედებითად ირთვება და ლამაზდება, აქ უამრავი ყვავილი და ხე, პოეზიისა და პროზის სახით, ირგვება და ირწყვება. ეს არის კუნძული გადარჩენილთა და გამარჯვებულთა. ადამიანი, რომელმაც პირველად აღმოაჩინა მძვინვარე სოციალურ ოკეანეში ეს გასაოცარი ნავსაყუდელი, შემოქმედი ინგა გოგაბერიძეა. მაშველი რგოლიც სწორედ მან გადმომიგდო და თანამოკალმეებთან ერთად დამასახლა შემოქმედთა უმშვენიერეს უბანში, „ინგას უბანში“.

11 34047

ინგა გოგუაძე



რა ძალე გაფრენილა ამ სიყვარულის დასტურის ხუთი წელი... რამდენი ახალი შეგობარი შემიძენია... რამდენი სიიზიზი ჩაღვრილა ჩემს გულში თქვენი შემოქმედებიდან. განსაკუთრებული ემოციებით ის წუთები მახსენდება, როცა განმგარტოვდებოდი თქვენს ნაფიქრალთან, თითქოს თითოეულ თქვენგანს გულისცემა მეხმოდა, ამ გულისცემათა და თქვენი შემოქმედებით კი რვა კრებულის გამოცხადება და შეერთება დიდ სალიტერატურო სივრცეს. წარმატება ჩემო სულით და გულით საყვარელო ადამიანებო, ჩემო დიდო სჯახო, ჩემო ინგას უბნელო ადამიანებო, ვინც ჩემთვის ოქროს ასოებით შედით იმ კრებულებში, რომელსაც „ჩანაწერები ინგას უბნიდან“ ჰქვია.

მუდამ თქვენი ერთგული ინგა

### ინგას უბანი

სამყარო - დედამიწა - ქვეყანა - სოფელი - ქალაქი - ეზო - უბანი...

ამათგან უბანი - ყველაზე თბილია და ახლობელი...  
უბანში ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი აქვს -  
ადამიანს, სახლს, სადარბაზოს, აივანს,  
აივანზე ჩამწკრივებულ ქოთნის ყვავილებს,  
აივნებიდან აივნამდე, ფანჯრიდან ფანჯრამდე,  
სარეცხის თოკებივით გაბმულ გადაძახილებს, -  
და სამეზობლოს თბილი ბუდიდან ამოფრენილ  
პატარა ბელურებს...

სამყაროში მზის ყველა სხივი აღწევს მიზნამდე...  
ან, იქნებ - ვერც აღწევს...



უბანი კი, მზის ელვარების თითოეული მისხალის-  
უდანაკარგოდ შემკრებია, -

და ამიტომაც არის ყველაზე თბილი,  
შემოდგომის ფოთოლცვენის მიუხედავად...  
ლიტერატურული სივრცეც სამყაროსავით -  
უსაზღვროა და უკიდურგანო...

ეს არის სივრცე, რომელიც მრავალი ლექსის,  
რომანოს, მოთხრობის, ნოველის, თუ ჩანახატის  
ერთობლიობით, შესაძლოა - ერთ უბნადაც გარდაისახოს...  
სამყარო - წიგნი - ბიბლიოთეკა - ლიტერატურული კაფე, -  
და ყოველივე ეს ერთ უბანში,  
რომელიც ყველაზე თბილია და ახლობელი...

ყველა ლიტერატურული ნაწარმოები ერთნაირად თბილი  
ვერ იქნება, - რადგანაც მათი წიაღიდან,

გაზაფხულის წვიმების შემდეგ,  
ცისარტყელას ფერადოვანი სპექტრის სანაცვლოდ,

ხშირად შავ - თეთრი შუქიც ირეკლება, დღე - ღამის გასა-  
ყართან დაბადებული

მთვარის ვერცხლისფერი სხივების მსგავსად, -

მაგრამ თითოეულ მათგანში სინათლის სხივი მაინც  
კიაფობს...

ეს ის სხივია, რომელიც ლიტერატურის უსაზღვრო  
სივრცეს

ერთ უბნად აქცევს ...

სამყარო - დედამიწა - ქვეყანა - სოფელი - ქალაქი - ეზო -  
უბანი...

ამათგან უბანი - ყველაზე თბილია და ახლობელი...

განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც მას -

ინგას უბანი ჰქვია....

ბადრი სულაძე, პოეტი.

Magister b. d. g. g. g.

**L**ibere et sponte in nomine domini  
 sub prelo et in manu  
 et in manu et in manu  
 et in manu et in manu


**S**icut et in manu et in manu  
 et in manu et in manu  
 et in manu et in manu  
 et in manu et in manu

**I**n nomine domini et in manu  
 et in manu et in manu  
 et in manu et in manu  
 et in manu et in manu

**M**agister b. d. g. g. g.  
 et in manu et in manu  
 et in manu et in manu  
 et in manu et in manu



Magister b. d. g. g. g.






## დავით არახაშია

ამ მიწიდან ცამდე

ვსაუბრობ საკუთარ თავთან, თითქოს ცაში გაფრენას ვლამობ. ვლამობ მაგრამ ვერ ვძლიე სევდას. გულდაწყვეტილი გავცქერი სივრცეს. შევნიშნე მთიდან დაშვება ნისლის, მესმა გუგუნნი მოწყვეტილ ქვათა ვით ლოცვა მწუხრის. მეტკინა ლოდის, მდინარისგან ხრამში ჩაყრილის, ვერა ვუშველე და ვიცრებლები.

სევდის სარკეში სამუდამოდ ჩასახლდა ბინდი და იმედების ჩაქრა კანდელო, რადგანაც დღემდე ვერ ვაკიაფე იღბლის ვარსკვლავი.



მსურს, რომ შევება მჭუხარე ტალღებს სიმშვიდის ბორნით  
და როგორც სარკეს ჩავაცქერდი ფიქრებში წასულს. გამოწყდ  
მაფი სევდის და დარდის,

სულს ვითქვამ მდინარის ქარით. სიმშვიდე  
დაკარგულ დღეობა ჩემთა დასასრულამდი.

იმისი ზვირთების ლეწვა-დგაფუნი და მიყიჟინებს მკერდ-  
ლილი. შემაცახცახა უცაბედად სივოცხლის ელვამ, თუმც  
არასოდეს მიგვრძნია შიში. მოგონებებმა დაიბუზუნა სულ-  
დგმულივით და ცის კვრანზე წარმოსახა ჭრელი სურათი.


მიუუყვები ციცაბოებს, წკრიალ წკრიალ მოდის წვიმა და  
ჟურს ვლუგდებ ზეობების კვნესას, ხევში წყალი მიქუხს. ვერ  
ვნებდები ბედ-იღბალს

და დრო-ჟამს, ვეჯახები გრანიტივით კბოდეს. წარმოსახ-  
ვა გაქრა უცნაური იჟვის. იმედს ვკარგავ და გაცქერი მინ-  
დორს, ნასახლარზე მოჩანს ზოლი ვითარც მუბლზე ნაოქების  
მკვეთრი ღარი. დამტრიალებს თავზე ქორი ასახდენი სურვი-  
ლების უქონგურო კოშკთან.

ჩანახატი ჩავამთავრე ამითრთოლდა ბაგე, რომ მანძილი  
დამიგრძელდა ამ  
მიწიდან ცამდე.

\*\*\*

და უკუვაგდე შიში განცდილის კოსმიურ ხმამი დარდი  
ჟონავდა, დარდი რომელმაც დაკოდა რწმენა და ჩამიყენა ბინ-  
დი გუგებში. ვეწურჩულები კუნაბეტ ღამეს, როგორც იდუ-  
მალ მესაიდუმლეს. შუკი მოძადგა დვთიური დილის, მი-  
სი სინათლე შრიალებს სულში და გავახილუ ანაზდად თვა-  
ლი.



გონების მფლობის ჩამესმა ხმები, მარტო შეიწილი წამოე-  
ხტი ზეზე. დაძვრთხალი ფიქრით გავყურებ სივრცეს, სიმუნს  
თრთიან შოპენის

ბაღში. მიძიქედ დაიდრენ ცისკენ ჰანგები, თაყვანი ვეცი  
გენიის აკვანა. ძლივს მოვახერხე მომქსწრა, მხოლოდ, რომ  
ბესაუბრა უკვდავებასთან.

ჩუმად ჩამოვჯექი ტბის პირას მოღზე, უფალმა მომცა  
რადგან უფლება ბეძენო იღუმლაოდ გულს რაც ეწადა. ბევრმა  
საშიშმა ქარმა დამქროლა, ბედი მივანდე

კვლავ გეცხლის დელგმას. მთოლვარემ სიმეზს კრძალვით  
ჩამოვკარ, ვმინვა დაიწყოს ლამის ჰაერმაც და ვუძკლავდები  
ათასგვარ წუხილს.

დაჭიმულ სიმეზს გვანან ფიქრები. წვეთავს სისხლივით  
მიმწუხრის სევდა. შეიკრა რკალი გავყურებ ტატნობს, რომ  
ალიონზე მზე ინაზება. პორიზონტს

მიღმა გულს ეფინება ბულბულის სტვენა, როგორც მდი-  
ნარის ნარნარა ზვირთი.

მიმოვიხედე, გულჩვილად ვლალობ მიმწუხრის ბინდ-  
ში, ერთმანეთს ცვლიან დღეები, წლები. მივინდე ძველთა  
ძამათა წიგნებს მიათვეცებენ რწმენას და იმედს.

ღრუბლის და ნისლის ნასახი არ ჩანს ოცნების ცაზე.  
მაისის მხედმაც შემოანათა

და უკვე მისი მუხოტბეც გავხდი. არც დალლა მაკრთობს,  
ძვევლე დამშვიდდა ჩემი ფიქრების, როცა გარშემო ვარდის-  
ფერ სიზმრის ღიმილი ღვივის.

რა მიხარია, ველარ ვკითხულობ ავ თვალთა ციმციმს.

აუხედე ზეცას, გავშალე ხელი და უკუვაგდე შიში განც-  
დილის, ვით ყოველგვარი შიში უძლური.





ვარსკვლავეთის უდაბნოების მწუხრში წევს ჩემი ხსოვნის სამყარო. ჯერაც არ ვიცი რას ველოდები ქამთა გაღმოდან, სადაც ქარიშხლად გაფენილა სულის ექო. ერთმანეთის შერევიან შორეულ განწირულთა სისხლი და ცრემლი, რომელიც ტკივილის ფესვებით მაწისქვემა ხეობებში მოიკლავნება.

თავს დაშფარვატებს ქართა ჩურჩულში წარმავალი ჟამის ამარა ხმამაღალი ფიქრი და ვითა წყალწაღებული მივტივტივებ დროის ზედაპირზე. ტვინში გროვდება შურისძიებათა მდინარის წამლუკავი მრისხანება წყვდიადის ჭერქვეშ. სივრცეს ლიბრი განმგებლობს, არავინ არ ჩანს საწიერზე დაარხიოს ჟამის მდუმარებაში ფიქრის შემგბარი ტოტი, სდუმს ჰორიზონტი.

ჟამიდან ჟამის უშორეს გზაზე მოხეტიალე მიღბურანში ვარ, მღვიძებს დუმილის ტყის უცარი შრიალი სიფხიზლის გამოქვაბულთან ციურ ვარსკვლავთა გზაბნეულ ლანდის წინაშე. თვალეზ მილულული მზერას ვაპყრობ ღრუბლებში გარინდებულ დროის ქედებს. თქრიალებს მოლოდინის წვიმა.

ღვთაებრივ მუსიკის ჰანგზე ვკრეფ სიმარტოვის ყვავილს. ღამის ბურუსში ვუთვალთვალეზ ღამა სიზმრებს ძილის ქუჭრუტანიდან. სიზმრის ტრამალზე გონი აკვნესდა, პლანეტების ქარბუქი მიტევეს, ამაოდ ვებრძვი, ავიკარო გუდანაბადი, საკუთარ ჩრდილს მივაცილებ გლოვის თაღებში.

სანთელს ვანთებ, ჩემს წინ ჟამია გარდაცვლილი.



უასაკო ბებერი ეკვი მივაბჯინე ძხერას. შუქი იბჟება მნათის, თვალებიდან მოვარემდე. ლაჟვარდი მიწას სიყვარულს აფრქვევს, მემამ სივრცეში ღუნღულა ღრუბლების ცქერა და გონის სიღრმეში ავწიე ასაფრენად აწვდილი ფრთები, მაგრამ ამოდ. ერთხელაც მოწყალედ გამკრავს კლანკებს ბედისწერა თუ შევიშნოვე და მაგ სიხარულს მომანიჭებს ცრემლების შესამშრალეზლად.


დიღამ ქაოქათა ღრუბელს სულად უბერა ხიავი, გადააფრინა ბორცვებს და ყანებს, საით გაფრინდა გაგება მიჭირს. დიღაბანდუხე ვასაკებმა წამოიწყეს კრული და აქ ამ სტრიქონებში დარგული ცხელი ცრემლები ამაწაპნეს.

არ მასვერებს ბაგედამსკდარი დამფრთხალი ფიქრი, უძილობის ეკლებით სავსე. უნდა გავგიჟდე, გადავირიო შუალამის ზვირითთა წინაშე, რომ შევძლო წყვედიადიდან თავის დაღწევა. იფრქვევა ხმა ბაგეთგან ამოწვერილი, ებლაუჭება უხილავის კალთას ფესვებით და ხანმოლოულთა თვალებს სწვდება მისი აჩრდილი ცაში სახეტილოდ.

ფიქრი ფიქრს მოება. წყვედიადში იჟანგება მზის ბრჭყალეზით დაკაწრული ძხერა სიჭაბუკის დღეების დადრით, დაემვა წამით ცაში ასაფრენად აწვდილი ფრთები. გული არ ეპუება, სული წრიალუბს. რა საცოდავია დღევანდელი დღე ცვირჩამოშვებული, ნაღვლიანი. ქვესკნელიდან მოყურიადე ბნელით დაცხრილულ ჭერქვეშ.

სუნთქვა მეკვრება, გული წვეტს ძხერას. რატომ ან რისთვის, დასრულდა ბედისწერა?

ვეფერები სკვინწას და ლაჟოს, თვალსაამოს. ვდეღავ, ვბმიანობ ნასიცოცხლარში. მიყვარს ქარის სტვენა, მშურს ზეცის უსაზღვროება. გამიმართლა და ვაგძართე საუბარი ანგელოზის ალიკვალი.



ვერაგ დრო-ჟამს ჩამოემენბა მანათობლის ჩრდილი. გულგრილად ბჟუტავს ბედისწერის ვარსკვლავთა ზედა ღვივდება ხსოვნის დადარი და ააკვნესეს ჰანგი ჩანგის ლარებმა. სუნთქვა შეეკრა, გულმა შეწყვიტა ძგერა, ის აღესრულა და არსად არის.

## შამოშათენდა

ცა გადავლილ ხომლთან ნათელს ბნელი გუდავს, დადამდა. შუკი მარმამით გამოფინეს ვარსკვლავებმა სივრცეებზე და გაბრწყინდნენ. მსურს ვესაუბრო მთვარეს ვარსკვლავების მარადიულ კედელთა შორის ახალი სივრცეების

პოვნის სურვილით. ნატვრამ ფიქრის მრისხანე სახით შეაწვრია ვარსკვლავთა


პირქუშ დაბლობის მდუმარე კედლები. სიჩუმეა, შრიალებს ღუმლის ხე, ვით მაწანწალა ვხეტილოშ ჟამიდან-ჟამზე შხერის საგზლით დამარცხებული.

შიშის ქუჩრუტანიდან წყვდიადში ელავს მარტოობის ჩამონაწვეთი ცრემლის ხმაური.

გაოცებული გავცქერა ცის ტატნობს, ფერი მომძალდა ქარვის, ფლოქვთა ჰახუნით გადაიარა ჟამმა ჩემი სიფხიზლის გამოქვაბული. სიმწრის ოფლს მახხავს შუბლზე, მარღვებში ყელყელაობს წითელი ულაყი. სული სხეულს ერთგულების ფხას უსინჯავს ღვთის სინათლეში რომ არ ქონდეს ცოდვის

ცული შუბლზე ნათბლემი, რადგან ამ ფარდალალა წუთისოფელში შურის, ღვარძლის და ცდუნების ქარი უბერავს.

ცა მოიქუფრა, ქარმა მოჰბერა სიხარული და მწყუხარება. გავარდა ღვთიური



მეხი, საწუთრომ მუხანათმა დუმილის კედელი გაანგრია, აჯანყდა ლურჯი და იდუმალი ცა მფარველი ანგულოზითა და მაცდური დემონით. ცის ცრემლიც დაშრა, თითქოს არაფერი მომხდარა დრომ ისე გადმოქუხრა.

შუაღამეა, ძლივს მოლასლასე ნაცნობი შაგრამ მაინც უცნობი ჩემი სილუეტის აჩრდილი ღვთიური შუქით გზას შიიკვლევს მთვარემდე ოცნების ოდებს შორის აწრაფვის ბუდეში ვერ დაყოლიებულ სიფიცხესთან და ვნებასთან.

სადაც ცნობიერი იწვის. ცაზე ღრუბლის წრიალში გონის ბუხრიდან ამოდის კვამლი ნაპერწკლიანი, სიცოცხლის მეხად რომ დაატყდა ფიქრის საწიერს.

შემომათენდა, სინათლით გამოსჩინარალ ღვთიურ ლანდთა წინაშე ნატერის ქარბორბალა გაიკლაკნა და მდუმარ შრიალით ჩაიძირა შფოთის ბაგეთა ლაბარინთებში. მიმქრალ ვარსკვლავთა აბლაბუდაში განუწყვეტელი გუგუნის ისმის. იქნებ ღვთისადმი სამდურავია ან ცოდვის მოთქმა მარადიული? იქნებ გალობაა მშვიდობის, სიხარულის, სიკეთის ბუდის თხეზის დროს. ეჰ...

უსასრულო თამაშია წუთისოფელი.

## აღმართ-დაღმართის უკუნი

დროსთან ომის მოშვებ აჩრდილის გვერდით ვდგავარ, ირგვლივ კამის

ქრის თარეშია, სივრცეში მოყვლეყლავე შიშის სარკვეს გადავუწიე გონებაში ვადვიებულ ფიქრთა ვერ კიდევ გაუკვირბავი ფოთლის ჩრდილი, გავყურებ უჩვეულს ნაპირს, ცის სილურჯეში გაჭრილს. იქ მიწიერის არ ისმის ხმები. ნაცრისფრად მხელა, რუხ სივრცის უხილავ კლდის ქიმზე გონების მზერით ამოცტვიფრე ფიქრის ფოთოლზე ჩანიშნული ნუგეშის ანაბეჭდი. ცოფიანობს აღმართ-დაღმართის უკუნი. სადაცაა მარად მოუღლელო მზე ამოანათებს.



მწვანე ხეებს მალღა ბექობზე შემართული ვდგავარ, ავხიდე ზეცის კარიბჭეს, თავზე მახურავს ლაქვარდი. ხილულმა ამსიქ ბოხა, აითქოსდა სივრცე შეირხა, ბზრიალი გააქვს მიწის გულს, ფეხებში მიწა ტორტძანებს. ზარები რეკენ, უცაბეად ღრუბლით დაფარულ კლდის ქიმზე მზის სხივმა

იალა, რქადაგრებილ ჯიხვივით შეფრინდა კლდის თავზე, ღრუბლებს გაუთამაშა და შერე შთანთქა მთლიახად. ხილულით დაბნეული ვარ, ვერ გავრკვეულვარ რა ხდება.

სხივების ფრთების ნავარდმა ნიავი აათარეშა. მრიალი გაუდის მთის წყაროს ლიკლიკზე ქალღებში ბალახს, ვრცლად გამლილ ველზე ყანა ბიბინებს, მინდორს ახურავს მწვანე ზეწარი, მალღა მთის თხემზე სიმშვიდე ზოლავს.

ზეცის სანგრიდან ეამის გვარდიელს დარდის ნამქერში ჩაფლული ფიქრების

ჯარი მხვერავს. ჯავრის ტრამალზე როკავს ქარიშხალი, ცაში ირევა ფიქრის ნამქერი, ჩამოწვა ბინდი, საწუთროს უღრანების სისხლიან გზებზე სიმხდალის

ნება სიკვდილზე ყვება, რომ არ დავნებდე ვშლი უმღურების წიგნს აწმეოს საგონებელს დარდით რომ მოსავს.

ქვეცნობიერში სიციცხლის ბილიკზე მიწის ურინარი გუგუნე მესმის. გაცექერი მიღმეთს, სადაც მკვეთრი ხმა ზარივით რეკავს. ეს ხმა ახალი ზეცამდე აღწევს, ფიქრით ცას ვერთავი. დროსთან ომის მომგებ აჩრდილის გვერდით მდგომს, ამ მიწის სუნთქვა ნუგეშად მესმის, ვით თბილი სისხლი დამივლის მარღვში და ზედ გულზე რომ მახლის თავის სიყვარულს.

ცოფიანობს აღმართ-დაღმართის უკუნი, ირგვლივ ეამის ქარის თარეშია. გავყურებ უჩვეულო ნამირს, საცრისფრად ბნელა. რუხ სივრცის ყრუ კედელზე

რეკენ ზარები, რისხვა წინ წინ მოიწვეს. სიმშვიდის სანგარს წამებში თელავს, გაქრა ეარსკვლაევი და შეწყდა ჩქამი.

.. საოცარია, მინდორს რა რიგად სვენის ბალახი.

დათო არახამია



## არჩილ ალუქსიშვილი დაბლაჯიხელი

წარსული და აწმყო

სულში მტკივა ილია,  
გულში მტკივა ზვიადი,  
თქვენ სიმართლით გივლიათ,  
განათეთ წყვილიადი.  
ჩაგისაყრდნენ ღალატით,  
ეს ხომ ჩვენი სენია,  
უაშრავი განგმირეს,  
პატრიოტი  
ახლა საით მივდივართ?  
ისევ ჩიხხლი გვწყურია?  
როდის დავდგეთ ერთ მუშტად?

შევიქმნებით ძმურია?  
 უშმას ხელი გავუშვათ,  
 შემოვუშვათ უფალი,  
 არ დავკარგოთ ქართული,  
 ვაჟკაცური უნარი.  
 ეს ყოფა თუ ყოფაა,  
 ჩავუფიქრდეთ ყველაფერს,  
 ისევ ჩიხში შევდივართ,  
 რას მივალწვეთ? ვერაფერს!!!  
 სულში მტკივა ილია,  
 გულში მტკივა მერაბი,  
 ღმერთმა სიყვარულით შეგვქმნა,  
 ნუ გავხდებით ვერაგნი.

## ბედკრულ საქართველოს და მიძინებულ კატრიოტიზმს

რამდენჯერ უნდა გაყიდოთ საქართველო??  
 ნუთუ ვერ ხედავთ მთავარს,  
 ღმერთი მფარველობს სამშობლოს ჩვენსას,  
 თქვენ კი ევაჭრებით შავანს.  
 როდის იქნება საქართველოში,  
 ქართველს რომ სიტყვა ეთქმოდეს,  
 გვერდიგვერდ დამდგარი მამულიაშვილნი,  
 კვლავ მშვიდობისთვის იღწვოდეს.  
 აღარც ერთობაა,  
 არც სულის კვეთება,  
 დღეს მიზნად უდევთ

ფულის კეთება,  
არც ღარიბი ახსოვთ,  
აღარც ინვალიდი,  
აღარც უფალი და,  
აღარც მისი რიდი,  
ვწერ და გული მტკივა,  
იმუდი არ კვდება,  
ჩვენო საქართველოვ,  
შენი დღევ დადგება,  
ერი წამოდგება,  
ფეხზე დადგება,  
ის სულისკვეთება,  
კვლავაც აღსდგება,  
მტყუნი რიცხოზრივად  
ისევ არის ბევრი,  
ამისა ვერ დათრგუნეს  
ივერთა ერი.  
ღმერთი ჩვენ გვიცდის,  
ჩვენ კი შას,  
მიუგდესა ყური გულის თქმას,  
თუ არ გავიღვიძეთ,  
ძვირად დაგვიჯდება,  
რასაც თავს გვახვევენ,  
სულში გაგვიჯდება.







იყავი ლომი ქართველო!!!  
 შენი ხეედრია ოდით,  
 დრო უფრო მწარეც ყოფილა.  
 გადავიტანეთ ზრძოლით.  
 იყავი ლომი ქართველო!!!  
 წინაპართ ძვლები ბორგავს,  
 დაუდევრობითა, სიბრძავით,  
 მათი სულები ახრავს.  
 იყავი ლომი ქართველო!!!  
 ჯერ შეიყვარე შენი,  
 უცხო არ მოგცემს სიკეთეს,  
 აქაც ბევრი გყავს ბრძენი.  
 იყავი ლომი ქართველო!!!  
 არ დავემონოთ არვის,  
 არ დაგვაკიწყდეს გემფარველობს,  
 მადლი მთისა და ზარის.  
 ვიყოთ ქართველი ქართველნი!!!  
 და ვიამყოთ ამით,  
 წინაპართ თავი გასწირეს,  
 იცხოვრეს სიცოცხლით მყარით.  
 ქართული კარგად ვისწავლოთ,  
 მერე მივხედოთ უცხოს,  
 მტერი ხარხარებს პირს უკან,  
 ასე რომ გვხედავს უხმოს.  
 ახლა რაც უნდა ვაკეთოთ,  
 ამას ფიქრიც არ უნდა,  
 ღმერთი გვარავდეთ ქართველნი,  
 თქვენ გაიხარეთ მუდამ.



უსამართლობამ წაღეკა, ჩვენი სამყარო კვლავ,  
უმოქმედობით მომაკალს, დავასამარებთ ვკლავთ.  
ბრძოლა სკაძისთვის მძვინვარებს,  
ჩვენ კი ხმებს ვაძლევთ ვის?  
არც ქვეყნის დარდი აწუხებთ,  
არც მადლი დასდევთ ღვთის.  
ნუთუ არ ვმარა ქართველნო,  
კიდევ გავუძლებთ ბევრს?  
სიჩუმე უმოქმედობა გადააგვარებს ერს.

### საშობლოს გაუმარჯოს!

მე მინდა რომ ვადღეგრძელო ჩვენი ძიწა,  
მე მინდა რომ ვადღეგრძელო ჩვენი წყალი,  
არ მინდა რომ მოგვერიოს ხანმა ბილწმა,  
ერთმანეთზე ნუ ვიქნებით მუდამ მწყრალი.  
ისარგებლეს ნდობით ყველამ,  
შემდგომ არ იფიქრეს ერზე,  
თქვენ მამული არა გტკივათ,  
გიფიქრიათ როსმე ღმერთზე?  
ქართველებო გაგვითენდეს დღე შვიდობის,  
უკვე დროა მოვუყაროთ სიბრძნეს თავი,  
ერთიანად გადავლახოთ დროა რთული და,  
შრომით, გარჯით, ღმერთით მოგვეცემა ხვალი.



გამოდით!!! სანამ წაგვლევებს, გაგვბილწებს, გაგვანახევრებს,  
 გამოდით!!! სანამ ფესვი გაიდგეს,  
 უწმინდურებმა ფეხი აიდგეს.  
 სანამდეს დაგვარწმუნებენ თავიანთ სიმართლესშია,  
 გამოდით!!! ხმა ამოვიღოთ,  
 ჯაბან არ გვარგებს გენშია,  
 გამოდით!!! სულის კვეთებით,  
 სიტყვა ვთქვათ მეტად ბრძნულია,  
 გავაგებინოთ სამყაროს,  
 სისხლი არავის გვწყურია.  
 გავაგებინოთ სუყველას ერთი!!!  
 ვერ შედრიკავენ ერს!!!  
 მას რომ ქართველნი თავსაც შევწირავთ!!!  
 სამშობლოსა და ღმერთს!!!

\*\*\*

ნისლი ეფარება ლურჯ მწვერვალებს,  
 თაღმა გადაფარა ირგვლივ არე,  
 მე შენ ვარსკვლავებში მეგულები,  
 იცი? შენ ხარ ჩემი მზე და ძოვარე.

\*\*\*

მე შენი სუნთქვა მიყვარს,  
 მიყვარს მაგ თვალთა ჩინი,  
 მინდა კელაპტრად ვანთო,  
 შენთვის ნაძერწი ცვილი,  
 შენით არსება მიყვარს,

მუდამ გადვიწერ პირველს,  
 ღმერთს შევავედრებ იმ ქალს,  
 რომელიც ძლიერ მიყვარს.  
 შენა ხარ ჩემი სიცოცხლის წყარო,  
 ალალო, მშვიდო, კეთილო წყნარო,  
 ღმერთმა დაგლოცოს საუნჯევე მყარო,  
 გატყვი მრავალჯერ რომ მიყვარხარო.  
 გულისთქმასა და ფიქრებს,  
 სანთელს გავანდობ წმინდას,  
 შენი სიცოცხლის გარდა,  
 მე სხვა აღარა მინდა.  
 მე შენი სიტყვა მიყვარს,  
 მუდამ დაგინთებ სანთელს,  
 როგორ მიყვარხარ იცი,  
 არ დავიშურებ სათქმელს.

\*\*\*

ამ გულის შენ ხარ მმართველი, სიცოცხლეს ჩემსას სჭირ-  
 დები, მზე შენთან ერთად ამოდის, ხან ტკივილია, ხან სევდა,  
 სხვანაირად არ გამოდის. მაგრამ შენ იცი, მიყვარხარ, არ  
 დაგავიწყდეს არასდროს, შენი გული რომ მაჩუქე. დიდი მად-  
 ლობა ამავე დროს. მე, შენთან ერთად ვბერდები, თმაში იფეთ-  
 ქა ჭადარამ, მხოლოდ სიყვარულს ვნებდებით, სხვა ჩვენ არა  
 გვსურს, არცა რა. იდღეგრძელე და ისარე, შთაშომავლობით  
 მვირფასო, უფრო ძლიერი თუ არის, ტრფობა მამ ვინმემ  
 მითხრასო. აქ დავამთავრებ ამ ლექსსაც, კიდევ ბევრი მაქვს  
 სათქმელი, შენა ხარ ჩემი სიცოცხლე და გულის, დიდი მმარ-  
 თველი.



\*\*\*

„უდიდესი ბედნიერებაა ცხოვრებაში, როდესაც ურთიერთ დაფასებაა ოჯახში, როცა შეუღლებულმა წყვილმა იცის თითოეული წამის ფასი, უფრო სასიამოვნო და მშვენიერი რა უნდა იყოს სიცოცხლეში, როდესაც ის ისრის, ეს ნამდვილად დვთის წყალობაა, გისურვებთ ბედნიერებას და ლამაზ დაუვიწყარ წამებს, მუდამ იბრძოლეთ ბედნიერებისათვის“.

\*\*\*

გავერთიანდეთ სასწრაფოდ, „რატომ სდუმს ერი, ძითხარი? რამ გაგვიყინა ჯიგარი, მტერი ყოფილა აშერი, იმერი, ვერ დააჩოქეს ვერასდროს იბერი“.

იყავ ძლიერი ადამიანო!!!

თუ შინაგანმა დაიწყო გვემა, საკუთარ შესაან არ ხარ მართალი! არ მოგეცემა არასდროს შვევა, სინანულით თუ არ ხარ მავალი! განდევნე ცოდვა! ხედავ? გამოგლღრნა! გიმძიმს არსობა, მაგრამ კვლავ სცოდავ, დაბნეული ხარ, და ვერას აწყობ, კვლავ იმეორებ, შემდეგ კი ბოდავ. ბნელ არსებობას, კვლავ სიბნელე ცვლის, თან სამუდამო წამებით, ტანჯვით, ყველამ თავისი იტიროს ცოდვა, და ნურასოდეს, ნურავის განვსჯით. მყარი ნაბიჯი! რწმენა ურყევი! უფალში არის, ძალა უღვევი! მიუახლოვდი! ხომ დაიდალე, ეშმას მოშორდი! შენ გაიხარე, თავს შეუძახებ, მოინანიებ, ვიცით სიკეთეც, ბევრის დათმობა, როგორ მოვიქცეთ, ჩვენ სუსტ მოკვდავებს, ზოგიერთი რამ, თუარ გვეთმობა.



შენ დალოცვილო ადამიანო,  
 ზოროტებისკენ რად იღწვი რისთვის?  
 მოგვეკვითება ერთ დროს ყოველი,  
 დაფარული ხომ არც რაა ღვთისთვის.  
 შენ დალოცვილო ადამიანო,  
 ნუ დაივიწყებ ხარ, ღვთის ხატება,  
 ის კვლავ ზევრს ითმენს,  
 მუდამ გვპატიობს,  
 ერთხელაც რისხვა,  
 თავს დაგვატყდება.  
 შენ დალოცვილო ადამიანო,  
 არასდროსაა გვიანი იცი???  
 ღმერთი ახსენე მოინანიე,  
 არუნდა ამას ფიცი და მტკიცი.  
 შენ დალოცვილო ადამიანო,  
 ხომ ხედავ მძლავრობს,  
 იღწვის სატანა,  
 ღვთის ხატება ხარ ადამიანო,  
 ძემ ღვთისამ, ჩვენთვის შესძლო ატანა.  
 შენ გაიხარე ადამიანო,  
 ღმერთმა შეგვექმნა და  
 არ მიგვატოვებს,  
 მეორედ მოვა ადამიანო,  
 ზოროტს კეთილთან,  
 აღარ დატოვებს.

...არჩილ ალექსიშვილი,  
 დაბლაგიხელი




## გიორგი აღნიაშვილი

ზმანება დედათა მონასტერში

### ნაწილი 1

უდროობის დრო იყო. წინ და უკან დავბორიალობდი და თავად არ ვუწყობდი რა მსურდა. მოწადინებული საქმის კაცივით სიგარეტს სიგარეტზე ვაბოლობდი და მხედართმთავარივით ვჭვრეტდი მცხეთის მადლიან სანახებს. ისევ მარქანაში დავბრუნდი. ძრავა ჩავრთე, თუმცა თავად ფიქრადაც არ ბქონდა საით მიბიძგებდა ბედისწერა. რაღაც „მანქანებით“ მცხეთის დედათა მონასტერთან „აღმოვჩნდი“. რა მინდოდა აქ? არავინ მვლთდა მონასტერში. მონასტრის ეზოში შევედი. დაცარიელებულიყო იქაურობა, მხოლოდ მოწყალების მთხოვნელნი უილაჯოდ და ჩვეული რითმილი ითხოვდნენ მოწ-



ყალბას. მამა გაბრიელის საფლავისკენ წავედი, რატომ? არ ვიცი, უბრალოდ ფეხებს მივყავდი მისკენ და მეც მორჩილად მივყენდე განგებას. არც მოძღვარი, არც მონაზონი არ ჩანდა ახლო-მახლო. საფლავთან მივედი და იქვე მიჯრდილ ლოდზე ჩამოვჯექი. დავიღალე თქო ვერ ვიტყვი, მაგრამ შინაგანი თრგუნვა დაბოგინებდა ჩემს სხეულში და რაღაც უცნაური შიში. ყველაფერი მეუცხოვა მარტო დარჩენილს. თვალი შევაღლე ტაძრის ქედქვეულ საუკუნეებს, დრო-ჟამის ქარტახილთან მეტრძოლი ლოდები და ტაძრის ორნამენტები ადამიანის არაფრისმოქმელ ნაჯახირევად მომედო თვალში. თავად არ ვუწყობდი რა მინდოდა აქ, რისთვის მოვედი ან რას ვეძებდი ამ პაპანაქება სიცხეში...

იქვე, ტაძრის გვერდით ქვით შეღობილ ყვავილნართან გაცრეცილ პიჯაკში გამოწყობილი გამხდარი კაცი ჩამომჯდარიყო და მიწას დაჰყურებდა. მან ჩემსკენ გამოიხედა, მერე წამოდგა და ნელი ნაბიჯით მომიახლოვდა. გაფითრებული და უემოციო სახით დამიწყო ყურება უცნობმა, შემდეგ უკითხავად გვერდში დამიჯდა და რაღაცნაერი თბილი, ხორხისმიერი ხმით მომესალმა...

- გამარჯობათ ბატონო - მომესალმა ის კაცი. ზედაც არ შემოუხედავს ჩემთვის ისე მომესალმა...

- გაგიმარჯოთ - უხალისოდ მივესალმე მეც.

- მარტო ხარ და ამიტომ შეგბედე მოსვლა. მეც მარტო ვარ. უბრალოდ მომინდა ვინმესთან გასაუბრება: გთხოვ, უდიერი არაფერი იფიქრო ჩემზე...

- როგორ გეკადრებათ ჩემო ბატონო, ვინ ბრძანდებით?

- უკვე არავინ, ადრე ცნობილი კაცი ვიყავი, ეხლა კი ჩანდახან ვახსენდები ხოლმე ადამიანებს.

- ყველანი ესე არა ვართ? მეც მიხსენებენ ხოლმე ჩემი მეგობრები.

- რაღაც მინდა გკითხოთ, შეიძლება?





- ბრძანეთა...
- რა პროფესიის ბრძანდებით? და როგორ მოგმართოთ ბატონო...
- გიორგი ტყეა, ინჟინერი ვარ პროფესიით, ისე ლიტერატურულ საქმიანობასაც ვეწევი...
- მწერალი ბრძანდებით?
- დიახ, პროზაიკოსი ვარ, ყოველ შემთხვევაში ვცდილობ რომ ვიყო...
- კეთილი, დიდებული საქმეა მწერლობა, მაგრამ ვალდებულებაც ძალიან დიდია ხალხის წინაშე...
- მართაღს ბრძანებთ...
- ჰო მეგობარო...
- თქვენ ვინ ბრძანდებით? სახელი მიბოძეთ თქვენც.
- ფამილარობა საჭირო არ არის ბატონო გიორგი. მოდით „უცნობის“ სტატუსით შემოვიფარგლები... დროებით... და შერე ჩემს ვინაობასაც გაგიმხელთ. შევთანხმდით?
- კარგი, იყოს ნება თქვენი. მაინც მარტონი ვართ ამ ერთფეროვან სამყაროში...
- „ერთფეროვანი თუნდაც მეფეც კი მოსაწყენია ქვეშემრდომთათვის“
- ოჰო, საინტერესო ფრაზაა...
- კი, საინტერესოა. ბატონო გიორგი...
- „გიორგი თქო“ ასე აჯობებს...
- მაღლობთ. გიორგი „ადამიანთა სევდა“ თუ წაგიკითხავთ?
- გადგრძობი ჩოხელის ნაწარმოებზე მკვითხებით?
- დიახ. შეგიძლიათ მიპასუხოთ რას ნიშნავს „ადამიანთა სევდა“ თქვენეული მოსაზრება მსურს მოვისმინო, გახიზოთ...
- კი ბატონო, შევეცდები გიპასუხოთ... ალბათ განვლილი ცხოვრების ანალიზი... წარსულში მიუღწეველი მიზნე-



ბის და დაუძლეველი დაბრკოლებების სწორი გაანალიზების შედეგია „ადამიანთა სევდა“, გამოუყენებელი საშუალებების ან შიშის ან გაუბედობის შედეგის ნაყოფია ის...

- მართალს ბრძანებთ, მაგრამ უფრო სხვაგვარად დავინახოთ ეს საკითხი ხომ შეიძლება?

- ბუნებრივია...

- ჩემი აზრით, არ არსებობს ყოფილი „უბიწო ზნეობა“, უბრალოდ გარკვეულ დრომდე ადამიანებს ქეშიმარიტი 'ხნეობის გამოძიურების საშუალება არ ჰქონდათ...

- ამით რისი თქმა გსურთ?

- იმის, რომ „სევდა“ ერთგვარი სულიერი მდგომარეობაა, ის მხოლოდ ვრემლს და კაეშანს არ გამოხატავს, რამეთუ დრო და ეპოქა განსაზღვრავს „სევდას“ როგორც ადამიანის შინაგან სულიერ მდგომარეობას და განსჯის საგანს...

- საკამათოა ეგ საკითხი...

- მართალს ბრძანებთ, უკვდავებაც „სევდის“ ნაწილია და დაბადებაც, რადგან დაბადება სიკვდილის უცილო მაცნეა და დროში გამოივლება, ადამიანის იმ ქვეყნად „წასვლაც“ სევდაა და საფიქრალია „სევდის“ რა დოზას შეიცავს მოყვასისათვის...

- სიციცხლის დაბადებით სიკვდილმაც დაიმკვიდრა უკვდავება... ასეა, მაგრამ ჩვენ საკითხს გადაუხვიეთ...

- ჰო, ცოტათი გადაუხვიეთ. და მაინც ადამიანის არ სურს დინახოს საკუთარი არსობის „სევდა“, რადგან ადამიანური ელემენტაობა არ აძლევს საშუალებს „პიროვნული“ ჭაპანი ზიდოს... ესეც სევდაა, ადამიანური სევდა.

- მაგას „აზბიციას“ ეძახიან ჩემო ბატონო, რადგან აზბიცია „პიროვნულის“ თვითგანადგურების იარაღია „ადამიანურ“ საწყისამდე რომ დასცემს კაცს...

- კარგი მოსაუბრე ბრძანდებით გიორგი ბატონო.

## ნაწილი 2



- გიორგი განათლებული კაცი ზრძნდებით და იქნებ მითხრათ რა ხდება ჩვენს ქვეყანაში სასიკეთო ან საივემ ხომ არ დარია ხელი ჩვენს საუფლოს?

- რა გითხრათ? - გამელიძე მე - ზრძნკაცთა სიძვირით ქვეყანაში სულიერი „შიმშილი“ მეფობს.

- ჰოო, რატომ ფიქრობთ ასე? განა ჭკვიანი ხალხი დაილია „დუნიაზე“?

- არა ბატონო, ღვთის მადლით კიდევ არიან ჭკუა-საკითხავი ხალხი, მაგრამ რეგვენთა საზოგადოებაში ზრძნ-კაციც რეგვენია.

- საინტერესოა, ფრიად საინტერესო. შეიძლება კიდევ გკითხოთ?

- ბრძანეთ ბატონო...

- „სინანულის სევდა“ თუ არსებობს კიდევ ამ ქვეყანაზე?

- იქნებ დამიზუსტოთ შიკვითხვა.

მან გამომცდელი თვალეზით შემომხედა, ერთ ხანობას შორეთს გახედა დანანებით და ბრძანა:

- ცხოვრება „მახეებით“ არის სავსე, ნუ იქნებით სულწასულეები, რომ სხვის მიერ დაგებულ მახეში არ ვაებათ. იყავით გონიერები და თუ საქმეს დასჭირდა „მახეების“ დაძგებზე ინადირეთ, რადგან კაკანათში გაბშული არწივი ჯერ არავის უნახავს დღემდე...

- უცნაურად ჩამთაყალიბეთ თქვენი შიკვითხვის არსი...

- არა, უცნაური არაფერია ჩემს ნაიქვამში.

- მაშ, რომელი და რისგან გამოწვეული „სინანულის სევდა“ -ზე გასურთ პასუხის მიღება ჩემო ბატონო?

- საშინელია ის ადამიანი ვისაც საკუთარი სიგრჯისა სჯერა ან სურს სხვა დააჯეროს, რადგან „თუ წაიბილწა ერთი ასოთა შენთაგანი“ მთელ „გვამს“ წაიბილწავს. ნუთუ ერთაჯერადი, თუნდაც რაიმეთი გამორჩეული გამარჯვება იმდენად



ღირებულება, რომ მზად ხართ მოელი საზოგადოება წაძილეთ და სიცრუეში ამოხადოთ სული? თუ დაგნანებიათ შინაგანი „სიცარიელით“ ზნედაცემული თქვენი მოყვასი? „ლექსჩატელილი“ და „ქუდმოსდილი“ თქვენი შვილები სხვის დაფა-ზურნაზე რომ კუნტრუძებენ და თქვენ მდუმარედ რად ეთაზნებებით? თქვენ ერის სიყვარული აქცენსივე „შეზღუდეთ“ და ამით თავსაც იმცირებთ...

- უვაცრავად ჩემო ბატონო, თქვენ საკმაოდ განყენებული საუბარი წამოიყეთ, თქვენს აზრს თუ დავეყრდნობი გამოდის, რომ „სინანულის სევდა“ ჩვენი ნამოქმედარის შედეგის გამო გამოწვეული სინანულია... სწორედ გავიგე?

- დიახ...
- კი, მაგრამ...
- „უძვლო ენის თავხედობით თავს ადგება თავსატეხი“, „სევდა“ უცნაური მცნებაა და „სინანული“ კი მისი თანმხვედრი განცდა, რადგან თუ ჩადენილი შეცდომის მიმართ სინანული არ გაგიჩნდა შედეგიც არ მოგვერის სევდას. იგი ლომებს საოცარი თვისება აქვთ, ორთა ბრძოლაში დამარცხებული ლომი გამარჯვებულის „ყმა“ არ გახდება...

- უცნაურად მერვენება ეს ყველაფერი...
- რა გეჩენებათ უცნაურად გიორგი?
- ის, რომ ლომებთან დაკავშირებული თემა ამ ყველაფერს ვერ დაუკავშირე.

- გამიკვირდა. „ლომზე“ მონადირე „ლომი“ „ტურებს“ უშხადებს საუფლოს ...

- ამით რისი თქმა გსურთ?
- ნუ ჩადირობთ ერთმანეთზე, ნუ უთვლით ნაბიჯებს ერთმანეთს, ნუ ებრძვით საკუთარი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად „ბრიყვებს“, რადგან უვიცნი თქვენც ბრიყვად ჩაგთვლიან. ბრიყვებიც ჩხუბი კი ვის აინტერესებს? უარეს შემთხვევაში კი ბრიყვს ავტორიტეტს აუმაღლებთ ...



- და მერე?
- თუ არარაობამ აღიარება მოიპოვა ჯოჯოხეთი სანატრიუმის რებელი გექნებათ ...
- მომისმინეთ, რაღაც აგრესიულ გარემოში „გადავბარგდით“, არ მომწონს ეს ყველაფერი.
- რა არ მოგწონთ? სიმართლე?
- სიმართლე ჩემთვის ყოველთვის მისაღებია ...
- „მზეს მისტირიან შავი ღრუბლები, ზეცას ფარავენ კუმტი ფერებით, მოყვასს სინათლეს თუ ეღობები, ვის რაში უნდა შერი ცრემლები“
- კარგი ლექსია. ვინაა ავტორი?
- უზრალოდ მახსოვდა ეს ერთი კუპლეტი.
- იცით, ჩვენ... ასე მგონია სხვა და სხვა „ენზე“ ვსაუბრობთ...
- ჰო, ჩემო გიორგი, ყოველი ხე საკუთარ ჩრდილს დაჰხარის...

### ნაწილი 3

ბევრჯერ მქონია პაექრობა მოაზროვნე ადამიანებთან, დამარცხებაც მიწვნევია და აზრთა ჭიდილში გამარჯვების გემოც გამისინჯავს, მაგრამ ჩემი უცნობის შზგავს ადამიანს პირველად შევხვდი. არა იმიტომ, რომ მისი მოსაზრებები მთრგუნავდა, არამედ მისი ქცევა, გამოხედვა, რაღაცნაირად თბილი და მშვიდი ხმა, ანდამატივით გიზიდავდა კაცს. მისი სევდიანი და მეტყველი თვალები იმხელა სიმართლეს ასხივებდა, რომ რატომღაც არ მსურდა მასზე „გამარჯვება“, უცნაურია არა?

- გიორგი, შენი, როგორც მამის აზრი მსურს რომ გავიგო



- გოსმენსა ბატონო.
- შენი შვილები თუ კითხულობენ მხატვრულ ლიტერატურას? ან თავად შენ თუ უამბობ რომელიმე წიგნის შესახებ შენს შვილებს?
- როცა დრო მაქვს... წიგნებს კითხულობენ...
- ჰოო, საინტერესოა, თქვენ ბრძანეთ „როცა დრო მაქვსო“...
- დიახ ვთქვი.
- ჰოდა „დრო“ როდის გაქვთ? ან საერთოდ თუ გაქვთ „დრო“ თქვენი შვილებისთვის?
- ბუნებრივია მე ყოველთვის ვცდილობ მათთან სიახლოვეს და...
- იცით, ვაჟები თუ ქალების ხელში გაზრდებიან ვერ იკაცებენ, მამის მკაცრი ხელი და მამის სითბო აღვინებს ვაჟებს. მამაა მათთვის სიმართლის და კაცობის პირველწყარო.
- გოგონების შექმნაში როგორ არის საქმე ნეტავ?
- გოგონაც ასევეა, მამის ვაჟკაცობაა მომავალი ქალბატონისთვის კაცის ეტალონი...
- გეთანხმებით. მაგრამ დროის დეფიციტი მაკნინებელი სახადივითაა და მუდმივად სტრესულ მდგომარეობაში გპყვართ გამომწყვდეული...
- „მიჯაჭვული რაინდები“ თუ წაგიკითხავთ?
- ეგვე ჩოხელის არ არის?
- ჰო ჩემო ბატონო ჩოხლის ნამუშევარია.
- ადრე მაქვს წაკითხული, სიმართლე გითხრათ აღარ მახსოვს მისი შინაარსი.
- იცით, საერთოდ წიგნიერება მარტო წიგნების კითხვით არ განისაზღვრება, ის უფრო სხვა ფენომენია, როგორ აგიხსნათ არც კი ვიცი...
- ისე როგორც ფიქრობთ „უცნობო“ ბატონო.

- წიგნიერება საკუთარი ცოდნის საზოგადოებისთვის ახალგაზრდობისთვის გადაცემას გულისხმობს, არ ვამართლებ იმ ადამიანების ვინ მხოლოდ გასამრჯელოს ფასად გაიცემენ საკუთარ გონებაში თავმოყრილ „საუნჯეს“. სამარეს არ უნდა დაუთხოვთ ცოდნა, რომლის „შექენასაც“ ამდენი ძალა და შრომა შეაღიეთა...

- იცით, „ახალგაზრდობასო“ ბრძანეთ, ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდები საკუთარი უცოდინრობის დაცვას „პიროვნული“ უფლებების დაცვით ცდილობენ, ამ შემთხვევაში როგორ მოვიქცეთ?

- ათიდან ერთი ხომ მოგისმენთ? იმ „ერთს“ დაუტოვეთ თქვენი გონების ნათელი, იქნებ უფრო მეტმა ახალგაზრდამ მოინდომოს თქვენგან სწავლა? დაფიქრებულხართ ამაზე?

- ნეტავი მართლა ისურვონ... ვცდილობთ ჩემო ბატონო, ძალიან ვცდილობთ, მაგრამ სხვა ფასეულობები უფრო ღირებულად ჩათვალეს და ის რაც ფასდაუდებელია უმეტეს შემთხვევაში მეორე პლანზე გადავიდა.

- მესმის, ძალიან კარგად მესმის თქვენი ...ერთ კაცს ვიცნობდი, სანამ ფუნზე იდგა პატივისცემას „უზოგავდნენ“ და დღეს როცა აღარ არის ამ ქვეყნად დიდ ქართველად აღიარეს... „ბინდისფერიხეობიდანცამდე“ თუ წაგიკითხავთ? ან ფილმი „ცოდვის შვილები“ თუ გინახავთ ჩემო ბატონო?

- კი, რა საკვირველია ...

- იცით, ჩემი წასვლის დროა... სამწუხაროდ... უბრალოდ გეტყვით, იმ ფასეულობებს, რომელსაც „ღირებულების“ ეტიკეტი მიაკუთვნეთ უმეტეს წილად სრული ძვენებლობა საკუთარი ქვეყნისა და ერის წინაშე, შესაბამისად მათ ისტორიულ სანაგვეზეც არ „მიიღებენ“ განსაკუთრებული „ტოქსიურობის“ გამო... კარგად ბრძანდებოდეთ...

ის ადგა, წელში გაიმართა, ერთი შემომხედა და თითქოს ვიცანი, კი ნამდვილად ვიცანი... და სადღაც წავიდა... გარშემო მიმოვიხედე და განვცვიფრდი, ტაძრის ეზო საესე იყო ხალხით...

გიორგი აღნიამვილი



## ნანა აბულაძე

### საქართველოვ!

არაფინ დაგზოგა – მტერმა თუ მოყვარემ –  
და მაინც ყოველთვის ხარ კეთილმოყვარე.  
წაქცეულს ათასჯერ გულს დაგცეს მახვილი,  
ათასჯერ ადექი ზრძოლებით დაღლილი.  
მუხლს ძალა გერჩოდა, იმედით ცოცხლობდი,  
ხან ცრემლით მღეროდი, ხან გულით გლოვობდი.  
გტკიოდა აჭარა მოჭრილი ხელივით,  
მტკვარი თუ ჭოროხი გელგრება ცრემლივით.  
შამქორი გტკიოდა, გეწვოდა ასპინძაც,  
ვინც თვისი ლაჩრული სულით რომ წაგწყმიდა.  
და ქვეყნის ორგული რომ არა გყოლოდა,  
ოშკი და იშხანი ვით დაგეთმოზოდა!..





თუმც სიძწირის ფიალას ვერაფრით ვერ ასცდი,  
 შენი გამძლეობით შემწვიდე ცას ასწვდი.  
 ელვარებს მარაბდა, ზრწყინვალეებს დიდგორი, –  
 და ვსვამ სადღეგრძელოს ამ მთის და იმ გორის,  
 იმ მიწის, რომელსაც მომხდური გვპარავდა  
 და თავი შესწირეს ცოტნემ და პაატამ;  
 იმ ზეცის, დიდების ძაღლით რომ ზრწყინავდა,  
 იცავდა ილია, ავაკი იცავდა.  
 დღეს მიწა ქართული იით მოქარგულა,  
 გარდასულ ამბების ჩურჩულით გართულა.  
 და გულისძახილით გავძახი ტყე-მინდორს, –  
 მამულის ორგული არავინ დაინდოს!  
 ვდგავარ და გავცქერი ვართს და არგინეთს,  
 ხან მზე რომ ანათებს, ხან ღრუბელს დაიფენს.  
 და ამ მთებს, ამ მიწას, ზეცას და ცის მნათობს –  
 ვერც როს შეველევი, არ დავთმობ არასდროს.

\*\*\*

წვიმის წვეთები ეცემა ფოთლებს,  
 დაღლილი ფიქრით სავსეა სული.  
 წვიმა ასრულებს სევდიან სონეტს,  
 ცა შემკრთალია, ვით მარტოსული.  
 სველი ფოთლები თრთიან სარკმელთან,  
 გული სასწაულს შოელის მაინც,  
 ჩუმი ოცნებით დაღლილა ზეცა,  
 სევდისფერია ლამაზი წამიც.  
 შინდა იწვიმოს, იწვიმოს ისევ,  
 ჩემი ოცნებაც წვიმისფერია,  
 მწუხარე ზეცას გავუმხელ ფიქრებს,  
 რადგან ეს სულიც მისებრ სველია.

\*\*\*

მზე თითქოს გულში იხუტებს ნაძვნარს,  
 მიწის სურნელი ზეცამდე წვდება.  
 ალუჩას ფერად ფოთლებზე ცრემლი,  
 დიდხანს კამკამებს და უცებ წყდება.  
 რმისფერი ორთქლი ახურავს ნაძვნარს,  
 დიდინით დადის ყანაში მამა.  
 ხეებს მწვანე თმას უვარცხნის ვიღაც,  
 მზე სხივით ქარგავს უხვ ფერთა გამას.  
 ბუტბუტებს წყალი თამარის ხიდქვეშ,  
 ლურჯი ოცნებით სავსეა გული.  
 ამაღლებულა კართი ცამდე,  
 გოროზად მდგომი და მუდამ ჩუმი.

\*\*\*

ქარი ხელს მხვევდა,  
 ვისუნთქავდი მის ამო ალერსს,  
 ნაზი ფერებიო  
 მიტოვებდა თმის ხვეულს შუბლთან.  
 კრძალვისო ველოდი,  
 თუ გამიმხელს, თუ შეტყვის რამეს  
 და გულს ყოველი, ჩუმი ფიქრის  
 გამხელა სურდა.  
 უკანასკნელად ჩამიქროლა  
 მთაწმინდის ქარმა  
 და ნატვრის ხესთან  
 შემატოვა ამბორი წმინდა,  
 მომელამუნა გრილი სუნთქვა  
 ნაზი ჩურჩულით  
 და დამიშალა:  
 ნუო, არ გინდა!

...  
მაინც ვინა ვარ? რისკენ ვისწრაფვი?  
მოკვდავი ვარ თუ ნეტა უკვდავი?  
ვიცი, მე წავალ, ისევ სხვა მოვა,  
გაითილება გზები უვალი,  
ბუნება ჰყვავის, ზეცა ლურჯია,  
მე კი რაც მსურდა,  
ის მაინც ვერ ვთქვი.  
ვერ ვთქვი სრულიად  
ის, რაც გულშია,  
იარასავით ასე რომ მეწვის.  
თუ ბევრი მითქვამს, მით უფრო ბევრი  
მომმატებია გულში სათქმელი,  
თუ ბევრი ნატვრა ამსრულებია,  
აუხდენელი დამრჩა რამდენი...  
ცხოვრება ქვეყნად მხოლოდ ტანჯვას,  
ვიცი, მე წავალ და მოვლენ სხვები...  
ყველას რაღაცა რჩება საოქმელი,  
სათქმელი, სავსე გრძნობით და სევდით.

...  
თიბათვე იყო,  
და მზის ნათელს ვეჭუქნიდა ზეცა,  
ჩემი ყიფრები დაეფარა სითბოს და სევდას;  
იყო ღიმილი,  
ვედრება და სინაზე ფერთა  
და იმ ოცნებას  
ჩვენი ლურჯი ზღაპარი ერქვა.



**ნანი აბაშიძე**

**აწარბ**

აჭარაო, ჩემი გული ფეთქავს შენით  
და ამჟვეყნად ვარ ყველაზე ზედნიერი.  
ვწერო მაინც, რის გამოთქმაც მიჭირს ენით,  
მინდა გიბღვნა ლექსი შენებრ მშვენიერი:  
სულ მაფიქრებ, რით ხარ ასე საოცარი?!  
სისხლძარღვებში შენი სუნთქვა რომ მშთენია,  
ღვთაებრივი ხარ მრავალგზის სალოცავი,  
ვხარობ, თავზე შენი ზეცა დამფენია.  
დამილოცე ჩემი ხულო, შუახევი, ქედა  
და ბათუმში, თითოეულ ჩვენსაგანის ფეთქვა.



მომიტევე, ვკადნიერობ, იქნებ ზევრსაც ვბედავ.  
 ააყვავე, გაახარე გარს რასაც კი ვხედავ.  
 მთის მწვერვალი ცად აწვდილი ტიტანური,  
 სად თამარნა დაიფერთხა კაბის ვალთა,  
 დიდგორთში შორით ხედვა ხიხანური,  
 ფეთქავს გული საქართველოს - თვით „კალოთ“,  
 გაიარა ყამმა მძიმე წყუთისოფლის,  
 ვერ იმონა დამპყრობელმა ვერა ძალით,  
 სად ხალხი და ბუნებაა ჩემი კუთხის,  
 არ არსებობს მხარე სავსე ასე კრძალვით.  
 გვედრებ ღმერთო! უფრო მეტად შეიყვარე  
 ის სოფელი, სად ბავშვობა გავატარე,  
 ჩემი ხალხი, დაღლილი და მომღიმარი  
 გეაჯები: დამილოცე, გაახარე!  
 მიმოფინე მთელ სამყაროს ლოცვა ჩემი,  
 როგორც მშობლის მოძახილი გააგონე,  
 სულ ახსოვდეთ სიცილი და ოხვრაც ჩვენი,  
 უფრო მეტი სათნოება ჩააგონე!  
 ენ ლურჯი ცა თავზე კვლავაც დამაფინე,  
 ვიცი, წვიმას სიყვარულად დამათოვებ,  
 გრძნობა ფიფქად, ჰაეროვნად დამაფრქვიე,  
 ჩამიხუტე, მჯერა, რომ არ მიმატოვებ.





რას არ გამოძერწავს,  
 რას არ მოქარგავს და  
 რას არ დაამშვენებს ნეტა?!  
 რას არ აამენებს,  
 ღაჭეს გაათენებს,  
 ამ ნაწი ხელუბით დედა.  
 კოჭრებს გააქრობს და  
 წლებსაც ჩააჩუმებს,  
 რა სასწაულს არ ქმნის ნეტა...  
 დიდი საქმეებით,  
 პატარა ხელუბით,  
 სულ დამალული აქვს სევდა.  
 მუდამ რომ დაგვეცემა,  
 გვეფარავს, გვეფერება,  
 დედის თვალებია ყველგან,  
 გულის სითბოთი და  
 გულით მოფერებით,  
 დედის ხელებია ჩვენთან.

## გაუძელ გულო

იქუხე გულო, იქუხე, იელვე თუნდაც,  
 სამყაროს ვერრა გააჩერებს, სანამ შენ ჰქუხხარ,  
 იდეღვე გულო, იმქუხარე, იდეღვე თუნდაც,  
 ამ ძარღვებში სისხლს რა გაჰყინავს, სანამ შენ დუღხარ.  
 იმდერე გულო, დამაგლიჯე მთლად სისხლძარღვები,  
 გაუნაწყენდები, მოითმინე, იყუჩე გულო,  
 უნდა გაუძლო, აიტანო, ძრთოილვის ჰანგები,



უნდა გაუძლო, არაინ თქვას: - არის უგულო,  
 იქუხე გულო, იმღელვარე, იტირე თუნდაც,  
 ამოაფრქვიე შადრევანად ცრემლების გროვა,  
 სიცილის ცრემლი მოშამალე, მატირე თუნდაც,  
 გულო, იგულე, რომ გაუძლო, თუ შეგხვდა გლოვა.  
 გულო გულისად, გულო საგულეს, გულო და გულო,  
 გულო იფეთქე, არ გაჭერდე, არ გადამბუგო,  
 არც კი დაფიქრდე, არ შეისვენო გულო-დაგულო,  
 ხანაც იფუჩე, ხან იმღელვარე, იქუხე გულო.

### ჩუმი ტკივილი

ახლა შევაძქნიე, თმაში შეგპარვია ჭაღარა,  
 ჩემს თავს დავაკვირდი, - თურმე მეც აღარ ვარ პატარა,  
 ხელებიც დამქკნარა, სულ გადალეულა თითები,  
 დედი, როგორც აღრე, ახლაც ბავშვივით მჭირდები.  
 ვინ იცის, ჩვენგან რაშდენი ცრემლები შალე,  
 ვინ იცის დედა, ჩვენ რა გველოდება ხვალე,  
 დრო მოიტანს და ისევ წაიღებს როცა,  
 ყოველთვის გვეფარავდა შენი გულწრფელი ლოცვა.  
 ახლა შენს წინაშე ჩუმად მუხლებზე ვდგები,  
 ფეხებზე გემოხვევი და ასე გარინდებით ვრჩები,  
 გულში გეკვრები დე, შენს ჩემ ტკივილებსაც ვხვდები,  
 დედი, არასოდეს რომ არ დაიჩვილებ, დედი...  
 ჩუთუ დამიბერდი? არა! - აღიბათ ვცდები,  
 შენ ხომ მებრძოლი ხარ, წლებზე გაიმარჯვებ, დედი.  
 დედი, შვილიშვილთა ლოცვას დაატარებ მზრებით,  
 სულ შენთან გვიგულე და ვერას დაგაკლებს წლები.

სამასი წლის ჭირვარამით ნაგვემებო,  
 მუდამ ფეხზე მყარად მდგარო სანაქებო,  
 სისხლის ზღვაში განზანდილო აჭარლებო,  
 აჭარული სიამაყით ნატანჯებო...  
 ვენაცვალე, უფალო, შენს საწყაულებს,  
 თითქოს ქერქში ვერ ვეტევი, კანში ვძვრები,  
 რა ჩამოთვლის შენგან შექმნილ სასწაულებს,  
 ხარზად ვსუნთქავ, ვიხედები... და ვერ ვძღვები!  
 გათხოვ, აკმარე ის ტკივილი ჩემს აჭარას,  
 ის ცრემლები სისხლის გუბედ რომ ანთხია...  
 არასოდეს არ ჩაგვიქრო იმედი და  
 ის სანთლები, კელაპტრებად რომ ანთია...  
 თვალში ცრემლი უნებურად მიბრწყინდება,  
 ეს სამყარო ასე როგორ შევიყვარე?!  
 ღმერთო, მარტო აჭარლობა კი არადა  
 მთელი ჩემი საქართველო დაიფარე!

## სათხოვარი მამასთან

მა, შენთან დიდი სათხოვარით მოვდივარ, მამი,  
 თუმცა სათქმელად დამჭირდება სულ ერთი წამი,  
 მაგრამ თხოვნაა დიდივა და მიმიშვე კი, მამი,  
 მამი, გამიგებ და უცილოდ მისრულებ, მამი.  
 შენს გვერდით არის ფარფაცა და ერთგული ქალი,  
 გათხოვ, არ დაუშვა ცხოვრებაზე გაუტყდეს თვალი,  
 მამიკო, მყარად შეაშველე ორთავე მხარი,  
 რომ არ დაეცეს, არ ეტკინოს, არ შევრთეს, მამი.

ნაზი აბაშიძე





## ლიანა ბედინაძე

### ხიბლი გღვისა ბათუმში

მოგზიბლავს და თვალს მოგტაცებს  
ალმაცერად დაფრქვეული ტალღა,  
წყლის სარკვეზე ტრფიალებით გაკრული,  
მოსრილალე თოლიები ჯარად.

ზვირთუნებზე მედღუზების რონინი,  
სველი ქვიშის ნაირგვარი ფარჩა,  
თეთრი გემი ჰორიზონტის სტუმარი,  
შორს სივრცეში მოყარფატე აფრა.  
გაგათბობს და მიგიზიდავს უთუოდ,  
ღურღულა მზის სხივციაგი ანცად,  
სიყვარული სხვაგვარი აქვს, სხვა ხიბლი,  
ლაყვარდისფრად მიმოხატულ ამ ცას!



ღამის ბინდ -ბუნდს დაუშვია ფარდა,  
 მთვარეს შუქი დაუღვრია უხვად,  
 ვერცხლის სიმაღ დაფრქვეული სხივი,  
 ჩემკენ უჩიობს მობაასე მუზას.  
 იდუმალი ხმა ჩამესძის, უცებ,  
 გზა გაეხსნა ყველა სათქმელს თითქოს,  
 ფაცი-ფუციით ფანქარს წავეტანე,  
 ფურცელს დავწვდი, გული ბაგი-ბუგობს.  
 თითქოს ვწვდები სიტყვას გულით სათქმელს,  
 ამოერთო სულის საღი აზრი,  
 ამოიფრქვა გულს ნადები ფიქრი,  
 ამ სიფხიზლეს აღარაფრად არ ვთვლი.  
 კალმის წვერი გადაება სტრიქონს,  
 თითქმის სათქმელს მოვუყარე თავი,  
 ვარსკვლავების შესამოვბად იშვა  
 სიტყვა იქცა სამკაულად ღამის!  
 დამათენდა. აიკრიფა ბინდი,  
 ცას ნათელი გადაეკრა ლურჯი,  
 აღარც მთვარე , არც ვარსკვლავთა თოვთა,  
 ხელში შემრჩა საჩუქარი მუზის .

**ვიოლინო**

სულში ჩაგწვდებო და მერე როგორ!  
 სიმთა წვრიალი, ბგერათა წყობა,  
 ხემის თრთოლვა და ამოკვნესება,  
 ხმოვანი სევდა, ოცნებით ქროლვა.  
 ხან, მოციმიმე სახთლად უნაყება,  
 ხანაც, სათუთად გვეალღერსება .

ხან- მრისხანეა, ხან-ზოზოქარი  
მწველი, ხან-ჩნდება, ხან- იძალდება,  
ხან -სულს არყვეს და ჩგრევას გვიქადის,  
ხანაც წყაროს ჰგავს ვესმით -წანწკარი?  
ბგერათა გამა, ხმათა სიუხვე  
ტალღის ტყლამუნს ჰგავს, მოდის ნარნარით.  
მოდით! მიენდეთ ტკბილხმოვანებას,  
ყური დაუგდეთ, ყველა გაყუჩდით,  
მას, შიანიჭეს მეფის ტიტული,  
ყველა საკრავნო, მასთან გაჩუმდით!

### წვიმა

მოდის ისხარად, თქეშად და დელგმად,  
მოდის ღვარცოფად, მოჰყვება ელვას.  
ხან- თქორად მოვა, ხანაც - ჟუჟუნად,  
მიმოასველებს მიდამოს ხელად.  
გადაშლის მაცნე კვალს და ნაბიჯებს,  
მიწაში ხორბალს წამოადვივებს,  
ხეებზე გაშლის ბუთქუნა კვირტებს,  
მინდორს და ბუჩქებს აყვავილებს,  
გამოაცოცხლებს ბუნებას უმაღ  
ცის საჩუქარი, უბრალოდ წვიმა!





გაიზრდება მტევანთ ასხმა  
 რქა ვაზისა - „ჯაგანი“,  
 ყვავილობში ჩასახული  
 „თვალში შევა „-მტევანი.  
 ხან- „მჭხერი“ მოგვანათებს,  
 ხან- „კუმსი“ ხან- „ქაჩალა“,  
 აესხმება აკიდოდ, ჩხად,  
 გლეხის თვალუმჩახარა.  
 კიშპალ-კიშპალ დავეკრეფ მტევანს,  
 ლერწს გადავწევე მადლიანს,  
 ვაზს სარს მხარში შევაშველებ  
 დატვირთულს, ბარაქიანს.  
 ისევე ნერგით, ან ნამყენით,  
 გადაწვენით ვახარებ,  
 „რქაწითელსა“ „ბუდეშურსა“,  
 „ელიას“, „თითას“ და „მწვანეს“.  
 „საფერავს“ და „ხარისთვალას“,  
 „შავკაპიტოს“, „სააკვერსა“,  
 არც „წობანურს“ დავივიწყებ,  
 „მცვივანს“, „ციცქას“- ნაქებსა.  
 შემოვივლი ქართლს და კახეთს,  
 აჭარას თუ სვანეთსა,  
 გურიას და სამეგრელოს,  
 თუშეთს, ხევს, თუ მესხეთსა.  
 შეეაგროვებ ხალხურ სიბრძნეს,  
 გავხსნი სიტყვის საგანძურს,  
 ამოვკრებ და ამოვქექავ  
 სიტყვაკაზმულ ძველ ქართულს.  
 ვახშიანებ „ოდოიას“  
 გავიხსენებ „ურმულსა“

„უამიეროს“ ვაგუგუნებ,  
შემოვძახებ „მაცრულსა“.  
ქალს ნარნარას მივუცეკვებ  
კდეძამოსილ ქართულით  
ჩავუქროლებ „განდაგანით“  
ლერწამტანას მხარულით.  
ზოლოს შევსვამ სადღეგრძელოს,  
მოთმინებით ქართლელთა,  
იმერელის ხუმრობით და  
სიდინჯით რაჭველთა.  
მთებს დავლაშქრავ -  
ოეთრნულდს, შხარას,  
იალბუჯს და ყაზბეგსა,  
მოლაღატეს, ქვეყნის ორგულს,  
ვაწყველინებ თავ-ბედსა,  
რა წამაქცევს! ? ქართულ ჰიმნს თუ  
ვიგალობებ გრიალით,  
მსოფლიოს თუ შემოეუვლი,  
ქართულ დროშის ფრიალით!

## ლია-ლიანა!

მთის ან გორაკის მცირე ნაპრაღში,  
მრგვალი მარცვალი ბინას დავიდებ.  
ტანზე ფოთლების საბნით გავთბებო,  
მზე დამაცხუნებს და დამამინებს.  
გაზაფხულამდე ასე, ამგვარად,  
ხან -დამათოვს და ხან -დამაწვიმებს .  
ჰოდა, როდესაც გაზაფხულდება,

მიწაში ფესვებს ღრმად რომ გავიღებ,  
 უნაზეს ღეროდ გადავიქცევი...  
 გავხასხასდები ფოთლებიანა,  
 ტოტებგაშლილ ხეს შემოვებვევი,  
 არა ზალახი, - ბუჩქი? - ხე? - არა,  
 ნაზი მცენარე ტოტებხვიარა,  
 უბრალოდ ღერო ღია - ღიანა!

## ბათუმი თოვლში

აქ, მოციმციმე ლამპიონებიც  
 ჰყვებიან ზღაპარს  
 და ფიფქუნები პალმის ტოტებს  
 ავლებენ ქარგას.  
 აქ, სიჩუმეშიც მდუმარება  
 იღვრება ჰანგად,  
 და თოლიები  
 მძივებივით ასხშიან აფრას.  
 ხან, დიდთოვლობას, ედებიან  
 თითქმის მთელ ქალაქს.  
 ცის ვაზადონზე მოსრიალეს  
 ივალს მოჰკრავთ ფრთამალთა,  
 ამ სილაძახზეს ვფიქრობ ქვეყნად  
 ბადალი არ ჰყავს!  
 ეს, ბათუმია, სხვა ქალაქებს  
 არაფრით არ ჰყავს!



დაგელოდები, ვიდრე გაკრთება  
 ცისკრის ვარსკვლავთა ბრწყინვა და კრთომა,  
 დაგელოდები, ვიდრე ზამთარში  
 შეწყდება წვიმა, ქარი და თოვა.  
 დაგელოდები, ვიდრე ქარაფზე  
 არ მოიშლან ჯიხვები ხტომას.  
 დაგელოდები, ვიდრე გაზაფხულს  
 შემოაკლდება ყვავილთა კრთომა,  
 ვიდრე მზის სხივი ისხიფფინარებს,  
 და ცის ტატნობზე მთვარე ამოვა.  
 დაგელოდები ვიდრე კლდე -ქარაფს  
 შემოელევა ჩანჩქერთა დენა,  
 ვიდრე წლის დროში ზაფხული მეფობს,  
 შემოდგომაზე -ფოთოლთაცვენა.  
 დაგელოდები, ვიდრე ზვირთები  
 აიქოჩრება ფერად კენჭებზე.  
 დაგელოდები, ვიდრე ზღვის ტალღა  
 შემოგეხვევა ქაფად კოჭებზე.  
 დაგელოდები ვიდრე მზის სხივი  
 გამოაბრწყინებს ნაწვიმარს, ხელად,  
 დაგელოდები, არად ჩავაგდებ  
 დროის დინებას, დღეების ფრენას.  
 დაგელოდები, ვიდრე თოლიას  
 თავს მოაბეზრებს ტყლაშუნი ტალღის,  
 მე ეს ლოდინი, უსასრულობა, ვერასდროს დამდღის.  
 დაგელოდები...  
 კვლავ უსასრულოდ, დაგელოდები!  
 და გელოდები ...

თვალმიუწვდომი საოცრება მაოგნებს შენი  
 შტოებგაბარდნილ ათასწლოვან ხეთა ჩრდილები,  
 მოგონებებში ასახულა ჩემი ბავშვობის  
 ფერადოვანი ზმანებანი ფრთაშესხმულები!  
 თითქოს, სამყაროს ჯადოქრობის იდუმალ ფერებს,  
 ერთად აგროვებს მოგონება ფერად ტილოზე  
 და ძველისძველი მოგონების საგანძურიდან  
 ამოკრეფილი ძველმანები ყრია ჭილოფზე.  
 თითქოს, ცხოვრებამ ამოქექა მოძველის დილა,  
 შორეულ აწმყოს მივენდობი ახალ იმედად,  
 სვებედნიერი მოგონებებს დავესესხები  
 და მოძველიდან ბედნიერი გადმოვიხედავ!

ა ზ ა რ ა

კუთხე აჭარა ბაღნარია,  
 სხვა კუთხეს არ ჰგავს.  
 ეს, შავი ზღვაა და ის, შავი სულაც არაა.  
 მისი ტალღები მიაქანებს  
 შორეთში აფრას,  
 ხან - მშფოთვარეა,  
 ხან - კამკამა გჩუქნის დიდ ტალღას.  
 სანაპიროზე თვალს შეავლებთ  
 ფრიჩველებს ფრთამალთ,  
 თოლიების გუნდს ყვითელნისკარტებს,  
 აფრენილს ჯარად,  
 აქ, სიყვარულის „განდაგანა“ იღვრება ჰანგად,  
 წყვილთა გულები სიჩუმეშიც ჰყვებიან ზღაპარს.



ეს, აჭარა...

გულის ფეთქვას

ასეთს და ამგვარს,

ვერსად ვერ ნახავთ, ვერ შეიგრძნობთ

მისებრ სხვა განცდას !



## ჩამოთოვა

ჩამოთოვა. ნაზი თმები გადაიქცა

ვერცხლის წვიმად

და ბარათი ცხოვრებისა ცაში მოიქვს

მერცხლის ნისკარტს.

მზის ღურღულს და მცბუნვარებას

უცებ მოიქვს დიღგმა, წვიმა.

-ფრთხილად იყავ, მაკრატელავ!

მოერიდე დიდ ქარიშხალს!

საოცნებო დღენი, თქვენი აგონდება

თვალეზს მიმქრალს

ოდეს ხშირი წაშწამები

ცრემლის წვეთებს დაუწინწკლავს.

წლები მიჰქრის, ბედის ბორბალს

აუშლია ძეწკვის ღვედი

დაქანცული, ზუნდოვანი

ზის, ივინის კაცის ბედი!



დღე - დღეს მისდევს, ღამე - ღამეს, დღისით შხეა, ღამით მთვარე,  
 ეს, წვრილ - წვრილი ვარსკელები ვერ იქნა და ვერ დავეთვალე.  
 ვთვალე მხოლოდ წუთ - წამები, საათები, კვირის დღენი  
 თვენი, წლები ერთმანეთზე მწყობრად მიჯრილ - მინაბჯენი.  
 ვცადე, გუშინ და გუშინწინ, დღესაც, ხელი არ დავაკლე,  
 პატიოსან შრომას მხოლოდ ფასი მგონი მე დავადე.  
 კაპიკ-კაპიკ, მისხალ- მისხალ ვაკონიწე და ვაშენე,  
 ხან-ვენახი ხან ყანები ნაირფერად დავაშენე.  
 სახლებს ჭერი გადავხურე, ეზო-კარი შევაკეთე,  
 ქვევრის ყელი სველი თიხით მოვაგე და შევაწებე,  
 ყანაში და ბაღ-ბოსტანში, შრომის ოფლი მოვაწვეთე,  
 ხან დავეთესე, ხანაც დავრგე, კორდზე ბაღი გავაშენე,  
 შემოვძახე „ოროველა“ და „გუთნური“ შევაშველე,  
 ჩემი მიწის ავად მდომი წავწყშიდე და შევაჩვენე.  
 „კრიმანჭული“ ვაგუგუნე, „ჟამიერო“ ავამღერე,  
 „ხორუმი“ და „განდაგანა“ ჩავიცკვე, ჩავამღერე,  
 ხეე ხუვებში, მთებში, ღრეში დოღ- ფანდური ავაჟღერე  
 და მიუვალ მთის კორტოხზე ღვთის ტაძარი ავაშენე.  
 ხან ხმლითა და ფილთა თოფით  
 მტერს კუდით ქვა ვასროლინე,  
 შინ და გარეთ ორგულები ერთგულეა ვაკონიწე,  
 ხან, ბრძოლებით გზას ვიკვლევდი,  
 ხან, ეკალი ეკაფე, ვზიდე...  
 ნაბრძოლსა და ნაომარზე სულ ვარდები გადავფინე,  
 ყვავ-ყორანი კიდევ ჩხავის ამ მიწა-წყლის გადამკიდე,  
 მაკანს ნურწყვი მოსახლეა მშვენიერი ქვეყნის მზილველს.  
 ცუდი ძველი ამოვძირკვეთ, კიდევ დარჩა რაღაც მგონი,  
 ახალს ვცდილობთ, თუ გვატალეს,  
 დავამტკიცებთ საქმის ცოდნით.  
 საღი აზრი გადაგვარჩენს მიღწეული ქვეყნის ტრფობით  
 -ფეხზე დადექ საქართველოვ [ღირსეულთა წყება მოდის!

ლიანა ბედინაძე




ნანა ბერაძე

### ბუბა

ჩემად მორაკრაკებდა პატარა დედა. მასზე გადებულ ხიდის მოაჯირზე, მკლავებით დაყრდნობილი გოგო-ბიჭების გაბმული კისკისი ახალისებდა ბუნებას. ომი ახალი დამთავრებული იყო. ტრანსპორტი ძალიან ჭირდა და ამიტომ გადაადგილების ძირითად საშუალებად ურემს იყენებდნენ. მაშინ მეთთხე კლასში იყო.

დილის შვიდ საათზე, დედის მოჩუმათებულმა კვნესამ გამოადვიმა. წამოდგა. საძინებელ ოთახში შუქი აანთო. ახალგაზრდა ქალბატონი ტკივილისგან მოკუნტული იჯდა საწოლზე. სახეზე ფერი არ ჰქონდა. ყურადღებიან შვილს, რომელიც მხოლოდ ათი წლის იყო, არ გამოჰარვია წითელი ლაქა თეთრ ზეწარზე, რომელიც სულ უფრო და უფრო დიდდებოდა.



-შვილო, ბუბა, მხოლოდ შენი და უფლის იმედი მაქვს. არ შეგეშინდეს. სასწრაფოდ შეაბი ურემს ცხენი და ქალაქის საავადმყოფოში წამოყვანე. გააღვიძე და-ძმები. გოგლას /ნაზოლარას/ მიხედონ. მიდი, იჩქარე, ჩემო პატარაე!

ბუბამ სასწრაფოდ ჩამოიორბინა სახლის კიბის საფეხურები. საჯინიბოში შუქი არ იყო.

-იმედა, სად ხარ?!

ცხენმა პატარა პატრონის ხმა იცნო, ფრუტუნით მიუახლოვდა და თავი ძვერდზე შეახო.

-იმედა, დედა ცუდად არის. აჩქარება გვმართებს. აბა, შენ იცი, არ მიღალატო.

მალე ურემი მზად იყო. იმედა ამაყად იდგა, ფლოქვებს ათქარუნებდა და ბრძანების გაცემას ელოდებოდა.

ქალბატონი ლიზა მეზობლების დახმარებით ურემზე წამოაწვინეს. ბუბამ მეზობლებს მადლობა გადაუხადა, ბავშვებს მიხედეთო, სთხოვა, პირჯვარი გადაიწერა, აჩუო, - შესძახა თავის იმედას და ქალაქისკენ მიმავალ გზას დაადგა. ყოველ ხუთ წუთში უკან იცქირებოდა, დედას ამოწმებდა.

-ცოტაც, ცოტაც მოითმინე, დედიკო, სადაცაა მივალთ, - ამედებდა ბუბა.

მერე ცხენს გადასძახებდა, შენი ჭირიმე, იმედა, არ მიღალატო, არ მომიკლა დედა, ჩქარა, ჩქარა!

ჩაის ფაბრიკა, საიდანაც საავადმყოფოსკენ მიმავალ გზაზე უნდა გადაეხვია, როგორც იქნა გამოჩნდა. მივიდნენ. ბუბა ურმიდან ჩამოხტა. საავადმყოფოს შესასვლელი კარები შეაღო და განწირული ხმით იყვირა: -ექიმი, ექიმი მჭირდება, მიშველეთ, დედა მიკვდება!

მისმლებში, ქალბატონი, რომელსაც ავადმყოფ პაციენტთა რეგისტრაცია ევალებოდა, ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

-ბატონო შოთა, პაციენტი მოიყვანეს, რომელსაც სისხლდენა აქვს დაწყებული. როგორ მოვიქცეთ?!

-სასწრაფოდ საოპერაციო ბლოკი მოამზადეთ! - გაისმა მამაკაცის ბოხი ხმა.

გაფითრებული ბუბა შედ.დას ეკვროდა და თვალებს აქეთ-იქეთ აცეცებდა, იქნებ ვინმემ რაშე მითხრასო.

-სად წაიყვანეს დედა? -იკითხა ბუბამ.

-ყველაფერი კარგად იქნება, პატონი შოთა შესანიშნავი დასტაქარია. შენი დედიკო აუცილებლად გამოჯანმრთელდება.

-მადლობოთ, დეიდა, - წარმოსთქვა ეს სიტყვები ბუბამ და თვალებიდან დაპაღუპით გადმოსცვივდა ცრემლები.

ქალპატონი ლიზა საკაცით აიყვანეს საოპერაციო ბლოკში. დრო არ ითმენდა. ქალი სისხლისგან იცლებოდა. სიკვდილსიცოცხლეს ებრძოდა ხუთი შვილის დედა, რომელსაც ხელში ხის ჯვარი ეჭირა და ლოცულობდა.

დრო საშინლად გაიწელა. დერეფანში ჩუმად მიმოდიოდნენ თეთრხალათიანები. პატარა ბუბა ადგილს ვერ პოულობდა, ხან ერთ შედ.დას შეხედავდა პასუხის მოლოდინში, ხან ჩეორეს. სიჩუმე, მსოლოდ სიჩუმე თანაუგრძობდა იმ წუთში და უფალი, რომლისადმი რწმენა არც არასდროს დაუკარგავს. გაიღო მძიმედ დახშული საოპერაციო ბლოკის თეორი კარები, საიდანაც ექიმთან ერთად სიცოხლემ გამოანათა.

-პატრონი ვინ არის, სად არიან ახლობლები? - იკითხა შოთა ექიმმა და საუბარი აღარ გააგრძელა, რადგან კარგად დაინახა დერეფანში პატარა ბიჭუნას მეტი არავინ იდგა.

- შე ! - ამაყად მიუგო ბუბამ.

-შვილო, უფროსები სად არიან? აბა, შენ როგორ ავიხსნა, რა მდგომარეობას წავაწყდით კვეთის დროს?! მამა მოიყვანე, ან ახლობელი, უფროსი ადამიანი, რომ ოპერაციის შედეგი ავიხსნა. ურთულესი მდგომარეობაა. ბუბას, ისედაც დიდი

თვალეზი შიშისაგან კიდევ უფრო გაუფართოვდა. ექიმს მუხ-  
ლებში ჩაუვარდა.



შენი ჭირიმე, ბიძია, თუ ფულია საქირო, აგერ ურემზე  
ოთხი ინდაური, ორი გოჭი, ექვსი ქათამი, ერთი დერგი  
ყველი დეეს. ბაზარში გავიქცევი, გავყადი, ფულად ვაქცევ და  
ოპერაციის საფასურს გადავიხდი. გადამირჩინეთ დედა, რო-  
მელსაც ხუთი შვილი ელოდება სახლში, ნუ დაგვაობლებთ.  
საავადმყოფოს მენეჯერსონალს არ ახსოვს, როდის იტირა ამ  
„ბებერმა მუხამ“ და როცა შოთა ექიმმა, ფეხებთან მოჭკითინე  
პატარა ბიჭუნა ხელში აიტაცა, დერეფანში ექოსავით გაისმა  
გულჩვილი ექიმის მოგუდული ხმა.


დედა გადარჩება, რადგან მას შენისთანა შვილი ეზრდება.  
წადი ბიჭუნა, ოღონდ არ იქარო, ყველაფერს სათანადო ფასი  
დაადე. დღეს ყველას უჭირს, ომი ახალი დამთავრებულია.  
შემდგომი რეაბილიტაციისთვის კი უამრავი მედიკამენტები,  
სახვევები დაგჭირდებათ. ნუ აწყენინებ ხალხს, იმდენად შეა-  
ფასე შენი საქონელი, რამდენსაც უფალი გიკარნახებს. თუმცა,  
მე სულ სხვა თემაზე მინდოდა უფროსებთან საუბარი. მამა  
არა გყავს?

- როგორ არა, ექიმო, მაგრამ ძნელია ინვალიდის ეტლით  
გადაადგილება. მამა ომის ვეტერანია და გერმანელების მიერ  
გასროლილ ტყვიას დაატარებს მუხლით. ეამაყება სამშოხ-  
ლოსთვის რომ იბრძოდა. მამა ვერ მოვა, - უთხრა ბუბამ და  
თვალეზი ისევ ცრემლით გაეცხო.

- წადი, ჩემო ბიჭუნა, შენგან დიდებული ადამიანი დად-  
გება.

ბუბამ სოფლის დოვლათით ნავაჭრი ფული ექიმსა და მედ.  
დას ჩააბარა, არც მანვნის და ფუნთუშის ყიდვა დავიწყნია და  
რადგან დედის ნახვა მხოლოდ მეორე დღეს შეეძლო, გადაწყ-  
ვიტა სოფელში დაბრუნებულიყო.

- ხომ კარგად არის დედა? - ჰკითხა ბუბამ მორიგე მედ.დას.



- კარგად, ჩემო ვარგო, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ სტაბილური. ბატონი შოთა ნამძვილი „ჯადოქარია“, სასწაულებს ახდენს. წადი სახლში და ოჯახის წევრებს უთხარი, რომ დედა ხელმეორედ დაიბადა. რაც შეეხება დიაგნოზს, როცა საჭირო გახდება, დედა თავად გაიამბობს.


-მადლობთ, დეიდა. მე წავალ, მაგრამ გთხოვთ, ყურადღება არ მოაკლოთ. ხვალ დილით მოვალ. საქონელს საძოვარზე გავრეკავ, დაძმებს დავაპურებ, სკოლაში მივიყვან, მამას სადილის მომზადებაში დავეხმარები და ათი საათისთვის აქ გაეჩნდები.

-რას ამბობ, მერე ამ ყველაფრის გაკეთებას როგორ მოასწრებ? - გოცებით შეეკითხა მედ.და.

- ექვს საათზე ვიდვიძებ. თუმცა, ახლა, სანამ დედა ავადაა, ალბათ სკოლის გაცდენა მომიწევს, არადა, სწავლა ძალიან მიყვარს. პროფესიით ინჟინერი უნდა გამოვიდე, მშენებელი. მამას პირობა მივეცი, იმედს ვერ გავუღრულებ. ჩემს ოჯახს, მეურნეობის მეტი სხვა შემოსავალი არა აქვს. მაგრამ მადლობა უფალს ყველაფრისათვის... დროებით, დეიდა.

- ნახვამდის, საყვარელო.

ბუბა სოფელში მშვიდობით დაბრუნდა. ოჯახის წევრებს, ახლობლებს, მეზობლებს, ყველას დაწვრილებით უამბო დედის ოპერაციის სირთულის შესახებ. მამაკაცს, რომელსაც სოფელში მია ვასოს ეძახდნენ, მართალია, თვალებიდან ცრემლები არ გადმოსცვენია, მაგრამ თავს ძლივს იკავებდა, რომ შვილებს მისი სისუსტე არ შეემჩნიათ. ბუბა ძალიან თბილი, ენგოული და მოწადინებული ბიჭი იყო. უნდოდა ყველაფერი ოჯახში მას ეკეთებინა, მაგრამ ყველაფერს ვერ გაწვდა მისი გონება და ენერგია. სასწავლო წლის დასასრულს, სკოლიდან გამოვიდა. თავად შევიდა სკოლის დირექტორთან და მაგიდაზე განცხადება დაუდო, სადაც შავით თეთრზე



ეწერა მიზეზი. ბუბა არავის ანდობდა დედას, რადგან საავადმყოფოდან გამოწერის მიუხედავად, ქალბატონი ლიზა ზიკო თავს შეუძლოდ გრძნობდა. არავის სჯეროდა, რომ გამოჯანმრთელდებოდა. ამიტომაც გადაწყვიტა ბუბამ სწავლისთვის თავი დაენებებინა. უფლის ხატს შეჰფიცა, სანამ დედას არ გამოაჯანმრთელებდა, ფეხზე არ დააყენებდა, სკოლაში არ წავიდოდა. მას შემდეგ ორი წელი გავიდა. ქალბატონი ლიზა თავს უკეთ გრძნობდა. უკვე შეეძლო სკოლაში დაბრუნება. ისევ მეოთხე კლასიდან განაგრძო სწავლა, როცა მისი კლასელები უკვე მეშვიდე კლასში გასავლას ზეიმობდნენ. ხშირად დასცინოდნენ ბუბას, კლასში დარჩენილს ეძახდნენ, მაგრამ ბუბას ეს სულაც არ სწყინდა. ეს სასწავლო წელი უცბად გაივლიდა, მთავარი იყო, დედა ჰყოლოდა კარგად. ორი წლის შემდეგ, როცა ბუბას კლასელები /არასრული/ რვა კლასს ამთავრებდნენ, ბუბა ჯერ კიდევ მეექვსეში იყო, თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია მასში სწავლის სურვილი ჩაეხშო. პირიქით, გონებრივ შრომასთან ერთად ფიზიკურადაც მუშაობდა. დღე და ღამეს ასწორებდა, რომ დასახული მიზნისთვის მიეღწია. რამდენჯერ ჩასძინებია შრომით გათანჯულს წიგნით ხელში და სიცივეს გაუღვიძებია. ნელა, მაგრამ სასიკეთოდ გადიოდა დღეები. ბუბას და-ძმები წამოიზარდნენ, მხარში ედგნენ უფროს ძმას და როგორც წვედლოთ ეხმარებოდნენ.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა ბუბა სკოლიდან ბრუნდებოდა, მისი სახლის წინ, ჭიშკართან, ყოფილი თანაკლასელი, ანზორი შენიშნა. მამის ნაყიდი ახალი კობედით მოსულიყო. ბუბამ ნაბიჯს აუჩქარა. ძალიან გაუხარდა მეგობრის ნახვა.

-როგორ ხარ? შენია არა, ეს მანქანა?

-რა თქმა უნდა. ხომ იცი, მამა შეპირებული იყო, როგორც კი დიპლომს აიღებ, მანქანას გიყიდის და აჰა, პირობა შეასრულა.



ბუბას გონება ისევ სწავლასთან შეგობრობდა და დი-  
ლომის ხსენებაზე სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

-რთულია სწავლა უმაღლესში?!

-არც ისე, მთავარია იღბალი და ცოტა ტვინსაც თუ გაან-  
ბრევ ...

-იღბალი?! მე ხომ იღბლიანი ვარ. უფალს ვუყვარვარ,  
დედის სიციცხლე შევავედრე და გადამირჩინა, სწავლაშიაც  
მომიმართავს ხელს, - გაიფიქრა ბუბამ და შეგობარს შინ  
შესვლა შესთავაზა.

-სხვა დროს გინახულებ, ახლა მერქარება. ძველი მეგობრის  
ნახვა მომინდა და ამიტომაც გაეჭერდი.

-დროებით, ანზორ!

ქალბატონი ლიზა სრულიად გამოჯანმრთელდა, თუმცა  
ბუბა მაინც არ აძლევდა უფლებას სიმძიმეები ეზიდა, ან  
დიდხანს მდგარიყო ფეხზე. ძამას ეტლიდან საწოლზე გა-  
დასვლაში ეხმარებოდა, როგორც პატარა ბავშვს ისე გაუსწო-  
რებდა, შემოუკეცდა საბანს, შუბლზე კოცნიდა. ვინ იცის, რამ-  
დენჯერ შეუნიშნავს ძამის თვალეზზე ცრემლი და რამდენ-  
ჯერ უგემია ამბოხის ნაცვლად მისი მკავე, მარილიანი გემო.  
ნანატრი შვილი, - ასე ეძახდნენ მშობლები და მეზობლები  
ბუბას, რომლის სიცოცხლის დედააზრი ოჯახის წევრების  
ჯანმრთელობა და ბედნიერება იყო.

ბილოჯერ დაირევა ოცდაათხუთს მაისს სკოლის ზარი. ბუბამ  
რვა კლასის განათლების ატესტატი აიღო და იმავე წელს  
ჩააბარა ჰიდრომელიორაციულ ტექნიკუმში. მშობლების  
სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დაფაცურდა ქალბატონი  
ლიზა. შეატყობინა ახლობელს, /რომელიც იმავე ქალაქში  
ცხოვრობდა /რომ ბუბასთვის ბინაში ცხოვრების უფლება  
ძიეცათ. ბუბამ სასტიკი უარი განაცხადა. არ არის საჭირო  
სხვისი შეწუხება, სასწავლებლის ბაზაზე შექმნილ სტუდენტ-  
თა საცხოვრებელ სახლში დაებინავდები, თვეში სამი

მანეთია გადასხედელი. დღე ვისწავლი, დამე ვიმუშავემ შაბათი კვირა დავისვენებ და თქვენც გინახულვბთ.

ასეც მოხდა. ბუბამ მალე იშოვა ნავსადგურში სამუშაო ადგილი და სტუდენტურ კორპუსშიც დაბინავდა. ადმინისტრატორი ძეტად კეთილი ქალბატონი აღმოჩნდა. დეიდა ლუბა, /რომლის სიკეთეს ვერ და ვერ ივიწყებდა /რომელიც სასადილოდან განკუთვნილ ულუფას უნახავდა ბუბას. არც ბუბა რჩებოდა ვალში. სოფლიდან ნობათს რომ უგზავნიდნენ, თავადაც უმასპინძლდებოდა უთბილეს ქალბატონს.

დრომ სწრაფად გაირბინა. ბუბამ წარჩინებით დაამთავრა სასწავლებელი, პროფესიული განათლება პრაქტიკაშიც გამოიყენა და გადაწყვიტა ინსტიტუტში გაეგრძელებინა სწავლა დაუსწრებელ ფაკულტეტზე. ის, როგორც წარჩინებული სტუდენტი ერთი გამოცდით ჩაირიცხა სამშენებლო ფაკულტეტზე. /მამაზე მიცემული პირობა შეასრულა/ გახლავთ შვიდგზის მოწვევის დეპუტატი, დაჯილდოვებულია უამრავი სიგელითა და ჯილდოთი, სამუშაოს ღირსეულად და კეთილსინდისიერად შესრულებისთვის. ბუბა დაქორწინდა. ჰყავს ორი შვილი, ოთხი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი. სამწუხაროდ, მეუღლე გარდაეცვალა. როგორია მისი სიყვარულის ისტორია? ის გაცილებით ლამაზია, ვიდრე ამას ადამიანის გონება წვდება. შვიდი ტკივილითა და სევდით გავლილი წელი, როცა ლოგინად ჩავარდნილ მეუღლეს ჩვილი ბავშვივით უვლიდა და ისევე სიყვარული, რომელიც ისეთივე ხელშეუხებელი დარჩა, როგორც ორმოცდათვრამეტი წლის წინ.

ბუბა ოთხმოცდაორი წლისაა და ისევე იმ შემართებით და იმედიით ცოცხლობს, როგორც ადრე, ყმაწვილკაცობაში. ცხოვრობს სოფელში, დაფუსფუსებს ეზოში, სადაც შვილებივით ნაზარდ ძვენარეებს ესაუბრება, ეფერება და ისინიც ისეთივე სიბიბითი პასუხობენ. ცალი თვალი ჭიშკრისკენ უჭირავს, არ

გამომგვაროს სტუმრის მოსვლაო. მუდამ შვილებს, შვილიშვილების შილოდინშია და ზედნიერია, რომ მათ უხმარება. მის დაწურულ ღვინოს ყოველ შემოდგომაზე აგემოვნებენ. სიკეთეს სიკეთეზე თესავს და ნაყოფად სიკეთეს იძვის. კარგი მშობლების კარგი შვილი. დღეგრძელობა, მზეგრძელობა და უფლის წყალობა, ტკბილო მოხუცო.

## სიყვარული

იქ, სიყვარულო, ეს რა მიყავი,  
რად მომახვიე გრძნობის მანტია,  
სანამ ჯერ კიდევ არ არს გვიანი,  
ამ სიყვარულში მითხარ რა ყრია?!  
შენ არც სიკვდილის არ გემინია,  
ამ სამყაროში შენ ხარ ბატონი,  
ცამდე ასულა შენი არია,  
ისევ აძღერდი, გულო, ამ ტონით...  
შემომეფეთ, რომ არ გაგრიყო,  
რომ ეს სიმღერა იყოს ხმატკბილი,  
ისევ შოგიხშიბ ჩემში რომ იყო,  
ახლა დაპყრობა არის ადვილი...  
გახსოვს? ეს გული შენ რომ გათხოვე,  
ახლა ძამებით რატომ ირთევა,  
უნდა დაუფიქრდე, ცოტა მადროვე,  
სიღარბაისლე ქალებს გვიხდება...  
არა, უარგყოფ, ნუ მიზრზდები!  
ძველ სიყვარულზე ისევ მაბოდებს,  
ძომუნატრება? იქ მივქანდები,  
საფლავის ქვა რომ აწმყოს მაწორებს...

არ ვიცი ვინ ხარ, გაზაფხულზე აპრილის სუნთქვა  
 თუ ნუშის კვირტი, სიყვარულის ნაზი ცდუნება.  
 თუ ზღვის დღევა ხარ, ყინული ხარ, ცივი და გულქვა,  
 თუ სიკეთე ხარ არხილული, მაღლი, კურნება...  
 იქნებ მდინარე, ვნებიანად რომ ადიდდება,  
 ნორჩი ყლორტი ხარ ალალ ფესვზე რომ ამოსულა.  
 მარგალიტი ხარ, მიწის ხნულში რომ გაღვივდება,  
 ჩუმი სევდა ხარ წარსულიდან რომ წამოსულა...  
 არ ვიცი ვინ ხარ, შენ არ ჰგავხარ ამქვეყნად არვის,  
 არც მადონა ხარ, არც ვენერა თვით ზოტიჩელის,  
 მე შენ გიპოვნე ჩემს წარსულში მომავლის მგზავრი  
 და საბუდამოდ გავუწოდეთ ერთმანეთს ხელი...  
 ენით ვერ ავღწერ იმ სინაზეს შენს ლუჯ თვალეებში,  
 შენ გამოგთლიან ლერწმიდან და ჩუმად იკვნესებ.  
 ჩემო ქალღმერთო, სალოცავო-სალოცავებში,  
 ჩემთან მოგიხმოვ, თუკი ამას თავად ინებებ...

ნანა ბერაია





### შორენა გაბელაშვილი

აზრი აქვს უნარს,  
გიყვარდეს ვინმე,  
რადგან შეიგრძნო სითბო ძარღვებში..  
დაღლილი გულის  
ძგერა გესმოდეს,  
შენს თავს უმზერდე იმის თვალელებში..  
აზრი აქვს გესმის?  
გიყვარდეს ისე,  
არად გიღირდეს უმისოდ დილა,

თავად ვი იყო  
თავისუფლება  
და ერთადერთი სიმშვიდის ზინა..  
ღიას, აქვს აზრი!  
როცა გელიან  
და უშენობით აკლიათ ღმერთი..  
თუ ყველა წუთი  
ბედნიერია,  
რადგანაც გზაზე სწორედ შენ შეხვდი..

\*\*\*

ასი წლის მერეც კვლავ აშოვა ტაატიო მთვარე,  
ეს მზის სხივებზე კვლავ გაათბობს გულეზს სევდიანს,  
შეიმოსება სილამაზით მრავალი ღამე  
და მიყვარხარო - სიყვარულით ისევ ეტყვიან..  
კვლავ იოცნებებს შეივანებე ცისკენ ოვალეზით,  
მონატრებებზე გაივლიან გულის დერეფნებს..  
ერთმანეთს შეცვლის დაკარგვის და პოვნის წამები,  
როგორც განწყობა და რითმები, ვინმე ძელეუსეს..  
და იცვლებიან თაობები, ვით რიცხვი წლების,  
მაურს ჩემი წილი სიხარულიც დავთმო, ოღონდაც  
ახლა ძუეროდეს, რომ შენც გჯერა სითბო ღიმილის,  
რომ მთელი გულით გაიღიმებს მკაცრი ჯოვონდაც..  
შეიცვლებიან, ო, არადა, არ მინდა მერქვას,  
ცისა და მიწის გაბნეული მე მგზავრი მწერი  
ვეღარ გავიგე, თუ სადაა მუდმივი კერა  
და ვარ მაცხოვრის, თუ ამ სოფლის ეული შვილი.

ბავშვივით კითხვებს ისევე ვძებრწავ  
თავად არსება, ნაძერწი თიხით..  
თუ რატომ გაჩნდა სიცოცხლე ქვეყნად  
ან რად დამძიმდა სულელები მიწით?

რატომ მოგვევა უნარი გრძნობის,  
თუ ერთმანეთში აიცოცხეს ვთქვამთ?  
რატომ ვუღიმიოთ ერთმანეთს ნდობით,  
მერე თუ ისევ გულგრილად ვგესლავთ?

ის, რაც არ მოგწონს, ვიცით და მაინც  
ვერ აუქცივთ გზები, მცდარები,  
საერთმანეთოდ დაჭედნილ ცხენებს  
ლამის უკუღმა ვაგეთ ნალები...

აბა შე რა ვთქვა, რაც თქვენც არ იცით,  
თუ ამოვიღეთ თვალოთაგან დირე  
თუ თავი თვისი შევიცანთ ყველამ,  
აღარ ვიქნებით „დიდნი“ და „მცირე“..

მსხმოიარე ვაშლის ხე დღესაც,  
თავად მივირთმეუთ, რად გვიჩნდა გველი?  
და სინანულსაც ვერ ვასწრებთ, როცა  
ისევ ვაშლისკენ გვიცდება ხელი..

ისევ მაწუხებს იმედიც, შიშიც,  
უსიყვარულოდ რომ დაჭერის ქარიც,  
სული დედავს და აღარ მგონია,  
თუ ნაკვს სხეული და მკვია ქალი..

და გადმოსცდა კარიბჭეს, შემოდგომის არია,  
თითო ათასო ფასიოლად გაიკრიფა ზაფხული,  
მზის სხივების კოცონი გაიტაცეს ქარებმა,  
სად ქრებიან დღეები, წლებად გადასალტულნა...

ბილიკებზე მრავალი ნაფეხური ატყვია,  
ვინც ცხოვრებას ხატავდა სიყვარულის ფერებით,  
კიდევ ივლის შრავალი, იმედით რომ იცოცხლებს,  
და იპოვის ღირებულს, საკუთარი ხელებით...

შემოდგომის ბრალია ჩემი მელანქოლია,  
ბავშვობა რომ მილიძის უწყინარი თვალებით,  
ჯერაც კიდევ შენამდე, არც აუ ისე შორია,  
მაგრამ ხვალე მამორებს მილიონი წამებით..

სად მიდიხარო, ეჭვი! დაკარგულო ფოთლებო  
თქვენს ნაკვალევს ნეტავი, დაიხსომებს ტოტები?  
თუ იმიტომ ეცლებით, რომ გავიდა ცხოვრება  
და სიმიშვლეს შემოსავს სულ ახალი ყლორტები? !

ასე ბრუნავს დიდ წრეზე, როგორც სისხლი ძარღვებში,  
თუ გრძნობებმა დამრია, არ მიწყენენ მგონია,  
ჩვენ ვართ გენი წარსულის და ფესვები მომავლის,  
ცხოვრება კი მუდმივი უხილავი ომი...



ქსოვდა წისლები საბანს  
სინათლეს ქსოვდა მთვარე,  
ამ სამყაროში ახლაც,  
შენ ხარ და თეთრი ღამე..

შორს ვარსკვლავები მიხშობს,  
როგორც თვალეები შენი  
ჩემი სუნთქვა ხარ თითქოს  
და არსება ხარ ჩემი..

როცა ჩაცურდა მთებში,  
მზემ შეიმოსა თალხი,  
ნუთუ, დავარგა ბევრი,  
მთვარეს დაუთმო დახლი..

ღღეს ღამე შეცვლის მარად,  
მეც აღზათ შემცვლის წლები..  
გულში კი ისევ ჩავთვლი,  
რომ თითქოს ოცის ვხდები..

მე, „მლაიერი“ და „მკაცრი“,  
სისუსტე დიდხანს ვმალე  
ამ სამყაროში ახლაც  
შენ ხარ და თეთრი ღამე..

ვაჟაო, თვალწინ მიდგება შენი არწივის ოვალები,  
 არ მასვეწებენ, იღება ჩემი ფიქრების კარები..  
 ენა გიწუნეთ ფშაველო, შენი ფშაულის კალწისა,  
 უცხო, სხვაგვარი სიმაღლე, სიღრმე კლდეების სალისა..  
 იას, მიჩქმალულს, თავმდაბალს, შენი სურნელი სდიოდა,  
 მისი სათქმელი, ვერ თქმული, ენანებოდია, სტკიოდა..  
 ეამთა უღდეურ სარბიელს თან გაჰყვა მრავალთ ფიქრები,  
 ნაწერ-უწერი ფურცლები, ნათქვამ-უთქმელი სიტყვები..  
 ცად გაზადრული ვარსკვლავი როდი ედრება შორეულს,  
 უფრო დიადს და მზურვალეს, ვერ ცნობით სევდა მორეულს..  
 გადაივლიან როდესაც ჯიხვები კლდეებს ჯანდიანს,  
 თითქოს, ალუდას ძახილი მოჰყვება ექოს, ქარიანს..  
 ვუმზერ, როგორა სწოხიან თვალებით ერთურთს შეზამდე,  
 ვეფხვის და მოყმის ჭიდილი, მისული გულის ქშენამდე..  
 და დედის დიდსულოვნება, წარმოუდგენლად მნელია  
 გენანებოდეს, უტკიოდეს, თვით შენი შვილის მკვლეელია..  
 "იქნება, ვეფხვის დედაი, ჩემზე მწარედა სტირისა",  
 ვერსად ვიპოვნე მსგავსება, ამგვარ ღვათიური სიტყვისა..  
 გესმოდეს სხვისი, დარდიანს, ანუგეშებდე, თავად კი..  
 თვალზე შეგამრეს სევდისგან ცრემლების მთელი მარაგი..  
 გვაფხიზლებს თითო მარცვალი, რაც ჩვენთვის დაგითვისია,  
 სხვათათვის თავის გაწირვა, ვაჟკაცთა ძველი წესია!  
 შორენა გაბელაშვილი.






ანა ბელაშვილი

### არიან ქალები...

არიან ქალები, რომლებიც ცხოვრობენ ჩალურში, ცხოვრობენ ხელმოკლედ და აღარ ანცობენ, აღარ უბრწყინავთ თვალები... ვარდისფერ ფიქრებს და ოცნებებს, ნებისით თუ უნებლიედ ტოვებენ წარსულში და შერე, ყოველი ძილის წინ, ბალიშში თავჩარგულნი, ამაზე ნანობენ... არიან ქალები, რომლებიც არ სწერენ დღიურებს, არც სასიყვარულო ბარათებს არ სწერენ ბიჭებს, (მათთვის თავის მოწონების მიზნით, მაჯებზე ბრჭყკიალა ბისერების აცმაზე, ხომ ზედმეტია საუბარი). და მერე სიზმარშიც წუხან, იმაზე ფიქრში თუ ყოფას რა ამწუხ



რებს, რა ძალად გააქრო იმედის სხივები... არიან ქალები, რომლებიც მხრებით და მკლავებით ეზიდებიან ნაწვიმარ, ნათლვარ გულურსა, ათას დარდს დაატარებენ გულით და მერე, სიმწრის ღიმილით ისმუნენ მავანი და მავანისგან, რომ ქალი სუსტი არსებაა, რომ „ქალი საფერებლადაა გაჩენილი...“

არიან ქალები, რომლებიც ყოველ დღე დგებიან იმისთვის, რომ ალაგონ მხოლოდ და მხოლოდ კერა და ძაფის გორგალივით არეული, გულგამგმირავი ფიქრები, სადამოს კი განსატვირთად, (გულიდან დარდის განსაქარვებლად)... აუცილებლად სტუმრობენ კარის მეზობელს ყავაზე და ჰყვებიან, ჰყვებიან, ჰყვებიან... რა ტანჯვა წამებით გასცილდნენ ტკბილ წლებს და შეებნენ ცივ ურვას... არიან ქალები, რომლებიც ცხოვრობენ, იმისთვის, რომ იცინონ, იღიმიონ, იდარონ... ოღონდაც - სხვების დასანახად... არიან ქალები, რომლებსაც არაფერი აქვთ... არავინ ჰყავთ... და მაინც, სხუელში შესახლებული იმედის ქრელი პეპლები, ყოველ დღეს უბევრდებათ, ძალუმად მიიწევენ გულისკენ, მერე თვალებისკენ და ასეთი ქალები, მთელი ცხოვრება, გაკვირვებით შეჰყურებენ, სახსე, მოელვარე თვალებით, ქალებს, რომლებსაც ქმრებიც ჰყავთ, შვილებიც და თვალებით მაინც აუარებელ სევდას დაატარებენ...

მათ არ იციან, რომ არიან ქალები, რომლებსაც ქმრები ჰყავთ, ქმრები ჰყავთ და მაინც არიან მარტონი...

ანა გელამული



ანა ჩემო ღიდილო,  
ანასულო და შრომანო,  
ია-ია, ენძელავ,  
ნუ ჩაჰკიდებთ თავებს,  
იადონო და - ბუღბულო,  
ჩვენო სულის მგოსანო,  
ჩვენსკენ გამოემართეც,  
აქვე მოგცემთ საშუებს.  
გული ხარობს,  
საგულიდან  
ამოხტომას აპირებს,  
ვერვის ნახავო ამ დღეს,  
მოწყენილს და განაზულს,  
"ინგას უბნის" იუბილეს,  
სიტყვა ცისკენ გაიწევეს,  
ყველას გეპატიჟებით,  
ყოველ კაცს და სულდგამულს...

ანა გელაშვილი





ინგა ბობიბერიძე

უნდა შევეჭიდო ზევსს... სხვა გზა აღარ დამრჩა... უნდა მივეკედლო ღმერთს... ცა ცარიელია, წვიმს მაშინ, როცა ზევსს უჭირს ალბათ...

ელეგ არაა და ქუხს მაშინ, როცა ვიცი, რომ ღმერთი დუმს... უნდა მოვეჭიდო ხავსს.

იქნებ ხავსმა ძითხრას, მიწიდან ამოსულს, რა ბედი ეწევა ბალახს.

რა ბედი ეწევა ვენახს, წითელ თიხას და ქვევრს, ათასწლეულობით შენახულს. ჩემს სატკივარს და ზედს.

უნდა შეძინახოს ნიწამ.....

უნდა მივეკედლო ღმერთს....

ვთხოვ, ჩემს: მკვლავის პატარას, გამოუგზავნოს აბრა.

გულზე რომ გაიკრას და სამათხოვროდ, იაროს სხვაგან! აქ არა.

აქ მე ვეჭიდები ხავსს.



აქ მე ვეჭვიდები ზევსს,  
 აქ მე ვიკვებლები ღმერთს...

მან კი რა უნდა ქნას, სად წაიღოს ეს სარეკლამო აბრა?  
 აბრაზე წერია-აქ მომშლილა,

იქ კიდევ ტკივილია, აქ ავადმყოფობა, იქ კიდევ უფულობა,  
 მე უნდა მივეკვდლო ზევსს, რომ მან განაგოს ეს გზა, წყალი,  
 ჰაერი და მთა...

უნდა შევეჭვიდო ზევსს... სხვა გზა აღარ დამრჩა...უნდა  
 მივეკვდლო ღმერთს...

ცა ცარიელია, მაშინ წვიმს, როცა ზევსს უჭირს ალბათ.....

ელვაც არაა და მაშინ ქუხს, როცა ვიცი , რომ ღმერთი  
 დუმს..... დუმს.....დუმს.....

ზევის ქალღმერთი ვარ, ჰერა... ჰაჰაჰა... ჰაჰაჰაჰა.

ზევის მბრძანებელი ზევსიც,

მომავლის დანახვის ნატვრაც,

ზევისს შექმნილი ჩემთვის ბედით,

გუშინ რომ ქუხლით მაცნობა ცამ.

სიზმრებში დავიკარგე, არწივმა მომიტაცა და სადღაც  
 გადამკარგა კვლავ.....ჰა ჰა ჰა ჰა.

იქ, სადაც მიწა ცას უერთდება, ვერავინ ვერ ხედავს, ვერ  
 აწვდენს თვალს,

იქ მე ვარ..... ზევსი....ღმერთი და შენც მყავხარ ალბათ,  
 ვერავინ ვერ გვაწვდენს მაინც თვალს....

იქ ზევსი აკონტროლებს წესებს და ადათებს, ის იცავს  
 ყველაფერს აქაც.

აქ კი, სარეკლამო აბრა, ზედ რომ აწერია -„მომშლილი“, ზღვის  
 ტალღებს მიაქვს სხვაგან... მიაქვს და მოაქვს...

მიაქვს და მოაქვს... სხვაგან...

უნდა შევეჭვიდო ზევსს...

სხვა გზა აღარ დამრჩა...

უნდა მივეკვდლო ღმერთს!

და ცარიელია, მაშინ წვიმს, როცა ზევსს უჭირს ალბათ...  
ელვაც არაა და მაშინ ქუხს, როცა ვიცი, რომ ღმერთი  
დუმს..... დუმს.....დუმს!

## მართვალნი მამულუნი ალი-ბეის ნურილი

ეს წერილი, ძალიან ძველია.

ეს ისტორია, შორეული წარაულიდან მოდის.


აი წერილიც, ბევრისთქმელი და ბევრისმომცველი:

მე გიპოვე შენ ბაიდა ნაფისა... მოვედი რკინის ჭიშკართან,  
რათა მივიღო მოწყალება შენგან, მვირფასო ასულო და ჭემ-  
მარიტო ქალბატონო. მივედი, რათა სასმელი წყალი მივიღო  
შენგან, რომელიც მუდმივად იკარგება უდაბნოს ცხელ ქვიშა-  
ში და არ აღწევს ჩემამდე. უწყლოდ და უსულოდ, აბა როგორ  
მოგიყვ, როგორ მოვედი შენამდე და როგორ გიპოვე მონათა  
ბაზარში. იმწამსვე მოვიზიბლე შენი სილამაზისა-ზურმუხ-  
ტისფერი თვალები, სპილოსძვლისფერი კანი, აღმასებრი  
მხერა მუღბნებოდა, რომ შენ, ჩემი, გახუყრული და განუბეო-  
რებელი მეგობარი, გახდებოდი, გახდებოდი ჩემი სარეცელის  
და ჩემი უსარმაზარი ქონების გამზიარებელი.

მე გიპოვე შენ, ჩემო ზურმუხტისთვალემა ქალბატონო,  
ბაიდა ნაფისა. მე, ქართველმა მამულუქმა შევიგრძენი შენი  
ქართული შთამომავლობის ფესვები და თან წაგიყვანე  
ჰარამხანისთვის, თუმცა, არცერთი დღე, იქ არ გაგატარებია.  
მე უცნობილესმა მამულუქმა ალი ბეი-ალი ქაზირმა გიპოვე  
თავისუფლება და ცოლად შეგიროე ოკეანის ტალღებით  
მწფოთვარე, მაგრამ თავისუფლებისათვის განწირული  
სული...

მოკლე იყო ჩემი ბედნიერების დასაწყისი, უმოწყალო  
წარმოდებში დავტოვე სიცოცხლე, შენთვის ნაჩუქარი და





წავიღე სიყვარული. შენგან ნაპოვნები-სიყვარული აღაღო მართალი და გულიანი-ისეთივე წრფელი, როგორც შენ თვალები, აზიტომაც იყო, რომ ქონება ჩემი, შენ მარჯვედ და სწორად წარმართე, მთელი მსოფლიო გააკვირვე გამჭრიახობით.

მე გიპოვე შენ, ჩემო ბაიდა ნაფისა. ეგვიპტისათვის გიპოვე, იმ ხალხისათვის გიპოვე. ვინც შენი წყალობით შიშშიღა და სიცივეს გადარჩინე. იმ გულმონწყალებობისათვის გიპოვე, რასაც მთელი ცხოვრების მანძილზე ქველმოქმედებით არიგებდი.

მე შენ აღბათ, ძეორე ქართველი მამულუქისათვის, მურად ბეისათვისაც გიპოვე... კი, მისთვის გიპოვე, რათა შენი თვალები არ დამჰკნარიყო მარტოობის მოლოდინით, რათა ზურმუხტისფერი არ შეცვალა სევდისფერს...

მხოლოდ საფრანგეთის იმპერატორისთვის არ მიპოვიხარ, მან თავად გიპოვა. ნაპოლეონ ბონაპარტი ხომ მონუსხულობით გიყურებდა, თუ როგორ გადაუდექი ფრანგთა ლაშქარს ხელადმართული, უიარაღი, მხოლოდ შენი სილამაზით შემკობილი. კი, ნაპოლეონ ბონაპარტისთვის არ მექმეტებოდი, ვიცოდი, შენი სილამაზე შეიძლება დამღუპველი ყოფილიყო იმპერატორისათვის, რომელიც, თრთოდა შენს წინაშე და მზად იყო ყველა განკარგულება შესრულებინა. მხოლოდ მისთვის არ მიპოვიხარ. მაგრამ, შენ თავად იპოვე შენი თავი და განსაზღვრე შენი ცხოვრება, აღვსილი ქართველი ქალის სილამაზით, გამჭრიახობითა და კეთილშობილებით. (დიახ, მე ზუსტად ვიცი, რომ ჩვენი სამშობლო საქართველია).... ისეთი, როგორც მე გიპოვე შენ, ჩემო „თეთრო განძო“..... აღბათ, შენი ლამაზი მაჯები იტანჯებოდა ბრილანტების სიმძიმისაგან, იმ ოქროს სამაჯურისგან, რომელიც ნაპოლეონმა გაჩუქა, რათა გაგეცა ეგვიპტის საიდუმლოებანი, მაგრამ გიზის პირამიდის წვერზე დანთებული უზარმაზარი ჩირაღდანი და



აბასიაში, საკუთარი სასახლის სახურავიდან ანთებული სანთელი, გზას უნათებდა მეომრებს დიდხანს. ამიტომაც შეგარქვეს მამალივი, ანუ „მამალუქთა დედა“...

მე გიპოვე შენ, ჩემო ზაიდა ნაფისა... მოვედი რვინის ქიშკართან, რათა მივიღო მოწყალეობა შენგან ძვირფასო ასულს და ჭეშმარიტო ქალბატონო. მოვედი, რათა სასძელი წყალი მივიღო. რომელიც მუდმივად იგარგება უდაბნოს ცხელ ქვიშაში და არ აღწევს ჩემამდე.

მე გიპოვე შენ, ჩემო ზაიდა ნაფისა. ჩემო საყვარლო განძო. და დედოფალო. მდიდარი ცხოვრების მეინახეე, ქველმოქმედების კარნაბჭეე და სული ქართველო.

ამიტომაც არის, რომ, მე „ქარბუქთა დამაოკებელი“, „ორი ზღვის ყაენი“. ეგვიპტის ყველაზე სახელგანთქმული მმართველი ალი-ბეი, ყოველ ცისმარე დღეს, ჩემი საფლავის პირადაპირ აღმართული მავზოლეუმიდან, ვხედავ შენს ლამაზ სულს მოფარფატეს გაზე და გზაზე.....

ეს წერილი მადლიან ბეულია.

ეს ისტორიაც შორეული წარსულიდან მოდის.

### დიპლომატი

მოთავსდით სკამებზე? სპექტაკლი დაიწყო, დაფი დაირა, ნაღარა დაუერავს.

დიპლომატი.....

ნიღბები აქვეა თქვენს სულთან ახლოს და შორს სადღაც. ზეცაში ამღვრეულ ფიქრებთან.

დიპლომატი.....

მოთავსდით სკამებზე? სპექტაკლი დაიწყო, ზარის ხმას შემოჰყვა უცნობი ლანდებიც, ვერ ვხვდება ვერაეინ აქ რა სპექტაკლია, დაიწყო დილოდან ნიღბების ფრიალი.

დიპლომატი.....დიპლომატი....

მითავსდით სკამებზე? დაიწყოს სპექტაკლი? უნდა მოვი-  
კითხო მასპინძლის ამბულა ან თქვენი მიზანი. თქვენ ხის  
გაქვთ ბილეთი? ბაღთები? რგოლები? ოქროს მონეტები?  
დიპლომატიო.....

თეატრი? სპექტაკლი? ბილეთი? სიმები? სპილენძის ან  
ვერცხლის ევანი?ოპ ეს რა მითხარით, ცხოვრება მეგონა მე  
უფრო მარტივი, უნილბო, უფარსო და იქნებ ადვილიც, ამი-  
ტომ მოვედი მე აქ და ძლივს ვიპოვე ეს ადგილი.

ეს ჩემი სკამია? თუ თქვენი სკამია?... იქნებ შემიცვალათ  
ბილეთი ან ადგილი?

აი ხელისგული, აი ჩემი ხელი, დაფი-დაირა, ნალარა...  
თქვენ უკრავთ?

დიპლომატიო... დიპლომატიო.....

მითავსდით სკამებზე? იპოვეთ ადგილი? რთული ხომ არ  
არის?

ნეტავ თუ მოგვეძენ ჩვენ ზურნას ან დაირას, რომ საკუ-  
თარ ხმას და საკუთარ სიმღერას მოვუწყოთ სპექტაკლი ან  
დღესასწაული.

დიპლომატიო... დიპლომატიო.....დიპლომატიო.....

ნალარა? ცხოვრების ყველა დროს იკვრება სახალხო  
ზეიმზე და დღესასწაულზე, ქორწილზე.....

დიპლომატიო.....დიპლომატიო, დიპლომატიო, დიპლომატიო.  
უპ!

ომია? მშვიდობა? იქნებ და თქვენ მოკვდით?

აგერ ეს ჯოხები ნალარის საცემლად. დაარტყით, დაარტით  
მაგრად, რომ ყველამ გაიგონოს, რომ თქვენ მოკვდით!!!!!!!!!!

დიპლომატიო...დიპლომატიო...დიპლომატიო.....

დიპლომატიოოოოოოოოოოოოოოოო!

ინგა გოგიბერიძე



ნანი გულბანი

გადლობა უფალო!

მერე რა? თუკი სიბერემ,  
მომიკავუნა კარზე,  
წლები დიძილით დავთვალებ,  
თეთრი ვიფერე თმაზე,  
არასდროს არ მიფიქრია:  
მეტი რად არ ვარ სხვაზე...  
არც არვინ დამიჩაგრია,  
არც... არვის ვისმევ თავზე,  
მიყვები პილივს მთვლისკენ.

სადაც ვხარობდი ადრე,  
სად ცისარტყელა მზის სხივებს,  
მიფერადებდა მხარზე.



კლდის ქონგურებზე ყვავილს და,  
ვარსკვლავებს ვკრეფდი ცაზე-  
მთვარეს სიციცხლის სონეტებს,  
ვუმღერდი ლამაზ ხმაზე-  
ის, რაც იყო და რაც არა,  
ფიქრი... ვუღწე თუ კარგზე-  
მონა ვარ შენი უფალო,  
ნუ დამსჯი გზასაყარზე.

### ფიქრი ფიქვების ითვლის ალმასებს...

მეწვია, ზამთრის თავნება ფიქვი,  
მოუყარფატდა გრძნობის დარაბემს,  
ყინვის ვარაყით ნახატი ფიქრი...  
შითვლის წელთასვლის ღია ზარათებს.  
ჩუმად მივყვები დათოვლილ ბილივს...  
დღე მცირე არის დაღამებამდე...  
ვნახავ კი ნეტა ნათეზას ცისკრის,  
ძივალ კი ნეტა ზიარებამდე...  
არ ვიცი თალხი სად დამეწვევა,  
სად გადაძავლებს ზვავი ქარაფებს,  
ოღონდ სამშობლო მიცოცხლე დიდხანს,  
სხვას... არა შეგთხოვ, დმერთო, არაფერს!

წუთისოფელი... წუთის წამობა...  
 ელვის ნათება უძირო ცაზე,  
 ვისთვის წყნარი და ხასხასა მდელი,  
 ვისთვის მდელვარე, შტორშივით ზღვაზე  
 წუთისოფელი... თითქოს სიცოცხლის,  
 უსასრულოობის დედამშობელი,  
 თითქოს ამ სოფლის ტკბილი ბუღბუღი,  
 ნამდვილ კი „ცოდვის“ ხშირი მხმობელი...  
 წუთისოფელი... მუხთალი, ფლიდი...  
 დედინაცვალი „მადლსავალ“ გზაზე,  
 მაცდური ვერცხლი... მგლოვარე სული,  
 ცრემლების წვიმა... ცვარიან ზზაზე...  
 წუთისოფელი... შზის სხივის ხილვა,  
 ნაირფერებით ქარგული მთაზე...  
 იწვანე მინდვრების ახასხასება...  
 ბოლოს კი მენის გავარდნა ცაზე...  
 წუთისოფელი გამოცდის არე,  
 ფართოდ გაშლილი სავალი კიბე...  
 აღმა თუ გაღმა... ცოდვა თუ მადლი...  
 ვინ მოსთვლის „ბილეთს დანომრილს“ კიდევ...  
 წუთისოფელი, ტკბილი და იწარე...  
 სიღიადგანე ვერ გავითვალე...  
 ვითომ დინჯია... მიფრინავს მალე...  
 მზიან დღის ნათელს ეცვლება ღამე...  
 წუთისოფელი! შენი სტუმრები,  
 დაინდე!!! მიეც გზა სულის ხსენისა,  
 რომ „საზვერეები“ მშვიდად დაძლიონ,  
 და მთავრობონ სიმშვიდე ცისა...



და... მზე შიყვარს მეტად შორეული  
იცი, როგორი საღამოა?

ვა მოქუფრული და უშენფერო.

ავდრით დაოსილი ღრუბლებიდან,

ცვარით დანამული

ატმოსფერო.

მთვარის ელვარებას დანატრული,

ღამე გათანგული უძაოსო,

დროის ტრიალს მწყობრად აყოლილი,

დღე... ერთფერი და უხალისო.

ჯანღი მთის მწვერვალებს მორგებულს,

სევდის ფიქრებს კემსავს ნაღვლიანი,

ზოგან ქარიშხალი ეღობება,

ალაგ ქარაფები ზვავიანი.

ნისლს და ღრუბლებს იქეთ იმედგულობს...

ცისკრის ვარსკვლავები მოზნეული,

მთვარე ჩემთა ფიქრთა მკითხველი და...

თბილი, ნათელი მზე შორეული.

## მაპურებს! მახარებს! მადლი საქართველოს!!!

ჯიხვების სამყოფელ ჭიუხვებს შევნატრო,

სიწმინდის, სიმშვიდის საოცარ ალაგებს,

სად სოფლის კანონებს „სიცრუე“ კი არა,

ბუნების სპეტაკი სიმყარე განაგებს.

მიედივარ, მივეყვები ენგურის ხეობას,

თვალს ვავლებ კლდის ქიმზე დაკიდულ ქარაფებს,

მინაბერ ნიავის უდარდო ქროლვას და,

ჩანჩქერის ფარდებით დარაზულ დარაბებს.  
მთებს შორის შოგელავს თავნება ენგური,  
ტალღების დაისში აცეკვებს კალნახებს,  
მდინარე ნატრულ მზის ათინათს იფერებს.  
ერთ ჩვილი აკვანზე გადაკრულ არტახებს.  
რაც მეტი მივდივარ, მით უფრო ვმადლდები,  
მით უფრო მიზიდავს ქარაფთან მთის მდელი,  
სანოთხის სადარი წარმტავი, ლამაზი.  
ვა, მიწა, ბუნება, მაღლი საქართველოს.

### განწყობა...

ამერია, ღმერთო ყველა საფიქრალი,  
ყველა დარღმა ერთად იწყო გაღღობა,  
ყველა აისს მაღლიერი ვხვდები მაგრამ...  
...მენატრება უდარდელი ბაღღობა.  
მენატრება ვარდისფერი გაზაფხული,  
ჭრელ შინდვრებში ყვავილებით გართობა.  
ის სიცილი, სიყალბისგან შორს რომ არის,  
ცის დარებს რომ უტოლდება არსობა.  
მწყურია და... არა მხოლოდ მენატრება,  
შინაგან და გარე სახის ერთობა,  
„ჩინის“ მიღმა მართლა თუკი ის არსებობს,  
ვისაც ვცნობ... და გულწრფელი მაქვს საღმობა.





განა მართლა სულ დარია მხოლოდ „შეში“?  
 განა მართლა სიცილაშია ზრწყინვის კრედო?  
 განა მართლა იოლია ეს ცხოვრება?...  
 ღიმილებით გაუფორმე სევდას ვეტო,  
 ღიმილებით დავამსხვრიე ცივი მზერა,  
 გატეხილი ღიმილებით გავამიულე,  
 ღიმილებით ამოვქარგე არსის კერა,  
 როს მიმღვრია წვიმის თქემმა მწვიდი ღელე,  
 როს აშარმა ნიაქარმა ჩემ სარკმელზე,  
 შემოდგომა დააზრძანა ეით მსაჯული,  
 ყინვის გზები ტკბილ ბავშვობის ნაკვალევზე,  
 ცრემლს თესავდა სიმწარისგან დატანჯული,  
 ღიმილს იქეთ ვებრძვი ულევ სადარდებელს,  
 მწველის მხოლოდ ღიმილების ნაზი ჰოზი,  
 ძეგობარი ერთგული და უღალატო,  
 ცისკარი და იმედების წარმომშობი.

### მე შენზე დავნერ უამრავ მითებს...

მე შენ მოგიბღენი ნაკურთხ სიცოცხლეს,  
 მრავალ სტრიქონებს მოვქარგავ შენზე,  
 მრავალჯერ გაგხვევ ოცნების აღში,  
 ბინას დავიდებ ვაჟკაცურ მკლავზე,  
 შენზე ფიქრებით ზეცას ვეწვევი,  
 ნისლებს გავფანტავ დათაღებულ მთაზე,  
 შენზე დავანთებ უამრავ სანთელს,  
 ვუღარ ვიფიქრებ ვერასდროს სხვაზე,  
 შენთან ვიპოვე სიყვარულის ბჭე,  
 ნაიარევი ტანჯვა წამებით,  
 ოცნებებია ის მზე და სითბო...  
 რითაც ზრწყინავენ სევდას თვალები.

...ნანი...გულბანი...  
 ივარელი.



ინგა უბნიდაე

### ვედრება

ჯიშო ქართულო, ნუ შეიცივლები,  
მამულო ჩემო ნუ გამიხმები,  
წყარო და ხევო ნუ დამიშრები.  
წინაპართ ძვალნო ნუ შეირხევი,  
სულლო ქართულიო, ჩაჯექ სასულეს,  
ნუ შიატოვებ ვაჟებს, ასულებს,  
ნუ შეაშფოთებ ჩვენივის წასულებს.  
ციურ მნათობად ცაში ასულებს,  
გულლო ქართულო, იგულე კვლავც-  
რომ შენი ძგერა ტამარში ზარად  
სამშობლოსათვის დღესაც და ხვალაც

რევდეს გუგუნით მარად და მარად-  
სისხლო ქარიულო, ძალუმად ჩქვდღე,  
კვლავაც ურმულს და ჩაკრულოს მღერდე  
და ქართველობა ლეგენდად თქმული  
შემოინახე მარღვებში დღემდე-  
ნიჭო ქართველი მთავარსარდლისა,  
ქართველ მეფეთა გულანთებულთა  
კვლავაც აღზედი, ბედი ქართლისა  
იმ ყვავ-ყორნებმა ისევ დაფლითა,  
დედაც ქართლისა, მუხლჩაუხრელო,  
მკლავდაუღლელო, გადაუთელო,  
ნამცეცა შვილის ვაჟკაცად მქნელო,  
გადაარჩინე კვლავ საქართველო.  
ღმერთო ძლიერო, დედაო ღვთისა,  
ძეო უფლისა, გზა გაგვინათე,  
მოგვეცი ძალა ბნელი გავაპოთ  
და დავიბრუნოთ კვლავაც სინათლე!

## იპვნანა

დაიძინე დედის გულაო,  
ნუ მიბრაზდებიო,  
თვალხატულა ანგელოზო,  
ძალე იზრდებიო.  
წლაპრის გუდა გაგატანე,  
ტკბილი ამბებიო...  
მოიარე ჯადოსნური  
სიზმრის ველუბიო.  
იქნებ ნახო და ისწავლო  
ქვეყნის სამველიო,  
ყვავ - ყორნების საწამლაეი

არწივთ საკვებო.  
შვლის ნუკრის და ბაჭიების  
ლაღად სარბენო,  
ზოროტების ნაზ სიკეთედ  
გარდამსახელიო.  
დაიძინე გენაცვალე-  
შენთან არს ღმერთათ  
და უშიშრად მოიარე  
სასიზმარეთიო.  
იქნებ ნახო და ისწავლო  
ქვეყნის საშველიო.  
მოკვეთილის მიკერება,  
ძმობის აღმდგენიო.  
სიმულევილის სიყვარულად,  
გარდამსახელიო,  
შენს დიმილში იყოს ყველა  
ზოროტთ სასჯელიო.  
სიყვარულით აღგედგინოს  
მტრობით ნანგრევო.  
ჩატეხილის ბურჯად იქმნეს  
პაწაწა ზელიო.  
ძილისვუდად ნუ იქცევი  
მალე იღვიძეო,  
უკვე გვეყო ქართველთ ძილი,  
შენ გაგვადვიძეო.  
იყავ შვილი შენი ქვეყნის,  
იზედნიერეო.  
საქართველოს გაბრწყინება  
შენ დამანახეო.



შენ, საფლავში არა წევხარ დედი,  
 ამ ჩემს გულში, დავიდია ზინა.  
 შენ ხარ, ჩემი სიყვარელის ღმერთი,  
 ჩემი სულია, სარკმელი ხარ ღია.  
 მე არ მინდა, რომ გეძებო სადმე.  
 შენ ჩემში ხარ, ჩემს ძარღვებში ფუთქაც,  
 ვერ მოგძებნი, მე შიწიდან ცაქდე,  
 არც ის მინდა, საფლავის ქვა გერქვას.  
 სიო მკოცნის, ჩვენი ეზოს კარში,  
 თითქოს ვიგრძენ, სითბო წენი ხელის,  
 ნაღწობი ხმა, შემომესმა ქარში,  
 თმის აღერსით, ყურში ნანას მღერის,  
 დამეძინა, ტბილად დამეძინა,  
 ჩემს საწოლზე, სიზმრად გხედავ დედი,  
 მოვინდომე, მაგრამ გამეყინა,  
 საფერებლად გამოწვდილი ხელი...  
 ამის შემდეგ, აღარ გეკებ არსად,  
 ჩემს გულში და ჩემს სხეულში სახლობ,  
 სიყვარულით, ვიდვენთები სანთლად,  
 ჩემს ღიმილზე, ჩემთან ერთად ხარობ,  
 შენთან ერთად, დავიძინებ ტკბილად,  
 კვლავ პატარა, ჩაგეკვრები ხარბად,  
 ისევ შენი, დარიგება მინდა,  
 შენთან კვლავაც, დავიცლები დარდად,  
 როცა მტკივა, როცა ვკვნესი,  
 როცა სულით მტანჯავს ბედა,  
 კვლავ იმედად მახსენდები,  
 ისევ, შენ გერახი დედი...

რა ლამაზი ხარ!  
 რა ლამაზი ხარ!  
 დილის ვარდო გადაშამულო,  
 ცრემლად დაღვრილო,  
 ნაძის წვეთები დაგთოვებია.  
 რა ლამაზი ხარ!  
 მხატვრის ხელით ვერდახატულო.  
 შენს სილამაზეს,  
 ყველა სულდგმული დაკმონებია.  
 რა ლამაზი ხარ!  
 პოეტების მუზად ქცეულო,  
 შენი სურნელი მიჯნურები,  
 უტყვი ხმებია.  
 რა ლამაზი ხარ!  
 სიყვარულის ცრემლით ნამულო,  
 ეგ, სიყვარულიც ხომ,  
 ცრემლივით გადამდებია.

### ცრემლიან კოკორს

ობლად დარგული, ვარდის კოკორი,  
 გაბუტული დგას საფლავის ქვასთან,  
 მარტოდ დარჩენილს წვიმის წვეთები,  
 ჩამოდვენთია ცრემლებად, სანთლად.  
 კმაყოფილია აქ მდუმარებით,  
 სრული სიჩუმის მეუფე ხმათა,  
 დგას აშდენი ქვა, მომღიმარ სახით,  
 ჩუმ ისტორიას მოგვითხრობს ხალხთა,  
 დაბადების და სიკვდილის თარიღს,

პატარა ტირე, ნიშნავს მთელს გზასა,  
რაც უცხოვროა, რითაც უვლია,  
ვისაც უვლია, ქალსა თუ კაცსა.  
და "პაემანი" ყველა მდგანთან,  
ცრემლების ზღვა და სევდის ღრუბელი,  
ერთნაირად ქუხს, მარად იქნება:  
წუხილი, კვნესა, გმინვა ულუცი  
აქ განშორების ტრამალი არის,  
ღმერთი განაგებს, კაცთა საქართალს,  
ერთად შეკრიბავს: მდიდარს და ღარიბს,  
ბრძენს, ჭკუამრუდეს, მტყუანს და მართალს.  
ჩაფერფლილ გრძნობებს, არაფრად აგდებს,  
არც გამწარებულ სულის კვნესა სწამს,  
დარდიან გულში, ჩამკვდარ სიყვარულს,  
ნატვრად გადუქცევს, განშორების წამს.  
აქ, ჩერდება დრო, არა ღირს დათვლა,  
მაინც სუყველა, ერთი წამია,  
იცხოვრებ დიდხანს, თუ მალე წახვალ,  
ტირე ტირეა, ერთი ხაზია,  
ცრემლიან კოკორს, ამ ვარდის კოკორს,  
მეც დავამატე, ჩემი ცრემლები,  
სახლში ჩავირბენ, ჩემო სიცოცხლე,  
ჩავალ, ცოტა ხნით გემშვიდობები.





ლეიდეგანო ოკეანეს  
 დაეჭიდე და  
 მთელი ცხოვრება  
 ხიდს ვაგებდი,  
 ზედ რომ გაგველოთ,  
 ცხოვრების კიბეს  
 ჯებირები შემოვავლე,  
 რომ გზიდან შემთხვევით  
 საშიშ მხარეს  
 არ გადაგველოთ,  
 კლდეს შევეჭიდე  
 თვალუწვდენელს,  
 უკვალავს, უვალს,  
 ვგლეჯდი ჯაგნარებს  
 შიშველ ხელებით,  
 ეკლიანს მსუსხავს.  
 ოფლის ნაკადულს  
 ვიმშვენებდი  
 მარგალიტებად,  
 მსურს დავიწყება,  
 მაგრამ დამრჩა  
 არდავიწყებად.  
 გვერდს მიმშვენებდით,  
 მუდამ მყავდიო  
 სამკაულებად.

ეს ჩემი შრომა  
 თქვენ აქციეთ  
 ფასდაუდებლად,  
 ძალა მოშეცით,  
 ჯოჯოხეთი  
 დამამლევინეთ.  
 ფრთები მოშეცით,  
 მთები მხრებით  
 ამაწვეინეთ,  
 მიყვარხართ! ჩემი სამება  
 ხართ,  
 უფლის ნაკურთხი,  
 ღვთის ნაჩუქარი სამი  
 სხივი,  
 სამი სათუთი,  
 დედის სიცოცხლე  
 შემოგველოთ,  
 გიცავდეთ მტრისგან,  
 მადლი, წყალობა არ  
 მოგკლებოდეთ  
 უფლისგან, ღვთისგან!!!

მზია გუმბერიძე.





## მაცვალა დავლაძე

### ვსაუბრობდით.....

ვსაუბრობდით... ქუჩას წვიმის  
 რითმა აგრილებდა და ოხშივარს  
 ამოვარდნილს ქვაფენილთან  
 ნაცრისფერი ფიქრის მსგავსად  
 ჰაერს მცირე უჯრედებით აჯივრებდა.  
 ვსაუბრობდით... წვიმა შეწყდა,  
 მზის სხივები თვალში სითბოდ  
 ჩაიდვარა... ვერც ვამჩნევდით დრო  
 ერთი დღის მოგონებად, როგორ იქცა  
 როგორ უხმოდ გაიპარა....  
 ვსაუბრობდით... დარდს და ნალევლს,  
 დღის წუხილზე, მომავალზე, სიყვარულზე.

ყველა ფერზე.....აკინძულზე  
 დოგმებს ვიცავთ და ვერც ვხვდებით,  
 რომ სათქმელით ის არ ითქვა,  
 რაც რომ ნაღდად უნდა გვეთქვა.  
 ვსაუბრობდით...და გვესმოდა  
 ერთმანეთის გულის ცემა..ვერ მივედით  
 იმ აბსტრაქტში, იმ ზღვარზე და პაუზაზე  
 რაც სიცოცხლის ერთი დღისთვის  
 თუნდაც ღირდეს და ფასობდეს,  
 რომ ეს თასი ისეც აღარ გადაფასდეს.  
 ვსაუბრობდით...მოვეფერეთ ჩვენ  
 ერთმანეთს და თვალებით რაღაც ითქვა,  
 ის, რისი თქმაც მართლა ღირდა,  
 გარეთ წვიმდა,.. ქუჩას წვიმის  
 რითმა აგრილებდა და ოხშივარს  
 ამოვარდნილს ქვაფენილთან  
 ნაცრისფერი ფიქრის მსგავსად  
 ჰაერს მვირე უჯრედებით აჯერებდა.

## ბაბოს კოკით წყალი მოჰქონდა

წლებს დრო კი მორეოდა, მაგრამ  
 მოგონებებს ფერი არ შეცვლიათ.  
 ბებოს წყარიდან კოკით წყალი  
 მოჰქონდა ლოცვით, დაღლას  
 არც შეინჩნევდა მხარზე კოხტად შეიდგამდა,  
 წყალი არ ჰქონდა სოფელსა და  
 ხევში სარეცხი ჩაჰქონდათ. იქვე ქვაბები  
 შეშაზე, სამფეხზე შეძოდგობულები ..  
 ხარშავდნენ აფითქინებდნენ თეთრეულს

„კრახმალით“ გახამებულებს  
კარადის უჯრაში შეინახავდენენ.  
ბებოს წყაროდან წყალი მოჰქონდა,  
ობლების გამზრდელი ოთარაანთ ქვრივს ჰგავდა..



ზიდონებს დაგვირიგებდა ყველას ჩვენი ზომისას და  
სოფლის დუქანისკენ წინ გაგვიძღვებოდა,  
ვყიდულობით სანოვაგეს და დიდ გზაზე ყველანი  
ერთად, დეიდაშვილები და დედმამიშვილები  
მოცეზიდებოდით, გზადაგზა ვისვენებდით,  
ბებოს თვალები ხედაიანი იყო ყოველთვის..  
ასე გადიოდა წლები...დავიზარდეთ, ტყემლის აკრეფა  
და თხილის გროვება

გვიძნელებოდა, მაგრამ ბებოს ხათრით მაინც ვავსებდით  
კალათებს, გოდრებს, მერე ველებზე ლაღად დავრბორდით,  
ხევის წყალში ვთევზაობდით, ვჭყუშპალაობდით.  
ეს დრო არასდროს ხუნდება, არასდროს ბერდება,  
ჩვენ, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი განვლეთ.  
მერე, ონკანიც არის ეზოში, გზაც გაიყვანეს,  
შუქიც აღარ ქრება,

ლამჯებიც აღარ გვჭირდება, ყველაფერია...

ბებო ვი არ არის.. ბებო!!! სათნო და საყვარელი ადამიანი.  
სოფლად გატარებული ზაფხულის თვეები ჩემი საგანძურია,  
წარსული-აწმოსა და მომავლის ლამაზი შუქურაა.





სადა ხარ? დრომ შეგრძნება დაკარგა,  
 სიტყვები უძლურად ედება ბაგებს  
 და ტირიან დღეები უშენოდ  
 დაობლდა სახლი, რომელიც შენ ასე გვიყვარდა.  
 სადა ხარ?

ზაფხულმა გაათბო ეს გული და მზე ვარვარებს იმ ლამაზ  
 ფანჯრებთან,

სადაც ყოველ დილით სარკმელს აღებდი და ჰაერს  
 ისრუტავდი სევდის გასაფანტად,  
 ფრთები მოსტეხია თითქოს ჩვენს სიყვარულს,  
 რომელიც ოდესღაც გულში შემინიხინე  
 და ბევრი

მოგონება ერთად თავმოყრილი კარებს შემომძიმტვრევს  
 იისფერ ფარდაგთან.

სადა ხარ, სად გაქრა ის ლაღი დღეები, რომლებიც მაჩუქე  
 ქუჩების მირაჟად და ისე დამტოვე ვით ვუნძი მოჭრილი  
 რომელსაც ტოტიც კი არააქვს იმედად...

დრო მიჰქრის, მომყვირის წარსულის ზარათებს  
 და ისევ გავყურებ ჰორიზონტს სამზრეთით,  
 საიდან მოხვალ რომ ვიცოდე ამაღამ  
 დაგვხედები, დაგვხდები ლანდების კამარად  
 და ისევ, ვით რისხვა, ცრუ ეიფორიის დამსერავს  
 დამსეტყვავს გრძნობების გაღაფანს  
 და მერე და მერე შენ ვერსად მიპოვნი,  
 ვერც ჩვენს სახლს იხილავ სიცოცხლის ნიჟარას.  
 ..რომელიც გვიყვარდა, რომელიც გამქრალა  
 და ასე მიტოვებულს მიშველი შე განა?



მიწდორში ბაღი ვაშენე,  
 სიცოცხლის, სიყვარულისა,  
 ზღვის ტალღებს ჩანგი მივანდე,  
 ზეციურ საგალობლისა,  
 ტკბილმოუბარი მცინარე,  
 გულს გვიმლი სიყვარულითა,  
 ალუბლის ბაღებს შესცივდათ?  
 შარფი მაქვს სიყვარულისა,  
 გამთბარან მზიან დღეებით,  
 ყველი გასვლია ზამთარსა,  
 გაზაფხული კი პირს იბანს,  
 თვალებში ლაღი სხივითა.  
 შენ, ჯადოქარო ბრძენ სიტყვის,  
 განთიადს უხმობ ლოცვითა,  
 სულის და გულის ნაფიქრალს,  
 გვაპკურებ უფლის მადლითა.

### უფალო ჩემო (მამავ შეშინდი!)

ვიცი ჩემამდის სხვასაც უთქვამს ეს აღსარება,  
 სიბრძნის ჭას წწელის სახურავი ფრთხილად ავხადე,  
 ეს მწარე ყოფა სიცილ-ღიმილს დამსგავსებია,  
 თვალი ვერ მოვკარ, წლები ისე უშალ დაგკარგე,  
 სიცოცხლის წამის სიყვარული, გულით ვატარე,  
 მშობლიურ ქალაქს ვერასოდეს ვერ შევიღიე-  
 ვით ჰორიზონტი, ბედი მუდამ უკან იხევდა,  
 დალატი ფლიდი, ჩამისაფრდა თავს არ მანებებს,  
 ქარებს, ქარბუქებს ვუმკლავდები ჩუმი ლოცვებით,



ბაბუაწვერას მოჰგავს ჩემი დღეთა დინება,  
 სიყვარულს ვეძებ, ვხედავ ყველა ყვავილას-ფერში,  
 გზად ანგელოზნი მამხნევებენ დილის ნუგეშად,  
 უცხო ფრინველნი ბევრი ბუდობს ჩვენდა სამეტროდ,  
 ავარდნილ ქარებს, შიშის ზაფრვა მიწად ასწორებს,  
 გვირაბის შუქი არასოდეს არ მიღალატენს,  
 ის გამოჩნდება....

და ავყია უცხო ფრინველებს. გადაუქროლებ როგორც  
 მტრედი მშვიდობის წაშის.

ვერ შემაშინებს..ჩემს ძლიერ ნებას საზღვარი არ აცვს.  
 სიკეთის, რწმენის....

არ შემიშინდე ოცნებავ ჩემო, არ შემიშინდე..  
 ფანჯრიდან შუქი დღის ნათელით შემოიწვერა,  
 ვიცი ჩემამდის სხვასაც უთქვამს ეს აღსარება,  
 თუ შეგაწუხე უფალო ჩემო,მამავ შემიხდე!

## გაზაფხულს შვენოდა ატმის ყვავილები

გაზაფხულს შვენოდა ატმის ყვავილები,  
 ლურჯთვალა იები. იასამნები,  
 შენს ცისფერ თვალებს კი სევდა ცრემლიანი,  
 განშორების და სინანულის.  
 გაზაფხულს შვენოდა პეპლების ფარფატი,  
 გვირილებს საკინძე მორცხვად შეუხსნიათ.  
 თრთოლვა სხეულისა, ხულის თრიაქი,  
 ისევ მარტის ქარებს სადღაც წაუღიათ...  
 მოვედი შენთან,უმწეოდ ვდგავარ და  
 ვგრძნობ ჩენი ჩრდილიც გეუცხოვება.  
 სიმწვანე, სინოტივე ერთად აიბლანდა,

მიწა დაბზარულა ყვავილთა ხაზარდად.  
გაზაფხულს შვეწოდა წლები ხინორჩისა,  
ეხლა საუკუნის ჟამი რომ გასვლიათ,  
გული მიტოვებულ ეულ მიჯნურისა,  
ისევ მოთარეშე ქარებს წაუღიათ,  
რადგან სიყვარულმა დროს ისევ გაუძლო,  
ისევ ლელიანში ყვავის ყოჩივარდა,  
აპრილის, მაისის სუესხიან ამინდში  
დაველოდები მერცხალოთა ამქარს და  
..სიცოცხლე უმოკლესი და უსასრულო  
შენთვის სიყვარულო, შენთვის დამითმია.  
გაზაფხულს შვეწოდა ატმის ყვავილები...



## ენა მოქარგული, ვაზის ცრემლებია

ქართლის ისტორიებს ახლავს  
ტრადიცია განვლილი ჟამის,  
დღემდე მოტანილი ქარს ვერ წაუღია  
გვიცავს წინაპრები ფართით.  
ენა მოქარგული, ვაზის ცრემლებია,  
ჭირსა გამაგრება რუსთველს უბრძენია,  
ჩვენს ბერს და ერს ხმალი დაუძველდა,  
სიტყვის მარჯანებს კი ფერი შეუცვლია...  
რაა მთავარი? რაც შიგნით ხდება?  
თუ ის რაც ხდება ხილულად გარეთ?  
ვარგადაც მახსოვს, ყველას ხომ გვახსოვს  
განვლილი წლების ქარაშოტების?  
თითქოს წაერთვა ხმები იმ დროსაც.

როცა ყოვლისშემძლე იყო ბიზანტია..  
ყველამ ჩავფიქრდეთ, ათას წლის მერე  
ვის გზა კვალს ავრევთ?  
ვის სიხარულს ავეფარებით,  
ვის გამარჯვებას დავამარცხებთ  
ცდომილიანი გზების წყალობითა...  
ჩავფიქრდეთ ყველამ, გავუშალოთ სუფრა  
მოწვეულ ჯალათს,  
რად ვიიოლებთ ყველაზე უფრო,  
საკუთარ თავის დასჯას და დალატს,  
ვის დვარძლიან მოსავალს ვიმკით,  
რომელ წინაპრის, რომელი დროის, რომელ თაობის?  
დავფიქრდეთ ყველამ.. მიამავალი გადავარჩინოთ ..

მაცვალა დავლაბე







ინა ეკელი

ბჭარა

არსიანის ქედის გავლით ციხეს ხიობათს მივყავარ,  
ჭანჭახის მთას, მწვანე ტბასთან, ბევრი გვირილები ვნახე.  
ქვაბლიანის მდინარიდან ნაღვარვის წყალი შევსვი.  
ჭვანის წყალი, ხულოს თავოს... ამარაგებს მისი პეშვიო.  
ყინჩაურთან სხალთას ვიყავ, ჩირუხისწყალს მივყავარ,  
რკინისკართან, შავშეთის ქედს, მახუნცეთი, ქედა ვნახე.  
მტირალას მთას წვიმა მოდის, მახინჯაურს ჩაქვში ევლი,  
ქობულეთის ნაკრძალისკენ ჩოლოქი მქვს გასავლელი.  
ტბიყელის ტბას მივყავარ, შუახევი მოვილოცე,  
ფურტიოდან დიდაჭარას თავოს მთები გამოიცვებს...



კახაბერის ვაკეს ვჭევრავ, ბათუმს ველი ძველი განცდით,  
 კვარიათთან, გონიოსთან, სარფის საზღვარს უკვე გავცდი.  
 ხელვაჩაურს, ჭოროხს ვუმზერ, მაჭახელა მოვიარე...  
 გოდერძის მთის მწვერვალუბზე არწივებმა გამახარეს.  
 მესიზმრება ჩემი მიწა, ფიქრით იქ ვარ რა ხანია...  
 ხაზულს, ბანას, ოშკს და მარხალს ჩემი ლექსით მივყავს,  
 სიმწრისაგან სვებედგამწყრალს მთელი გული მიცახცახებს.  
 მტირალას მთას წვიმა მოდის.


### ჰელადოს

იანგულაყით ვბრუნდები სახლში,  
 ელადა ისევ შორი გამხდარა...  
 გემი წავიდა, მე კი ნაპირზე  
 მინდა, რომ შევეკრა ჩემი კამარა.  
 ათენი, სპარტა, კიდევ კორინთო,  
 ის დორიული თეთრი სვეტები...  
 წარსულის გზებზე უნდა მოგიტაროთ,  
 სადაც წლებია მივხეხეტები.  
 იონურია ტაძრის თალიც კი,  
 ორაკულს ისევ მგზავრი მოულის...  
 ოიკისტი კი ისევ კითხულობს,  
 გზა რომელია, შორი რომელიც,  
 მათ იქ მიიყვანს, სადაც რჩებიან,  
 შინისკენ წასვლას ვერ გაბედავენ...  
 თუკი საშობლო მოენატრებათ,  
 წამში უფსკრულში გადაჩეხავენ.  
 კოლონიას ისევ ნაპირზე,  
 დიოსკურია და პიტინტი...  
 კუტაიაში კვლავ ამზადებენ,  
 სელის ნაწარმს და კომკებს აგებენ.

სურაფიტას დრო როდის დადგება.  
 ბაღში რომ დარგავს ვარდებს მაისის...  
 იოდმანგანი ეზოსმოძღვართან,  
 აგრიპასავით დღეებს დაითვლის.  
 მეფე ქსეფარნუგ, ახლა სადა ხარ,  
 სად გაქრა შენი ის ბრწყინვალეობა...  
 გავხედავ გზას და ფესვი ქართული,  
 ჩემი წარსული მომენტრება.  
 ეპიტაფია ორენოვანი,  
 ბილინგვის თალი ასე რომ მოჩანს...  
 არ უწერია ქვეყნად გაქრობა,  
 დავითიანთა ღირსეულ მოდგმას.  
 იანგულივით ვბრუნდები სახლში...

## მზის დარი

გიორგი თანამოსაყდრედ თამარს დაისვამს მარჯენიდან,  
 ამ დროს ზეცაში არწივი ისე ამაყად აფრინდა.  
 წინ გაიშალა ეპოქა დიდებისა და მწვერვალის,  
 თორმეტ ბერს სამოსს უკერავს ქალი, უფლისა მხევალი.  
 გნოლისთავისძე აკურთხებს, საღირისძენი ლოცავენ,  
 ორგულნი, ყუთლუ არსლანნი, ისე ძალუმად შფოთავენ.  
 ზუამაქ ცოქალი, კრავაი მივლინებულნი ელჩებად,  
 ეკ, ადრეც ასე ყოფილა, ხეს ჭია შემოესევა.  
 ყუბასარსა და აფრიდონს თანამდებობა შეარგეთ,  
 მერე ისეთი დამართეთ, ცეცხლი მათ გულშიც შეანთეთ.  
 ის ერზინკული ამირა, ცხენის ნალში რომ გაცვალებს,  
 დარუზანდ-შამახიაზე და დვინ-არზრუმზეც დავდივართ.  
 დროშაც ჩვენია რუმელო, სილა შეგარგოთ გამჩენმა,  
 ამილახვარმა თორელმა „კვიცი გვარზე ხომ გახედნა“.



სარგის მხარგრძელი სპასალარ, „ისტორიანი აზმანნი“  
და ბასილ უზოსმოდვარო, ბევრი ტკივილის ამტანი,  
ჯვარი, მონეტა, ფრესკები და სათნოება მზისებრი.  
ანათებს, თუმცა სინათლე არც რა იქნება მოსებრი.  
უფალს ვევედრე წუხელის, შენი საფლავი მენახა,  
რომ იქ ნანახი ფიქრებით აწმყოში შემომენახა.  
გემებდი გელათს, მცხეთაშიც, იერუსალიმს ვიყავი,  
მერე შხარაზე ავედი, ბუთქილს ვუაშბე სიწმარო.  
კომწენოსია ტრაპიზონს და საკეისროც აქვეა,  
ძველი დიდება ხარკს ითხოვს, მირონი ისევ ხატზეა.  
ლამა-გიორგი მონღოლთა, გულში ნასროლი ისარი  
და რუსუდანის მეფობა რადაა გაუცინარი.  
ულუ, ნარინი მოდიან! საქმე კეთდება რა რთული...  
გვემახსოვრება თაობებს ის დიდებული წარსული!

### მკითხველს...

მე არ მექნება წიგნის აფიშა,  
არც ბილეთები სხვა...  
თვალსაწინო, ნეტა,  
ბოლოში მე ვინ შემრჩება,  
ჩემს მეგობრებში ჩამოსათვლელად.  
ახლა პურს ვგავარ თონეში ჩაკრულს,  
ლექსებად იწვის ხორბალი ცეცხლზე...  
მე მაინც ვფიქრობ, დაბადებაზე,  
იქ, ჩემი წასვლის ერთადერთ ადგილზე.  
აგური მინდა, ზოგჯერ რომ ვიყო  
და ზედ ლექსებად პურებს ვაცხოვდე...  
მქონდეს ხორბალი თავზე საყრელად,  
მე მაინც მახას, ზანდურს ვნატრობდე  
მე არ მექნება წიგნის აფიშა,

არც რეკლამები, სხვა, თვალსაჩინო...  
ძკითხველო, ვნატრობ, ერთ დღეს შემომხვედე,  
ჩემი სტიქიით აღმომაჩინო.



## ვერბ

ვერის აღმართზე წამით შევჭყრდი,  
წარსულს ვფურცლავდი მისი სტიქიით,  
რად გაძახხენდა ხიდი მეტყვისი,  
ნეტავ, რას ვამბობ ჩემი მისიით.  
მივვარს თბილისი, ისევ სიზმრებში,  
ფერად-ფერადად ვხედავ კინტოებს  
და მაინც, მაინც ცხელი ივლისი,  
სულში სევდას და ნალველს მიტოვებს.  
სირაჯხანაში ვხედავ მექისეს,  
ვხედავ აშულებს ძველი ბაზრიდან...  
ასე წყეთაობით, ასე ბრძოლებით,  
ჩემი ცხოვრება თითქმის გავიდა,  
მოველ შორიდან, ცხრა მთის მიღმიდან,  
შენ არ გინახავს სად დავიბადე,  
მთების ნამდვილი ამორძალი ვარ,  
მეც მექონდა ჩემი იქ „ოდაბადე“:  
მოველ, თბილისო, გულში ჩამიკარ.  
მთაწმინდას ხშირად ვესაუბრები...  
ჩემი ლექსებით და ქარიზმებით,  
შენს დიად წარსულს ვესაუბრები,  
ნარიყალასთან ხაზარს რა უნდა,  
ჯალალ-ად-დინი რისხვას რად აფქვივს...  
ალა-მაჰმად-ხანს ხატი გაუწყრა,  
შინაურებმაც ხომ დააშავეს.

ცვივა ფოთლები ვერის აღმართზე,  
ქუჩას მივყვები კოლხი ასული,  
ყოველი დღეა შენთან, თბილისო,  
ჩემთვის პატარა დღესასწაული.  
მოველ შორიდან...

43

მივუკაკუნე, შემოდგომას ორმოცდასამჯერ  
და ამდენივე ზამთრის პირი გამოვიცვალე...  
კიდევ რამდენს, ან მერამდენედ ჩემს ფიქრს გადავწერ,  
ან ჩემს სიცოცხლეს ბრძოლის უელზე, სად დავასრულებ,  
გილგამეშიდან, ხამურაბის კანონებამდე,  
შუმერებიდან, აპადანას კიბეს ავივლი...  
მერე, სოკრატეს და პლატონის აზროვნებამდე,  
არისტოტელეს იმ ლოგიკით დღეებს დაეითვლი,  
მე მერამდენედ უნდა ვიშვა ისევ ქაფიდან?!  
ან სად ვეებო მე საბრალომ ჩემი სხეული...  
როცა ამქვეყნად დიდების გზა უკვე ჩავიდა  
და თარემს იწყებს, აზანზარებს ხმელეთს გრძნეული.  
მივუკაკუნე შემოდგომას ორმოცდასამჯერ  
და ყველა მუზა მეხმარება მუზად მაქციოს...  
მე კი მანამდე მთავარ სათქმელს ბოლომდე დავწერ,  
უფალს ვეტყვოდი, ჩამეჭიდოს, არ წაშაქციოს.  
მივუკაკუნე შემოდგომას... მივუკაკუნე!



კავკასიონზე მზე ამოვიდა,  
 ნისლში მიცურავს თითქოს სამყარო...  
 წვეთი მიწაზე ზღვად გადმოვიდა,  
 რა ლამაზია ახლა ბახმარო.  
 იქით სანთელი, აქეთ სათიბი,  
 ან რა გამოლევეს საქმეს სოფელში...  
 მოქარგულია ისე ქათიბი.  
 რამები თვლემენ სახლის ბოსელში.  
 დავესესხები ზამთარს, ყინულებს  
 და შემოდგომაც მის ფრთებს მათხოვებს...  
 ზაფხულის მზე კი, როგორც ფიტულებს,  
 პანტომიმების ჩრდილად გვაცხოვრებს.  
 კავკასიონზე მზე ამოვიდა,  
 მარაოებად ხეებს ვიჩრდილაგ...  
 უკვე დავნიშნე ჩემი წამზომი,  
 მალე, სამყაროს აღქმულს ვიზილაგ.  
 სისხლად ჩავისხი ტალღის წვეთები,  
 სული ვისესხე ლექსის სანაცვლოდ...  
 ახლა ზეციდან მიწად ვეშვები,  
 რომ საკუთარი თავი გაგაცნოთ.  
 დავედევნები ჩიტებს გალობით,  
 რვეულსაც ფურცელს დავესესხები...  
 ყოველ ნაბიჯზე უფლის წყალობით,  
 ლაბირინთებში დავეხეტები.  
 კავკასიონზე მზე ამოვიდა...  
 მინოტავრები მოვაჯადოვე...  
 რადგან სიცოცხლე ზღვად გადმოვიდა...  
 ერთი სიცოცხლე კიდევ მათხოვეთ!



დაბადებამდე ვინ ვიყავ ნეტავ;  
 ალბათ კოსმოსში ვხეტიალობდი...  
 იქნება, ხეზე სადმე ვიჯექი  
 და ბულბულივით ნაზად ვგალობდი.  
 ეგება, იმ ტყის ალი ვიყავი,  
 სადაც სულ მუდამ კოინდარია...  
 მე სულ მინდოდა ერთხელ მეზღერა,  
 აფე მარია, აფე მარია.  
 დაბადებამდე არც ვინ ვიყავი,  
 ზღვის ფსკერზე დიდხანს,  
 დიდხანს მეძინა...  
 ჰო, მე მინდოდა ამომეყვინთა,  
 სიცოცხლის ხაზზე დიდხანს მერბინა.  
 კიდევ მინდოდა, ვყოფილიყავი  
 თემიდასავით სამართლიანი...  
 ჰო, მე სიცოცხლე გამოვიგონე,  
 რომ ვყოფილიყავ... ა დ ა მ ი ა ნ ი!

### აღამიანო!

მოდო, გეძახი, აღამიანო,  
 დღიდან გაჩენის ჩემს თავს დავეძებ...  
 ასე მგონია, თუ გამიჭირდა,  
 პეპლის მაგივრად დღეს მე მასესხებ.  
 ეს მე ვიყავი საუკუნეში,  
 ბაწრად რომ ვკრავდი ჯაჭვის ნაწილებს...  
 ხან კი ამღვრულ, იმ ზნელ მღვიმეში,  
 ჩემი ცრემლები ზღვად დავაწვიმე.  
 ჰო, იქაც ვიყავ შენთან, უფალო,



გოლგოთის გზაზე ეს მე შემოგხვდით...  
 არ ჩაუვლია ამ წლებს უკვალოდ,  
 შენი ნათებით ძუღამ მშველოდი,  
 ლაზარესავით სული მაჩუქე,  
 აჰა, მიიღე დღეს საზღაური...  
 ახლა სავსეა ისეთი გული,  
 ყოველი დღეა დღესასწაული.  
 მოდი, გეძახი, ადამიანო,  
 კატაკომბები გამოვიარე...  
 წვიმდა, მათოვდა, ქარები ქროდა  
 და ახლა უკვე გამოვიდარე.  
 დღიდან გაჩენის მე ჩემს თავს ვეძებ...

### გაზაფხულივით

გულის ნახევრად ხომ მეგულები,  
 სულ რომ დაგეძებ, თუმცა ჩემთან ხარ,  
 შენა ხარ ჩემში ძველი თქმულება,  
 სიზმრად ნანახი აღმოჩენა ხარ.  
 ნულა გამკიცხავ წერის გულისთვის,  
 ასე მე ყოფას ხომ ვიადვილებ,  
 ისე ქათქათა გაზაფხულივით,  
 მე, ჩემო კარგო, ვერ ვიაპრილებ.  
 გულის ნახევრად ხომ მეგულები,  
 სულის ნაწილი მაინც, დამითმე,  
 მე ხომ, არასდროს წაგეჩუბებო,  
 როცა მციოდა, სული გამითრე.  
 ნულა გამკიცხავ წერის გულისთვის,  
 მე შენგან ქარებს არსად მივყავარ,  
 ნუ გამიმეტებ წერის გულისთვის,  
 შენ ხომ, მთლიანად დედამიწა ხარ.



მონტესკიე, რუსო, დენი დიდრო  
 და ვოლტერის სარკასტული ხედვა...  
 დანტე თავად სამოთხეში გვიხმობს  
 და პეტრარკა სონეტებით გვხედავს.  
 შენ, ბოკაჩო, უფრო პროზას წერდი,  
 ნოველებად ალაგებდი რითმებს...  
 იქნებ წამით თქვენთან იყო ლმერთი,  
 ვერგილიუს, შენც მგზავრობას იწყებ.  
 „ღვთაებრივი კომედია“ შედგა,  
 ბეატრიჩე უდროობას ჩივის...  
 ცხოვრება კი ხან იქცევა დელგმად,  
 ხან სამყარო ისევ უკან მიდის.  
 „ღვთაებრივი კომედია“ შედგა.

## უფალო!

სიზმარში გავცხადდებოდი,  
 ზეცისკენ გავფრინდებოდი,  
 კარებთან შეეჩერდებოდი,  
 ფრინველში ჩავსახლდებოდი.  
 ზღვასავით ავლელდებოდი,  
 კვირტებად ავფეთქდებოდი,  
 უჩუმრად ავტირდებოდი,  
 მერე მე მიმიხვდებოდი.  
 მზესავით გავბრწინდებოდი,  
 ცასავით გავნათდებოდი,  
 გვირილად ავყვავდებოდი,  
 არასდროს არ მოვკვდებოდი,  
 ოღონდაც შემომხეიდროდი.

შენს ფეხით დავედებოდი,  
არასდროს დავიღლებოდი,  
მიწასაც ავცილდებოდი  
და ცხადშიც ამას ვიტყოდი,  
უფალო, მეყვარებოდი.  
ახლა კი არა, მაშინაც  
უსაზღვროდ მენატრებოდი,  
სიზმრად ერთხელ რომ მეხილე,  
უფალო, გადავრჩებოდი.  
მთელი სიცოცხლე გელოდი,  
ჩემს სულში სხივად შემოდი,  
მთელი ცხოვრება მშველოდი,  
შენს საგალობელს ვმღეროდი,  
ხან თითქოს ვმოღვაწეობდი,  
ხან ჩემთვის ვმეცხადებოდი,  
მადლობელი ვარ, უფალო,  
ლექსებით მზეზე ვთბებოდი,  
სიზმარში გავცხადდებოდი.

ია ცეცილი





## როდამ თევდორაშვილი

### ბამოსავალი ლაბირინთიდან

ქართულის გონებავ, გამობრწყინდი, გამოანათე,  
ხომ გახსოვს თავი, რაც უფალმა შეგქმნა, იქიდან?  
ამ უკანასკნელ გამოცდაზე არ ჩაიჭრები,  
თუკი შეამჩნევ გამოსავალს ლაბირინთიდან.  
კარგად დაფიქრდი, გაიხსენე კაცის ამბავი,  
რომელიც წყალში იხრჩობოდა, დღე ადგა შავი,  
არ სურდა უფალს გაეწირა ადამიანი,  
გასაჭირში მყოფს გაუგზავნა საშველად ნავი.  
კაცმა იფიქრა – მიშველისო ღმერთი ისედაც,  
არ აღმოაჩნდა ხალი აზრი საცოდავს თავში,  
ხელი აღაპყრო ცისკენ, ლოცვა განაგრძო მხოლოდ,

არ ჩაჯდა იგი უფლის მიერ ბოძებულ ნავში.  
...დაიხრჩო კაცი და როდესაც უფალთან წარსდგა,  
წყენა გამოთქვა ღმერთის მიმართ ამ უმადურმა,  
ურწმუნომ, ბრიყვმა, უზირმა და მიუსვედრულმა,  
მან გულისწყრომით მამაუფალს უსაყვედურა...  
ღმერთმა გიბოძა, კაცის ძეო, მაშველი ს ი ტ ყ ვ ა  
(თუ გახსოვს თავი, რაც უფალმა შეგქმნა, იქიდან),  
ბრიყვი კაცივით ნუ უარყოფ გზას, გადამრჩენელს,  
რამეთუ იგი გამოგიყვანს ლაბირინთიდან.

### აზროვნების კორექტირება

გრძელობდა ასე – დაუსრულებლად  
ცხოვრების წესის ეს თვითდინება,  
თუმცა, უფალმა უკვე ინება  
ამ აზროვნების კორექტირება;  
მაგრამ ჯიუტობს ადამიანი  
და ამ სიურჩეს ბოლო არ უჩანს,  
თავი ჰგონია მეტად ჭკვიანი,  
უფლის ს ი ტ ყ ვ ა ზ ე თვალი დახუჭა.  
როდესაც ვიწვწევთ ამ მოქმედებით,  
უფალს დავუწყებთ ისევ მდურებას,  
ძველ ლიბე-ფორეს ისევ ვედებით,  
ხდება ახალი უბედურება...  
რაა მიზეზი ამ კომმარების,  
ნუთუ მიხვდერა ასე ძნელია?!  
ადამის ძევ, ამ ცნობიერებით  
ჩვენი ცხოვრება არაფერია;  
მაგრამ შენ გინდა, რომ კვლავ განაგრძო  
ძველის სმენა და ძველის ყურება,  
ეს კი ნიშნავს, რომ ისევ გაგრძელებს



ჩვენი ტანჯვა და უბედურება.  
 ...ისევ მოქმედებს საკუთარ ნებით,  
 ისევ თავისი თავის მტერია  
 და ადამიანს ამ აზროვნებით  
 დღეს გადარჩენა არ უწერია.  
 გავითავისოთ მაცხოვრის ნება  
 ჩვენი მისია და ჩვენი ვალი,  
 მაშინ გვადირსებს ბედნიერებას  
 და გადმოგვხედავს მოწყალე თვალით.  
 ჭეშმარიტებას უნდა მივეჩქოთ,  
 შევიცნოთ სწორი აზრის დინება,  
 ჩვენ უფლის ს ი ტ ყ ვ ი თ უნდა ვინებოთ  
 ამ აზროვნების კორექტირება.

**მამ, ლექსი რის გაქნისია?!**

კადნიერება და წერა ლექსის  
 ითვლება ბედად და დიდ პატივად;  
 ყველა წერს ისე, ვის როგორც ესმის,  
 „პარგად იგი წერს, ვინც წერს მარტივად“.  
 მტერი ყოველდღე გვაყენებს ზიანს,  
 ყველა ჩვენგანი ვუცქერით ამას,  
 ვეთაყვანები იმ ადამიანს,  
 ვინც ეძებს ქვეყნის უებარ წამალს.  
 გთხოვთ, დობე-ყორეს ნუ მოვედებით,  
 რაც მთავარია, ვწეროთ იმაზე.  
 უკვე წუწუნი აღარ ეგების  
 მხოლოდ მე - ზე და მარტო პირადზე.  
 ერს მოეფერე, სათქმელი უთხარ,  
 ოღონდ სიმართლე და არა ისე,  
 როგორც აქამდე, მწერალი თუ ხარ,

მოვალეობა გაითავისე.  
 ქვეყნის წამალი უკვე არის მზა,  
 ჭკუას ლაგამი დროზე ამოსდე,  
 ჯერ დაინახე გადარჩენის გზა  
 და ერი შენი მერე დამოძღვრე.  
 სწორად გაჰყევი ბილიკებს სავალს,  
 შენი სამშობლო უკვე სხვისია,  
 თუ არ ასწავლის ერს გამოსავალს,  
 აბა, მაშ, ლექსი რის მაქნისია?!

### ვაჟა-ფშაველას (აკროსტიქი)

ვ – ერ შეგედრება ვერავინ, ბუმბერაზს ფშავის მთებისას,  
 ა – რავინ დაბადებულა, მსგავსი მაგ შენის გენისა,  
 ე – ამია, უნდა ქომაგი ამ ჩვენს ღვთის სადარ ენასა,  
 ა – რავინ არის პატრონი, დაუძინია ყველასა.  
 ფ – უი, ჩვენს მტერსა, ვაჟო, „რა დროს ჩაუგდამთ  
 ხელადა“,  
 შ – ინაურ მტერნიც ტოვებენ თავიანთ სახელს წყევადა,  
 ა – ღარვის ახსოვს მამული, საბრალო, ითხოვს შევლასა,  
 ვ – ეღარ გამოჩნდა წინმძღოლი, ყველა ჩამჯდარა კერასა,  
 ე – რი ხელსაც არ ატოვებს, უფალს მიაპყრობს შხერასა,  
 ლ – აჩარი როდი ყოფილა, მჯობნი ყოველითვის ყველასა,  
 ა – ნ უფალმა ვით გვიშველოს, ერს, ჩაჩანაკის ფერასა?!



მე ჰოვაგროვებ გრძნობებს, გულში სადაც მიძალულს,  
 ურჩი ფიქრები დანატრებულ სითბოს დანებდა,  
 თავს მალლა ავწევ, კიდევ ერთხელ ვუმღერ სიყვარულს  
 და ვიზეიმებ გაზაფხულის შემობრძანებას.  
 ზეცა ლურჯია, დიდებული და არნახული,  
 ბუნება მწვანე სამოსელით გაიზაფხულებს,  
 თოჯინასავით ხის ტოტებზე ზის გაზაფხული  
 და, სადაც არის, ლამაზ თვალებს ააფახულებს.

### თუ ვირწმუნებთ...

„ირწმუნე და ქვეყნის დიდებას იხილავო“.  
 /ზიზლიიდან/

ოვ წელზედაც მეტი გარდამოხდა...  
 ჩვენ გვგონია, რომ ვაზროვნებით, ვითომ,  
 ქვეყანაში უფლის მოსვლა მოხდა,  
 „არაფერი ხდება შემთხვევით“.  
 უამია და მეტი არც-რა ითქმის,  
 ქვეყნის ბედი შენი გონით ფერე,  
 თუ ირწმუნებ ზევით მოსვლას ს ი ტ ყ ვ ი ს,  
 ღვთის დიდებას იხილავო მერე,  
 საქართველო არ დარჩება მთელი,  
 დმერთი როგორ გადმოგვხედავს ციდან,  
 როცა არ გწამს და პირიქით ელი,  
 როცა ცოდვილს ჯერ დიდება გინდა.



## სულის საკვები



მციოდეს სხეულზე, არ ვჩივი, ავიტან,  
დე, იყოს ზამთარი, სუსხი და სიცივე,  
უმკაცრეს ყინვებსაც როგორმე აიტან,  
სული კი – სიცივეს ვერაფრით იცილებს.  
ამიტომ გულები გავითბოთ, რადგანაც  
სულს მისი სითბოთი ეტყობა სიცოცხლე,  
არადა, უმისოდ მწელდება ატანა,  
სითბოს თუ მოაკლებ, მოკვდება, იცოდე.  
ადამიანებო, ვიზრუნოთ ერთურთზე,  
სიცოცხლე სულისა – მხურვალე გულია,  
იგი ხომ სიცივეს ვერაფრით ვერ უძლებს  
და სულის საკვები – თვით სიყვარულია.

## მ ი მ ღ ე რ ე ...

ისე მიმდერე, გაბრწყინდეს ზეცა,  
ვარდებმა ტრფობით მიხადონ ვალი,  
სხივებს საჩუქრად მიძღვნიდეს მზეცა,  
იებმა ჩემთვის ახილონ თვალი.  
მიმდერე ისე, დაატკბო სმენა,  
რომ არ დამთრგუნოს მზერამ ირიბმა,  
იასამნებმა მასწავლონ ენა,  
აღარ იტიროს ბაღში ტირიფმა.  
მიმდერე ისე, რომ ერი ჩემი  
აღარ იწყოდეს ბნელეთის აღზე,  
სამშობლოს ღვარად ნადენი ცრემლი  
სამუდამოდ რომ შეაშრეს თვალზე,  
ვინძლო, ნისლებად ეფფინო მთებში,  
ყვავილნი აღარ ჭკნებოდნენ, ვინძლო,  
რომ დავიძინო ამ ჯოჯობეთში  
და სამოთხეში გამოვიღვიძო.



სიცოცხლე ჩვენი დროებითია,  
 სანამ ინებებ წასვლას ზეცამდე  
 და ვიდრე ბოლო ღამემ გითია,  
 ეცადე, შეძლო, შეძლო, ეცადე,  
 რომ დათოვლილი გზა-ბილიკები  
 მოყვასს სავალ გზად გადაუთოვო,  
 რაც მთავარია, იცოცხლო ისე,  
 გულზე ქრილობა არ დაუტოვო,  
 დარჩი ქრისტეში  
 როს დღის ნათელი მიატოვებს  
 ქვეყნიერებას,  
 მრუმე სიბზნელე გამეფდება  
 უმთვარო ღამით,  
 როცა ფერები უხუნდება ბედნიერებას,  
 მიღიხარ, მაგრამ არ კი იცი,  
 რატომ და საით...  
 დარჩი ქრისტეში, არ დაგძლიოს  
 კერაგმა ეშმაკი,  
 ვიდრე არსებას უიმედო ფიქრნი გათელენ,  
 გამოიფხიზლე და უფსკრულში აღარ ჩაეშვა,  
 გზას, უფლის მადლით, ვარსკვლავები  
 გაგინათებენ.

როდამ თევდორაშვილი



## ამირან თოდუა

### ველოდებით სამართალსა!

რომ გაუგოს კაცმა კაცსა, განაკაცა ღმერთმა შვილი;  
თვალწინ ქცევა მართლისასა, რომ გვექონოდა გადაშლილი!..  
ბრმამ ვერ ნახა, როს ღვთისშვილი, მოეგება ხელგაშლილი...  
ყრუმ ბგერაც კი ვერ გაიგო, ასე დაურჩით სული აშლილი!  
რომ შეხედა ღმერთმა საქმეს, ეშმაკისთვის მოსაწონსა...  
ხსნა წილად ხვდა მხოლოდ ნოეს, სხვისთვის წარღვნა  
დაანონსა!..

იეშმაკა აქაც ეშმამ, ნოეს შვილად შეიმოსა...

წყვილ მართლებთან კიდობანში, რომ თვითონაც შეეცნოსა!  
კვლავ მომრავლდა ხალხი ხმელეთს, წარღვნისაგან  
მთენილები...

ღვთის წყალობით, კიდობანში, სიკვდილს გადარჩენილები!..  
თან გამრავლდნენ შიგ ავთესლად, ეშმას შემოჩენილებიც...



-ვისურვებდით კვლავ დვთის მოსვლას, დაუშვებლად ცდომილებს!

... ზე-დიდებით უფლის მოსვლით, ველოდებით სამართალსა!..

იზიძის, რომ მართალმა, დაუზნელდეს თვალთ ავსა!!

### ნ ე ს ი - ნ ე ს ა დ !

ადათ-წესი ჩვენი მათთან, შეადარა ვინაც კარგად...

კარგად მიხვდა, წესი მათი, ჩვენთვის ნაღდად აღარ ვარგა!..

წესი, ჩვენი შეუქმნია, ღმერთს ცხოვრების უჭკნობ დარგად;

და ამიტომ ჩვენს ძველ წესებს, ვეჭიდებით დღესაც მაგრად!

ჩვენი ჩვენთვის!.. მათი მათთვის!.. ეს ინება ასე ზენამ!

სხვისი ვისაც თვისად უნდეს, დააყოვნა მისთვის ლხენამ!..

წარღვნა-შფოთვის ცხელ ქარ-ცეცხლში,

გაგვატარა ღმერთის წყენამ...

კმარა!.. მივსცეთ საშუალება, რომ გვიშველოს უფლის რწმენამ!

ის ხომ გვინდა, რომ მაღალმა, იქ იზრუნოს ჩვენზე დღესაც!

ჩვენითვის მთვარემ იკაშკაშოს, მას შეჰმატოს შუქი მზემაც!..

ზე-კანონი კანონობდეს, მხარს უზამდეს მას თან ქვენაც!

თავს თუ სხვები კარგად გრძნობენ, უკეთ ვიგრძნოთ თავი ჩვენაც!

სხვის ნაჭუჭში თავს ნუ ჩავრგავთ, ჩვენი გვექონდეს მუდამ ფარად!

თუ სიმართლეს ვიქადაგებთ, შეებას ვიგრძნობთ კარდა-კარად!..



ჩვენს წესს ვინმე თუ აგვიმღვრევს, ეს იცოდეს უნდა მყარად!

მას უფალი დასჯის მალე, სოდომის და გომორს დარად!

.. ჩვენი - ჩვენად ავითვისოთ, ჩუ შევხედავთ, ზედაც, სხვისას!..

წესი - წესად ვინც იჯულა, ყვეარება დედას ღვთისას!!!

### შევუდგეთ მალლობს !

ხშირად არ ხდება ასეთი რამე...  
 ელვას არ მოჰყვეს, ხოლმე, ქუხილი!..  
 ჩრდილო ორკობებს მოაწვა დამე...  
 შობა, ძმებს შორის, შძიმე წუხილი!  
 ჩრდილი მოიწვეს, ჩუმად - ტაატით...  
 შუაგულ ეზოს შემოაღწია!..  
 გიყს, ჯერ, სიგიჟე ველარ წავართვით...  
 და ეს სისუსტის, ჩვენის, ღვაწლია!  
 ვერცერთმა ძმამ, აქ, ველარ ვივარგეთ...  
 ველარ გავხედნეთ რაში უბელო!..  
 ჩვენც ღამის ბინდში გადავიკარგეთ...  
 გველეშაპს თვალი ვის დაუბნელოს?!  
 მნათევ!.. ჩირადდანს მოგვაწვდი როდის?..  
 როდის ავხადოთ ფარდა სიბნელეს?..  
 დავგმოთ სიბევე, რაც ძმებში მოგვსდის...  
 ყოფას, რომელიც, მეტად გვიძნელებს!  
 ერთი, რომელიც დალპა თვითონ და...  
 ათასი ვაშლის დაღობობას ღამობს!..  
 გაქრეს!.. არ იყო ჩვენთან ვითონ და...  
 კვლავ, მწვერვალისკენ, შევუდგეთ მალლობს!!!



სული!.. დამდგარხარ სიოხთან...  
 - მოშიალურსოს სიომო!..  
 მე ვდგავარ საიქიოხთან...  
 სიკვდილთან უნდა ვიომო!  
 უნდა მოვიგო ეს ბრძოლა...  
 დამიჯდეს თუნდაც ცხოვრება!..  
 ღირდა, შენც ჩემთან გებრძოლა...  
 სიცოცხლის დამახსოვრებავ!  
 უკვდავს ცხოვრება რად უღირს?..  
 რაც წამზე წამიერია!..  
 ის არ გაიხდის აქ უღირსს...  
 სიცოცხლეს, ამიერიდან!  
 სიცოცხლე რჩება სიცოცხლედ...  
 ის მარად სანუკვარია!..  
 და ვინც გაყიდოს ის ვერცხლად...  
 მწამს თავიდანვე მკვდარია!  
 ნება შენია უფალო!..  
 სად დამიწესებ ყოფის ჟამს!..  
 იქნებ შევეშვათ უბრალოდ...  
 სიცოცხლის ხაზის მომიჯვნას!  
 შენ ამირანად დამზადე...  
 დევებთან მეომარია!..  
 მათთან მათვე დაბმამდე...  
 ვინც ეს ცხოვრება არია!  
 მერე დამაბი ისევ და...  
 ხორცად დამფლითოს ყორანმა!..  
 ოღონდ ვინც მუმლსა გვისევედა...  
 ის შორს წაიღოს ზორანმა!!!

ქართველნო, ღვთისშვილნო!.. ქრისტეა ჩვენს შორის!..  
 ჩვენი ძმად შემკვერელი, უწმიდნეს ბარძიმად!..  
 რა ხდებდა?.. ერთურთი ასე რად გვეშოროს?..  
 ეგ მხრები, ცოდვისგან, ასე რად დამძიმდა?!  
 ქართველნო, ღვთისშვილნო!.. ენა გვაქვს მამასი!..  
 თვით დედა ღვთისმშობელს, ჩვენთან აქვს პერანგი!..  
 იმ რწმენით შევიკრათ, რითაც ვართ ლამაზი...  
 და მტრები გავრგვოთ, ურჩნი და ვერაგნი!  
 ქართველნო, ღვთისშვილნო!.. სახლად გვაქვს სამშობლო!..  
 იქ სადაც, უფალი თავის კვართს ინახავს!..  
 იქ სადაც, მთის წვერებს ჯვარი აქვთ თავ-ბოლო!..  
 ... და შაინც, ღალატიც!.. აქ ბევრი გვინახავს!  
 ვის დააქვს ეს ვალად?.. ვისია ეს ცოდვა?..  
 რომ დღესაც ვერა ვართ, ერთ კონად შეკრულნი?!  
 მალე თქვას: "მე ვარო"!.. დაეწყოს მას ბოდვა!  
 ქვესკნელში განწესდნენ!.. ასეთნი ბედკრულნი!  
 ქართველნო, ღვთისშვილნო!.. ვინც დარჩით მამებად!..  
 ვინც ვერ ხდით თქვენს სინდისს, საქონლად ლიკვიდურს!  
 ნაბიჯის ყოველ გოჯს, გიზომავთ სამება!  
 სურს შუქი მოჰფინოს, ჯვრებს გულზე დაკიდულას!  
 ქართველნო, ღვთისშვილნო!.. გთხოვთ დროზე გავიგოთ!..  
 რომ ჩვენ ვართ იმ ვალში, რომ არ გვაქვს ერთობა!..  
 რომ ყველას ცალ-ცალკე გესურს კოშკი ავიგოთ!..  
 თითქოსდა გვშელოდეს, იქ მარტო, "ღმერთობა"!  
 ... თუ კონას ვერ შეკვრავთ, ვარდის და გიშერის!..  
 ვერასდროს, ვერავინ, ჩვენ ველარ გვიშველის!!!



იყო დრო და... კიდურებით,  
 ემოძრაობდით, მშვიდად, მხოლოდ!..  
 ამას, მე, არ ვიმდურები...  
 არც ვწუწუნებ უთავბოლოდ!  
 მაშინ, ჩვენს, ბრძენ ზუნებაში,  
 ყველაფერი გვქონდა ახლოს!..  
 ვსოხოდით ღმერთს კარგ ზუნებაში,  
 თავისთავს, რომ დაგვაახლოს!  
 ასე ტკბილად!.. ასე ლალად!..  
 კი ვცხოვრობდით ცხრაას წლამდე!..  
 ულამაზეს ბილიკს ბალად...  
 მივყვებოდით ღმერთთან ცამდე!  
 - ეშმას ეს არ მოეწონა...  
 ააჩქარა პროცესები!..  
 შეგვიცვალა ყოფის ზონა...  
 დაგვიგრძელა ირგვლივ გზები!  
 ტემპი ისე გაგვიზარდა...  
 დღე გავდივართ ნორმას წლისას!..  
 ჯოჯობეთი გაგვიშხადა...  
 მრჩობლად, მწუხრის პარაკლისად!  
 ვიბადებით!.. იშვიათად!..  
 ძლივსღა ვცხოვრობთ სამოც წლამდე!..  
 კაცი, დღეს თუ!.. იშვია კაცად!  
 თვალწინ ქრება ასის თვლამდე!  
 გაგვიშხარდა, მთლად, ცხოვრება...  
 არვინ გვეტყვის სიტყვას მშურად!..  
 მიტომ, რადგან ღვთის დიდება  
 ჩვენი ცოდვით გაიმურა!!!





ვიცი, მრავალი ლოცულობთ ჩემზე...  
 მეც მრავალთათვის მუხლებზე ვდგავარ!..  
 თუმც ფიზიკურად სუსტი ვარ მზეზე...  
 სულით, მის უშრეტ, სხივებსა ვგავარ!  
 პეშვით მოგაწვდით, სუყველას, სითბოს...  
 ქრისტესმიერნო!.. დებო და ძმებო!..  
 თუგინდ სამყარო ოქროა თითქოს,  
 მე, თქვენზე თბილი სად უნდა ვძებნო?!  
 ვინც ხართ მართალნი - გულსით მლოცველნი...  
 ვინც ღმერთს, მოყვასის სრულყოფას შესთხოვთ!..  
 ვისაც სული გაქვთ სითბოს მომცველნი...  
 მადლობა უფალს შიგ მაღლი გეცხოთ!  
 გადამარჩინეთ, თქვენ, ზევრჯერ ლოცვით...  
 ახლა, კვლავ გიწევთ ამისთვის გარჯა!..  
 რათა სიკვდილი არ მომსწვდეს ცოცვით...  
 არ მოინდომოს მან ჩემი დასჯა!  
 თუმც ყველაფერი ნებაა ღმერთის...  
 იქნება ისე, როგორც მას სურდეს!..  
 მაგრამ, როდესაც სული გულს ერთვის...  
 ხამს, ეს ცხოვრებაც, რომ მაშინ ქუხდეს!  
 მე, თქვენი სული ვიგრძენ მრავალჯერ...  
 თუმც ძალზე შორით, თქვენგან, დავიარ!..  
 კვლავ თქვენი ლოცვით დავყრი ყავარჯნებს...  
 მშობლიურ ველზეც მყარად გავიარ!  
 ... დობით და მშობით ვიაროთ ერთად!..  
 აქ თქვენ მიყვარდეთ!.. ცად ღმერთი, ღმერთად!!!

კაცი, ჩკუთით - ინტელექტით...  
 ეძებს, სადაც უფრო "თბილა"!  
 ხან სიმაართლით... უფრო "ბლუფი"-თ...  
 სურს იქ მოხვდეს, სადაც "ტკბილ არს"!  
 მას, ამ მიზნის მისაღწევად,  
 ჯერ ბევრი აქვს დასაცდელი!..  
 რადგან, მეტად, გამოძწევად...  
 ევლინება განსაცდელი!  
 ასჯერ, ხერხით სხვადასხვათი...  
 ცდილობს ღმერთი, გზა აჩვენოს!..  
 რომ ეშმაკმა არ ჰკრას თათი...  
 და სრულად არ შეაჩვენოს!  
 სამწუხაროდ: ცოტა ხედავს...  
 ღვთის ნაჩვენებ გზას მართლისას!..  
 ვინც ლოცვიდან გამოხედვას...  
 არჩევს ხატის დანახვისას!  
 გონის თვალი მათ ეხსნებათ,  
 ვინც ლოცულობს უფლის მადლით!..  
 ინტელექტიც მათ უზრდებათ,  
 ვერ ამოთხრი, რასაც წალდით!  
 შუქს, სინათლეს ის ამატებს,  
 ვინც ივსება სინანულით!..  
 ის დაკრიფავს ანდამატებს,  
 ვისაც დააქვს სული გულით!  
 თავს გვეხვევა: დღე და ღამე!..  
 ხან ბლუფი და ხან მართალი!..  
 ის ვინც ტყუის, რჩება ღამედ...  
 დღეს კი აგნებს, სამართალი!  
 ... შავ-იყვარვიდან, ვხედებით თეთრში!..  
 თუ განვმტკიცდით კარგად ღმერთში!



გიდიმის, გაქებს, გახარებს!..  
 გაფიქრებს: თითქოს შენია!..  
 მის გულში ეშმა ხარხარებს,  
 სულს ძღრნელად შემოგჩენია!  
 თუ გაუსინჯავ კბილებსა...  
 ათიდან ცხრა აქვს ეშვები!..  
 თან ყველას შენთვის ილესავს,  
 თუ დროზე არ შეეშვები!  
 გაეცალე და ნუ ფიქრობ,  
 სირცხვილი სადღა ჩამარხო!..  
 საქმე ის არის: ივითხო,  
 თუ სანდო ვაცი სად ნახო!  
 სად ნახო ვაცი - მართალი,  
 რაც ასე იშვიათია!..  
 როს ის თითზეა სათვალი...  
 ალბათ, ათასში, ათია!  
 სილამაზეც ნუ მოგხიბლავს...  
 რა არის გველზე ლამაზი?!  
 მაგრამ, შხამით გულს მოგიკლავს,  
 სულს დაგიგესლავს მრავალგზის!  
 "რაც ბრწყინავს, ყველა როდია...  
 ოქრო, ვერცხლი და ალმასი"!..  
 კი, გვახსოვს ეს პაროდია...  
 მაინც დავიწვითა ათასგზის!  
 ამიტომ, გვმართებს: ათასში...  
 ამოვირჩიოთ ერთი და!..  
 ჩაეჯდეთ ღვთის დედის კალთაში...  
 ჭვრეტა ვისწავლოთ ღმერთისგან!!!

კარგი იქნება: ხაფანგი  
 სინდისის ირგვლივ დავჭკიდოთ!..  
 რომ სუფთად გავხდეთ ჭარმაგი  
 და ის ვერასდროს გავეყიდოთ!  
 ქრთამის აღება - იგივე...  
 გადაყიდვაა სინდისის!..  
 იუდას ნაგავს იგვიღეს...  
 ყველა მექრთამის წინ იცდის!  
 იმანაც გამაგულისა!..  
 ვინც მას "ხელის ჭუჭყს" ემახის!..  
 ქრთამი - ჭუჭყია სულისა!..  
 დაუბანელის, ვერას გზის!  
 თუ, ჯოჯოხეთის კარი თქვენ...  
 თავად არ გინდათ გაიღოთ!..  
 ცოტაც სინდისიც თუ გაქვენ...  
 ქრთამი არასდროს აიღოთ!  
 ან რაღათ გინდა "მშობილო"!..  
 კარგი ვილა და ფერარი?!  
 ვინც უცოდველად ცოდვილობს...  
 ის თუ, შენს გვერდით, ვერ არი?!  
 სამოთხის ის არს გამღები...  
 ეშმას ხანჯალს ის აკვეთებს!..  
 ვინც ქრთამის არ არს ამღები...  
 და საქმეს ისე აკვეთებს!  
 ... იუდა ერთი იყო და!..  
 რამდენი შექმნა სიავე!..  
 ქრთამით რამდენი ბრიყვობს და...  
 ღმერთო!.. როს გაგვანიავებ?!

გვყავს, თურმე, ბევრი "ტალანტი"!..  
 როგორც იტყვიან ძავეანნი!..  
 ხელეწიფებათ ღალატი!..  
 ჩელიწებულს, რომ სცენ თაყვანი!  
 გვყავს, თურმე, ცოტა უბრალოც!..  
 ვინც ჯერაც თესა ეს ყანა!..  
 მაგრამ... ვის უნდა უ- ბან- ოს?!  
 პირველ ხმას ითხოვს ქვეყანა!  
 დავძრწივართ განაწილები!..  
 და შველასა ვსთხოვთ ჩვენ სხვასა!..  
 მას კი, არ ვფიქრობთ: შვილები,  
 რა გავუზარდეთ ჩვენს თავსა?!  
 თუ, თაობაში, ბევრია...  
 კოქლო, ბეცი და ძახინჯი!..  
 გამოდის: ჩვენ აგვერია!..  
 ცუდად დაგვიდგამს ნაბოჯი!  
 მოდიოთ!.. მიეხედოთ უშანკოთ!..  
 ვინც ახლა იწყებს ნაბოჯებს!..  
 და მაგათ აღარ ვუ- ბახკ-ოთ!..  
 ვინც თავზე ფეხებს გვაბოჯებს!  
 ბრალიანთ, ბრალი მოგვიხსნან...  
 უბრალოთ მივსცეთ ეს შანსი!..  
 გვწამდეს: სამშობლო, რომ იხსნან,  
 თუ დავუფასებთ ეს ფასი!  
 ... მადლით: ძისა და მამისა!..  
 და სულიწმიდის დიდებით!..  
 ღმერთმა თუ ჭკუა გვადირსა...  
 დახსნილიც მამინ ვიქნებით!!!

## ადამიანი !



თუ გვინდა კაცად გვაქონ და...  
გვქონდეს სახელი ხშიანი!..  
ნუ ვცუბთ სხვას რა დაჰქონდა,  
თვით ვიყოთ: ადამიანი!  
გვახსოვდეს, მამად, ღმერთი და...  
დედად, თვით ღმერთის შშობელი!..  
რომ ყველა ვიშვით ერთიდან...  
ვართ ერთში განუყოფელნი!  
ადამიანად შობილნი!..  
გვსურს დავრჩეთ ადამიანად?!  
ხმა აღიმაღლეთ ცნობილნი!  
სანამ გავფუჭდით მთლიანად!  
... არ გვინდა გული ქვიანი!..  
ჯობს გვერქვას: ადამიანი!!!

## თავს ნუ ვიტყვით !

ზე-გონებას ზენა მართავს!  
მე არც ვუიქრობ: ვწერო სხვისთვის!..  
ღმერთს, მე, ვანდობ ვალამს, რათა...  
ჩემმა ზელმა წეროს მისთვის!  
ის დაწეროს, რაც ღმერთს სურდეს...  
მისი ნებით ვმართო ხელი!..  
ყველას ნატვრა აგვისრულდეს...  
სავსე გვქონდეს საწნახელი!  
ხვავ-ბარაქით გვქონდეს სავსე...  
ზეღელი და ხურჯინები!..  
ძმობას ნდობით, რომ შევავსებთ,  
ქუდად გვერგოს ლურჯი ცეზი!  
...თავს ნუ ვიტყვით, ხვალ რა გვეცვას!..  
ეს მივანდოთ: ღმერთს და ზეცას!!!



გულში ობი, ჩირის, გვიცდის...  
 სულს გვიკაწრავს სატანა!..  
 არ გვჩვევია: მაინც სხვისთვის...  
 ქირის, გარეთ გატანა!  
 - "ჭირსა შიგან გამაგრება  
 ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა"!..  
 - აზრის სხვაფრად დალაგება...  
 გვიასკეცებს, მხოლოდ, ქირსა!  
 ჩვენსას გულში ჩავიკლავთ და...  
 სხვასაც ვუქცევთ ქირსა ჩირად!..  
 მოყვასს გულში ჩავიკრავთ და...  
 ღმერთს დავეუსრით თავს მორჩილად!..  
 ... მაშინ, მხოლოდ!.. მხოლოდ მაშინ!..  
 თუ, ეს წესი წესად დავრგეთ!..  
 მიგვიხვდება, თქმულს თვით, ზავშვიც!..  
 შინ და გარეთ!.. შინ და გარეთ!!!

### ძმებო ჩქარა !

ეხ! ჩამოვრჩით ჯიშო!.. ნავებს...  
 გათხოვთ მოვეუსვათ ნიჩბებს ჩქარა!..  
 ეს ვის აწყობს?.. შეწინავე...  
 იყოს სხვა და ჩვენ კი არა?!  
 დავუბრუნდეთ, ჩვენ, ჩვენს მამას...  
 ღმერთს მაღალს და გულმადლიანს!..  
 სულ არ ვშვენით სხვა ქვეყანას,  
 სადაც ლუკმას გვამადლიან!  
 ვიყოთ შინ და... თუ დაგვჭირდა,

სუფთა გრაალს შევეწიროთ!..  
 შინ თუ სხვები გაგვიხშირდა...  
 მერე სად ვხნათ?.. ან სად ვწიროთ?!  
 ... ჩქარა ძმებო!.. ძმებო ჩქარა!..  
 ვატყობ სხვაგან ყოფნა კმარა!!!

## დავფიქრდეთ კარგად!

სიმართლისთვის, როს არს სხლარტი...  
 მაშინ მესმის სიტყვა, რომ ვსთქვათ!..  
 თუ მოუკვდა ადრესატი...  
 რა აზრი აქვს მერე მოთქმას?!  
 არაფრისმთქმელ აზრს - უაზროს...  
 რალათ უნდა გამოხატვა?!  
 ხამს, კაცმა ის მოიაზროს...  
 რაც სიკეთის საჭეს მართავს!  
 გამოვსთქვამდეთ მოქნილ სიტყვას...  
 გამოზომილს, უკვე, ასჯერ!..  
 და თუ იგი მიზანს ურტყამს...  
 მაშინ წავა კარგად საქმე!  
 ყველას გირჩევთ: მარგალიტად...  
 მუდამ გეთქვათ სიტყვა სხმული!..  
 მას ვიქმოდეთ, მაგალითად...  
 შევუკეთოთ, რომ კაცს გული!  
 ჯობს დავდუმდეთ სამუდამოდ...  
 თუ არ ვიცით სიტყვის წონა!..  
 სხვას მით ვუთმობთ კარ-მიდამოს...  
 და თქმით ვხდებით, თუ სხვის მონა!  
 - "ზოგჯერ თქმა ჯობს არათქმასა,  
 ზოგჯერ თქმითაც დაშავდების"!..





- რა აზრი აქვს საქმის ქმნასა,  
 თუ მით თეთრი გაშავდების?!  
 ... მამ, დავფიქრდეთ!.. გვიჯობს, კარგად!  
 მას ვიტყვოდეთ, ღირდეს რამედ!..მაშინ დავსძრავთ საქმეს  
 მაგრად...  
 თუ, თქმით, დღეს არ გავხდით ღამედ!!!

### ქრისტეს გავიზიარებთ!

სანამ ქვეყნად ხმები ისმის...  
 კვარტეტის და კვინტეტის!..  
 არ დამდგარა ჯერ დაისი...  
 ყოფის იმუნიტეტის!  
 მოვუსმინოთ ხუთ ხმად ჩონგურს...  
 სალამურს ან ფლეიტას!..  
 რაც სიცოცხლის უწყვეტ ქონგურს...  
 დღის წესრიგში შეიტანს!  
 კვდომის, კვდომით დამარცხება...  
 ზენამ კარგად გვასწავლა!..  
 რომ ძირს შევსძლოთ დანაცხება...  
 ყოფაში ვინც გვაწავლა!  
 მამ, ავანყოთ ძმებო ერთად...  
 ყოფის პოლიფონია!..  
 ხმას შივანწვდენთ, ნაღდად, ღმერთთან...  
 თუ არ ვცვალება ტონია!  
 ერთად დგომით და ერთობით...  
 მოვიშუშებთ იარებს!..  
 სიმღერთაღ ვავერთობით...  
 ქრისტეს გავიზიარებთ!!!

ამირან თოდუა



## მარინა თოდურიძე

### ჩემო თბილო მიწავ

გულში ჩამიხუტე ჩემო თბილო მიწავ,  
 მოყაღბეთა გულის ყინულს ველარ ვიტან,  
 შენს წიაღში მიჯობს ახლა თბილი ზინა,  
 მოლიზღართა ქცევამ ისე შემაკვირვა.  
 ორგულთ ლაბირინთებს ველარ ვაწვდენ სამანს  
 ცრემლით შენამული, გულმტკივანი დავალ,  
 მიუჩინარებულ სიყვარულზედ მტირალს,  
 შენს წიაღში მიჯობს ზინა თბილო მიწავ  
 ...არ ეგვბის ჩემგან . მტრობა რას მიჭვიან,  
 სიყვარულისათვის დამაქვს გული ღიად  
 ...წრფელი არეკვლისთვის უსამართლოდ მსჯიან,  
 ორკოფობა მაზნევს; რას, სად, რა სჯობიან..  
 ჩამიკარი გულში მშობლიურო მიწავ...  
 გაციებულ გულებს ვოი...! ველარ ვიტან.



მთაწმინდიდან მონაქროლი  
სიო გულს ვერ გაგიგრილებს ,  
ცის მანანი ყოველ დილით  
წმინდა ცრემლით დაგიტირებს ,  
უღვთო ტყვიით ჩანაპრალულ  
გულს, დრო ველარ შეგიხორცებს,  
.... დღეს ბევრია მოღალატე...  
თვით ღალატსაც ...შეიოცებ...  
საქართველოს შეწირულო  
გულ-მართალო პრეზიდენტო,  
შენი გულის ცეცხლი მწველი,  
მხოლოდ მამულისთვის ენთო!..  
მეწამული სისხლის ღვარი  
ქართულ მიწას კვლავ ატყვია,  
შენს ნატყვიარს სისხლი წვეთავს,  
პირი ჯერ არ შეუკრია..  
ისევ კორტნის საქართველოს  
ყვავ-ყორანი ფრთა-აშლილი,  
დღეს უფროა, საქართველო  
გაყიდული და დაშლილი...  
გლოვის ქამარს ველარ იხსნის,  
კავკასიონს შავი აკრავს,  
კვლავ სჭირია საქართველოს,  
ცხრა აპრილის მსგავსი ტალღა.  
შენი წმინდა განამრახი,  
ქართველთ გულში კრძალვით მეფობს,  
გვაბოხოქრე..! სულის ცეცხლი  
მოგვდე შენი პრეზიდენტო..

სული შენი საქართველოს  
გაბრწყინების უნით ერთო,  
სამშობლოს და ქართველთა  
ღირსეულო პრეზიდენტო .



## უნდა მასალოთ !

სადაც სიცოცხლის ბორგავს ტალღა და  
თრთის ვნებები,  
სად ატმოსფეროს ლაქვარდისფრად უჩანს ცარგვალი,  
სადაც ჩანჩქერი აწყვეტილა კინ-გახელებით,  
სადაც ამაყობს მწვერვალები თეთრ ბროლა თვალით,  
სადაც სიცოცხლე ასე ბორგავს ცოტა მაგალოთ!  
ამახელინეთ მეც თვალეზი ვით ეს ცა ღია,  
შემათროს ვნებამ, ნეტარებამ გამომაფხიზლოს,  
მარქვით ავად ვარ?! თუ სიყვარული აქ დამმართნია,  
თუ ამ ჩემს სულში ჩამისახეთ უფალი ხატად,  
აქ სიყვარულითან თუ მომაგდეთ ბედის საწილოდ,  
მამინ მაგალოთ და მარგუნეთ წყალობის კალოთ,  
გულიდან ცეცხლის მუგუზნელები დაგინაწილოთ,  
ჩამოვარიგო სიყვარული უქრობ კეპლაპტრად  
სადაც სიცოცხლის ბორგავს ტალღა და თრთის ვნებები,  
შემათროს ვნებამ, ნეტარებამ გამომაფხიზლოს,  
დაე დამნაცრეთ, ამაოებას ვერ დავნებდეზი,  
...ცხელი უდაბნოს ხომ-კაკალა სილა მეყრება  
ქარის შლოგინთან ჩემს სიშლეგეს ვეხმაურები,  
ცოტაც მაგალოთ სადაც სიცოცხლე ასე ხელოდება,  
.....გადარახტულან ფაფარაყრილი ბედაურები,  
სადაც სიცოცხლის ბორგავს ტალღა-ცოტაც მაფხიზლოთ,  
სადაც ცხოვრებას სიყვარულით ვეხმაურები,  
დაძათვრეთ ვნებით, ნეტარებით გამომაფხიზლოთ,  
ურწყულ უდაბნოს ტორავენ ჩემი ბედაურები.

გადაშრა მელანი უთეთრეს ფურცლებზე,  
 ნაწერებს სტკიოდა ეწვოდა სათქმელი  
 დიოდა ..სტრიხები და თვალითა უწყდენზეც  
 თაბახზე ზორგავდა დრო-ჟამში ნათქმნი.  
 თაბახზე დაძარღვეულ ანბანთა ლიანებს  
 ეწვოდათ სტრიხები ტვიფარში ნადადი,  
 გადაშლილ სამყაროს ღრმულებში სციოდა,  
 მწვერვალსაც სციოდათ აწვდილებს გათამდი,  
 სამყარო ორჭოფობს, აბორჯებს ზეცის თაღს,  
 აბორჯებს მოკვდავთა გულების ანჯამი  
 უფალი დუმილით ნსჯიდა და ჰკვირობდა,  
 დღეს მე რომ შეექმენი ის ხალხი სად არის?!  
 ურწმუნო მოკვდავთა ყოვას და გასაგისს  
 გადაუმრუმია გულიც და ნაწერიც,  
 უფალი დუმილობს...! და მრწმენთა ლოდიწში  
 იწვიან, სტირიან, დნებიან სანსალები.

სად?!

სულს ჩავეძიე რას ისურვებ რად ამიტირდი?!  
 სულმა მომიგო : - მე ქართველობას  
 ..და მე აეტირდი. ძლიერ გაგკვირდი  
 ვაიმე..! სულო  
 რატომ მწამებ უქართველობას ?!  
 ასე მომიგო:  
 სული შენი აქ ჰაერია  
 ქართულ მიწაზე შეძლებს  
 სული ნაღდ ქართველობას ..  
 ტყიდან რომ სიო მოგიქროლებს, მოგიჩურჩულებს,



დაჩითულობა შემოგაფრქვევს უნაზეს ფერებს,  
 ტყემლის ყვავილად რომ დაგიფენს უმწიკვლო მანდილს,  
 ატმის ყვავილებს სიყვარულად რომ აგიფეთქებს,  
 მაშინ ჩახვდები სულის ქართულად თუ რა აჩქერებს,  
 ჩახვდები ნიშას რქაზე სანთელს როცა აუნთებ,  
 შენს წინაპართა ხსოვნას საკმეველს როცა ჩაუკმევ,  
 მერე მიხვდები ქართული სული სად აშრიალო,  
 მაშინ ჩახვდები ქართულად სად ადამიანობ ...  
 და შე ავტირდი გაკვირვებამ მსწრაფლ გამიარა,  
 მწარედ ამეწვა ჩაწყლოლებული -სულში იარა,  
 თვალზე ცრემლებმა საქართველო წამომალანდა,  
 სულო ქართულო..! მიმაბრუნე ჩემს მიწაზე  
 მართლა სადა ხარ?

### ჩემი კოლია ქართველი

ამაყი შეუდრეკელი,  
 ლომთა მოდგმიდან მოვდივარ,  
 თუ განრისხება მჩვევია  
 მე უსამართლო როდი ვარ.  
 სიმართლე- სიმსუბუქეა,  
 არწივის ფრთებით დაფრინავს,  
 ...თუ გულ-ზვაობა მჩვევია,  
 ეს დამყვა მამა-პაპიდან  
 ჯიუტი უდრეკელობა  
 მწვერვალთა დგომამ მაწვდინა  
 თან სიამაყე ამ სულში  
 ჩამიწილადა არწივმა.  
 ლომთა მოდგმიდან მოვდივარ,  
 მგლურ-გამძლეობით ნაფერი,  
 ქრისტეში ჩავმკვიდრებულვარ.  
 ჩემი კოლია: ქართველი!



სიბრძნით მოველთ...

სააუგო არრა ითქმის ქართველ ერზედ

მტრობა ვეღარ ავიცილეთ დრო და ჟამის სარბიელზე

(((((ოდითგანვე რად სდევნიან?

... (მახსოვრობაც არა მყოფნის)

))) ჩემს ქართველ ერს შოდგმით, რჯულით, უზადოს და  
კეთილშობილს .

სიყვარულში უმდიდრესნი განა მქისი, განა მწირნი,

ერთგულების სანაცვლოდ დაუნდობლად განაწირნი..

უპირველეს მობინადრეთ ნეტავ რას ვერ გვპატიობენ?

დედამიწის კიდით-კიდე დღესაცა და, ვქუხდით ოდეს...

სჯულ-უცვლელად მოველთ დღემდე ქრისტესა და  
უფალს

ვეყრდნეთ მახსოვრობა არა მყოფნის რას გვერჩიან რადა  
გვდევენ

...ჩვენს სამოთხეს მიელტვიან ...ჯოჯოხეთის საბინადრნო

ქართულ ცაზედ მზეს რად ნისლვენ,

ცად ღრუბელნი ცრემლად აედრიბს მალულსა თუ ამკარა  
მტერთ ვერ აურწყვავთ გასამრჯელო ქართულ სულის საპირ-  
წონე, ჩემო ტკბილო საქართველოვ,

სიბრძნითა თუ ჭირთა თმენით ვკვალეთ გზანი, მადლნი  
ვთესეთ

დედამიწა უფლის ძალით ბრუნავს ჟამთა სარბიელზე...

ქართულ სულის საპირწონეს სწხრევენ,

სწხრევენ ვერ მოჰხელებს

უტეხ! ამაყ ქართულ სულში ჩემო ერო შემოგველე!..

მარინა თოფურია



## ანიკო თხინვალელი

### მამათ

მამათ, არ ვიცი რა მომდის ასეთი,  
ცხოვრებამ დაღალა სხეული საღალო,  
მინდოდა მქონოდა სახლი და ოჯახი  
სითბო, სიყვარულით აღვსილი საამო.  
მამათ, როდამდე გავუძლებ არ ვიცი  
დაგრებილ ზილიკზე ეკლებით სიარულს  
და თუკი გადავრჩი გპირდები -  
უძლები შვილივით მოგმადლი სიხარულს.



## სახლი

ინგრევა ერთი ზეხერი სახლი,  
რომელშიც ერთ დროს სიცოცხლე ჩქეფდა.  
აღარც დედ-მამა, არც მათი კვალი  
აღარსად არ ჩანს. დაინთქა ფერფლად.  
გამავებული კედლის კუთხეში  
მათ სურათებზე ცრემლად ვიღვრები,  
ო, რა მწელია მოსაგონებლად  
კაცი, რომელიც ობლად ვიქეცი.



## მამას

უშენოდ რამდენი წელი გავიდა,  
თვალეებზე ცრემლი ისევ კიაფობს,  
შოვალ საფლავთან დავიჩოქები,  
იქნება ამით შენს სულს ეამოს.  
სანთელს ავანთებ, ლოცვას აღვაველენ  
შენი სულისთვის ძვირფასო მამა,  
რომ საიქიოს მაინც შეგეძლოს  
მწელი ბილიკის იოლად გავლა.

## დედას

ღვთისმშობლის ხატის წინ მუხლმოდრეკილი ვიდექი დედი  
და შევავედრე შენი აქ ყოფნის მრავალი წამი,  
მაგრამ ბედისგან მინიჭებულს მე ვერ შეეცვლიდი,  
ეს არის ჩვენი განშორების მრავალი ხანი.  
მაგრამ ვფიცავარ, რომ შენს საფლავზე  
დიდი სიმწუხრით ამოგიტან ვარდებშ სანატრად,  
მაგრამ ყოველი ჩამოჭკნება მთვარიან ღამეს,  
როგორც დააჭკნო შენი სხეული ცივმა სამარხმა.

აჩიკო თხინვალელი



## მეა ივანისელი

\*\*\*

...როცა სათქმელი  
დაკარგავს აზრს და  
იასამნისფერს  
მოვიცვამ სამოსს,  
შენი ძლიერი  
ხელების სითბო  
ვედარ გაათბობს  
ჩემ სულს, გაყინულს...  
ვედარ უშველის  
დამტვერილ გრძნობას...  
გაფანტავს ქარში  
დაუთვლელ ტკივილს,  
დათვლილ საყვედურს,  
ცრემლების მარში...  
და მახსენდება  
სიტყვები შენი,  
როგორ მიბწედა

თავგზას წვიმაში,  
სუნთქვაშეკრულმა  
რომ აგაფარე  
თვალებზე ხელი,  
არ დაგენახა  
ცრემლებითი სავსე  
ჩემი თვალები...  
შენ მე მიშურდი,  
მე სადღაც, შორით  
ცრემლით დანისლულ  
ფიჭრებს ვეძებდი,  
რომ ჩამეტია  
ხელით ნაქსოვ  
ქალაღდის ყუთში  
ჩემი ცრემლების  
მარგალიტები...



ქარს მინდა გავყვე...  
 გადავიკარგო...  
 პო, დავიკარგო...  
 რომ ვერ ვიპოვო  
 ჩემი სხეული,  
 ასე დამსხვრულს,  
 როდემდე ვზიდავ,  
 არ გიფიქრია?...  
 თუ ფიქრებს წაშლი?...  
 გაშლილ ხელისგულს  
 სად გაექცვი?!  
 იქ შენ ბედი უკვე წერია...  
 მერე რა, რომ  
 დავაგვიანე  
 მოსვლა შენამდე...  
 მე გ'ხამ კი არა  
 გრძნობამ დამღალა...  
 და იგი რატომ  
 ვერ მოვედი  
 უფრო ადრე?  
 უფრო ახლოს?  
 უფრო შენთან?  
 უფრო ნიყვარდი!..  
 ვიდრე უყვარია  
 ადამ-იანებს  
 საკუთარი თუ  
 სხვისი გრძნობები...  
 რას ფიქრობ ახლა?...  
 მე-რამდენედ გიხსნი

სიყვარულს?!  
 არა-ფერია...  
 მე წავალ ქარში,  
 წვიმას გავყევები,  
 ფეხშიშველი ვივლი  
 ქვიშაზე...  
 რომ გავიხსენო ის გ'ხა,  
 რომელიც  
 გა-მოვიარე შენთან  
 მოსვლამდე...  
 ოთახში ისმის ხმები  
 მუსიკის...  
 მე კი კედელზე  
 შავ თეთრი ფანქრით  
 ვხატავ ჩემ სახეს,  
 ღიმილს დარდიანს,  
 და მახსენდება  
 როგორ ცურავდა  
 შენი თითები,  
 ჩემ გაშლილთ თმაში...  
 შენ სუნთქვას ვგრძნობდი  
 ხშირს და ვნებიანს,  
 და მივაფარე  
 დაღლილი ფიქრი  
 შენ მონატრებას,  
 რადგან სარკმელთან  
 მანვლიდა იებს  
 ვილაც უცნობი(!)  
 და მთავაზობდა



ნაცნობ სიყვარულს,  
 ნაცნობ სიტყვებს,  
 ნაცნობ ყვავილებს  
 მიზნედა თმაში...  
 ...როგორ ვიღლები.  
 ქარს მინდა გავყვე...  
 გადავიკარგო...  
 შენ კი არა,  
 თავს დავეკარგო...  
 ...როცა სათქმელი  
 დაკარგავს აზრს და

იასამნისფერს  
 მოვიცვამ სამოსს...  
 დაგლოდები  
 გზაგასაყართან,  
 სად ბედის ხაზი  
 გადაკვეთს წარსულს,  
 სად ბედის ხაზი  
 აერთებს წარსულს,  
 ჩაკუთარი სულისკენ  
 მიმავალ გზას  
 მარტო გავყევი...

\*\*\*

მივიწყებულ მელოდიას შენთან მოიტანს გაზაფხულის  
 ნიაფი, სულში ჩამწვდომი აკორდები გაგახსენებს სევდისფერ  
 ამბავს,

უკვე მერამდენედ გესიზმრება წაქცეული ბაობაბები, თით-  
 ქოს მათი კენესაც ჩაგესმის და ხედები შენი სევდაც იმ შორეუ-  
 ლი წარსულიდან მოდის, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა  
 აკორდები და ბგერებად იღვრებოდა ჰაერში...

ერთხელაც აიხედავ ცაში და შორეულ ვარსკვლავებს დაუ-  
 წყებ დათვლას...

შეგაძრწუნებს მათი სიმრავლე;

მაგრამ უეცრად სიმშვიდეს იგრძნობ.

იგრძნობ, როგორ გიხმობს ვიღაც წარსულიდან...

ბაობაბებს ფოთლები გვალვაში ცვივა, მაშინ როდესაც მზე  
 ზენიტშია...

შენ გრძნობ უხილავ კავშირს ხელოვნურსა და ბუნებრივს  
 შორის

და არ იცი, რომელია ახლა უფრო ძლიერი - ურთიერთი  
ზისთვის...

სადღაც ვიღაც დედამიწას მოაგორებს ზურთივით...

ვიღაც კი ფერადი ფანქრებით საკუთარ ცხოვრებას აფერადებს...

მედუზები კი ზღვის ფსკერს ეკვრიან და არ ეშინიათ დროის დინების, რადგან მუდამ შეუძლიათ დაუბრუნდნენ სიცოცხლის პირველ სტადიას და ახლიდან დაიწყონ სიცოცხლე!..

...სადღაც, ვიღაც მდინარის ნაპირზე უსწორმასწორო ქვებს ისე ლაშაზად დაალაგებს ერთმანეთზე, შორიდან აბსტრაქტული ნაგებობა გეგონება...

მდინარის დინება კი ისევ თავის ადგილს დააბრუნებს ქვებს...

თვალებს ხუჭავ და ხედავ ცისფერ კიბეს...

ეს ის კიბეა - მიწიერიდან ზეციერში გადასასვლელი...

სადღაც, ვიღაც უფერულ ბოთლში გამოამწყვდევს ფერად პეპლებს, რადგან მისი სული უფერულია ამ ფერად საშყაროში...

შენ კი სვადასხვა ზომის ბოქლომებს სარეცხივით გაფენ აივანზე გაბძულ თოკებზე და დაელოდები როდის დაიწყებ თითოელი ბოქლომის გახსნას, მაშინ, როდესაც თითოეულ მათგანში გამოშწყვდეულ ცრემლს მზის სხივები გამოაშრობს, ისე ვით სველ სარეცხს...

დრო მიდის... წამებს წუთები ცვლის...

ფეხით გაივლი, სადმე, ქუჩაზე...

გვირაბიდან ელმავლების მკვეთრი, არაბუნებრივი შუქი მოგჭრის თვალს და ინატრებ ცისარტყელას ფერებს მოქმენდილ ცაზე, მერე რა, რომ მზე შენს ზურგს უკან იქნება და ვერ დაინახავ;

უბრალოდ იგრძნობ მზის სხივების ძალას და მიხვდები -



არაფერი ჯობია ბუნებრივ ფერებს,  
 არაფერი ჯობია ბუნებრივ ურთიერთობებს...

არაფერი ჯობია გრძნობას, რომელიც ბუნებრივად მოდის  
 და საკუთარ თავს არაფერს აძალბებ...

ახლა ყველაზე მეტად ის მადონებს, რომ ბაობაბებს  
 ფოთლები გვალვის დროს ცვივა, მაშინ როდესაც მზე ზენი-  
 ტშია...

სხვა ყველაფერს გაზაფხულის წიავი გაფანტავს სივრცეში  
 და ხვდები,

სიცოცხლე მშვენიერია!..

**...ქალი!..**  
**საწყისი სიყვარულისა...**

საწყისი პირველყოფილი, უწონადო მდგომარეობის.  
 ოდესღაც მარტო ღრუბლები ამშვენებდა ცას,  
 ოდესღაც მზემ გამოანათა, მზე შემოვიდა ადამიანების  
 გულში.

ქალი მთელი თავისი სიდიადით - სიცოცხლის, თავისუფ-  
 ლების საწყისს დაატარებს და ატარებს ყველა-ფერს საკუთარ  
 სულში უსულობის წასაშლელად.

ყველა-ფერია მასში!..

ამიტომ ყველა-ფ(ე)რის მოცემა შეუძლია შენთვის!..


ის ქალია და წინასწარ არასდროს იცი, რას გიმზადებს,  
 ადამ!..

არასდროს იცი, როდის გაგიშვებს სიმარტოვის დასალიერ-  
 ში;

არასდროს იცი, როდის დაგტოვებს თავისთან მარტოობის  
 დასავიწყებლად;

არასდროს იცი, როდის „გამიშვლდება“ შენთვის;

არასდროს იგი, როდის შეიმოსება იდუმალებით.

არასდროს იგი, რას მოგცემს, ან რას წაიღებს შენგან...

იქნებ სულის ყვეილების ჩუქებას გიპირებს, შენ კი მოუთმენლობის გამო მზერა სადღაც, შორს, უსაშველოდ შორს გადაგაქვს, რადგან იმ უმნიშველო, პატარა „სასწაულს“ ეძებ მასში, რაც ყველა, სხვა, დანარჩენი ქალისგან განასხვავებს მას.

შენ ხომ საკუთარ ფიქრებს ინახავ მისთვის, რომ გაანდო და გაენდო ბოლომდე.

იქნებ არც ენდობი მას?..

იქნებ საკუთარ თავზე მეტადაც ენდობი, არაეინ იცის..

ის ქალია და შენგან ელის იმ ერთ ფერს, რომელიც ყველაფერს შეცვლის მის ცხოვრებაში!

ყველა-ფერს დასატავს შენთვის და არასდროს დაჭირდება საშლელი ცუდი მოგონებების წასაშლელად, რადგან შენ არ დაუტოვებ ცუდ მოგონებებს!..

მხოლოდ მასთან შეგიძლია აღმოაჩინო, რომ ისევ შორცხვი ხარ, ადამ!

პირველყოფილი გონების სისუფთავა შენი სიძლიერე!..

ამიტომ არ გეშინია მასთან „გაშიშვლების“;

არ გეშინია იყო ის, ვინც ხარ!..

ადამიანი ყოველთვის ეძებს, მაშინაც კი, როცა ყველაფერი აქვს, ასეთია მისი მიწიერი ბუნება.

სულიერება და გარეგნული სილამაზე ერთად! აღბათ ამას ეძებ მასში და

დროც მალე გადის ძიებაში...

ძველი ბერძნებიც ასე მოაიზრებდნენ სიყვარულს, ერთ ქალში გაერთიანებულს - ადამიანური, ნატოფი ხული და ზოზოქარი, შლეგი ვნება...

საამურიც, არა?



იქნებ ამაოდ დაშვრნენ ძველი ბერძნები, აფროდიტა ურანუს და აფროდიტა პანდემოს - სიყვარულისა და სილამაზის ორი სახის ქალღმერთი რომ შექმნეს.

იქნებ ღმერთებიც მოკვდავთათვის მიუწვდომელს ეძებდენ მაშინ და ახლა შენ განაგრძობ ძებნას.

## ეს დედა-მინაა, ადამ!.. შენი სახლი!

დედამინაზე, იქ, სადაც ადამიანს სულიერი სიმაღლე ალამაზებს, ფიზიკური ფერმკრთალად გამოიყურება, ფიზიკურ წმენიერებაში მომწვედული სული კი მიწიერ მიჯაჭვულობას ვერ ასცილებია ხშირად და დღესაც „დაბობლავს“ მინაზე, სასომიხდილ სიმწუხარეში, საკუთარი უსუსურობის დასაფარად ათას ნიღაბს ირგებს არაფრისმთქმელ სახეზე და ყველაზე კარგად შენ ამჩნევ ამ ნიღაბს, ამჩნევ და ხანდახან არ იმჩნევ ამას!..

შენც მიწის შვილი ხარ ადამ!..

მოკვდავი, მოკვდავთა შორის!..

გიჭირს ამდენი ქალის გარემოცვაში შენი ევას პოვნა, მაგრამ

უნდა აირჩიო შენი ევა!..

დროა აირჩიო შენი სხეულის ნაწილი, რომელიც ძილში გამოგაცალეს და სიფხიზლეშიც კი გიჭირს მისი გარჩევა, რადგან, მაცდურია თვალი, მაცდურია გრძნობები, რომელსაც თავდავიწყებამდე მიყავხარ და ირგვლივ „ყველაფერი“ შენი გგონია!

არ დაგაკვიწყდეს ადამ! - პირველყოფილი გონების სისუფთავეა შენი სიძლიერე!..

სხვა დანარჩენი მირაქია მტკრისფერ მიწაზე...



ყველაფერი მეორდება, მეორდება საუკუნეების განმავლობაში და მაინც არასდროს გა-ორდება შენს გონებაში ერთი ევა!..

პირველსაწყისი, სამყაროსეული გონი არ ქრება!..

უმანკო, მიწიერი სისუსტეებისგან თავისუფალ გონებას არაფრის ეშინია!

შენც ნუ შეგეშინდება ადამ!..

ნუ დაუწყებ ლოდინს ციურ მანანას ციდან, რადგან შენ ვარგად იცი, ვინაა შუამავალი სრულქმნილ ღმერთსა და არასრულქმნილ ადამიანს შორის.

ისიც იცი, რა ათავისუფლებს ღვთაებრივი წარმომავლობის სულს, მატერიალურ სამყაროში.

იცი, და მაინც „გძინავს“, ფერადი სიზმრები რომ დაგესიზმროს, „გძინავს“ მიწიერ უფერულ რეალობას რომ მოარიდო თვალი.

დიდი ხანია გძინავს, ადამ!..

ძილში სიფხიზლედ არაა მიწიერისთვის რთული, მაგრამ, ახლა გაღვიძების დროა!

დროა შენი ხელით შემოსო ევა მზის სხივებით. რა თქმა უნდა მთვარის სამი ფაზის ბუნებას ვერ შეცვლი მასში, რადგან კოსმიურია ის და „დედა-მიწის“ დაწერილ კანონებს არ ემორჩილება.

მთვარის ფაზები ქალურ ბუნებაში - მატების, შევსების და კლების ფაზებიც ხომ შენზეა დამოკიდებული, ადამ!..

იქნებ ევასაც უჭირს დაიბრუნოს პირველყოფილი, პირველქმნილი სისპეტაკე, თავისუფალი ბოზოქარი სული დაიბრუნოს და ისე წარსდგეს შენს წინაშე, იქნებ შენი უყურადღებობა ან სულსწრაფობა უშლის ხელს საკუთარ თავს დაუბრუნდეს და ისე მოვიდეს შენთან...

იქნებ ევასაც „ძინავს“ და გაღვიძების ეშინია ადამის მიწიერი ბუნების, მისი ადამიანური სისუსტის გამო...



მიეხმარე სრულყოფილი გახდეს და ისე დაგიბრუნდეს, რათა სამყაროსეული მისტერიის დასასრული, მარადიული აღმაფრენის ახალი დასაწყისის უპირობო აღსასრულია!..

„ყველა-ფერს“ ნუ მოკიდებ ხელს, ადამ, რადგან ასე „არა-ფერი“ გამოგევა, ასე ევასაც დაღუპავ და საკუთარ თავსაც გამოუტან განაჩენს ცოდვილ მიწაზე, ცოდვილ მიწაზე

დარჩები ისევ და საუკუნენი გავლენ სამყაროს უსასრულოების შეგრძნების სანეტარო მოლოდინში!..

შევედომის დრო აღარ არის ადამ!.. არ დაგავიწყდეს - პირველყოფილი გონების სისუფთავეა შენი სიძლიერე.

...ოდესღაც მარტო ღრუბლები ამშვენებდა ცას, ოდესღაც მზემ გამოანათა,

მზე შემოვიდა ადამიანების გულში...

ქალი კი იმიტომ შექმნა ღმერთმა, უკეთ რომ ეგრძნო მამაკაცს თავის მარტოობა ფერად, ხან უფერულ უსასრულო სამყაროში...

მაგრამ, არ დაიჯერო ეს ადამ!..

ევა შენთვის შექმნა არსთა გამრიგემ!..

შენთვის შექმნა, რათა მიწიერი ცხოვრების შემდეგ მარადიულში გადასასვლელ გზასთან ახლოს, მისი სუნთქვა იგრძნო და ერთად გადახვიდეთ უსასრულობაში...

საწყისი კი პირველყოფილი, პირველქმნილი

მარადიული კოსმიური ევაა, სამყაროს უსასრულოების უკეთ შეგრძნობისთვის შექმნილ ადამთან ერთად!..

მეა-ივანისელი



## ზაირა კედოშვილი

### ემიგრანტ ბავშვებს

პაწია გულებში დაანთეთ ხანძარი,  
ვინ იცის, ამ ზნაზე რამდენმა იარა,  
მოქარგეთ ანბანი პაწია თითებით,  
რომ საქართველო ჩატიოთ მთლიანად.  
გულებში ჩახატეთ - მთები და ველები  
მამული ჩახატეთ ტაძრები მთლიანად  
და ჩანგი ამღერეთ იმღერეთ „შავლეგო“,  
რომ მამულს მობანოთ ის ძველი იარა.  
იმედი ხვალისა თქვენშია, იცოდეთ!  
დრომ ჩვენში ისედაც ზევრი რამ არია...

დაბრუნებაზე ნიადაგ იფიქრეთ,  
იცოდეთ, ეს თქვენი ხარკი და ვალია!  
გზაჯვარედინთან სამშობლო დაწონის,  
იმ ცაზე მერწმუნეთ ავდარიც დარია,  
გელიან მუხები - ქადარა ფესვებით,  
ტაძრები გელიან, უკვე რა ხანია.  
მერცხლები სამშობლოს დროებით ტოვებენ!  
უარი უთხარით ევროპას აზიას...  
მადლობა, უფალო, რომ გქვია ქართველი  
და სისხლი ანკარა უცხომ ვერ არია.  
ღვთისმშობლის წილ-ხვედრი გვერგუნა ქვეყანა,  
განგების ნებაა ქართველად გაჩენა,  
ავდარმა გულები ბროლივით გაკაწრა  
და მტკივა მამულის უთქვენოდ დარჩენა.  
დავეძებ მამლუქებს, სხვის ომში დაღლილებს,  
მწადია მათ სულელებს ბორკილი ავყარო,  
ვერ დაგვანაწევროს ვერ დაგვეყოს სამყარო  
და მერე სიკვდილმაც ვერას გზით გაგვეყროს.  
მადლობა უფალო, რომ გქვია ქართველი  
და სისხლი ანკარა უცხომ ვერ არია,  
გზაჯვარედინთან სამშობლო დაგიცდით,  
იმ ცაზე იწამეთ, ავდარიც დარია!





და ახლა უკვე დავტოვებ ქალაქს,  
 სადაც მუხლმოყრით ვკოცნე ქუჩები,  
 სადაც დიდების დაფნა - გვირგვინი,  
 მუხუშუმებში ვნახე უღვევი.  
 სადაც ყოველი ქვა და წყლის წვეთი,  
 შერწყმია წარსულს ხვალის იმედით,  
 არ ილუოდა გზა სიმწიფეში,  
 ხელით დაგვქონდა, თუმცა გულები.  
 მე მხოლოდ შენთვის დავტოვებ ქალაქს,  
 სადაც, წლებია ვტკეპანე ქუჩები.

### ერთი უღამაგასი ღლის ისტორია ვმასპინძლობდით!!!

მივედი იმ დასკვნამდე, რომ  
 ქართველები ის ხალხი ვართ,  
 რომლებიც უნდა აცეკვო, ამდერო,  
 ლექსისა და მუსიკის შექმნის განწყობა და შესაძლებლობა  
 მისცე, მოუსმინო, უმზირო ...  
 დიდმა გრიგოლ რობაქიძემ  
 ქართული ცეკვების შესახებ  
 დიდებულად თქვა :  
 "როკვით განფენილი ქართული გენი !.."  
 მე უბრალოდ, ჩემუღლად ვიტყვი:

\*\*\*

ქართველთ ცეკვები ქართველის  
გარდა სხვას გაუჭირდება,  
რადგან მათ მხოლოდ ქართული  
გენი და გული ჭირდება !...

თითოეულ ქართულ ცეკვაში  
ერის სული დევს ანვარა,  
თან სიყვარული ბობოქრობს  
მზესავით ცხელი, თავარა !...

- ვის შეუძლია ჩვენსავით  
შორით ტრფობა და ალერსი?!

ან ვინ მიუშვერს უშიშრად  
ფარს დიდ სატყვარს ალესილს?!

- რომელი ქვეყნის მამრია  
ლალი, სწრაფი ვით ავაზი?!

რომელი ერის მდედრია  
მკვირცხლი , მორცხვი და ლამაზი?!

- სად იზომება ცეკვის დროს  
ქალს და ვაჟს შორის შანძილი?!

ვის აგებინებს ქარქაშში ხმალს  
ქალის წმინდა მანდილი?!

- ეს მხოლოდ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი  
ხ დ ე ბ ა დ ა უ ნ დ ა ხ დ ე ბ ო დ ე ს ...

მას დროის მსახვრალი ხელი  
არ უნდა შეეხებოდეს !!!

ქართველთ ცეკვები ქართველის  
გარდა სხვას გაუჭირდება,  
რადგან მათ მხოლოდ ქართული  
გ ე ნ ი და გ უ ლ ი ს ჭ ი რ დ ე ბ ა !!!

## დედას



მე ახლა ვარღვევ დუმილს, ლაბირინთს,  
დედას ვიფიცებ ნაცნობ ტაძართან,  
უკვე დავხატე მკაცრი ზამთარი  
და თმები დედი - შენი ჭადარა,  
აქ ფუნჯი ჩემი არ ჰგავს საჭრეთელს,  
მიზანს სცილდება ისიც ხანდახან,  
დრომ ამ ქაოსურ წუთისოფელში,  
დედი, უცნობი გზებით მატარა.  
მხოლოდ შენამდე მომაქვს სათქმელი,  
რაც გულმა ჩემმა ამ გზით ატარა,  
დედი, მეც უკვე გაგჭადარავდი,  
დედი, გამიცვდა ქოში- პატარა.  
დე... შენს სიყვარულს შევრჩი მარადის  
და ეს სამყარო მეპატარავა.

## როცა სიცოცხლეს ვეძახი

როცა სიცოცხლეს ვეძახი და...  
სიცოცხლე არ მაგონებს ხმას,  
მაშინ მომდგება სიკვდილი და  
მახრა- მატლივით მხრავს.  
მინდა, გავიქცე, გავერიდო,  
გავეკრა მიუვალ მთას,  
სიკვდილს ძლიერსა და უმოწყალოს,  
მთებიც მას აძლევენ ხანს.  
ბობოქრობს საწყაო წუთისოფლის,  
განაჩენს ვერ ვხედავ კარგს,  
ორკაპი დაბლა დახარე და  
გთხოვ წურას ავნებ სხვას.  
მე კი შეგინდე სიკვდილო და  
მაინც მატლივით მხრავ.

## თავად გავუწვდი გათოშილ ხელეებს



გაზაფხულის პირს მიწის ბუბუნი,  
ლოურჯთვალა იას აკრთობს- იღვიძებს,  
მთებიდან თოვლის გუნდა მოგორავს.  
ხეებმა წყლები მხრებზე იტვირთეს.  
და სიყვარულიც გაზაფხულს მოჰგავს,  
ცივია, თბილი, ფერად- ფერადი,  
უბატონოა, როგორც სიღნაღი,  
თავის მორჩილი თავის თავადი.  
და როცა გულში იორივით ახმაურდება,  
გაზაფხულივით შემოლენწავს ყინულის კედლებს,  
მიუარე ბნელ დამეს გადაათეთრებს,  
მზე გულს გაუთბობს გათოშილ სერებს.  
და როგორც სურო მალლა მცოცავი,  
მოვა და ყელზე შემომხვევს ხელებს,  
ამ მოწყალეებას როგორც ღვთის ნებას  
თავად გავუწვდი გათოშილ ხელებს.

### დამთოვეთ!

დამტოვეთ, არ მინდა არაეინ,  
იქ სადაც, სითბოს და სიყვარულს ვერ გრძნობენ,  
გამთელეთ.  
ჩამქოლეთ, მესროლეთ ტალახი,  
მომღიმარ ზაგედან დალატი მესროლეს.  
მე გოხოვეთ!  
ნუ გიკვირთ, ასეა, მე გოხოვეთ,  
აღარ მსურს, ყოველდღე ახალი იარა,  
მესროლეთ,



ნამდვილი ტყვიები მესროლეთ,  
ოდონდაც მომვალით,  
დამჭერიც კი არა,  
თუ არაა!  
ივსება მოთმენის ფიალა,  
არ მინდა, განკითხვის მოვაწყო საღაძო,  
დამღალა,  
გრძნობების ბოროტმა ფინალმა,  
ვერ ვხვდები,  
რას მერჩის ღმერთი და სამყარო,  
არ ხარო!  
არ ხარო, ამ დროის შვილიო,  
ნატანჯი გულიდან მგესლავენ ფიქრები,  
როგორ ხარ,  
ასეთი წყნარი და მშვიდიო,  
გვერდით გყავს ათასი ბოროტი, მლიქვნელი,  
მიკვდები!  
მიკვდები გულს და არ მინდა,  
ცოდვილი სამყარო დატოვო უკვალოდ,  
სიყვარულს ვქადაგებ, დიდი დრო გავიდა,  
არ მინდა  
ეს გრძნობა ჩათვალონ „უბრალოდ“.  
უფალო!  
შენ გიხმობ,  
გიგზავნი ვედრებას,  
არ მომცე უფლება, შენზე წინ წავიდე,  
შევერწყო  
განკითხვის სურვილს და ქმედებას,  
არ მინდა  
ამისთვის ცოდვებით დავმძიმდე,  
დავცლიდე!

ნეტავ, იმ ფიალას დავცლილდე,  
 ზოროტი რომ წამლავს  
 გრძნობების მდინარეს,  
 დამშვიდდნენ.  
 იქნება მერეღა დამშვიდდნენ  
 და ხელი აღარ ჰკრან, სიკეთეს, სიმართლეს.  
 მცინარეს!  
 მერეღა მოხილავ მცინარეს,  
 შენს გ'ზა'ზე,  
 მრავლად რომ ვიხილავ ნაბიჯებს,  
 ძოშევი ძალა რომ,  
 ცხოვრება მიყვარდეს,  
 უფალო!  
 მე, შენი იმედი მამშვიდეებს.

## მგელი და ძაღლი..

ზოლოს და ზოლოს შევხვდით ერთმანეთს:  
 სალამი ძაღლი, სხვათა მსახური.  
 აბა შენ რაგორ უნდა გაიგო?  
 ჩემი დარდი და ჩემი საყმუვლო.  
 სხვა იქნებოდი თავისუფალი  
 ჩემებრ სიზმარი რომ დაგასიზმრა,  
 მე მომხვედრია ტყვია მრავალი  
 მაგრამ არასდროს წიხლი კაცისა,  
 ბევრჯერ მიჭერდა ყელში ხაფანგი,  
 მაგრამ არასდროს ტყავის საბელი,  
 შენ სხვათ ჭკუჭყიან მონაქმზე წევხარ  
 თეთრი თოვლია ჩემი საფენი,  
 დვიძლ ძმებს დასდევ და უნგრევ ბუნაგებს

რომ ხვალ ცალი ყბით გითხრან მადლობა,  
გახუნძელის ფასად არის ნაყიდი  
ეგ ერთგულება და ვაჟკაცობა,  
შიშობ დაუფრთხო ძილი პატრონებს,  
რა საცოდავად კნაეი მურია,  
ვერ გიტირია ერთხელ გემოზე,  
ერთხელ გემოზე ვერ გიყმუვლია.  
სხვა კი რა არის ჩვენი სიცოცხლე,  
როცა მარღვებში სისხლი იშხუვლებს,  
როცა გტანჯავს და გაწამებს ბოღმა  
და ბოღმას რომ ვერ ამოიშხუვლებ.  
მშვიდობით ძაღლო, ჩემს ნაკბილარებს  
როცა დახედავ, ისიც გახსოვდეს,  
კიდევ მომხვდება ტყვია მრავალჯერ  
წიხლი ვაცისა კი არასოდეს.



ზაირა კელოშვილი



ნეტავ, იმ ფიალას დავცლიდე,  
 ზოროტი რომ წამლავს  
 გრძნობების მდინარეს,  
 დამშვიდდნენ,  
 იქნება შერედა დამშვიდდნენ  
 და ზელი აღარ ჰკრან, სიკეთეს, სიმაართლეს,  
 მცინარეს!  
 შერედა მიხილავ მცინარეს,  
 შენს გზაზე,  
 მრავლად რომ ვიხილავ ნაბიჯებს,  
 მომეცი ძალა რომ,  
 ცხოვრება მიყვარდეს,  
 უფალო!  
 მე, შენი იმედი მამშვიდებს.

## გგელი და ძალი..

ზოლოს და ზოლოს შეცხვდით ერთმანეთს:  
 სალამი ძაღლო, სხვათა მსახურო,  
 აბა შენ როგორ უნდა გაიგო?  
 ჩემი დარდი და ჩემი საყმუჯლო,  
 სხვა იქნებოდი თავისუფალი  
 ჩემებრ სიზმარი რომ დაგასიზმრა,  
 მე მომხვედრია ტყვია მრავალი  
 მაგრამ არასდროს წიხლი ვაციხა.  
 ბევრჯერ მიჭერდა ყელში ხაფანგი,  
 მაგრამ არასდროს ტყავის საბელი,  
 შენ სხვათ ჭკუყვიან მონებზე წევხარ  
 თეთრი თოვლია ჩემი საფენი.  
 დვიძლ მძებს დასადევ და უნგრევ ბუნაგებს

რომ ზვალ ცალი ყბით გითხრან მადლობა,  
გახუნძყლის ფასად არის ნაყიდი  
ეგ ერთგულება და ვაჟკაცობა,  
შიშობ დაუფრთხო ძილი პატრიონებს,  
რა საცოდავად კნაფი მურია,  
ვერ გიტორია ვრსახულ გემოზე,  
ერთხელ გემოზე ვერ გიყმუვლია -  
სხვა კი რა არის ჩვენი სიცოცხლე,  
როცა ძარღვებში სისხლი იშხუვლებს,  
როცა გტანჯავს და გაწამებს ბოდმა  
და ბოდმას რომ ვერ ამოიშხუვლებ,  
მშვიდობით ძაღლო, ჩემს ნაკბილარებს  
როცა დახედავ, ისიც გასსოვდეს,  
კიდევ მომხვდება ტყვია მრავალჯერ  
წიხლი ვაგისა კი არასოდეს.

ზაირა კვლოშვილი





## ინა კვანცილაშვილი

### ეს მერამდენე გაგაფხულია

შეცეცა ფრთები განაგარდებამ,  
სადარბაზოდაც ველარ ირთვება,  
ალაზნის მთვარის გამონათება,  
ვით აშხიონი დარდად იცლება.  
არაგვის ხევი, პირიმწესავით  
ველარ პატარძლობს ამ მაისობას,  
მაყარს ვერ ხვდება ზეცა ნეტარით  
მგლოვიარეა მზის დაისობაც.  
თერგი კლდესა გლეჯს, ზრიალით მოსთქვამს  
მთებს იქეთ ამაყ ენგურთან თურმე,  
ვერ გაზაფხულობს მზე, ჩემად ოხრავს,  
სხივთა ჩქერები ტირიან მწუხრზე.  
არც მთას უნდება ბურის გადაყრა,

მოჰკიდებია ლიბრი თვალ-შუბლზე,  
მისი შინა,რომ იყო გადაღმა,  
ვეღარ მასპინძლობს კერა დაუწვეს.  
ეს მერამდენე გაზაფხულია,  
ჩაშავებია მზის კარს არშია,  
სილაქვარდევ კი დაზაფრულია,  
ჩემი ქვეყანის ცა ცრემლის ზღვაშია.



## ერთ-სულ, ერთ-გული საქართველო ილოცებოდეს!

ხავსმოდებული ბილიკები ხმას არ იღებენ,  
არა და მუხლიც დამიმძიმდა ოხერტიალი,  
მომეცით წლებო ერთი შანსი--ვიდრე მითმენენ  
წყალობის თვალით: დამეყურებენ დღენი მზიანნი.  
მოგონებებით ვერ ვიცხოვრებ არ შემოდლია,  
ნაოჰს ატყვია--არ მასვენებს მეხსიერება,  
სკივრში ჩავდე და შიგ ჩახედვის ხან მეშინია  
გადატანილის შეხებაც კი შემირაყება.  
ცრემლითა დაღუწილ ჩემს ქვეყანას ისევ ატყვია,  
ნაიარვეი კვლავაც სტკივა არ უშუშდება,  
მეც მასთან ერთად ნატყვიარი გულზე მატყვია,  
ვხედავ ქვეყანავ დღენი შენი, რომ უკუნდება,  
ნეტავ არავის დაენახე ლამაზ ესკიზად,  
ხელი შეგახეს, დაგიორღიეს სულის მშვენება,  
თავის ქმნილების, რომ უკვირდა თვითონ ზეწმინდანს.  
წილჩაყარო და მარიამის კალთის ფერებაც,  
შენ დაღლილ სულმა კიდევ ერთხელ იქნებ იფეთქოს,  
ზარად ისმოდეს,მაჯისცემა ირეკლებოდეს,  
მუხლის კვერებით შეგავედრებ, ღმერთმა ინებოს  
ერთ-სულ, ერთ-გული საქართველო ილოცებოდეს!

## ნილაბში თირის ჩემი გული, ვით სივდის ბლუზი



ფიქრების სივრცე გაფეხვრთაღდა, ცარიელია,  
ოცნების გზები გადაფარა უდაბნოს ქვიშამ,  
ზღვის დასალიერს მზის სხივივით დამისრუტავ,  
ოცნების აღვირს ეგრ მოვჭიმავ უკვეა გვიან...  
შეკამა ღამეშ თეთრი სხივი ოცნებებისა,  
ვით შემოდგომის ფოთოლცვენა გადაიფანტა,  
ფრთები შეიჭრა ღამეებმა ნოემბერისამ  
აღარ ვმეგობრობ, გავებუტე, გადამიყვარდა,  
მე გამოვდექი მოლალატე, დალახვროს ღმერთმა,  
ოცნების გზები გადაკვეტე და ოხრავს გული..  
მოხეტიალე ჯამბაზივით, მე ვიცი ერთმა  
თუ როგორ ვტირი ნილაბის ქვეშ, ვით სივდის ბლუზი.

### და უკვდავებას კეშვით მოგიტანო

მე ფეხშიშველი ძივალ ვემთხვევი,  
მუხლის კვერებით შემო-ვევლები,  
არ მივარგოდეს ეგებ თაყვანი,  
დედა ვარ ერთი, ლოცვად დამდნარი.  
დაიბინადრებს ლოცვა ხატებთან,  
მირონად იდენს წმინდა სამებად,  
ხელს არ შეეუშლი ჩემი ჭურჭულით  
ღმერთს შევავედრებ მყავდნენ უკუნით.  
დედის ვედრება ათას წლებს ითვლის,  
არას დავეუბ, მე თუნდაც სივდილს  
შევევებები როგორც მაყრიონს  
და ლოცვა მისი მე დამეწიოს.  
გზას დავადგები დაუსრულებელს,



ავეფარები გზებს უკურნებულს,  
ვაბის კალთაზე სიკვდილს მოვიბამ  
და უკვდავებას პეშვით მოგიტანთ.



### ჰაერზე დიდი ხარ, ნამს შუა მაკლიხარ

ქაოსი გაყარა ქარებმა მწუხრისას,  
ოცნებით ლოდინი უაზროდ ჩავთვალე,  
ვფიქრობ და ვკითხულობ, რატომ და რისთვის ხარ?  
პასუხის გადემას სიტვა ვერ ვაკმარე.  
ცის ღრუბელს გაეკრა დარდის კითხვები,  
წვიმის გზას გამოჰყვა ფაქიზად გეფერა,  
ყურში გიჩურჩულა მთრთოლვარე სიტყვები,  
ალბათ ცის ნამოზა უფლისგან მეწერა.  
სიმშვიდე გადამკრავს ვით ნამი დილისა,  
მწუხრზე და რიყრაჟზე ლოცვით არ ვიდლები,  
ღრუბლების მადევრად ნუ მაქცევ წვიმისად,  
მთმენას ვერ ვუძლებ, მე ძლიერ მჭირდები.  
ვფიქრობდი კითხვებით, რატომ და რისთვის ხარ?  
და შემრცხვა ყრისის, წვიმად რომ მაქცია...  
შენ ამონარიდი ცხოვრების არა ხარ..  
ჰაერზე დიდი ხარ--წამს შუა მაკლიხარ!

## ნუ დამპირდები----



ნუ დამპირდები,  
რომ შენ მოკვდები ჩემი გრძნობას უკმარისობით,  
და ნუ დამტანჯავ სიყვარულის მარადისობით.  
ნუ დამპირდები,  
სააქაოში, სამოთხის მსგავს ბედნიერებას,  
ხომ შეიძლება ხელში დაჭკნეს მშვენიერება.  
ნუ დამპირდები,  
სადავეებით, ცაში მთვარის დამორჩილებას  
და ნურც ცის კიდის ვარსკვლავების გამოსხივებას  
ნუ დამპირდები,  
აქორცებული ზღვის ფსკერიდან, მარგალიტის თვალას,  
შენი თვალებით დამანახე სიყვარულის გზა..  
ნუ დამპირდები,  
რომ მონატრებით ციდან მოხვალ, წვიმა შხაპუნად  
და თითო წვეთი დამეცემა გრძნობის ნაკურად.  
ნუ დამპირდები,  
თორემ გრძნობის თვალსაწიერი დაიძენძება  
და შემოდგომის ფოთოლივით დამიძველდება.  
ნუ დამპირდები,  
თორემ ცოდო ვარ, ღრუბლებიდან რომ დავეშვები,  
დაპირებას და სიყვარულს შორის, გასრესილი...  
ქალი ვიქნები.....

იზა კვანჭილაშვილი



## ნონა ლაბაძე

სონეტი 126

(პოეტ - გიგა მუჭაურს,  
ღარიბ მელექსედ წოდებულს)

განსხვავებული აზროვნებით უმჯერ  
ამ სოფელს  
და მოზღვავებულ სათქმელ-საწერს თამამად აშბობ,  
უსამართლობის ქუხს ზენიტი და ეს  
გაცოფებს,  
თვით ბრძენი კაცის ბრძნულად ნათქვამს აშკარად ჭარბობ...  
ვერ ეგუები დაჩაგრულთა უბადრუკ ყოფას,  
მშვიერი ნავშვის საწყალ თვალებს სიკვდილი გიჯობს...  
(ვიღაც ბოზოლა თვითმარქვიას,



„ნავადმყოფარს“, დაუტანია სიმდიდრე და ქონებით  
„გიჟობს“

ეჰ... წერე შვილო... პოეტს დაღლის უფლება არ აქვს.  
გაამათრაზე ამა ქვეყნის  
„დიდებულები“...

მზედ ენთოს აწმყო შენს დალოცვილ  
და ალაღ კალამს, ჩემს საქართველოს ხვალინდელ დღედ შენ  
ეგულები...

თუკი შევძელით (უნდა შევძლოთ)  
სათქმელს ჩვენც ვიტყვით,  
თავისუფლებას მოწყურებულ საქმით და სიტყვით...

### სონეტი 125

(მელეა ჯიქიას-სიყვარულით)

მოძენატრე და... მოკრძალებით ამ სონეტს გიძღვნი,  
ცისკრის სიოთი ნაგვირისტალს და ამოქარგულს...  
სულ სხვა ელფერი დაჰკრავს ზოლმე  
"სახსოვრად" მიძღვნილს,  
ჰო, მწიფობისთვის თაკარა შზით უყვარხარ ამ გულს...  
შენ ზობისწყალის მონატრებით სავსე ხარ მუდამ,  
მე "პაპანწყვირუს" ხინარნარეს ვუწნავ დალალებს...  
ჩვენ არსებულზე რაღაც მეტი გვინდოდა, გვსურდა,  
მაგრამ... სიცოცხლის ბილიკებმა მეტად დაგვღალეს...  
გვწვავს პოეზია და გვამაღლებს მაინც ზეცამდე.  
(ეჰ, „უცხო მხარის“ არსებობის უფრო გვეჯეროდა)  
ვიგონებთ წარსულს... მზე რომ წვავდა ველთა ვერანდებს  
და სიყმაწვილეს, გა'საფხულებს რომ უმღეროდა...  
მო, ჩავიხუტოთ მონატრება გულში ორთავემ,  
მოგონებები სანამ სულში კრიახს მორთავენ...



...ჩემს საკუბოედ დარგულ მუხის ხეს,  
 ამოუყრია მძლავრად ტოტები...  
 მოჭრიან ალბათ და გარანდავენ  
 ჩასასვენებლად -- როცა მოგვედები...  
 აქ რომ ფიქრისთვის დრო არ მრჩებოდა,  
 თავზესაყრელი იქ ხომ მექნება,  
 ვიფიქრებ იმდენს წკვარამ-ჯურღმულში,  
 (მე შენ გეტყვი და... დამათენდება)  
 ...ჯერ გავიხსენებ ზავშეობას ჩემსას  
 და ტაბლას, ოღონდ მწირს და მაინც ტკბილს...  
 თქმულეების ხათრით სხვენზე აგდებულ  
 -ძირში მორყეულ სიყმაწვილის კბილს...  
 რომ არაფერი არ მადარდებდა,  
 (ნუ იტყვი, იქ ხომ დარდი გადამრეკს)  
 დავდევი დამით ციციანათელებს,  
 ვეფერებოდი დილის ალავერდს...  
 ...მერე, ო, მერე, შენ გავიხსენებ,  
 ისე, ვით სულში იად -- მზიან დღეს,  
 რომ ჩემს საფლაგზე დარგულ გვირილებს,  
 ერთი ღერიც არ დაუზიანდეს...  
 ეჰ, მაშინ მართლა წამლეკავს დარდი,  
 მიწიდან ალერსს რომ ვერ მოგაწვდენ...  
 (ჯერ ნუ გამწირავ ღმერთო, იმგვარად,  
 სანთლებს მარტოდენ ხსოვნად მოვაწყდე...)  
 ჩემს თავს მე თვითონ ვუხდი მადლობას,  
 (შენთვის ვიცხოვრე მთელი არსებით)  
 სიყვარულია ის დიდი ძალა,  
 მკვდარიც, ცოცხალს რომ დაემსგავსები...  
 ამრევს და დამრევს... თუ ამერია  
 სიცოცხლე -- სიკვდილს ხსოვნად რომ ერწყმის,

მაინც ვიპარავ დღეების ახოს,  
ქურდი კაცივით კუდი რომ ეწვის...  
...ან იქნებ სულაც არა ვარ ქურდი,  
(ჩემს კუთვნილ დღეებს ჩუმად მივათრევ)  
და როცა მოვა აღსასრულის დღე,  
ხარბი ქალივით მაინც გინატრებ...  
...იქნება თოვა... ან გაზაფხულის  
ყვავილთა ფიფქით თრობა და თქეში...  
და გავიხსენებ სიკვდილის შემდეგ,  
იმ მზისფერ ღამეს, თეთრ სასახლეში...

### სონეტი 124

როს გვიან ღამით შენზე ფიქრში ჩამეძინება,  
ივლისის ხვატი ცხელ-ცხელ სიზმრებს გულზე დამაყრის,  
ნანატრ სილურჯეს აგონიად დაეცინება  
მოგონებები, უფერმკრთალეს ბინდით დანაყრილს...  
პაპანაქებად მოაწყდება სიმხურვალე გულს,  
(ნაწუხარ წარსულს ზღვის ზვირთები სრულიად შთანთქავს)  
წაეკიდება სხეულს ცეცხლი, თითქმის დალეულს  
და ძველ სასახლეს ჩამოახეცს გაბზარულ ბათქაშს...  
დავხატავ ისევ შენს მოლოდინს  
„ნაურმალ გზებზე“,  
(არც ღირს თუ მკითხავთ, არცა ჩირად ამის გამხელა)  
ცხრა მთის ცხრა წყარო ცხრა სიცოცხლედ ნებივრობს მზეზე,  
რომ ამ სოფელს კვლავ სიყვარული ერქვას სახელად...  
...დავივლი შერე ჩემს სამზეოს ჩირადღნით ხელში,  
არ დავივიწყებ მე შენს ტრფობას ჩემს სიცოცხლეში...



დროის კბილანებს შერჩენილი სულის სინებით,  
 ვძერწავ მაისის ულამაზეს შემოთენებას,  
 დარი, მზიანი, გალუმბულა სანამ წვიმებით,  
 ამ გაზაფხულის საოცარი ვიგრძნო მშვენიება...  
 მტრატუსის ვალსით გათანგული ღამის ნიავი,  
 საკინძეჩახსნილ ორქიდეებს ევკლუცება,  
 ზარონესებმა, ბაღნარებში, გულის ფრიალით,  
 მოჭარბებული სიყვარული  
 „ღვარეს კურცხლებად“...  
 გადარჩენილი მომაქვს სული შენამდე ისევ,  
 ცისარტყვლების სინარნარით დღენი ტკბებიან...  
 ესიზმრებოდათ მთელი ღამე სულწრფელ ნარციზებს  
 მზედ და სიცოცხლედ, რაც აქამდე მოიცნებია...  
 გადაშლილ ზევას ვიცხებ გულზე, როგორც მალამოს,  
 იქნებ როგორმე შეკოწიწდეს სულის ნაფლეთი,  
 მაინც მიმწუხრით გადაღლილი დგება საღამო,  
 შემოდის ჩემში და უტიფრად მიწვევა ფერხით...  
 მოგონებებით ამოგლესილ პიტალო კედლებს,  
 ვერ ჩავუშენე ვედარაფრით ერთი სარკმელიც  
 სანამ სხეულზე მიწის სურნელს გადავიფენდე,  
 ო, მაპატიე, სიკვდილამდე გითხრა სათქმელი...  
 - „მე ქალი ვარ და... ამ სატკივარს უნდა გავუძლო  
 და „ვიხეირო“ მარტოობის გამოქცეაბულში,  
 განდევნილივით, სინანულმა მინდა დამზურძგლოს,  
 არ გამახედოს რათა ღმერთმა ისევ წარსულში.  
 ვეშუსაიფე საკმარისად ჩემს თავს სიზმრებში,  
 გადავიმღერე გაზაფხულის ყველა კუნჭული,  
 ვარ პილიბრიმი ამ სიცოცხლის მღვრიე ნისლეებში  
 და წუთისოფლის იდუმალი ჩუმი ჩურჩული.  
 ვიყავი... ვარ და... დროს შევრჩები ატმის ფიფქებით



(თუ დააჩნდება ჩემს ნაკვალევს ძაისი, ჭრელი)  
 მე მაინც ვივლი... და როდესაც აღარ ვიქნები,  
 წყლულზე დავიფუნ შენს სიყვარულს, თუკი შევძელი...

**სონეტი 123**  
 (ზეინაბ მეტრეველს)

სულ სხვა ხიბლი აქვს სანთლის შუქზე დაწერილ ლექსებს,  
 მეტაფორებად აკინძული რიოძების კლრიალს...  
 პოეტის სევდა შეაშფოთებს დაბინდულ ვერხვებს  
 და ფიქრთა შორის აცრემლებულ  
 თვალების ციალს...  
 მთვარე გიუტად გამოარღვევს ღრუბლების კოდეს,  
 შემოადნება სპეკალები ქარვისფერ მხრებზე,  
 პარნასის მთიდან მოვარდნილ ლექსს  
 ვარსკვლავს აჰკიდებს  
 ღამის მწვერვალი, არეკლილი  
 ლურჯ პერგამენტზე...  
 გვეღირსებოდეს ისეთი დღე,  
 „ყაყაჩოს გავდეს“,  
 გაღიმებულმა, მზით აღსავსემ  
 ისევ იარო...  
 „ბოლო ღილაგდე ჩახსნილ ზეცას“  
 ღმერთი ფარავდეს,  
 რომ ბედნიერი საქართველო  
 "იმშობიაროს"...  
 გაყიდულ მამულს შენ, პოეტო,  
 ლექსებით ტირი,  
 გაუყიდავს კი ჩამოშლია ირგვლივ ქვითკირი...





რადგანაც ყავლი არ გასვლია სიცოცხლეს ჯერაც,  
 რადგან მკათათვის სიმხურვალით ძგერენ გრძნობები,  
 მიღიმის ისეც იღბლის ყუა  
 და ბედისწერა,  
 არ გამომეტო, გვედრები,  
 ნუ დამშორდები.  
 შენი წილი მზით მომიმუშე  
 სულის ჭრილობა,  
 (წარსულმა უღეთოდ დამიტოვა  
 ნიშნად გოდების)  
 გადამავიწყე ქრონიკული გადაღლილობა  
 და მიწყალობე მაღლი ისეც  
 განშეორების.  
 ჯერ კიდევ ქოროდ მივლის სულში ჩემი ცხოვრება,  
 დიახ... ეს მე ვარ, შერჩენილი სინორჩედ სიზმრებს,  
 ვებვევი ხარდნებს ამტევენბულ ვაზის რტოებად,  
 თავდაღწეული წუთისოფლის  
 „უხე კატაკლიზმებს“...  
 რამ დამავიწყოს ის ცრემლები,  
 ზღვას გარეული, უმეტესწილად სინანულის  
 სიმწრით შობილი...  
 მე მაინც მიყვარს ეს სიცოცხლე,  
 კვალარეული,  
 შენი სუნთქვით და სიყვარულით  
 კეთილშობილი.  
 რადგანაც მზეობს ისეც სულში  
 სიცოცხლის რითში,  
 ჰორტენზიები ათრობს ისეც  
 რადგან მკათათვეს,  
 რასაც ვწერ და ვგრძნობ,

მხოლოდ შენ ეროს გეკუთვნის თითქმის,  
 ვაგზავნი შენთან ხსოვნის ფრთებით  
 ცისფერ ბარათებს.  
 რა დროს დარდია...დარდიც უკვე  
 აღარ მაძარდებს,  
 ვარ ჩემი თავის მკურნალი და ალქიმიკოსი,  
 კვლავ შემწვევს ძალა,  
 დარდს და სევდას ამ მზით ვფარავდე  
 და უშენობის ფერმკრთალ დღესაც  
 ის დამიკოვნიხ...  
 ასკლეპიოსის მე ასული  
 ვარ პანაცეა,  
 გრძნეული ქალი, ყოველნაირ ტკივილს რომ კურნავს...  
 ჩემს სავედრებელს მე ვშველოდე, სანამდე მზეცა  
 და დედამიწა ღერძის ირგვლივ სანამდე ბრუნავს...  
 აპყვება მერე უკვდავება  
 უსაზღვრო სივრცეს,  
 შესისხლხორცებულ სიცოცხლეთა უკმარისობით,  
 სულს კვლავ ზღაპრული სიყვარული  
 აალიცლიცებს,  
 უფლით მოვლენილს და კურთხეულს  
 მარადისობით...  
 ...და აღზევდება სულ სხვა ქალი მდუმარებიდან,  
 ისევ ჰოგიქსოვს მზის სირმებით  
 ჩიხა - ახალუხსა,  
 ჩამოიბერტყავს ყველა ტკივილს სუსტი მხრებიდან,  
 შეხვდება შენი სიყვარულით  
 ისევ გაზაფხულს.  
 სულში ჩაიწნავს უსასრულო ჰორიზონტს დღეთა,  
 „ცილქი ქონვები“ გულში ისევ აუმღერდება,  
 მეკვლედ იახლებს აისისფერ

სხელთა ფოქვას  
და შენს ბალნარებს მზედ და მთვარედ  
შეაბერდება...



## სონეტი 121

სადამოვდება იოსფერი გადაფითრებით,  
მთვარის ანარეკლს სიმარტოვე  
„კუდს უქიციანებს“...  
ვერ მოვინელე წუხანდელი დანასიხმრები,  
აწ დასასიხმრი კაეშანი სულში ქვითინებს,  
ზღვათა პანოებს გაეცრიცათ ფერი სმარაგდის,  
გავდა ტალღები ჭირისუფლებს ფიქრთა თოვანში,  
უხმო ნაპირებს მდუმარებას ჩუმად ვპარაუდი,  
მისახლდებოდა სულში სევდად ღამის კოლაჟი...  
ხმა ჩახლერიათ შენს ძებნაში ქართა აღ-ქაჯებს,  
(დაქანცულებმა, კვლავ ჩემს გულში დაიდეს ბინა)  
და მოლოდინში, სიყვარულით გადაღლილ მარჯნებს,  
ღამემ დაწვებზე უშენობა  
გადააფინა...  
...არც მე და არც შენ დამნამავე არ ვართ ამაში,  
უბრალოდ, ბედმა არ მიგვიღო თავის კარავში...





შენ ახლა აღბაი არც გახსოვს გოგო,  
 გოგო, რომელიც ნიბლიას ჰგავდა...  
 იმ გოგოს, იცი? შენს მოლოდინში,  
 სიცოცხლე ხელში შექოაღამდა.  
 მაინც ნაკვალევს შენსას გასცქერის,  
 მზეს იფენს მაინც შეკვრცხლილ თმებზე,  
 ღამის სიზმრებით დაქანცულ მთვარეს,  
 გულდაწყვეტილი უყვება შენზე...  
 წერს ლექსებსა და სონეტებს, იცი?  
 (პოეზიაში ჰპოვა მან შეება)  
 მარჯნისფერ მუზეებს იმედით უხმობს,  
 ყოველი დილა შენით ეწყება...  
 ქრიან ქარები მოგონებათა  
 და ველთა შიგან კიპარისები...  
 ის ქალი წარსულის კვლავ გაგახსენებს,  
 ოღონდ მის ნახვას თუ ელირსები...

## გოლუაფირო

აშკარად ვატყობ,  
 რაც დრო გადის, მით უფრო მეტად,  
 ვერვფერ შკადრი მარტოობის  
 ცივ სანაპიროს,  
 ცამ საოცნებო შეცხრე კარიც  
 გამოშიკვტა,  
 მიწა ვით ვტკეკნო უმაგისოდ,  
 „გოლუაფირო“.  
 მახსოვს სიცოცხლე გაზაფხულის

გირლიანდებით და სიყვარული,  
ყვავილებად ჩემს წინ  
დაყრილი,  
გულზე ვიბნევდი მზეს და მთვარეს  
თეთრი ბაფთებით,  
შემოთენების სიელვარეს ლურჯი აპრილის,  
განუკურნელი მონატრება ფეხდაფეხ მომსდევს,  
ლამპარჩამჭრალი ოცნებების მომკლავს თარეში,  
სული ვერ იტევს ამ სიცოცხლის მეტამორფოზებს.  
ფერი უცვლია გამუდმებულ სიმწუნხარეში...  
შერჩათ წარსულ წლებს მოგონებად გრძნობათა ხროვა,  
(აუხდენელი სურვილები, გულში ნადები)  
...რადგან სიცლცხლე თრგუნავს საკვდილს...  
მე ისევ მოვალ  
და შენს წინ ისევ გაზაფხულად ავშრიალდები.  
შევძლო ბოლომდე ჩემს სიყვარულს ვენთო მაისად,  
წვავდეს სხივები მზეო შენი  
ცათა საფირონს,  
ვინანიებდე წუხილს სულში  
შესაბრალისად,  
რათა კვლავ გიხმო წარსულიდან  
"გოლუაფირო"...



ნონა ლატარია





## ლეილა მარაიძე

ნუ მიცქერ სულში, ბევრი ეცადო არ ვიკითხები,  
მე ძლიერი ვარ, საქართველოს ერის შვილი ვარ,  
ვინ გამიბედავს სულში ხელი რომ მიფათუროს,  
მე აქ სუფთად და უხმაუროდ ჩემთვის დავდივარ...  
და რატომ ცდილობ ამაღელვო ვით ოკეანე,  
ან ამ გულიდან გადმოვღვარო სისხლის შხეფები,  
ანდა რად ცდილობ დამაჩოქო ან ამატირო  
ტალღასაც მესვრი რომ მატკინო ფეხის ტერფები...  
არა გითხარი შენ ჩემს სულში ვერ ჩაიხედავ,  
ნუ მიფათურებ ბინძურ ყიქრებს სულის არეში,  
მე ძლიერი ვარ ზღვად რომ იქვე გ'ხას ჩაგიხერგავ  
და ისე შეგცვლი არ ინდომო არსად თარეში...  
ნაპირს შეგიცვლი კუნძულებზე თავს გახლევიანებ,



ველარ გაბედო ჩემს ნაპირებს მოუახლოვდე,  
აღარ ეცადო ჩემზე რაშე სიტყვა წამოგდეს,  
არც ის იფიქრო რომ როგორმე დამიახლოვდე..  
როგორ ავიტან თუნდაც ფიქრით ხელის შეხებას,  
მე ეშმაკს არასოდეს სულს არ მივყიდი,  
ვერც ზღვათა ღელვით იცოდე ვერც მოფერებით,  
ვერც კი შემაცდენ და ვერასდროს შენ ვერ მიყიდი,  
ნუ მიცქერ სულში გამეცალე მაცალე ჩემთვის,  
ღრუბლიან ზეცას მზის სხივები რომ შევყვარო,  
დამით ჩემს მთვარეს მოვეფერო გათუნებამდე  
და ვარსკვლავები მუჟა მუჟა რომ შევყარო..

## ჩემი ზღვა..

„მე არ ვწერ ლექსებს ლექსი თვითონ მწერს“,  
რომც არ მინდოდეს ზღვასავით მიტევა,  
მეც ვდგავარ რა ვქნა რომ არ წამიღოს,  
ვდგები და მერე ქაღალდზე ვიწერ..  
ზღვასთან ვდგავარ და ის მიჩურჩულებს,  
სტროფებს გართიმულს ან გაურითმავს  
თუ ჩამეძინა, ტალღას შემოკრავს,  
ჩემი გულისთვის ყველაფერს რისკავს..  
რამდენჯერ ხელი შეახო კალამს,  
თან მომხვევია სველი ხელებით  
მეც მივნილობილვარ, მივხუტებულვარ.  
გავგრილვებულვარ მისი ფერებით..  
მთელი ზაფხული ვყვარობ მე ჩემს ზღვას,  
თავს ვერ ვანებებ და არც ის მიშვებს,  
შეზინდებულზე თუ მივატოვებ,  
ხვალეც მოდიო ხელს ჩემსკენ იშვებს..

ზოდა მეც კიდე მივრბივარ დილით,  
 მეშინია რომ სხვაში გამცვალოს,  
 ჩემზე ძლიერად სხვა შეიყვაროს,  
 მე კი მატროს ცრემლად დამცალოს...  
 მივვარს ჩემი ზღვა ხმაურიანი,  
 როცა ცუდათ ვარ მე ის მამშვიდეებს,  
 რასაც ვუყვები ყველაფერს მისმენს  
 და მიხარია რომ დამამშვიდეებს.....

### სამშობლო ხომ არავისში შეშეცვლება..

ვიცი მალე გაილევა მძიმე წლებიც,  
 სიხარული უცხოეთში კარგად არ მღერს,  
 სამშობლოსკენ გაიყოლა ფიქრი ჩემი  
 და ეს გულიც ძველებურად აღარა ძგერს..  
 მოგონებამ დარდი ძმურად გაიტოლა  
 და სიცივეც ძვალში მატანს გამწარებით,  
 ამ დღეებმა ნოსტალგია დამიტოვა,  
 თვალიდან კი ცრემლი მორბის გამალეებით..  
 დავიღალე ისე ძლიერ დავიღალე,  
 ცას შევყურებ რა ფერია ველარც ვარჩევ,  
 უნაყოფოდ აქ ყიალი დავითვალე,  
 გულში სევდაც შემპარვია უკვე ვამჩნევ..  
 სად წავიდა სიხალისე თან რომ მსდევდა,  
 უთენია სხივებს გზაზე რომ ელოდა,  
 მზეს ღიმილით ვოცნიდა და ხელსა სვევდა,  
 მკერდ უხსნიდა სიოს ქროლვა რომ შევნოდა...  
 მაგრამ მაინც სიჯიუტით გზას მივყვები  
 და რომც მოვკვდე ნაბიჯი არ შემეშლიება,  
 უცხოეთში ვიცი უცხოდ რომ ვითვლები,  
 სამშობლო ხომ არავისში შემეცვლება...





ისევ გნატრობ ისევ ისე მონატრებით,  
როცა შენზე ლექსებსა ეწერ სხვა იჩემებს,  
შენ ერთი ხარ ერთადერთი მონა ჩემით,  
სხვას შენს გარდა გული ჩემი არ ინებებს...  
ვიცი ახლა რომ ფიქრებით შენც ჩემთან ხარ,  
თუმცა ტკბილად ვისაუბრეთ დილით ადრე,  
მოგეფერე და დიმილი ჩემთან დაგრჩა,  
მაგრამ ისევ ისევ ძლიერ მომენატრე..  
როცა დილით ზარი რეკავს ტელეფონზე,  
რომ გაჩვენა გული როგორ ძლიერ მიცემს  
და ოცნებით გეფერები მაგ ივალეზზე,  
ვერ მხედავს და მაინც თბილად მე რომ  
მიმზერს...

ტელეფონი ახლაც რეკავს გამალეზით,  
ვიცი გინდა შემეკითხო თუ სად წავალ,  
ქარიას არ გაცივდე, დამარიგებ,  
სახლში დარჩი სიცივეში ნურსად გახვალ..  
მე გიღიმი და ჩურჩულით გეუბნები,  
მე ამ ქარში შენი სითბო თან დამეყვება,  
როცა ქარი თმას მიჩეჩავს ვეურჩები  
ვფიქრობ შენი სურნელება მას გაყვება...  
არ იდარდო არაფერზე ჩემო ერთო,  
მე შენს გარდა ფიქრშიც არვინ მყვარებია..  
ავერ უკვე ფანტელები თმას დაედო,  
საუკუნის ნახევარი დროსთვის გაგვიტანებია...

## ისევ წვიმს...



ისევ, ისე მომეძალა დარდი,  
ისევ ისე, გადავყვევი ნიავს,  
მოვეფერე, წვიმით, დასვრილ ყვავილს,  
და ყურს ვუგდებ, ჩიტუნების ჟრიალს...

ვდგავარ, ეზოს შუაგულში, წყნარად,  
წვიმამ, თმები ჩამომშანა ხელით,  
დამისველა, სულ ახალი კაბა,  
და დახატა, ცისარტყელის ფერით..

წვიმამ, მართლა გაიგივა, თავი,  
შზის სხივები, სადღაც გადამალა,  
გავებუტე, თურმე ცის ტირილი,  
დღესაც, ისევ, მე რომ დამაბრალა..

ღეილა მაჩაიძე...





## თეა მებრალიშვილი

მალა, ცისკენ ატოტვილან, ტანშიშველა ხეები,  
დაძარცვულან და ტყეებში უსასრულო ქარია,  
შენს ლოდინში გაფრენილან სიყმაწვილის დღეები,  
მე, კი მაინც მენატრები, მენატრები ძალიან.  
შენთან ალბათ მაისია, იქნებ ჰყვავის ტყემლები?!  
იქნებ არც კი გაგონდები, მაგ შორეულ მხარეში,  
ჩემს სულში კი ჯერაც ცივა, დამთოშვია ხელები,  
სითბო არსად მეგულება, ნაცნობ არე-მარეში.  
აჰა! დამჭრა წლების ბრუნვამ და ჭალარა მერევა,  
ეს სითეთრე, ეს სიცივე, იქნებ ზამთრის ბრალია?  
ვერ მაშინებს ვამთა წინ სვლა, დროის ქროლვა ჭენება,  
ახლა მხოლოდ სიმარტოვის, მემშინია ძალიან.  
მალა, ცისკენ ატოტვილან, ტანშიშველა ხეები,  
დაძარცვულან და ტყეებში უსასრულო ქარია,  
შენს ლოდინში გაფრენილან, სიყმაწვილის დღეები,  
მე, კი მაინც მენატრები, მენატრები ძალიან.

ქუჩაა გრძელი...

არც ისე ფართო

და ვიცი მელი, იქ სადღაც ბოლოს,  
მე, მხოლოდ შენი ღიმილი მახსოვს,  
მახსოვს და როგორ...

მიხარის ახლა და ვიცი ზვალაც,  
გახელდებიან ჩემი ფიქრები,  
მე, უშუალოდ დაღლილი ვდგავარ,  
დაბრუნდი, ვიდრე გარდავიცვლები.

ოხ! ისევ ვმდერი უმისამართოდ,  
მაჯაში მიჩქეფს შენი აჩრდილი,  
მე, მებრძოლი ვარ, უიარაღო  
და შენ კი ტყვია, გულში გაჩრილი.

ქუჩაა გრძელი...

არც ისე ფართო

და ვიცი მელი, იქ სადღაც ბოლოს,  
მე, მხოლოდ შენი ღიმილი მახსოვს,  
მახსოვს და როგორ...

შენ, მოდიხარ და მიხუტებ გულში,  
მე, კი ვიცინი, არ მომწონს თითქოს,  
თავს მიამიტად გაჩვენებ რადგან,  
მინდა სიცოცხლე ბოლომდე ვიგრძნო.  
შენც გელიმება, მიძვრები თამაში,  
ცხელი ტუჩებით მიკოცნი კეფას,

შენი სურნელი ჩემამდე აღწევს  
და სულის ყველა კუნჭულში მწვდება.  
მიდის სიზმარი, თენდება. არ მსურს,  
გამოდვიძება რეალურ სუსხში,  
შენი აჩრდილი რიჟრაჟზე დგება,  
ზამთრის სიცივე მიწვება გულში.  
და კვლავ ვიციანი. ვიციანი, რატომ?  
ასე მგონია ჩემს გვერდით დგახარ  
და ვიყურები გარეთ, ქუჩაში,  
ქუჩაში სადაც ნამდვილად არ ხარ.

\*\*\*

თვალიდან-თვალში, გულიდან-გულში,  
გავლილი ფიქრით გეხები მარტო  
და შენი ბაგის კუსახეში ჩამდგარ,  
მაგ ღიმილების გაკრთომას ვნატრობ.  
მიდის ღიმილი და შენი ხელით,  
მლიერი ხელით მაჯაში მიჭერ,  
გულში შეღვრება თითების სითბო,  
სინაზე მათი და ვეღარ ვითმუნ,  
გაივლის წამი და ყველა განცდა,  
დარჩება შორი, თან ისე ახლო,  
ზოგჯერ, გაკრთები ჩემს ცხოვრებაში  
და მერე ისევ დამტოვებ მარტო.  
თვალიდან-თვალში, სულიდან-სულში,  
მექომაგება სიტყვების ექო,  
იქნებ, როგორმე გაყუჩდეს გული,  
იქნებ, როგორმე უშუბოდ შევძლო.



შორს, მთებში სუნთქავს გრძნობა ტანჯული  
 და ხანჯლის პირზე. ჰკიდია ცოდვა,  
 ვისთვის არ იყო ნება დართული,  
 ვისთვის ეკითხათ? ყოფნა არ ყოფნა.  
 გული ძგერს ორად. განა ერთია,  
 სამშობლო... შემდეგ სატრფო და ისევ...  
 სიყვარული ხომ თავად ღმერთია,  
 დაუკითხავად გულის ხმას მისდევ-  
 აჰა! ჭახანიც გაისმის თოფის,  
 გული ნელდება, თვალი კი ხედავს,  
 ქართულ ჩოხაში გამოწყობილი,  
 თვით საქართველოს ასული ეცეკვავს.  
 რისთვის ნელდება გულო უდროოდ?  
 აფერუმ! ტრფობას, ორი ერისას,  
 აფერუმ! რადგან შენს სამშობლოში,  
 ისევ დალევენ გადარეჩენისას.

თუა მეგრელიშვილი.





## ციური მესხიშვილი

### სიშლარა ბათუმში

სად შიცურავ თეთრო გემო,  
იალქნიან-აფრიანო?-  
თუ თოლიებს დაეძებ შორს,  
აქაც ბევრნი დაჰქრიანო...  
დავიჭიროთ ერთი-ორი,  
მზე, ჰაერში ვაფრთხილოთ,  
გაუუკეთოთ ქვიშის ჰუდუ  
და ბარტყები ვაფრთიანოთ...  
ნენემ, ნანინა გვიმღეროს,  
სიყვარულზე სატრფიალო,  
თეთრი კაბა შემიკეროს,  
ნიავივით საფრიალო.

შემოსულა აჭარაში,  
ხეჭეჭური საგვიანო,  
ფერიაზე, მზე ამოდის,  
თეთრ ბათუმზე საბრდღვიალოდ...  
როგორ მინდა მოგიტაცო,  
თეთრო გოგო, ბაფთიანო,  
მზე იქნება შენი სატრფო,  
მთვარე კიდევ-ნათლიაო!...

### ბათუმის შავი ზღვა

უნმაუროდ ხმაურობ,  
დუმილს არღვევ დუმილით,  
წყურვილს უკლავ სტუმარს და  
თავად კვდები წყურვილით...  
ცაში, ღმერთს უტირია,  
მისი ცრემლი მარილობს,  
არ წასულა სტუმარი,  
შენგან უპურმარილოდ.  
შენ „ს უ ლ ი კ ო ს“ მღეროდი,  
ის მღეროდა „რ ა ნ ი ნ ო ს“  
წმინდა ნინოს ეძახდა,  
ხან ნინას და ხან ნინოს...  
ვინც, რა უნდა დაგარქვას,  
ნენეს ნანა ნანილობს,  
კაცზე მჭადი კვლავ ცხვება,  
უფლის საპურმარილოდ.  
ირმის ტუჩზე დამდნარო,  
აფროდიტეს მარილო,  
კოცნავ, აღერსიანო-  
ჩემო ფერუმარილო!...





ციდან მოფრენილ პეპელას,  
ჩემს დოქში თავი ჩაეხრჩო,  
შოთას წყაროსთან გაეხსენი,  
დღეს სიყვარულის საელო...  
საცაა მობრძანდებიან:  
თამარ მეფე და სოსლანი;  
სეფე-ქალეზად ხლებიან:  
ანა-გვირილა, სოსანი.  
ციდან მიღიმის ფერია,  
კალთაჩაქარგი შროშანი,  
ვარძის ღვთისმშობელია,  
განა, აქედან შორს არი?!  
პალესტინიდან გვეახლნენ:  
ელჩი, შიკრიკი, -უსტარით,  
რუსთაველის მალემსრბოლია  
და გზას ვითხულობს, რუსთავეის...  
„ვეფხისტყაოსნის“ ეტრატი  
და მგალობელი ფრთოსანი,  
მოგართვით, დიდო მეფეო!  
მოკითხვას გითვლით მგოსანი.

### თომოზის ბოჰარა

(ბ.ზ-ს)

ახლა, იქ რომ ვაკალია,  
ხაგსიანი იყო ლოდი,  
იქ იცდიდა აკაკია...  
მოვიდიოდა მოვარე როდი?!  
ცაში, ვერცხლი გაოქროვდა.

ძირს წვებოდნენ ვარსკვლავები,  
 ვარსიიდან ქარს მოჰქონდა  
 თამარ ძეგის წამწამები...  
 ვალოობის ჭამი იღვა,  
 ზღაპარს ყველა ნესტორ ძია,  
 კართან ოქროს ჯამი იღვა,  
 მზე ხარშავდა თაფლით რძიანს.  
 თამარის მზე ანათებდა,  
 ვარსკვლავთცივებით-თმოგვის ციხეს.  
 ახლაც მისდევს გზანათელად,  
 ბასიანს რომ ჯარი იზმეს...  
 თმოგვეში, სადაც კაკალია,  
 ხავსიანი როა ლოდი,  
 აღარ იცდის აკაკია...  
 დაბრუნდება?! -ნეტავ, როდის?...

### ჩიტმა მოქარგა ბუდე

კარი გამიღე, დედი.  
 წყალში ვღვევარ და მცივა,  
 მთვარის ვერცხლისფერ ღვედით,  
 ჩამოგვიკიდო მძივად.  
 ჩემი ცრემლები, თუნგით,  
 კართან დაგიდგი მწყურვალს.  
 პირს გაისველებ, დედი  
 და გადაიყრი ურვას...  
 სიზმარში ვნახე, დმერთმა,  
 ანგელოზს შესჭრა ფრთები,  
 ჩიტმა, მოქარგა ბუდე,  
 ჩემგან მოკვეცილ თმებით...  
 გათენებამდე გიცდი,-

დაგელოდები თმენით,  
ცივ სამყაროში, იცი?!!-  
მხოლოდ, შესვ ვვერდით ვთბები!



### კ მ- S u n- მ

(ზ.ვ-ს)

ცხრა მზიდან, - ცხრავე მიყვარდა,  
ზეცას შემორჩა მზესამე,  
შხემ, გულში ამომიქარგა,  
ცისფერთვალეზა კესანე...  
ზამბახისფერი საღამო,  
მოვარესავით რომ აენტო,  
უდირიჟორა ვარსკვლავებს,  
ფრაკშემოცმულმა მანეტრომ.  
ცხრა საღამური მაჩუქა,  
სასაგამომშრალს ცხრაწყარომ,  
დარდი, მუცლით რომ ვატარე,  
ვერ დაიტია სამყარომ.  
ვერც დაიტირა სამყარომ,  
მე?-ვტირი, კვნესის-კესანე...  
დამატკბე, ტკბილო ზღაპარო,  
გათენდეს!-შენი კვნესა მე!!!..

### ძველი ალაგომიდან

ბემაღუზიან ჭილის ქუდები,  
ობმოდებული თეთრი საყელოც,  
სანამ ცოცხალ ვარ, ამას ვუნდები:  
გავაცოცხლო და წამოვაცენო...  
ვერსად შევნიშნე დედის ქამარი,



რომ ამშვერებდა მის წელის კალთას,  
 დაიცივლებდა ჭრელი მამალი  
 და შეიხსნიდა ოქროსფერ ბალთას...  
 გული გაგლიჯა შალის წინდებმაც,  
 შიგ შენახული სამი „მანათით“,  
 მხოლოდ ვერანა თაგვსდა სჭირდება,  
 ძვირფასი მამის ტილოს ხალათი,  
 ძველ ქალამნებსაც ფეხი აუდგამთ,-  
 დაუჭერიათ ჭრელი ქცდილა,  
 წარსულს-წარსულში ძეგლი დაუდგამს:  
 თითქოს, ღვინია გადაჩეხილა...

### შავი ფანქარი

სიყვარულს შევასვი მზისფერი აბები,  
 დავხატე ჩავაცვი ფერადი კაბები,  
 და როცა ჭრელ ფანქრებს წაუტყდათ წვერები,  
 მამას დავუვოცნე ჩხუტუნა წვერები...  
 მიშველე, მამიკო! -შეხედე ფერადებს!  
 უწვერო ფანქრები, რას გამიფერადებს?  
 ყუთებში ჩამიწყო ფანქრები დათლილი,  
 მხოლოდღა შავ ფანქარს, არ ჰქონდა წათლილი...  
 ღიმი წაეკიდათ ტუჩებზე ფერადებს,  
 მითხარ, შავ ფანქარში, მამი, რა მზერა დევს?!  
 -შავ ფანქარს, უფროხილდი!...ყუთში რომ ჰდერადებს,  
 დრო მოვა, ჭრელ კაბებს, სულ გადგიფერადებს...  
 ცხოვრება წუთია, წამი აქვს გათვლილი,  
 ცხოვრებას ცუდად აქვს ფანქრები წათლილი

## „Memento Mori“



მზეს ახურავს ყარდისფერი ბერეტი,  
მთვარეს, ხელში, ვერცხლის ჯოხი უჭირავს;  
ჩიტებს ითვლის ატმის ტოტზე, ტერენტო,  
თეთრი მტრედი, ღმერთისთვის შეუწირავს...  
რადგან, მაშინ, გაზაფხულის დრო იყო,  
ბედურები, გრანელისთვის გალობდნენ,  
მერე, როცა შემოდგომა მოვიდა,  
ჭირისუფლად მიჰყვნენ სასაფლაომდე...  
მოიხადა მეფეთ-მეფემ ბერეტი,  
მთვარეს, ხელში, ვერცხლის ჯვარი ეჭირა,  
აღარ თვლიდა ჩიტებს ხეზე ტერენტო,  
თავის ჩიტიც-უფლისთვის შეეწირა!!!...

ციური მესხიშვილი ( შ ა შ ვ ი )





## ნანა მეტრეველი

სიხარულიდან ტკივილამდე ერთი წამია,  
 ერთგულეზიდან ლალატამდე - ერთი ნაბიჯი,  
 ხშირად მას ვკარგავთ, ვინც ყველაზე დასანანია,  
 ხან თვითონ ვკარგავს, რადგან ჩვენი ფასი არ იცის.  
 ურთიერთობა წლებში მყარად გამოიცდება,  
 საქმით და რწმენით გაღვივდება ნდობის მარცვალი,  
 თეთრი შავისგან ამიტომაც გამოირჩევა,  
 უსიყვარულოდ არაფერი იყო, არც არის.  
 ერთგულება თუ შენში, როგორც კოდი არა დევს,  
 ვერ ისწავლი და ვერც გასწავლის უკვე ვერავინ,  
 ორგული კაცი ვერ მიაღწევს უკვე ვერაფერს,  
 ნუ დააბრალებს, ტყუილადო ბედის მწერალი,  
 ტრიალებს ბედის ბორბალი და წლები მიდიან...  
 ვულს ვი ტკივილად შემორჩები სევდავ ფარულად,  
 ეს ცხოვრება ხომ საცალფეხო ზეწვის ხილია,  
 გვასსოვდეს, ამ ხიდს ვერ გავივლით უსიყვარულოდ.



ვინა ვარ...  
 ვინა ვარ? ერთი წერტილი,  
 ჩემი ლამაზი ქვეყნისა,  
 სიტყვა ვარ ლალი, კეთილი,  
 ერთი ბწკარი ვარ ლექსისა.  
 წინაპრის სისხლის წვეთი ვარ,  
 მიწის გულიდან მოვდივარ,  
 გლეხის დილეკილოს ჩაწნული  
 ვაზის პატარა ყლორტი ვარ.  
 ბედმა სად აღარ მატარა,  
 რაჭაში მიდგას ფესვები,  
 წყარო ვარ ცივი, ანკარა,  
 მსვამენ და ისევ ვივსებთ.  
 დიდ ღიახვს შეერთებული  
 სამაჩაბლოს ცის ცრემლი ვარ,  
 აფხაზეთს შემორჩენილი  
 მაგნოლიების ტევრი ვარ,  
 ვინა ვარ? შვილძკვდარი დედის  
 განწირული ხმა, კივილი  
 და უბედური მამულის  
 კვნესა და გულის ტკივილი.  
 სიყვარული ვარ, სევდა ვარ,  
 ხან სიმღერებად მოვდივარ,  
 ხმელი წიფელის ფესვებზე  
 იმედად მდგარი ყლორტი ვარ.  
 ხან საგალობლის ენა ვარ,  
 უფლისა მადიდებელი,  
 რწმენა ვარ, ბედისწერა ვარ,  
 სამართლის მკითხავ მძებნელი.  
 ნუგეშად მოსული ს ი ტ ყ ვ ი ს

შემსმენელი და მცველი ვარ,  
რწმუნის გარეშე კი, გეტყვიათ  
უბრალოდ მიწის მტვერი ვარ.



## მ ე ლ ბ შ ე ნ

მარტოობის წლებს ნუ დამითვლი, გამუდმარები,  
მე შენთან ერთად გატარებულ წლებს ვითვლი მხოლოდ,  
მოდო და ჩუმად, შემოაღე ისევ კარები,  
რომ სიყვარულმა იზეიმოს ბოლოს და ბოლოს.  
მოდო, მიპოვე, შემომხვიე მხრებზე ხელები,  
რომ მონატრების ნაკვალევი გავაბათილოთ,  
თუნდაც ვიცოდე, უკანასკნელად შეფერები,  
ვეცდები წასვლის ტკივილები გავამარტივო.  
ერთად თუ ვივლით, სიბერესაც ლაღად შევხედებით,  
ასე გავიკვლევთ გზას, ცხოვრების ლაბირინთებში,  
თვით სიკვდილსაც კი სიხარულით შევეგებები,  
მაგ შენს მკლავებში ვალმობდილი გავირინდები,  
მერე კი წვიმად მოვასკდები მთებს და ქარაყებს,  
გაზაფხულზე კი ბურქის ძირას იად ამოვალ,  
თუ გიყვარს, უთქვამთ, გიცხოვრია ამ ქვეყანაზე  
და ამიტომაც, არსად წავალ ამ სამყაროდან.



ზაძთრის სიმკაცრეს თუ გადაეურჩი  
 და უგულობას წუთისოფლისა,  
 ხელებს ავაპყრობ. გულს გადავუმლი,  
 იმედი დამრჩა მხოლოდ უფლისა,  
 ფურცლის ნაგლეჯებს საიმედებლად,  
 გავანდობ, რაც კი გულს ჩამრჩენია,  
 ლექსს დავაპურებ ალალი ცრემლით  
 ესეც ხომ ბედის განაჩენია.  
 სხვისი ტკივილი არც ვის აწუხებს,  
 თბოლი ნატრობს დედის ღვეზელებს,  
 ეშმაკი ბოროტს კვლავ ასაჩუქრებს,  
 ვით კვისარი მორჩილ შეზვერეს.  
 რამდენჯერ დამკრეს, იმდენჯერ ისევ  
 ამატიეო, ღმერთი მაგონებს,  
 ვდგავარ იმ ვიწრო ბილიკის პირზე,  
 მათხოვარივით ვითული ნაგროვება,  
 თენდება... დღესთან პირისპირ ვრჩები,  
 ზეცა მიწისგან ო, რა შორს არის  
 და იმარცვლება სიცოცხლე ჩემი  
 ვით პაპის ძველი კრიალოსანი.



დღეს გათენებულს იმედით,  
 მზერას ვახვედრებ ფიქრიანს,  
 თეთრად ნათენებ დამეში  
 მთებს გადავიფრენ ნისლიანს.  
 სადაც არწივნი კვლავ ზრდიან  
 აფრთიანებენ მართვეებს,  
 სადაც სამშობლო გვეგულის  
 შორს გადაფრენილ ქართველებს.  
 კავკასიონის მთებიდან  
 ექოდ მოგვესმის "ლაბრუნდით",  
 უმისამართო სავალო,  
 რატომ ვერაფრით დასრულდი?  
 გულს მონატრება გვისყრავს,  
 გადახვეწილთა ხვედრისა,  
 ქართულთა ხომ ისე, იოლად  
 არასდროს არც რა გველირსა.  
 იმედი მაინც ბეუტავს და  
 ყველას ერთი გვაქვს სურვილი,  
 "ხეცა გვეხუროს ჩვენი და  
 გვათრობდეს მიწის სურნელი.  
 წინაპართ ოხვრა ნისლეზად  
 დაეკიდება ქარაფებს,  
 ეს ლექსი ლოცვად ვაფრინე.

ყველას უფალი გფარავდეთ!  
 ნანა მეტრეველი



## ბუკა ნემსაძე

დავიბადე 2001 წლის 8 თებრვალს ულამაზეს ბათუმში, ვარ 17 წლის ვსწავლობ #2 საჯარო სკოლაში. მიყვარს ყველა და ყველაფერი, უზომოდ მიყვარს ჩემი საქართველო, ქართველი ხალხი... ძალიან მიყვარს სცენა, მგონია, რომ სცენის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია..

როდესაც მკვითხებიან რას ნიშნავს შენთვის სცენა, რას ნიშნავს და ზედნიერებას, ერთგულებას და რაც მთავარია ხალხის სიყვარულს (რითაც განეხოვრებული ვარ)

მისურვეთ, რომ შეწერებოდეს, მესცენებოდეს, მეცეკვებოდეს და მემღერებოდეს, რომ დაგიმტკიცოთ ჩემი დიდი სიყვარული, სიყვარულია მთავარი..



ვინ მოხატა ეგ თვალები სანუკვარი?!  
 ჩემი გული სწრაფი ცემით ააცემა,  
 ჩემს წერილებს მე, რომ გწერდი რა უყავი?  
 ნეტავ ერთხელ შენს ხელებსაც დაწერა...  
 ჩამივლიდი თმათა ლაშქრის აჯანყებით,  
 ჩემი გული ვერ უძლებდა ამდენ განცდას,  
 მხოლოდ შენთვის, მხოლოდ შენთვის, ვწერდი ლექსებს,  
 შენ კი ერთხელ არ დანებდი დამარცხებას.  
 მე ახლაც გწერ ამ წერილს და გეუბნები,  
 მე მიყვარდა შენი თვალი, თვალთა უპე.  
 მე მიყვარდა შენი თმების აჯანყება,  
 თურმე შენი ყველაფერი შემიყვარდა.  
 თურმე შენი შავი ფერის დაღალები,  
 თურმე შენი საყვარელი თვალის ფერი,  
 არ დაუშვა გეხვეწები დარაბები,  
 მე მიყვარხარ ამ სცენიდან გეუბნები!

### ბათუმო!

მიფუყვები მე ნაწვიმარ ნაპირებს,  
 ჩემს ქალაქში ამაყად დავაბიჯებ,  
 იდუმალო საოცნებო ქალაქო  
 ვამაყობ და მთელი გულით გადიდებ...  
 გადმოგვცქერის მთიდან წმინდა სამება,  
 ვეფერები მე შენ ღვთიურ ნათებას  
 ზღვის ტალღებში მოსჩანს თეთრი თოლია,  
 შენ ბათუმო ო რა გული გქონია.



სიგარეტის ბოლში იწვის სილამაზე,  
თუთრთა ფერის ზეიმია, ვამჩნევ.  
სიკატეხათე ანგელოზის შედეგია,  
შენნაირი არ მენახა სადმე.  
შენი ფერი ღვთაებრივი გვირგვინია,  
შენი სახით სილამაზე ვნახე.  
შენი თვალი ზეციური სამფლობელო,  
ჯესვეწები არ დამიგო მახე..  
ეს კალამი მელნისაგან დაცლილია,  
მაგრამ მაინც შენზე მაინც დაწერს,  
ეს სიტყვები- ვიცი , რომ შენ სილამაზეს  
ვერასოდეს, ვერასოდეს აღწერს!

### ბათუმთან ერთად შემომათენდა!

ბათუმთან ერთად შემომათენდა,  
ფიქრობდი, შენზე გათენებამდე.  
ცაც თურმე ჩემთან ერთად ტიროდა  
და გულიც მხოლოდ შენზე ფიქრობდა.  
ხელში კალამი ავიღე უცებ,  
მელანი იყო ჩემი ცრემლები,  
წვიმდა ძალიან, წვიმდა დილამდე,  
წვიმის წვეთები ჩემი მშველელი.  
ღრუბელი შავი შეყროდა ზევას  
მაგრამ ამოდ მზეზე მოეგო,  
წვიმა საშინლად ისვროდა წვეთებს,  
მე მიინდა შენი ლანდი დღეს მსდევდეს.

ბრდღვინავდა ზეცა, ფორიქობდა,  
რას განიცდიდა ეგ კი არვიცი,  
ეტყობა ზეცა ჩემს უშილობას,  
გათყუენჯამდე ძალზე განიცდის!



## მარიტას!

განა მზეა, ბროწეული აყვავილდა,  
განა ვტირი, ეს ცოდვილი ცრემლებია,  
მე მარიტას გადარჩენა ვერ შევძელი,  
ციციკორემ ააბუნტა დედამიწა...  
სამართალი დაიკარგა უგზო-უკვლოდ,  
ბრბომ კი მისი საქმე მაინც გააკეთა,  
ანგელოზი, ანგელოზი შეიწირეს,  
როგორ ბრუნავს ეს ცოდვილი დედამიწა?!  
მე კი ვნახე, გახლეჩილი ბროწეული,  
მე კი ვნახე, ის მარიტა ჩუმი სევდა;  
დავინახე ბრბოს წვერების სინანული,  
-რომ წაართვეს დედამიწას სიყვარული.  
დავინახე სისხლისფერი ბროწეული,  
ყველა ნანობს ის რაც მისთვის გააკეთა,  
დავინახე მე მარიტა კვლავ ეული,  
როგორ ბრუნავს ეს ცოდვილი დედამიწა?!  
არასოდეს ეს ცოდვა არ მოგვშორდება,  
ჩვენ ჩავქოლეთ სამართალი და მარიტა,  
ცოდვა-მადლი დღემდე ყველგან მეორდება  
„გააჩერეთ! ეს ცოდვილი დედამიწა“

ემღვნება  
ლიკა ქავჭარაძის ხსოვნას



იისფერ მთებში მიიკარგა ლამაზი სული  
 და მზისფერ ქუჩებს სევდისფერი დასდევს ღიმილი,  
 დუღამიწაზე, ადამიანებს ასტკივდა გული  
 და მწველი მზის ქვეშ, კადრებია ჩვენთვის ფილმივით...  
 და ამ ჩოჩქოლში, უნებლიე რიარიაში,  
 "მკვდრის მზე" ანათებს მხსნელი ცოდვების  
 და სულის შემძვრელ გაჩუმებულ შავ-ბნელ ოთახში,  
 ისმის, ჩურჩულით წაკითხული უფლის ლოცვები.  
 -და მთის ნაპრაღზე დნება თოვლი  
 -და მის თვალებზე ცრემლთა ჩანჩქერი  
 -და ხის ფოთოლზე, შერჩენილი ხასხასა მწვანე,  
 შეცვლილა გუშინ და გამხდარა შავ-ბნელი მთვარე.  
 ვარსკვლავი მოწყდა, მოგვევლინა შავი ფერები  
 და შესაფლავე ელოდება ახალს გაეცნოს,  
 აზრი შეცვლილი, თურმე მკვდრები არ გვავიწყდება  
 და მისთვის თურმე შეიცვალა მოელი სამყარო.  
 და ამ სამყაროს, მზის გარეშე დარჩენილ ზუდეს,  
 საფუძვლად ჩვენი გაყინული ცოდვები უდევს!



თირის ბათუმი, გლოვობს აჭარა!

(ლეოგრაფში მომხდარი ტრაგედიის  
შემდეგ დაწერილი)



აღერდანივით აკიაფდა ბათუმის ქუჩა,  
სადღაც კუთხეში ჩაჩოქილი გაჰკვივის დედა:  
წვიმის წვეთები ბათუმისთვი საშინლად წვეთავს  
და ხალხის გული საშინელი გრძნობებით ფეთქავს!  
აღმა დაახრჩო ათ სხეულში მყოფი ჭაბუკნი,  
სიცოცხლისათვის მებრძოლები ათი სიცოცხლე,  
და ათ კუბოზე ათი დედა დასტირის ათ შვილს,  
ათი სხეული ათ კუბოში ძვლივს განისვენებს...  
გაირიჟრაჟებს აორთქლდებიან წვიმის წვეთები,  
და გავაცილებთ ათივე ვაჟკაცს,  
ცრემლების ზღვაა, ველარ იტევს ეს დედამიწა,  
ათ ვაჟკაცი, ათ კუბოში, გლოვობს ქვეყანა!  
დროშები დაბლა, გლოვობს ქვეყანა,  
ნაწვიმარ ცაზე მზე ძელივს ამოდის,  
ტირის ბათუმი, გლოვობს აჭარა  
და საქართველოს აგვია შაეი!

ზუკა ნემსაძე







## მბალო ოსიშვილი

დიდება და მარადიული ხსოვნა საქართველოსთვის  
თავდადებულ გმირებს!

მეცოდები საქართველო,  
გარს გვარტყია მგლების ხროვა,  
ისევ გვესმის გლოვის ზარი,  
ისევ გვესმის დედის გლოვა.  
აქეთ რუსის დათვი ჩექმებს  
გვიბრაზუნებს, გვემუჭრება,  
იქით თურქი თითს გვიქნევს და  
ცოტაც, კარზე მოგვისტება.  
გამოვფხიზლდეთ სანამ მტერმა,  
სისხლი სულ მთლად ამოგვწოვა,  
როდის მოგცილდება მუმილი,  
ღმერთო, ის დრო როდის მოვა.

გულში შიში ჩაგვინერგეს,  
 დაგვამუნჯეს, დაგვაჩლუნგეს,  
 მოგვაყარეს საწამლავი,  
 გამოგვფიტეს, დაგვასუსტეს,  
 ძალი პატრონს აღარა სცნობს,  
 აირია მონასტერი,  
 ძირს უთხრიან პატრიარქსა,  
 აქეთ ერი, იქეთ ბერი.  
 მიდის ერთმანეთის ლანძღვა,  
 გაწევ-გამოწევა დიდი,  
 ძალვით, ხილულად, დალატით,  
 ქართველების გენოციდი.  
 საქართველოს შეჭმა უნდათ,  
 ვერ გაიყვეს, დავა მოხდით,  
 იყიდება საქართველო,  
 ქართველებო გონზე მოდით.  
 საქართველო უქართველოდ,  
 ასე თქვეს და დასრულდება,  
 ერთმანეთის მტრობა, შუღლი,  
 ძალე თუ არ დასრულდება.  
 აბა რა იმედი მოგცეთ,  
 თვითონ იმედდაკარგულმა,  
 ლუკმა - პურის საშოვნელად,  
 უცხოეთს გადაკარგულმა.  
 დედასამშობლოს, შვილების,  
 უზომოდ მონატრებულმა  
 აღსდექ ჩემო საქართველო!  
 შვება იგრძნოს ცოტა გულმა,  
 იქნებ ნაცოფი მოიღოს,  
 ხისხლმა შენთვის გაღებულმა...



სეგდის ფერია შენგან სიშორე,  
მწვავს ცრემლი თვალზე ჩამონადენი,  
შენზე ფიქრები ვერ მოვიშორე,  
წლები გავიდა უკვე რაძდენი.  
რატომ განვიცდი ასე ძალიან,  
არ ვიცი ასე რად მენატრები,  
ჩვენი სიცოცხლე რა ფრთამალია,  
დღესაც მიყვარხარ და მეყვარები.  
ო, როგორ მინდა, რომ დავივიწყო,  
ის უძირო ზღვა, შენს ლურჯ თვალეზში,  
გადავივიწყო, გადავივიწყო,  
გულში ჩაღვრილი სითხო წამებში.  
მე ძონატრების ალით დამწვარი,  
დავიარები ცალად, ეული,  
და მოგონების წამით გამთბარი,  
ვთელავ ბილიკებს გზაარეული.

\*\*\*

შენ ისევ ჩემი სიცოცხლე გქვია,  
შენ ისევ ჩემი, ხარ სიყვარული,  
უშენოდ ყოფნას ვერ შეშვევია,  
ალურსს ნაჩვევი ეს ჩემი გული.  
გნატრობ, მიყვარხარ თავდავიწყებით,  
ცისკრისას მუდამ შენზე ვლოცულობ,  
მე არასოდეს არ მავიწყდები,  
გული ერთგული ვერა ორგულობს.  
ვვლავ ლექსად გიმღვნი სიყვარულს ჩემო,

გრძნობას უნაზესს რითმებში ვაქსოვ,  
ახლაც ვგრძნობ შენი ტუჩების გემოს,  
წლები გავიდა და მაინც მახსოვს.  
ნეტა ვიცოდე თუ ფიქრობ ჩემზე,  
სადა ხარ, ჰუთუ არ მოგენატრე,  
შე დღესაც გული, ვფიცავარ ჩემ მზეს  
მიყვარხარ, როგორც მიყვარდი ადრე.  
შენ ისევ ჩემი სიცოცხლე გქვია,  
შენ იავე ჩემი, ხარ სიყვარული,  
უშენოდ ყოფნას ვერ შეშფვევია,  
აღერსს ნაჩვევი ეს ჩემი გული.

\*\*\*

ნეტავ შემეძლოს მოლოცვა,  
სალოცავების, ქართლისა,  
ვემთხვიო ხატებს და ნიშებს,  
ჩემი მთისას და ბარისას.  
წმინდა ხატებთან, სანთლებით,  
მუხლებზე დავიჩოქებდი,  
მოკრძალებული ლოცვითა  
სამშობლოს შევავედრებდი,  
გადავიწერდი პირგვარსა,  
სხვას არას მოვინდომებდი,  
ავწევდი ღვინით საესე თასს,  
წინაპრებს მოვიგონებდი,  
შევავედრებდი წმინდანებს,  
სულს დავითის და ვახტანგის,  
ვადღეგრძელებდი გულითა,  
ძლიერ ერს, მათივე გენის,  
ავუყვებოდი მაღალ მთას,

სადაც ლომისა მეგულის,  
 ის ხომ ოდითგან ქართველთა,  
 ძლიერი ალაგე არის.  
 მოვილოცავდი სულ ყველას,  
 არ დავტოვებდი არცერთსა,  
 სამშობლო გამომთულყო,  
 შევთხოვდი მაღალსა ღმერთსა.

\*\*\*

გულს რომ აგითრთოლებს,  
 სული კი გათბება,  
 ისე ლამაზია,  
 გერგეთის სამება,  
 ფონად მყინვარწვერი,  
 მთა ყინულოვანი,  
 რა დიდებულია,  
 სამოთხე კლდოვანი,  
 ურუანტელს მოგგვრის და  
 სულს აგიწიოვებს,  
 ისეთი ზიბლი აქვს,  
 გრძნობას ვერ იოვებს.  
 ბევრი მინახია,  
 მისით მონუსხული,  
 ღმერთებთან საუბრობს,  
 ცამდე აზიდული.  
 „მცხეთის სამკაულის“  
 წმინდა სახიზარი,  
 ივერთა მშვენება,  
 გულით საფიცარი.

სულის წიაღიდან  
 გრძნობით ამოთქმული,  
 ისმის გალობანი,  
 ლოცვანი გაბმული.  
 წმინდა ნინოს ჯვარი,  
 მის გულში ესვენა,  
 ამ ჯვრის სიყვარულმა,  
 მოგვმადლა ჩვენ რწმენა.  
 „ხვეის პატარძალი“,  
 თეთრ ღრუბლებ მოხილი,  
 ლოცავს საქართველოს,  
 წლების არ მორჩილი.  
 ეს წმინდა ადგილი,  
 ქართული მიწისა,  
 თითქოსდა არ არის,  
 არც მიწის, არც ცისა.  
 გერგეთის სამება,  
 ფიქრია აშლილი.  
 ასეთი მუნახოს,  
 მარად მხრებგამლილი.

შზალო ოსიშვილი.



## მანია რუმბაძე

### ისევ გბოვებ საქართველოვ...

ისევ გბოვებ საქართველოვ,  
 ისევ ზენა ქარია,  
 არ გეგონოს რომ მივდივარ,  
 მივქრი, მიმიხარია...  
 საცალფეხო ბილიკები ჯვარზე წყვილად აღიან,  
 ცრემლებით რომ მიმაცილებს,  
 ჩემი გორიჯვარია.  
 გულის სიმებს აჟღარუნებს,  
 ზე - მაღალი შოირა და ცისკარმა განშორების სევდა მხრებზე  
 მოისხა.  
 დავბრუნდები საყვარელო,  
 ჩაგეხვევი საგულეს,  
 სიყვარულის სურნელებას მხოლოდ შენ ერას გაგულეებ!

თორემ გულში ჩამიხუტებს მტკვარი,  
 ჩამაქროლებს მეტეხსა და რიყეს  
 და აიშლის სხივდაფენილ ფაფარს...  
 მაგრამ ერთხელ თუკი გავიროყე,  
 ღმერთი მომცემს ზღაპრულ თავშესაფარს.  
 ნისლებივით დაფენილა სევდა,  
 შავ ღვინოში აირია ცრემლი,  
 სველ თვალეზში მონეტრება ფეთქავს,  
 შინდა ვიყო ისევ შენი მსხვერპლი.  
 ამრიალებს ცისფერ ფიქრებს ზეცა,  
 დაღალეზზე დაჭირხლოლა ვერცხლი,  
 ვარდები კი ფოლაქივით შემწყდა,  
 ხმამ შემაკრთო გაზაფხულა მერცხლის.

### ნეტავი რა უხარია?!

მერე რა, რომ ქარი კივის,  
 ირგელივ შავი მუხნარია,  
 ციე ძარღვებში ამდენ ტკივილს  
 ნეტავი რა უხარია?!  
 მერე რა, რომ ოცნებები  
 ჩამომემსხვრა შინასავით,  
 მერე რა, რომ მარტო დავრჩი  
 შიტოვებულ ბინასავით.  
 მერე რა, რომ დაღამებას  
 თენება არ უწერია,  
 სიყვარულოზე შავ დაძეებს  
 თეთრი ლექსი უწერიათ.  
 მერე რა, რომ ეკალს ვეტრფი,  
 ვარდ - ბულბულის რჩეულია -  
 ნიბლიასაც თეთრი ვერხვის

აცრემლევა შეუძლია  
 მერე რა, რომ ეს ცხოვრება  
 ცირკია და ბედისწერა,  
 ზოგიერთი თუ ცხონდება,  
 ზოგს საფლავიც არ ეწერა.  
 მერე რა, რომ ქარი კვივის,  
 ცაც ჩამქრალი ბუხარია,  
 ცივ მარღვებში შეშლილ ტკივილს  
 ნეტავი რა უხარია?!

### რეზი სიყვარულის გაზაფხული

ასე ჩამიხუტა გაზაფხულმა,  
 მეტი რაღა უნდა მოვინატრო,  
 ცელი ალუჩემიცგაფეთქილან  
 უნდათ ყვავილებით გამოძათროს  
 მერე შუკა-შუკა იხარხარონ,  
 თვალი დაუბრმავონ ქარტეხილებს  
 ქვეყნის გასაგონად-მიყვარხარო,  
 ყურში ჩაგვმახოდნენ ატეხილებს  
 იქნებ აღარასდროს ამიშარო,  
 დილამ გაგვადვიძოს დარიანმა,  
 წელში ლერწამივით გავიშალოთ,  
 ცამან გვიღოსაროს მთვარიანმა.  
 მეტი რაღა უნდა მოვინატრო...  
 გული შენია და საგულეცა,  
 ღწერომა თავანკარა წყაროები  
 მცხეთის შირონივით დაგვილოცა.  
 ჯვარი გადაგვსახა ზეციერმა,  
 ბედო,ოცნებებით დასახულო,  
 სულაც აღარ მინდა გალოდირო,  
 ჩემო სიყვარულის გაზაფხულო.





რა სევდიანდ მღეროდა ქარი,  
ნისლიც ფრთებს ჩუმად კეცავდა ზეცა  
და შივდიოდი ტკივით მთვრალი,  
ლაჯვარდისფერი ვაბა კი მეცვა.  
ღაწვებზე ცეცხლი უვლიდა ფერხულს,  
ღვიოდა გულში ნაკვერჩხალები,  
კიპრიდასავით უსაზღვროდ ერთგულს,  
მეფეთებოდა სხვისი თვალები  
გაქანდაკე და შეგქმენი მითად,  
მთები ოცნებით მიმოგიქარგე,  
ამოვირბინე აღმართი მშვიდად  
და ლილიებში მიმოვივარგე  
ლოდინსაც თუკი არა აქვს ბოლო,  
რითვის შივენდე ღამეს მთვარიანს,  
გუჟიცუბოდი ცას მოკაშკამეს  
და გიძღეროდი ავე მარიას.  
ვისთვის ვანთებდი წყვილ კელაპტარებს,  
ღამისთევებით მოვლუ სიონი,  
ვარ შენი სულის კვლავ შელამპარე  
და შენი გზების დილის სიონი  
გადმოვიბირე თავით ტიფიონი  
ჩემი მსხნელი და ჩემი მესია..  
უკიდევანო წუთისოფელში,  
სიყვარულიც ხომ ერთი ლექსია.



სახელის ხეს შერევია ვერცხლი,  
 ლურჯ გუმბათზე წვიმის წვეთებს ვითვლი,  
 ააღდა სიყვარულის ცეცხლი  
 და თვალეზზე ჩამოწვება ნისლი,  
 გაიხსენებ უსპეტაკეს კოცნას,  
 დაფრინავდი საოცნებო რაშით,  
 ნიაფქარიც საფერებლად მომწვდა,  
 შენს ლოდინში წყაროსავით დავშრი.  
 ბედი ზოგჯერ ისე გაგიწყრება,  
 ჩამოგამფხობს ჯიბრით თავზე ზეცას  
 და არღანი ამობერტყავს დარდებს,  
 თითქოს ვინმემ არტახები შეხსნა,  
 აცრემლდება მარტოსული ძეწნა  
 და მეც ბზარი შემრევია ხმაში,  
 გვირილების გვირგვინები ძეწნა,  
 შემრგებოდა წყვილი ვეფხვის ტყავი.  
 გამიძეტა შემოყვარა სვედამ,  
 დღე და ღამის გზაგასაყარს შევრჩი,  
 დაობლებულ ვარდის ფურცლებს სევდა,  
 ჩემს ეზოში გაზაფხულის ელჩი.

მაია რაზმაძე





**ნელი სანაბლიძე-ნენო**  
**ქალი იღუბალი**

თეთრშერეული და  
ნაოჭშეპარული...  
ზოგჯერ ბედნიერი  
ზოგჯერ უბედური...  
ხან მოძულე და თანაც  
მოყვარული...  
ახლო მყოფი და  
შორად შორეული...  
მხიარული და ზოგჯერ  
დარდიანი...  
სიტყვა მწარე და  
სიტყვამადლიანი...  
ხან წმინდანი და ხანაც  
უწმინდური...

ნათლად ღვთიური და  
ბნელად სატანური...  
ულმობელი და ბევრჯერ  
ლმობიერი...  
ნაზი სუსტი და თანაც  
ლონიერი...  
ხან უსახო და ხანაც  
სახიერი...  
შლეგი ჯიუტი და თანაც  
თვინიერა...  
სევდა სიხარულში  
ჩაძირული...  
უთქმელ-- სათქმელით  
დატვირთული...

მონა-- მორჩილი და  
ცხრაგზის მბრძანებელი  
ვისთვის დასალოცი და  
ვისთვის საწყევარი...

კერპი..სალი კლდე და  
ვნებადაუმცხრალი.  
ქაღალდი --- ი დ უ მ ა ლ ი.



## ნ ი ბ ა

რამდენი რამე  
არ მოიწონს სხვაში..  
და უფრო მეტი  
ჩენს თავს  
შავიწყებს...  
დილა იწყება..  
ახალი აზრი  
ახლად ებმება  
ფიქრებს მიზნებად..  
მაინც ვერ  
ვაგნებ იმ  
მთავარ სათქმელს  
და ის რაც ვიცი  
ის შავიწყდება..  
თავდავიწყება  
არის მიზეზი და  
კაცთა მოდგმის  
ნების თვისება..  
არის რაღაცა  
რასაც ვერა თმობ  
არც არა ზომით  
არ იზომება..  
არ იზინდება..

არ იქანგება..  
ოქროს მტვერივითა  
დაიფარება..  
არ იმალება,  
არც თმობს  
იმ სათქმელს,  
გულში სისხლად  
რომ მოედინება..  
ასე ინება..  
ასე იქნება..  
ზევის წერილი--  
ჩვენი მიგნება..  
ვინაც ინება..  
რისთვის ინება?  
თუკი სათქმელი  
უბრად იქნება..  
თავისუფლება  
იპყრობს სამყაროს..  
თავისუფლება  
თავისუფლდება..  
ჩვენი სულუბიც  
ელვარე ტალღას  
შემოირიგებს

დაიწმინდება..  
და ჩააშვილებს  
შხე ჩასვლის სიტკბოს,  
სქნამულ ფერსა  
აფერადება..  
გაფერადდება  
სიშვიდე მშვიდი,

ზეცა  
მშველელად  
მოგველინება..  
ასეა ნება.. ასე ინება  
ზედის ზე ძალას  
ყველა ნებდება..



## ოლონდ შენ

ვიტირებ კიდეც.. ვიციანებ კიდეც,  
ოლონდ შენ მყავდე იმედად დმერთო..  
ოლონდაც ძვალი შემავლებინა  
შენთვის დავემხო..  
რაც მიწილიდა უზღვავედ ზეცამ  
ის შემოგავლო, რომ ის გაგიყო..  
მაინც ცოტაა... ცოტაა ზვერი  
და ვერ ვერვეი სისაწყლეს სულის,  
ვერ დამითმია ვერაფრით სევდა..  
სიცოცხლეს რომ აქვს უცნაურ ფერთა  
ფარულად მშვიდი გასხივოსნება..  
ძალიან მინდა ვათბობდე ტკივილს..  
ვილბობდე ხმელ პურს სხვისთვის უამურს..  
ოლონდაც მყავდე და არ გჯავრობდე,  
სულთქმას ვადრიდე ამომავალ მზეს..  
მთვარეს ვუკმევდე ანთებულ ხანთელს..  
ვათევდე ღამეს და გდარაჯობდე...  
რა გქვია ნეტავ? რად მოიპარე,  
სამყაროს ჩემსას დაეპატრონე..

ოო.. ღმერთო შენი უძირკე კვალი  
 უკიდევანო უღრმესი არი..  
 არა ვარ მთვარის არ ვარ ვარსკვლავის..  
 მე მზეს ვედრები ჩემი ვედრებით...  
 არ იყოს ნეტავ, ადამის მოდგმა  
 დაუნდობელი.. გულგრილი.. ცივი..  
 სიცოცხლის სხივის შეუვალი და  
 თვით სიკვდილივით დაუზოგავი...  
 გარინდებული  
 უსიტყვო სიტყვით  
 გულს ჯერა შენი  
 კეთილი ნების...  
 სულში გავლილო  
 სიმშვიდის კვალო,  
 მე მათბობს შენი  
 შეხება ხელის...

## რატომ ?

მაინც არ ისვენებს კითხვა რატომ?  
 ამაზე ყველა ადამიანს თავისი  
 პასუხი აქვს. რელიგიას – შენს  
 სარწმუნოებას სხვა. სხვისას სხვა.  
 ქალს სხვა.. კაცს სხვა.. მოყვარეს  
 სხვა.. მტერს მტრისას.. რატომაა  
 პასუხი სხვადასხვა? ალბათ იმიტომ რომ ადამიანის  
 შეხედულებები გამოწვეული  
 მიზეზთაგანაა სხვადასხვა.. იმდენი  
 რამეა გაერთიანებული რატომ  
 კითხვაში, რომ ვერას გავმხდარვართ მისი სიბრტყლის  
 წინაშე.. რაც სახეზე ჩანს... რაც თვალთ იმზიერება და გულით



გრძნობ იმით მხოლოდ დასტური  
 შეიძლება..შეიძლება მიხვდი, მაგრამ რატომ იგრძენი აი ესაა  
 უპასუხო – სავარაუდო და არამყარი.. რატომ ხდება ესა თუ  
 ის , იმ დროს, იმ ადგილზე..იმ  
 მოვლენით.. ჭეშმარიტება არსებობს, მაგრამ შეუცნობელია.  
 მისი არსი და მიზეზი..ამიტომაა  
 სანამ არსებობს კითხვა რატომ?  
 მანამდე არ ამოიწურება სიცოცხლესთან ჭიდილი-  
 ნებისმიერი ფორმით თუ მიდგომებით... ამ კითხვამ შვა  
 უამრავი გენოსი, მატერიალური  
 თუ არამატერიალური სფეროს  
 დიდი კორიფეები...ამ კითხვამ  
 ევოლუციას არ დაახვეინა თავისი  
 ღირსეული თუ უღირსი შედეგებით  
 ადამიანთა შეხვედრებიც ბუნდოვანია ..რატომ მაინცდამაინც  
 ეს პირი შემოიჭრა  
 მავანის ცხოვრებაში– უარყოფითი თუ დადებითი  
 ზემოქმედებით?  
 გენიალურმა ზიგმუნდ ფროიდმა  
 გვითხრა;  
 .....ჩვენ შემთხვევით არ ვირჩევთ  
 ერთმანეთს ..ვხვდებით მხოლოდ მათ ვინც უკვე არსებობს  
 ჩვენს  
 ქვეცნობიერში....  
 მაგრამ რატომ? ამას მაინც ვერ  
 გაეცა ამომწურავი პასუხი საბოლოო კითხვის საბოლოო  
 ბუნდოვან პასუხამდე...  
 ..გაეცება?...ველოდოთ?...დაველოდოთ....

ადამიანი რომ ამოუხსნელი ფენომენია, ის  
 საკუთარ თავში ჩადრმავეების შემდეგ აცნობიერებს...  
 ხშირად არ იცის რა უნდა.  
 და თუ უნდა  
 რატომ უნდა იმასაც ვერ ხვდება...  
 ვერ ისვენებს ადამიანის  
 ფიქრები და რაც უფრო აზროვნებს მით უფრო მეტ  
 წინააღმდეგობას  
 აწყდება საკუთარ თავშივე... დგება ერთი დღე...  
 პასუხს სცემს დიიდი  
 ხნის ნაფიქრალს და გაცემა აკვირვებს..  
 მე ეს არ ვიცოდი.. ჩემი ფიქრებიც არ ვიცოდი.. რა  
 სასწაულია— თურმე ეს ჩემში ცხოვრობდა..  
 დამეს ათევდა.. ხან მაწვალებდა..  
 ხანაც მალხენდა..  
 ესაა ის რაც არ მასვენებდა?  
 თურმე რა ყოფილა..  
 რატომ არ ვიცოდი.. ვერ მივხვდი აქამდე?  
 ახლა ვინ მითხრა სიმართლე ?  
 თავიც ვერ ვიმართლე..  
 ვინაა ჩვენში ამათ რომ განაგებს..  
 ხან ხაფანგს გვიგებს  
 ხანაც არაფერს ? ხანაც დანაფერს  
 ათასი გრძნობით... ათასი წყრომით  
 დამეგანათუვს და სევდისა ფერს..  
 ესაა ის ვინაც გვასწავლის...  
 ვინც გაგვაკვირვებს გულის სინათლით  
 სულში გვახედებს.. ჩვენივე ცნობით...  
 ჩვენივე გრძნობით ...  
 ჩვენივე გმობით..



რაც ვერა ვთქვით..რაც ვერ  
გავბედით..რაც ვერ ვაშხევით  
ჩვენი სულის შესამკობად და  
მისაგნებად, რითაც არსებობს და მოძრაობს ირგვლივ  
ყოველი..  
მაინც მოველი ჩემი სულის გადასარჩენად შევიყვარო..  
დავუტევო და შევადო ჩემივე ცნობით ის დიდი კარი..  
სულის კარი რომაა ყოველი ყველგან  
ერთი და სიცოცხლე  
განუმეორებელი სული ერთი და  
ყველგან მყოფელი..  
მოველი..  
მოველი  
უცხოდ მოველი ...  
რაც არ ვიცოდი..  
რაც არ ვიცი როა ყოველი არსი იგი  
ცნობად მყოფელი...

ნელი სანებლიძე-ნენო





## იზო სანთელაძე

### სოხუმს

შენ ახლა ისე შორსა ხარ ჩემგან  
და ვიცი, მომკლავს შენზე ოცნება,  
შენს სიყვარულში ჩემო ქალაქო,  
ეს ცა და მიწა დამემოწმება...  
ხილვებში გხედავ, შემოუჯარა  
ხეებს კვირტები მაგნოლიების,  
მე ყოველ დილით ზღვის ნაპირს ვსტუმრობ,  
ჭრიაშულს ვისმენ თუთარ თოლიების...  
დამით კი, როცა მთვარე კვლავ ტირის,  
მალამოს ვაცხებ იმ ძველ იარებს,  
შენი ტკივილი ჩემად ვიგულვებ  
და შენი ტანჯვაც გავიზიარებ...  
მოვდიარ შენთან - ახალ ზღაპარში,

ვემთხვევი მიწას, დავხრი წამწამებს,  
მზის ოქროსსხივით გადანაფარჩი,  
მჯერა ზღვა ისევ ლურჯად კამკამებს...  
ცისმარე დილას ვიწყებ შე ლოცვით,  
ვავედრებ უფალს ღვთისმშობლის მიწას,  
მიწას, რომელსაც ჯერ ისევ სტკივა  
და რომლის ხილვაც -ოცნებად იქცა...

\*\*\*

დაიფარა ცა, ღრუბლებით დაიფარა,  
მოწყენილმა მზემ ღრულებში ჩარგო თავი,  
მიჯნური თუ „პაემანზე“ იგვინებს,  
იცოდე, რომ არის თავსხმა წვიმის ბრალი...  
ჩამოიქცა ცა, ზეციდან ჩამოიქცა,  
წვიმს და მიწას არ ეტყობა ნაკვალები,  
აიშალა, აზობოქრდა ყველა გრძნობა,  
რა შორია გზა შენამდე გასავლელი...  
შენ დაგეძებ ცის იქეთ და ნისლის ზღვაში,  
წვიმის ქღერმა ჩამოსხიპა ტირიფები,  
გაიცრიცა უიძედო მოლოდინი,  
ლურჯი ღამის ლაბირინთში ვიძირები...  
გადაიღებს, უსათუოდ გადაიღებს,  
მზე მოგვეძებნის ცხრათვალა და ოქროსფერი,  
ორი გული ერთ ბუდეში დაივანებს,  
აინთება გარიჟრაჟი მტრედისფერი...

გაცრეცილ ღამის სიჩუმეში თვალებით გეძებ,  
 როგორ მჭირდება ახლა შენი ხელების სითბო,  
 აანთეთ ზეცა, ვარსკვლავებთან მსურს საუბარი,  
 იქნებ, უთქმელად მიმიხვდე და შენთან მომიხმო...  
 ალბათ, ძნელია გაიღიმო, როდესაც გტკივა,  
 ფართხალებს გული და რთულია ამაზე ფიქრი,  
 მე წალების შემდეგ შენს თვალებში ჩემს აჩრდილს ვხედავ,  
 წუთისოფელი მოკლეა და დრო სწრაფად მიქრის...  
 არც მე და არც შენ ამ გრძნობაზე სიტყვა არ გვითქვამს,  
 სიყვარული ხომ თავის სათქმელს უჩუმრად ამბობს,  
 უფლის მადლია ყველაფერი, ასე რომ გვიყვარს,  
 იასამანს რომ ნასათუთარს ვუგზავნით ამბორს...  
 ხელი მომხვიე, რომ არ იყოს მერე გვიანი,  
 მელაპარაკე, სიყვარულზე მითხარი რამე,  
 შენ შეგიძლია დამანახო მსაჯარეში მზე და  
 გამიცისკროვნო შენთან ყოფნით უკუნი ღამე...

\*\*\*

ლაღი ნაბიჯით მოდის სიცოცხლე  
 და ხონჩით მოაქვს ჩემი ქონება,  
 ჩვენს სიყვარულზე ღმერთო, ილოცე,  
 იწვის ეს გული, სული, გონება...  
 ვარდისფურცლოობის დამდგარა ჯერი,  
 ისევ ვაგროვებ ოცნებებს ცაში,  
 მე სიყვარულზე როს ვიშვი - ვმღერი,

შენთან მინდოდა „სამოთხის“ ბაღში...  
ცაში ღრუბლებმა კოპი შეყარა  
და ჩურჩულებენ ვინ იცის, რაზე?  
მხრებზე ვარდები გრძნობად გვეყარა,  
გვიან მოგიხვდი, ფიქრობდი სხვაზე...  
მაგრამ ამ სევდას წაიღებს ქარი,  
თან გაიყოლებს ფურცლებს ვარდისას.  
მე სიყვარულზე ვიმღერებ ქალი,  
გავალამაზებ ყოფას დილისას...  
და თუ ოცნება ისევ დამათოვს,  
ღმერთი სიძმართლეს ცად დაარიგებს,  
დღეს ბანოვანი უმღერს „ბარათოვს“,  
სიყვარულს ჩუქნის შენებრ ღარიბებს...

\*\*\*

შემომეჩვიე ისე თამამად  
და შენზე ფიქრმა ამიყოლია,  
აღმოსავლეთში აფრინდა გნოლი,  
აქ, ზღვის ტალღებზე ცეკვავს თოლია...  
ნანაობს ტალღა, სადღაც, ქარი ქრის,  
ჩქარობ გაკაფო ტრამალ, კორდები,  
ოდეს ჩაუშვებს მზე ზღვაში ღუზას,  
თეთრ იალქანთან დაგელოდები...  
მრევვეთ დინებას მშვიდად, ღულუნით,  
აქ ჩურჩულიც ხომ ძალზედ მეტია,  
ბედის ვარსკვლავი გვინათებს ზეცას,  
ზეცას, რომელიც ზღვაზე მეტია...

გაზაფხულია ახლა მთაში, ტყე შეიფოთლა,  
 ალბათ, ზარშიაც აყვავილდა იასამანი,  
 თეთრად ანათებს აკაცია, ხე, რომლის ჩრდილშიც,  
 გამოინასკვა ზედი ჩვენი- რთულად სავალი...  
 წამით ვინატრე ის დღეები აღმოდებული,  
 გული საგულეს ვერ ისვენებს, სულს ფრენა უნდა,  
 შემომატარა ყველა კუთხე, ყველა კუნჭული,  
 გარდასულ დღეთა სიხალისე კვლავ დამიბრუნა...  
 აჟ, ისევ ისე მოჩუბჩუბებს წყარო ანკარა,  
 საგულდაგულოდ ბუდეს აგებს ჩიტი მზეწვია,  
 გათხოვ, უბით ნაზად წამომიღე იასამანი,  
 მაგრძნობინე, რომ გაზაფხული ისევ გვეწვია...

იზო სანთელაძე





### რუსუდან სალუქვაძე

ვინა ვარ

ერთი უბრალო ქალი ვარ,  
დედა ვარ, შვილი ვარ, ცოლი ვარ.

ცოტაა?

დეიდა, ბიცოლა და დაცა ვარ,

ბებია? არა ბებია ჯერ არ ვარ.

მასწავლებელი, ექიმი, პოეტი,

სინამდვილეში არცერთი არა ვარ.

რა ვქნა, რაცა ვარ ესა ვარ.

ვინა ვარ?

გურული, იმერელი და აჭარელი ვარ,

ჩემი ქვეყნის სადიდებლად გულმხურვალე მლოცველი ვარ.

ეს ცხოვრება ჩაილია, ვერ გავიგე შე რა როლი მაკისრია, ვინა  
ვარ.

ლამაზი ვარ თუ გონჯი ვარ, ორატორი ვარ თუ მუნჯი ვარ,  
მზატვარი ვარ თუ ფუნჯი ვარ.

ვინა ვარ?

თავთავეების სიმძიმისგან თავდახრილი ჯეჯილი ვარ,  
ყვავილებით მოჩითული მინდორი ვარ.

ტალღით ნაპირს მოტანილი ზღვის ქაფი ვარ,

მწყურვალისთვის წყლის წვეთი ვარ, უჩინოსთვის მზის შუქი  
ვარ.

ბევრია?

დილით მინდორს მოყენილი ცვრის ნამი ვარ,

ციდან ქვემოთ მოფარფატე ფანტელი ვარ,

ქარისაგან მოწყვეტილი, ხის ყვითელი ფოთოლი ვარ,

ოცნებებით ნაშენები დანგრეული გოდოლი ვარ,

ლერწამი ვარ, ქარტუხილებს გამოვლილი,

მაგრამ გაუტეხელი, ვფიქრობ კიდევ ბევრი დამრჩა

თქვენთვის გაუმხელელი.

## მამული ციდა

სულ ერთი ციდა მიწა გვიბოძა უფალმა ქართველთა,  
სულ ერთი ციდა.

გვიშხერდა ციდან ყოველჯამს ბედი თუ როგორ გვცდიდა.

ჩვენს მამული ყველას მოსწონდა, თუმც ყველა მტრობდა,

ყოველი მხრიდან ცუდი ზრახვებით ბევრი უტევდა :

კბილი კბილის წილ, თვალი თვალის წილ,

ქართველ ვაჟავთა თავდადება მტერს წინ ხვდებოდა,

ეს აკვირვებდა და ყოველთვის უკან იხევდა.

როგორც ჩვენ მაშინ თქვენც ისევე ისე მოუარეთო,





წინაპართ უოქვამთ,  
 დაციგავითო საზღვრები წმინდა, ენა და რწმენა.  
 არ მოშალოთო ბუხარში ცეცხლი,  
 აკვანში ბაღდი, ბედელში პური,  
 ვენახში ვაზი, ქართული სიტყვა, ქართული ჰანგი.  
 ჩვენ რას ვაპირებთ. ვულაღატოდ წინაპართ ანდერძს,  
 მუქა-მუჭა დავანაწილოდ  
 ღვთის ბოძებული მამული ციდა?

### ანბაბის კოშკი

- ა - რ ვიცი როგორ ვთქვა, რით დავიწყო,
- ბ - ევრს კი არ ვითხოვ,
- გ - ეშუდარები მუზავ უნდა განმაწყო,
- დ - უმილს ვერ შევძლებ, ფიქრი სტრიქონად უნდა ავაწყო.
- ე - ნავ ჩემო, ენავ ქართულო, იდუმალო არ წაბილწულო,
- ვ - ენახო ჩემო, ტაძრის კედლებზე ნაჩუქურთმევო,
- ზ - ღვავ ჩემო და ზეცავ ჩემო უკიდევანოვ,
- თ - ეთრი ქათიზით შემოსილო თეთნულდო ჩემო,
- ი - ეზით იისფრად მოფენილო მინდორ- ველო,
- კ - აღმასებით ავსებულო მდინარენო ჩემო,
- ლ - აშქარს დროშით გამღოლილო დედაო ჩვენო,
- მ - ირონცხებულ მიწას ვუმღერ,
- ნ - აიულო, ბევრისგან გამეტებით ნათელო, ქვეყანავ ჩემო.
- ო - დესდავ, ხომ „დიდი ყოფილა საქართველო“,
- პ - ატარავდება, ცოტავდება, გესმით? ქათველნო.
- ჟ - რუანტელს მგვრის ამაზე ფიქრი
- რ - ანი ვიყავით,
- ს - ად მივდივართ, რა გვეშარიება,

- ტ - კვილი მკლავს, ტირილი მინდა,  
 უ - ფრო შეტი ერთობა გვმართებს,  
 ფ - იქრის, აზრის,  
 ქ - მედებების ერთობლიობა,  
 ღ - ვარცობისაგან უნდა დავიცვათ  
 ყ - ველამ ერთად ჩვენი ქვეყანა.  
 წ - ორიდან მზერა არას გვარგებს ვფიქრობ  
 ჩ - ვენ ახლა,  
 ც - ოტაც და  
 ძ - ალიან გვიან იქნება ალბათ.  
 წ - აგვლეკავს უცხო კულტურა, შური და ბოღმა.  
 ჭ - ირისუფლობა არას გვიშველის, მაგრამ მე მჯერა  
 ხ - ალხი ბრძენია. კვლავაც გვექნება ხალისი ლხენის,  
 ჯ - ირითის და ჯომარდობის.  
 ჰ - ანგად დაღვრილი ლექსების, ქვეყნის შენების, ეს უფრო გვშვენის.

\*\*\*

ციდან დედამიწამდე  
 ერთი ციდა მანძილია,  
 ციდან დედამიწამდე,  
 ერთი პატარა ვარსკვლავი,  
 ციმციმ ჩამომიტანე.  
 მხოლოდ ერთი ნაბიჯია,  
 ... სიძულვილამდე,  
 ერთი ციცქნა სიყვარული,  
 მტრედით გამომიგზავნე.  
 ჩემი თეთრი მანდილია,  
 ... ბოროტებამდე,  
 ამ ცხოვრების მძიმე წლები,



მხრებით გამოვიტანე.  
 დარდით ღამის გათენება ბევრჯერ გამოვიარე.  
 დედამიწის მღვრიე წყლები, დეღვით გამოვიარე.  
 მესმის ციდან, შენ ყველაფერს გადაიტან  
 ოღონდ ღმერთი იწამე.  
 ერთი ციდა მანძილია,  
 ციდან დედამიწამდე,  
 ცაში ფრენა დამავიწყდა,  
 ფროები გამომიგზავნე.  
 მარტოობის მძიმე წლები,  
 ცრემლით გამოვიარე,  
 ერთი ციცქნა სიხარული,  
 ლექსად შემოვინახე.

\*\*\*

მადლობა უფალო  
 მადლობა უფალო  
 დღევანდელი დღისთვის,  
 მზისთვის, მთისთვის, ზღვისთვის, ცისთვის,  
 რომ მასწავლე ვილოცო ვისთვის, რისთვის.  
 მადლობა უფალო  
 განვლილი გზისთვის,  
 კარგი მამისთვის და კარგი ქმრისთვის,  
 დედისთვის, დისთვის, ყველაზე მთავარი რაც გამაჩნია  
 ჩემი შვილებისთვის.  
 ჩემი სახლისთვის, დიშვილებისთვის, მეგობრებისთვის,  
 მეზობლებისთვის, ჩემი ქვეყნისთვის,  
 რწმენისთვის, ენისთვის, ქართველობისთვის,  
 საქმისთვის, ღიმილით მოცემული საღმისთვის.  
 მადლობა უფალო  
 აწყმოსთვის, მომავლისთვის,



კიდევ შრავალი დღის ზედნიერად გათენებისთვის,  
 სულში განუენილი ცისარტყელისთვის,  
 მოფრენილი სიყვარულისთვის.

მადლობა უფალო  
 მიტვევებული ჩემი ცოდვებისთვის,  
 წასულთა საფლავზე დადებული ლოცვებისთვის,  
 გაზიარებული ვოდებისთვის,  
 განცდილი ტკივილისთვის, სინანულისთვის,  
 სიხარულისთვის,  
 სიყვარულისთვის.

მადლობა უფალო  
 რაც მქონდა იმისთვის,  
 რაც მაქვს ამისთვის,  
 რაც განმიცდია,  
 რაც გამაჩნია,  
 რაც მელოდება იმისთვის.

მადლობა უფალო  
 ყველაფრისთვის,  
 უფროდ ფრენისთვის,  
 აღმაფრენისთვის.

\*\*\*

ნუ ვივიწყებთ  
 მე, შენ, ის.  
 სხვა  
 ამ შინაზე ვიშვით.  
 საუკუნოდ ეს ქვეყანა  
 მოვიტანეთ ვიშვით.  
 დღემდე წინაპართა დანთებული  
 ცეცხლითა ვიწვით, ვიღწვით.

საქართველოს  
 მზე, მთა, ცა,  
 ზღვა,

გულში ჩაეიკვართ რიდიტ,  
 არასოდეს არ ვყოფილვართ  
 დაზაფრული შიშით.  
 კავკასიონს მიჯაჭვული ამირანი,  
 ნუ გგონიათ მხოლოდ შითი.  
 წარსულსა და აწყმოს შორის  
 უნდა გავდოთ ხიდი,  
 მე, შენ, ის, სხვა  
 ვერ ვთანხმდებით ბევრში.  
 ზოგს იმედი გასჩენია  
 ბაზალეთის ტბაში  
 ჩამირული აკვნისა,  
 ზოგს ალგეთს შობილის ლეკვების მგლისიანისა,  
 ზოგს ღვთიშობლის კალთისა,  
 ზოგს რისა და ზოგს რისა,  
 სხვა ქვეყნის თუ კავშირების ხოტბისა,  
 ზოგსაც კიდევ შეწირული ხოხბისა,  
 ცოტას კი ჩვენი გენისა.  
 დრო გადის და ჩვენი ქვეყნის  
 მზე, მთა, ცა,  
 ზღვა ჩაგვლევია ხელში.  
 გვიანდება აღარ კმარა  
 ხელის ცემა მკერდში.  
 არ გვიშველის მხოლოს ვაი-ვიში,  
 ნუ ვივიწყებთ  
 მე, შენ, ის, სხვა  
 ამ მიწაზე ვიშვით.



## ნინო სპანდერაშვილი

### ფესვიების ძახილი

ამენით მივყვები ბედის აღმართს, საესე ვარ რწმენით,  
რომ კვლავ ვიხილავ წინაპრების საფლავებს წმინდას,  
მოვეფერები სისხლის წვეთებს ალაზნის ველზე  
ყაყაჩოებად რომ მოედო გაპოხილ მიწას.  
ვემოხვევი ყანას, სახნავ- სათესს, ზვარსა და ვენახს,  
კახეთის ღვინის ფერთა და სურნელით მთვრალი.  
სულიერ აკვანს დაეუჩოქებ და შევთხოვ უფალს,  
მიზომოს ძალა, უცხო ცის ქვეშ კვლავ ვზიდო ჯვარი.  
შენი მოდგმა ვარ საწუთროს მზე ვიდრე დამნათის,  
მიხმობს ფესვები, წინაპართა ნათელი კვალი,  
დაგიბრუნდები, ბრძოლის ცეცხლში ვითარც ნაწრთობი,  
დარტყმებისაგან დაკეცილი ერთგული ხმალი.

\*\*\*

წინ ბაირადი მიაქვს ზაფხულის და  
 ივნისის დღეთა მისდევს ამქარი,  
 სევედის გვირგვინით შემკულ მომავალს  
 ძვალ-რბილში ატანს სხვა ქვეყნის ქარი.  
 დასაბრუნებლად მოუხმობს აწმყო,  
 უიღბლობისგან განწირულ წარსულს,  
 მაგრამ წამზომით ადევნებული  
 დრო ამხვრევს სურვილს, ნდომით ფერგასულს.  
 მწარე ცრემლებითა მოყირკებული  
 თვალები ვედარ ხედებიან თვალებს,  
 ჭამთასვლა გაცრის ცხადსა თუ სიზმარს  
 და ყველა განცდას მიუთვლის ვალებს.

\*\*\*

დადღილ თვალებში ღამე ჩამოწვა,  
 სანთლად დავანთე ურჩი ფიქრები,  
 მაგიურ წრიდან ვცადე გამოსვლა,  
 განვდევნე ღამის ძველი ხილვები.  
 დავთმე მირაჟთან უაზრო ბრძოლა,  
 ზავი დავუდე რძისფერ აისებს,  
 ვფქრობდი სევდა ღამეს ვათევს  
 და გული ისევ გაიმაისებს,  
 რუსთაგელზე კი ფოთოლოთაცვენა,  
 მწწამულ სხივთა ხსოვნით თბებოდა.  
 ზღაპრადქცეული სიყვარულის დღის  
 იღუმალ ამბავს ჩუმად ყვებოდა.



სახელეწილის მიძნელებს ვეხის გადადგმა,  
თვალს ვერ გაცილებს, თითქოს მამრი არ დამენახოს,  
მინდა გაგრძელდეს უსასრულოდ ბედნიერება  
და ეს წუთები ხსოვნამ დიდხანს შემოინახოს.  
მაისის სიო სუნთქვას მიკრავს, უღვინოდ მზანგავს,  
ვშიშობ არ გაქრეს, კარმონია ეს არნახული,  
რასამნისფერ ნისლს არ გაჰყვეს შენი სახეობა  
ხსოვნის ტევრებში საიმედოდ გადანახული.  
ჩაბრუნებული მზერა სულში წამოშლის ტალღებს,  
ხსოვნას დაათრობს ველურ ვარდთა ნაზი სურნელი,  
ნირშეუცვლელი გავაგრძელებ ჩვეულ ნაბიჯებს,  
გულს კი შერჩება ჩუმი სევდა განუკურნელი.

## ივლისის მირაჟი

ეტლს ზღვის სიღრმეში მიაგელვებდნენ  
ზღვათა მზრძანებლის მარდი რაშები,  
უკან იხევდნენ რწევით ზვირთები,  
ქარ-გრიგალებთან ნათამაშები.  
სამთითის დაკვრილ ზღვის გამგებელი  
უმალ ქარიშხალს იწვევდა ზღვაზე,  
ბობოქარ ტორტმანს წყვეტდნენ ტალღები  
მის შეუმჩნეველ მინიშნებაზე.  
ზღვა ლიცლიცებდა შენს ლურჯ თვალებში  
და განაგებდი ზღვის ღმერთის დარად.



ჩემს ზობოქარ თუ მშვიდ გულისცემას,  
კრთაი მზერაც რომ ჰყოფნიდა დარად,  
ცქერით გპარავდი სანატრელ ალერსს,  
უხმოდ ვიბნევიდი ნაფერებ თმაში,  
თვალთა უფსკრულში ღრმად ჩადირული  
გზნებით გიხმობდი ჩუმ გულჯისაქმაში,  
პაპანაქება შლიდა მირაჟებს:

დამშვენებული ლალ-იაგუნდით  
თავს გველებოდა ნარნარი ციკვით  
ზღვის ღვთაებათა მორჩილი გუნდი,  
უცებ მოქცევა დაიწყო წყალმა,  
მთებივით აღდგნენ ზვირთნი ძალუმში,  
თეთრ ქაფში იშვა ზღვის დედოფალი  
და ეტლს მოუხმო ფერთა აღლუმით.  
ზღვის სიღრმისაკენ გაქანდა ეტლი,  
გაჰყვნენ ფიქრები კვალდაკვალ მფრენი,  
უსასოდ შევრჩით ივლისის აღმურს,  
მე და მირაჟი დარდების მყენი.

\*\*\*

გადაუღებლად ბარდნის და ბარდნის,  
ძველი ფიქრები ქარაგმად მათოვს,  
თებერვლის სუსხმა გაყინა გულიც,  
წინანდებურად სიყვარულს არ მთხოვს.  
წარსული ნაზად იხსნის საკინძებს,  
ცხოვრება ბრუნავს სი'ხმრების ფირითა,  
მღელვარე დღეთა რიგი სცვლის ერთურთს,  
ტკბილ-მწარე წამთა განცდით და ხილვით.  
სუსხი არ ინდობს ნაფერებ ხელებს,

მოლოდინს ქარგავს ფანტელთა თოვა,  
და სპექტაკ თოვლზე ვლანდავ ნაკვალევს,  
რომელიც ჩემთან არასდროს მოვა.

შობის ზღაპარი

მახსოვს თოვლუხვი შობის საღამო,  
ფანჯრებზე ფიფქთა ცრემლების დენა,  
დაორთქლილ მინას ვაწერდი: „გნატრობ...“,  
სევდა ერთვოდა ფანტელთა ფრენას.  
ფანჯრის რაფაზე ვანთებდი საბთლებს,  
აღს თან მიჰქონდა ჩემი ფიქრები.  
მწამდა, ოდესმე შობის საღამოს,  
რომ შორიახლოს შენთან ვიქნები.  
გადაუღებლად ბარდნიდა თოვლი,  
ძალას იკრებდა მკაცრი ზამთარი,  
ახლაც წარუშლელ ფიქრებად მათოვს,  
გარდასულ შობის ტკბილი ზღაპარი.

\*\*\*

შენ ბედისწერა მოგიყვანს ჩემთან,  
ყველა იმედი როცა დამტოვებს,  
თვალზე შეუძმრალ ცრემლების ფასად,  
საწუთრო ცოტას კიდევ გვადროვებს.  
მოხვალ როს შვებით ამოისუნთქებ,  
იგრძნობ აღარ გაქვს ცხოვრების ვალი,  
როცა ირწმუნებ, ჩვენს შორის კედლად  
უკვე აღარ დგას არცერთი ქალი.  
თმენით მიჰყვება დღეები დღეებს,  
ლოდინი ხარკად სურვილებს მართმევს,  
მწამს, მზის ჩასვლამდე ღვთიურ საჩუქრად  
მე შენს სიყვარულს ბედი მომართამევს.

\*\*\*

მინდა დაგნებდე კვლავ გაზაფხულის  
და სიყვარულის ტკბილ წვეთად ვიქცე,  
მარტის სიგიჟე ჩემს ჩურჩულს ერწყმის  
და იხლართება სურვილი მწიფე,  
კვირტად იშლება ყველა უჯრედი,  
თრთის და ცახცახებს ჟინით სხეული,  
იმედის სხივით აფეთქებული  
და მოლოდინით გადარეული.

\*\*\*

კვლავ ზმანებათა სამოსელი მოვისხი მხრებზე,  
თვალმა დაღანდა სანატრელი მისთვის ქმნილება,  
ფორტეპიანოს ჰანგით სავსე სამანებს მიღმა,  
მუსიკის ძალით გარდაქმნილი სრულყოფილება.  
სხარტი თითების და კლავიშთა ურთიერთლტოლვით  
ვტკბები, თუმც შურით უნებურად შევსება გული,  
ვუშზერ კლავიში თუ რა გრძნობით აჟღერებს სათქმელს,  
ნატიფ თითების სწრაფი სრბოლით დატყვევებული.  
გადამდებია ეს ალერსი, ფიქრის ამრევი,  
მვირფას ხელებთან შეხებაზე ვოცნებობ ვნებით,  
კლავიშთა მსგავსად მსურს არ შეწყდეს ნაზი მუსიკა,  
გულის სიმებს რომ შეეხო და აჟღერდა გზნებით.

რა, დიდებულად დაიწყო, ღმერთო,  
სულის ზეფრენა ვარდობისთვეში,  
მაისის წვიმა, ცისარტყელა და  
მძაფრი განცდების უზომო თქეში.  
ბედნიერების წამები თითქოს  
მოჰგავდა ცაში ვარსკვლავთაცვენას,  
მაგრამ ავბედით სიტყვების ქარნა  
გზა გაუკვლია უნებურ წყენას.  
დამშვიდობება დაერქვა ალბათ  
ბუტია ღრუბლის მთვარესთან თამაშს,  
შორი-შორ მდგარი სილუეტების  
წრფელი გრძნობების ჯიუტად მალვას.  
ემოციებთან გულის კიდილი  
გაბზარულ ნდობას ვერაფერით შველის,  
ჯერ დაუსმელი ბოლო წერტილი  
სხვა ნიშნებს შორის თავის რიგს ელის.

ნინო სპანდერაშვილი





თამარ ხარშილაძე

**მინაბე, სადაც სიყვარული ვერ შეიყვარეს...**

რწმენის კიდესთან, უკუნეთში, სადაც ქარები  
დაჯირითობენ უსასრულოდ ტრამალ და ტრამალ,  
ელვის ენებით შეშინებულ ღრუბლის თვალებით  
გამოიგლოვა სიმარტოვე მიწამ და ფრთამალ  
ბელურასავით შეფრთხილდნენ ბინდში რტოები,  
ენებააშლილი ქალებივით ქუჩაში წვანან



გუბეები და გალემილი ლამპიონები  
 მათი ეშხისგან გაცოფებულ ცხოველებს ჰგვანან...  
 შემოიტმასნა პერანგივით ღამემ ბინდები,  
 ჯერაც უმანკო სხეულივით იფარავს მთვარეს,  
 არა, ძვირფასო, სიყალბეა ყველა „მჭირდები“  
 მიწაზე, სადაც სიყვარული გადაიყვარეს...  
 და ეს თვალეზი, დაშრეტილი წლების პირისპირ,  
 გრძნობადამშეულ მაწანწალა მხეცებად დგანან,  
 რომლებიც თურმე განიცდიან ყოველ ძილის წინ,  
 რარიგ მძიმეა, დარჩე მუდამ ადამიანად!  
 და ეს თვალეზი, დასეტყვილი ღამის მთველები,  
 მაინც ჯიუტად გასცქერიან იმედის მნათეს,  
 რომელზეც ახლა მითები თუ ჭორები დადის,  
 რომ მწყემსებს მთაში შეხვედრიათ, რომ მართლა ნახეს...  
 რაღას დაეძებ, მეგობარო, რაღას დაეძებ,  
 ჰორიზონტს მიღმა დაედევნე აწყვეტილ ქარებს,  
 რომლებიც ახლა ზღვის ტალღებზე სტიქიად წვანან  
 და ილოკავენ აქაფებულ ქათქათა თათებს,  
 მაგრამ ტკივილია - ცარიელი სხეულის მგზავრი,  
 ფიქრებმა ტანზე ჭორფლებივით გამოიყარეს,  
 არა, ძვირფასო, ტყუილია ყველა "მჭირდები"  
 მიწაზე, სადაც სიყვარული ვერ შეიყვარეს.






რა სიჩუმეა!.. სძინავს ქალაქს, დარდით გადამთვრალს  
და როგორც გუშინ, დღესაც სტანჯავს ყალბი სიზმრები...  
სისულელეა, წერდე, როცა აზრი აღარ აქვს  
ნაოცნებარს და ყოველ ღამით შენ თავს პირდები,  
რომ გათენდება, შეიცვლება რაღაც უთუოდ,  
რომ გათენდება, იმედებით შენც გათენდები...  
და ასე წვეთ-წვეთ, ნამცეც-ნამცეც, თითქმის უგულოდ,  
შეკოწიწებულ ტკივილებთან წამით ჩერდები,  
ჩერდები, რადგან სუნთქვა გიჭირს, სპაზმები გახრჩობს,  
არგათენებულ დილებიდან წვეთავს დღეები.  
აუხდენელი ოცნებების ხედები მოსჩანს  
და გაჩერებულ საათივით შესდგენენ ცრემლებიც.  
რა სიჩუმეა!.. ღამე არის უფრო ღმერთების,  
ვიდრე მიწიერ არსებათა მოსასვენები,  
რა სიგიჟეა - წერდე, როცა აზრი აღარ აქვს  
ნაოცნებარს და შენ კი მაინც ლექსად ევნები.

### ჩაილიშებენ გვირილები, როსა შე ნავალ

კესანებს ხვალ ჩემს სიყვარულზე ექნებათ დავა,  
მელანქოლია მომიტანა ოცნების კიდემ,  
მაღლე გარდასულ ზამთარივით ცხოვრება გავა  
და სანამ გავა ერთხელ რამე მიაძმე კიდევ.  
მიაძმე ქარო, თუნდაც სიზმრად გუშინ რაც ნახე,  
მიაძმე, ვიდრე ავსებულა ცრემლით თვალები,  
ცას ვარსკვლავებით დაჭორფლია ქათქათა სახე



და მთვარის შუქზე წაბარბაცდა ზღვა ნამთვრალეში,  
თვალეებს დახრიან ცისფერთვალა იასამნეში  
და სურნელების ქარტყბილებს სევდად დაღვრიან,  
მეც ამ სტრიქონით ჩემს ტკივილებს ვეხმიანები,  
რომელსაც ათას სიბინძურით ვიცი დასვრიან,  
ჩაიღიმებენ გვირილები როცა მე წავალ,  
ყაყაჩოების აიდებენ წითელ აღმურებს  
და თუღ ღმერთი გწამს, მომეხვიე მზე სანამ ჩავა,  
თორემ დაკარგულს სინანული ვერ დააბრუნებს.

\*\*\*

დამე ისევ ჩამოწვა ქლექიანი ხველებით,  
დროს არ დარჩა წუთები რომ მოჰხვიოს ხელები,  
ჰაერს სუნთქვა შეეკრა, შეშლილი აქვს იერი,  
რა მოცკითხო ცხოვრებას, სიცოცხლეა მშოერი,  
თვალთმაქცობის პიკია, უსახოთა ჭიდილი,  
ეს დოგმათა შიშია, ვიდრე სულის ტკივილი,  
რადას უნდა ელოდო, ან რად გინდა იმედი,  
თუკი გზააბნეული შიშით შინ ვერ მიხვედი,  
ენას ძვალი არა აქვს, ბრბო კი ჭორზე შტერია,  
სიძართალესთან ახლოსთან მილიონში ერთია,  
გზას მისდევენ ლანდები ფიქრისფერი დრუბლებით,  
უკვე განვლილ ბილიკებს წუღარ დავუბრუნდებით,  
უძილობის კარებთან ღამეები იცდიან,  
აქ ყოველთვის ყველაზე ყველაფერი „იციან“.  
გრგვინავს ჩემი პროტესტი როგორც რევოლუცია,  
რომ მარცხს ვერ გადაურჩა კაცის ევოლუცია,  
თვალთმაქცობის პიკია, უსახოთა ჭიდილი,  
ეს დოგმათა შიშია, ვიდრე სულის ტკივილი!



და ვინაიდან ჩემში ისევ ბავშვი ბინადრობს,  
 მხოლოდ სხეული გამოცვალა დროის დინებამ,  
 უნდა მოხვიდე ძვირფასო და ლექსად მიაშბო,  
 ბუნებამ ჩემი ქალად ყოფნა რატომ ინება.  
 კვლავ უშედეგოდ ვერკინები ქარის წისქვილებს,  
 თავფარავნელი ქაბუკივით მსურს ტრფობა მკლავდეს,  
 შენს მოლოდინში წლებად ვფანტავ სულის გვირილებს,  
 ჩემსკენ სავალი ბილიკები წალკოტს რომ ჰგავდეს.  
 და ვინაიდან ჩემში ჯერაც ზაფხული ხარობს,  
 გრძნობებს მზისებრი მხურვალეა აღმურად დასდის,  
 უნდა მოხვიდე ძვირფასო და ლექსად მიაშბო  
 ჩემ ბავშვურ ღელვას მაინც ქალის სურნელი რად სდის.

### ცისფერი ღუმელი

ასლა სიმარტოვე თუ მიშველის,  
 ცისფერ ღუმელშია გადარჩენა,  
 ამდენ ფარისეველ ნიღაბს შორის  
 ანკი აქამდე რამ გამაჩერა?!  
 ღამემ შუბლში მთვარე დაიხალა,  
 მიწას რომ უცქირა ცოდვებიანს,  
 აქ ვერც სიყვარულმა გაიხარა,  
 ეჭვებს შეეწირა მფოთვებიანს...  
 ხოდა, ეს ამინდიც სუსხიანი,  
 ისე შეეთვისა ჩემს განწყობას,  
 როგორც ნოემბერი მწუხრიანი  
 ფერთა ზამთრისაკენ გადაწყობას.  
 ერთი დღით ნაკლები დარჩა კიდევ  
 და ეს სიმარტოვეც დასრულდება,

როცა ცარიელი სხეულიდან  
სვედით სავესე სუნთქვა გაფრინდება,  
მერე ასწლეული დაიწყება  
ნისლის ჩანჩქერებში ხეტიალის,  
სწორედ ამაშია გადარჩენა  
და ეს სივოცხლეზე მეტი არის!

## ლექსი ჩემთან გიხმობს

წვიმა გამეტებით რეცხავს ტროტუარებს,  
ვენაგადახსნილი გრგვინავს დედამიწა,  
ღრუბლებს ტკივილებმა ისე მოუარეს  
უკვე სულერთია მისთვის ცა და მიწა.  
ახლა შემოდგომაც ისე მემამიტობს,  
ვით ქარს აყოლილი ჭრელი ფოთოლცვენა,  
შენი გახსენება ფიქრებს ისე მითბობს,  
როგორც თბილ ქვეყნებში მერცხალს გადაფრენა.  
წვიმა სულ არ ინდობს ნამარცვ ზილის ბაღებს,  
მინას წყლის წვეთები ცრემლად დასდენია  
და შენს ლამაზ სახეს ცხადში ისე ვხედავ,  
თითქოს ჩემს ოცნებას ნატვრა ახდენია.  
აღერსს გიპირებენ სველი ხის რტოები,  
შენით შემლილ ქუჩას ეჭვი ერაზმება,  
ცელქი წვეთები ვი ასე ვნებიანი,  
კისერს გიკოცნის და მკერდზე გეტმასნება,  
ჩინდა ჰაერივით ჩემში ჩაგისუნთქო,  
შენი გაღიმება ახლა მზესაც მიჯობს,  
როგორ მჭირდები და როგორ მეშორები,  
სულში ქარია და ლექსი ჩემთან გიხმობს.

თამარ ხარშილამე



**მარინა ხუჭუა**

**ანდრია, ნინო, იოანე..  
ერთად მოდიან**

ანდრია, ნინო, იოანე... ერთად მოდიან,  
რომ მათი ლოცვა კიდევ ერთხელ გულზე გვაყარონ,  
ცოდვანი ჩვენნი ერის ფუმეს ლაფში რომ სვრიან,  
ქრისტეს მხედრობას რომ აუჯანყდა მთელი სამყარო..

ანდრია, ნინო, იოანე...ერთად მოდიან...  
ივერის მიწას, ქირსა მყოფელს განსამტკიცებლად,  
რამეთუ ჩვენთვის რმენა და მიწა ერის მუხლია,  
მამულის ჩვენის, ზე არს ყოფა დასაფიცებლად.

ქართველი ვაცი ქრისტეს დროშით ჩებდა მუხანათს,  
სიყვარულია სამშობლოსი ხმალზე ძლიერი,

ურიცხვი მტერი ვერ გაურბოდა ჭკვიან კაკანას  
და ზეიმობდა გამარჯვებას ივერიელნი.



იყო სირცხვილიც, დამარცხებაც მაგრამ დიდებაც,  
რამეთუ შევეც ბრძოლის ველზე ჰფერდა სატევარს,  
გლეხის მარჯვენით ვვეთდა ღმერთი ქართლის ღირსებას  
და აღავლენდა ზეცის გუნდი სიტყვას საქებარს.

ანდრია, ნინო, იოანე....ერთად მოდიან.....  
ქართველ წმინდანებს მიუპყრიათ თვალნი ლოცვითა,  
დიდება ჩვენი ერსა შიგან ძმობის მყოფია  
და სიყვარულით ამაღლება მუხლის მოყრითა.

ანდრია, ნინო, იოანე....ერთად მოდიან.....

## ჩემო ბატონო- ჩემი ლექსების ადრესატს

მე წავალ,  
ვიცი,  
გარდუვალია,  
და ნაკვალევზე,  
დარდი და ჭმუნვა, რომ არ დავტოვო,  
რადგან ცხოვრება  
საურავია,  
ლექსებს გიტოვებ, ჩემო ბატონო.  
დილა მზიანი  
ზოგჯერ ბნელია,  
დამე კი დღეზე არის ნათელი,  
მე წავალ,

ვიცი გარდუვალია,  
 ყველასთვის ბუტავს  
 თითო სანთელი,  
 მაგრამ  
 აქ მარტო,  
 რომ არ დავტოვო,  
 მას შენ გიტოვებ, ჩემო ბატონო.  
 უბრალოდ ლექსებს?  
 არა ბატონო,  
 შიგ გულს ვფუთავ და  
 ისე გიტოვებ,  
 სუსტია, მარტო არ მიატოვო,  
 ყინვაც არ უყვარს,  
 ფიქრით საჩრდოობს,  
 ლექსით ვათბობდი,  
 სისხლით ვამყნობდი,  
 ალერსითა და კოცნით ვატკბობდი,  
 ახლა კი....  
 შენთან უნდა დავტოვო.....  
 უარს ნუ მეტყვი, ჩემო ბატონო!

## თეთრი ხელთათმანი

თოვზე მოქანავე სველი სარეცხვით  
 გაუნურავ ფიქრებს ეხეთქება ქარი,  
 სევუნდანტის საათს დაღრეცილი ისრით,  
 გასროლამდე დარჩა რამდენიმე წამი.  
 დუელი მაქვს დროსთან, ფიქრის მინანქარი,  
 ძაფის წვერი გორგალს უჩანს ვით მაქმანი,  
 გასროლამდე დარჩა რამდენიმე წამი,  
 ვერ მომისწრებს ვიცი, თეთრი ხელთათმანი.

აიას ველზე რიონის პირას ერთ მუხის ტოტზე,  
 ოქროს საწმისის ბრწყინვალეობა მზესაც ზღვებია,  
 ზერძენ იასონს ზიძისაგან ტახტის სანაცვლოდ  
 ამ განძით მისვლა მეფის კარზე ვალად დებია.  
 მწყემსავდა თურმე ოქროს სარტყელს გველი ვეშაპი  
 და მასთან ბრძოლა ვაცის ძალის არ იყო ტოლი,  
 მაგრამ შეკრიბა იასონმა გმირნი ვაყვაცნი,  
 სიძლიერით და ერთგულებით ერთურთის მჯობნი.  
 გამოეშურნენ აიასკენ გემით არგოთი,  
 ოქროს საწმისის მოპოვების ფიცით ნადები.  
 მეფობდა მაშინ მეფე აიეტ, ბრწყინავდნენ კოლხნი,  
 ოქროს საწმისის კვალზე იდგნენ არგონავტები.  
 იწვალეს ბევრი, ვერა სძლიეს მძლეეთამძლეობას,  
 მაგრამ დრომ წყალი მათ წისქვილზე ადინა როცა,  
 გრძნულ თილისმით დააძინეს გველი ვეშაპი,  
 რამეთუ ჭაბუკს შეუყვარდა ასული კოლხთა.  
 ასე მოგვითხრობს ეს ლეგენდა ძველი მითებით,  
 დაეხმარაო თვით მედეა გრძნულ წამლებით  
 და გაიტაცა სიყვარულმა საქართველოდან  
 ოქროს საწმისიც, მედეაც და არგონავტებიც.



ჩემი კოცნა გახლეჩილი ატმებიდან,  
 ატმისფერი გადკვრია ლოყებს,  
 აშრიალდა ქორიკანა ალუვები და  
 ახლა აღბად მთელ ქვეყანას მოსდებს.  
 მოსდოს მერე, იშრიალოს, იჩურჩულოს,  
 კოცნამ როგორ გიღიმილა ბაგე,  
 ვნებით როგორ მოშეხვიე როგორც სურო,  
 დამალავს კი?...წამოსცდება სადმე.  
 გათენდება, გამიქრები წამწამიდან,  
 ნასიზმარევს ქირქილს მაყრის დილა,  
 ბალიშს შერჩა სურნელების შარბათი და  
 შენი თავი სიზმრად გამიმხილა.





ხათუნა შავგულიძე

### ჰვარი და სვეტიცხოველი!

მზე იყო ისე მწველი ვეება,  
გადავივიწყე სევდა ყოველი,  
იდგა ჩემს თვალწინ სამი ღვთაება-  
ჯვარი, დედა და სვეტიცხოველი,  
გულს ჰქონდა ფრთები, სული ზეობდა,  
ცა უსასრულოდ ნადლის მთოველი  
ჩემი სამი მზე ერთად მზეობდ  
ჯვარი, დედა და სვეტიცხოველი,  
იქ ჩუქურთმებზე ფიქრი მართობდა,  
აღდგა წარსულის სახე, ცხოველი,  
სამი ძლიერი ფესვი მათობდა-



ჯვარი, დედა და სვეტიცხოველი.  
ეს არის ჩვენი დერტაც და ღერძიც,  
უფალო ჩვენო, დიდება შენდა!  
ჩვენი საწმისიც და ოქროს ვერძიც  
სალოცავები, სამშობლო, დედა!



## რუსთაველს

ღმერთმა გიბოძა ეგ კალამი სიტყვის საქრეთლად  
და მოგინიშნა ხელდადებით ფიქრთა საბადო,  
შენ, სულიწმინდა გზმანებია ღია სარკმელთან  
და უფალს უთქვამს: „უკვდავება უნდა დაბადო!“

ფრთაშესხმულია ღმერთთა ენა ყველა სტრიქონში  
და მხარგაშლილი მიმოიფრენს საოცარ ტაეფს...  
არცა შენამდე, არც შენს შემდეგ, ქორონიკონით,  
მე-ხორციელი ვერ სწვევია შენს აზრთა ტრაპეზს.

იქმნა გრძნეული ფიქრისა და გრძნობის კვეთება  
და ამოეწო გულისცრემლში შენი კალამი...  
ზაგეს დასდინდა მოკამვამე წყაროს წვეთებად  
ტკბილხმოვანებით ნაზავები სიტყვის ბალზამი.

მუხის ქალღმერთად შენს წინაშე იდგა თამარი!  
რაინდთა ქედნი იხრებოდნენ წინაშე მისდა  
და იყო მოძმე-მომშისათვის მზრძოლი თამამი  
და სიყვარული იგებოდა გზადა და ხიდად.

შენ იყავ უფლის მცნებისა და სიბრძნის გამტარი  
და ნება მისი წარმოდიხდა აიაზმებად,

ეპე, მგოსანო, ერი შენი კვლავ ყრუ რად არი?  
რად ვერ აღმოფხვრეს კაცთ სიურჩე აფორიზმებმა?



დამარხული არს საიდუმლო ქართველთ ანბანში...  
შენ კი, ხელთ გეპყრა, უფლისაგან, სიტყვის სადავე...  
შენ მიიძინე ერთი ღამით სიბრძნის ტაძარში,  
როს გაიღვიძე, უკვდავება ქვეყნად დაბადე!

## უფალო

უფალო, არ ვუწყვი, რა გთხოვო, ცოდვილმა...  
შენ ძალგიძს კურნება ავადმყოფ ფიქრების...  
შენ, ჩემი ამქვეყნად მოვლენის მნდომელმა,  
მცოდნელმა, ვნებანის უძღები შვილების...  
მამაო, არ შეგთხოვ არც ჯვარს და არც ნუგუმს,  
წარვსდექი შენს წინ და ეს გული გავხსენი-  
ამ აზრთა კვეთებას ადგილს შენ მიუჩენ,  
შენ ახსნი დილემას, რაც მე ვერ ავხსენი.  
შენ მხედავ განმკურნავ, დამცემ და აღმადგენ-  
ვკრთი... ჩემი მცდელობა აღმოჩნდა ამაო...  
აღმართი გამწელდა... გთხოვ, ნურსად წამაქცევ,  
გთხოვ, ლოცვა მასწავლე... მიწყალე, მამაო.  
დამღალა ძიებამ, ბოლოს შენ მოგენდე,  
აწ, მიკვირს, ნაპირებს სხვაგან რად ვეძებდი?..  
გული გრძნობს, გ ი ყ ვ ა რ ვ ა რ , მეტად მე ოდესმე,  
საკუთარ არსების აიყვარულს შევძლებდი.

მე თბილისური ღამით ვარ მთვრალი,  
 მთვრალი მზიანი ღამის ბოჰემით...  
 მინდა, ამ მტკვარში დავიხრჩო თავი  
 ჯერ არ განცდილი შმაგი გრძნობებით!  
 მოდით, ეს ღამე ტივზე ვათიოთ  
 და გადავცუროთ ტრფობით წირვანა...  
 მოდით, ეს მთვარე ყანწით დავლიოთ  
 და გაგაოცოთ თავად ნიკალა...  
 ვუხმოთ პოეტებს, საღერდელაშლილთ,  
 წამოვაქციოთ გრძნობების ტიკი,  
 ლექსი ვაკვნესოთ გათენებამდის,  
 ავყვეთ დუდუკის გულსაკვლავ ტირილს...  
 მოდით, აკაკის ჩანგი მოვმართოთ  
 ცრემლი მოვგვაროთ ქართველს- გულმართალს,  
 ეს სადღეგრძელოც ისე მოვქარგოთ  
 შეშურებოდეს თავადს- გულბაათს!  
 შემოიხიოს მთვარემ სამოსი,  
 გამოგვიწოდოს სხივი თასივით,  
 შეაწყვეტინოს პოეტს პათოსი  
 და შეგვახსენოს: „ერთიც ღამისხით!“,  
 მოდით, მთაწმინდა გულში ჩავიკრაოთ  
 და გამოვთხოვოთ სიონს წყალობა,  
 ძველი მეარღნე ტივზე დავისვათ  
 და ჩვენებური ჩვენც ვთქვათ გალობა.  
 გათენებისას დავლენოთ თასი,  
 მთვარე დავტოვოთ განაოცები...  
 თბილისის ქუჩას ავუყვეთ მთვრალი,  
 მთვრალი, მზიანი ღამის ბოჰემით!

შზისფერი გაქვს კულულები, პაწაწინა მზევ,  
 ვარდისფერი ლოყები და კანი, როგორც რძე,  
 პაწაწინა ხელებს მიწვდი-ამწიეო ზე!  
 ჩემო ობოლ-ნაბოლარავ, ცეროდენა ძვე...  
 ერთი ციდავ, ცრემლის წვიმას გამოჰყევ თუ ნისლს?  
 თუ ღრუბლების ქულებს მოჰყევ, ანდა თოვლის ფიფქს?  
 თუ ოცნებას გამოჰყევი, მამის ზოლო ფიქრს...  
 დაბინდულ თვალს მოევლინე ანგელოზი ცის...  
 დავაყვაცდი, თავს დამცქერი, მკერდს მოგწედები ძლივს...  
 ჩემო ობოლ-ნაბოლარავ, საჩუქარო ღვთის!

## ნიკალა

მე ფიროსმანი ასეთი მიყვარს-  
 პატარა სვერში მუხლებზე მდგარი,  
 მწარე ფიქრებით დაღლილი სახე,  
 მკერდზე მიუკრავს უმანკო კრავი...  
 მე ფიროსმანი ასეთი მიყვარს-  
 დახლს იქით მდგარი ხმელი, მაღალი:  
 „ფული არა გაქვს? ნისიად მოგცემ,  
 ალალი იყოს, დედი, ალალი...“  
 მშფოთვარე დამით ფიქრებაშლილი  
 მტკერის პირას სევდას ღვინოს რომ ატანს,  
 ვაზის ცრემლებით სითბოჩამდგარი  
 ტივზე მიგდებულ ტიკებს რომ ხატავს-  
 ან, ორთაქალის ბადში მჯდომარე  
 ჩავლილ ბანოვანს კრძალვით რომ უძხერს,  
 ან, მოქიფე ყარაჩოდლეებს  
 სამვილიშვილო ძეგლებს რომ უგებს.  
 ჩემი ნიკალა დონ კიხოტია,  
 ხისტი ცხოვრებით გახელეზული,

ჩემი ნიკალა ანგელოზია,  
სხვა სიფაქიზით აღზევებული.  
ჩემი ნიკალა ის რაინდია,  
ყველა რაინდს რომ გააფერმკრთალებს  
და იმ აქტრისა მარგარიტასთვის  
აღოსფერ ვარდებს ხალიჩად დაჰფენს.  
სადღაც, ძველ სარდაფს შეყვარებული  
დასცქერს სიცივით გათოშილ ხელებს,  
გადმოსცვივდება თვალთაგან ცრემლი  
და იმ ცრემლებით აზავებს ფერებს.  
აი, ეს არის ჩემი ნიკალა-  
პატარა სკვერში მუხლებზე მდგარი...  
ისეთი სუფთა, ისე ალალი,  
როგორც მის მკერდზე მიკრული კრავი.

**წალინადის ოთხი დრო  
ვივალდისთან, ანუ შუახანს გადაცვილებული  
ქალის კაპრიზი ;) ;)**

მე გავყვებოდი ცოლად ვივალდის,  
როს დაიწყებდნენ ნუშები თოვას,  
ამოვირჩევდით ადგილს მივარდნილს  
და გაზაფხულით ვიწყებდით თრობას.  
ზაფხულს დავეწვავდით ჩვენი ალერსით  
და დავანთებდით ტრფიალით ხანძარს  
და დაღლილ ვნებით, ნამტირალევით,  
გავაცილებდით აგვისტოს პასაჟს.  
ო, შემოდგომით, ამ გრძნობის ნაჟურს  
ბაგეს ვასმევდით გზნების სასმისით,  
დავადვინებდით სიყვარულს გიჟურს  
და გამოვცლიდით ღვინის თასივით.  
ზამთარში, ვთამობდით ადგილს მივარდნილს,

შემოდგომით რომ გამოვეთხოვეთ,  
დავშორდებოდით მე და ვივალდი  
და გავყვებოდი ცოლად ბეთჰოვენს.  
...და გავყვებოდი ცოლად ბეთჰოვენს,  
ცრემლად დამღვრიდა მისი გენია,  
გავაშიშვლებდით ჩვენს ფარულ გრძნობებს  
და დაგვკურსვლავდა ვნების გენია.  
შევიყვარებდით იდუმალ ღამეს  
და გამოწვდილი მთვარის სხივებით  
ავაჟღერებდით ღვთიურ სონატებს  
და არასოდეს დავიძინებდით.  
ჩვენ დავიპყრობდით გრძნობის კუნძულებს  
და მაჟორული მძლავრი პათოსით  
დავამარცხებდით ერთად დემონებს  
და გაძარჯვებას აღარ დავთმობდით!  
უგზალტირებულ ყოფის ქაოტში  
რა გაუძლებდა სულიერ თრთოლვებს?  
დავშორდებოდი ლუდვიგსაც მარტში  
და მოვტებნიდი აპრილში შოპენს...  
მასთან? ო, მასთან დავთმობდი მიწას  
და ვარსკვლავებთან ერთად ვივლიდი,  
დავივიწყებდი ბეთჰოვენს, ვივალდს  
და ნეტარების წუთებს ვითვლიდი.  
ქვეყნის კიდემდის თან წავყვებოდი  
და გაზაფხულის ვალსს ავეყვებოდი  
და ნიავერით თავისუფალი  
აღარვის ცოლად არ გავყვებოდი!

ხათუნა შავგულიძე



## დალი შენგელია

### პოეტი ქალი

ლალი სპეტაკი, სულით მაღალი,  
მზისა და მთვარის მართლა მადარი,  
სულით სათუთი, გულით ძლიერი,  
ასეთი არის პოეტი ქალი...  
მთელ სამყაროს, რომ უცებ ავიღწერს,  
სულს დაგიაშებს, სათნო სიწყნარით,  
მოეფერება შენს ლამაზ სიტყვებს,  
აი, ეს არის პოეტი ქალი...  
გულში ჩამწვდომად გესაუბრება  
და გაგიჩნდება, სულში ხანძარი,

მისი თვლები..., უარის მოქმედი,  
 ასეთი არის პოეტი ქალი.....  
 ტირილს ვერ ზედავს, არის ძლიერი,  
 ლექსის წერაში არ ყავს ბადალი,  
 აქვს ფანტაზიის დიდი უნარი,  
 აი ეს არის პოეტი ქალი.....  
 ქართველი დედა, ულამაზესი,  
 ჭირში მაგარი როგორც, რომ სალი,  
 ყველაზე მართლა შეყვარებული.  
 ასეთი არის პოეტი ქალი.....  
 სამშობლოს იცავს კალმით და სიტყვით,  
 არასდროს არის მშიშარა, მხდალი,  
 იგი თვის სიტყვას ყოველთვის ამბობს,  
 ეს არის ჩვენი. პოეტი ქალი.....!

### პბრძნია

საჯავახოს სტუმრად წასულა თამარი,  
 ძიას ახლდა იგი, მზრუნველობდა ჯარი,  
 უცებ მთებისაკენ როს გაექცა თვალი,  
 გაიპარა ჩუმად აერია კვალი.  
 მარტოობა ეამა, მოიხიბლა ქალი,  
 ბუნების სილამაზეში, დატკბა მზისადარი,  
 კვკლუცობდა პეპლებთან და ეამა ქარი,  
 ჯავახეთის გორაზე იჯდა, ჩუმი-წყნარი,  
 ატყდა გნიას ძაბილი, ვერსად მოჰკრეს თვალი,  
 სადარისო ჰკითხავდნენ, ერთურთს მეომარნი,  
 ვერა რა დაადგინეს, რამ ჩაყლაპა, სად იყო,  
 ბიძის გული კი ორად, მარიალაც ღამის გაიყო,  
 ბოლოს ეს მოისაზრეს, ატყდა ძაბილთ-გნიასი,  
 ყველა თამარს ეძახდა, ხმა მოესმა ძიასი,





სიხარულით, სირბილით, გადმოსძახა მთებიდან,  
 აქა ვარ ძ ი ა ა....., ხელს უქნებდა ზემოდან...  
 გაოცებულ ბიძას კი, ცრემლი მისით სდიოდა,  
 სულ აპყარა მებრძოლნი, ყირას გადადიოდა,  
 იქ დაიწყო, იმ დღიდან, კლდე-ქვაბულთა შენება,  
 აგერ ტაო კლარჯეთი, მოკავშირე ტანძია...  
 იქეთ კაბადოკია, აქეთ ჩვენი ვარძია,  
 ისტორიის ფურცლებზე ჩაიწერა ქართულად,  
 როს ეს მეგლი უკვდავი, თამარულთ განძია.....  
 ახლაც ხმები ჩაგვესმის, როს იქ ვხვდებით წარსულთან,  
 ისმის ხმები კლდეებში....., აქა ვ ვ ა რ ძ ი ა ა.....!

.... იტალიაში მებრძოლი ქართველი ახალგაზრდა  
 გარიბარდელ-მებრძოლთა რაზმის ბრძოლის  
 ისტორია - საქმეებიდან: შოთა ივ-ძე შენგელიას  
 ვუძღვნი, ცრემლიანი თვალებით.

ისტორია იწერება, ფურცელ-ფურცელ, ზგერა-ზგერა,  
 ნაღვანარი დაუფასდათ წარსულთ ცოცხლებს,  
 ამის გჯერათ....?!  
 „სამშობლოსთვის-სტალინისთვის“, ასე იყო მაშინ რწმენა,  
 ბევრი ხალხი შეეწირა, ველარ მიბრუნდება ენა.....  
 ჩემი მამა ტყვედ ჩავარდა, რუმინეთის ტყვეთ-ბანაკში,  
 მძიმე ტანჯვა გაიარა, ოცი წლისამ ტყვეობაში,  
 ბევრი ხოცვა და შიმშილი, მან იხილა თვისა თვალით,  
 გააღწია ტყვეობიდან, კაცისა და ღმერთის ძალით.....  
 დრო გავიდა, მათ გაჰყავდათ სარკინიგზო მაგისტრალი,  
 საფრანგეთი- იტალია, არ უმწერდნენ კარგის თვალით,  
 თავს დაესხნენ ტყვეთა ბანაკს, მოსპეს მტერი საზიზღარი,



წამოასხეს, ეს ტყვეები, შტაბში მოხდა სამართალი.....  
 გარიბარდელ პარტიზანებს,  
 ქართველები ზლომად ჰყავდათ.  
 ტყვე ქართველნიც შეიერთეს, ახოვანებს რომა ჰყავდა,  
 ფიცი დადეს, არასოდეს გაეყიდათ მოძმე ოვისი,  
 პრობლემებით, ძმიობით, ბრძოლით,  
 უღალატო იყო ფიცი.....  
 მამა იყო ახოვანი, დიდის გრძელი „ბარადითა“,  
 ყველა იძახსოვრებდა მას, მტკიცე რწმენით და ბრაზითა,  
 კლდიდან-კლდეზე დიდ ალპებში, დაფრინავდა მეომარი,  
 ბრძოლა ქონდა ჟინიანი და თან , თავდაუზოგავი.  
 ან სიცოცხლენ სიკვდილი, ბრძოლა იყო საოცარი,  
 დავალებას ასრულებდნენ, თუ სად იყო დამპყრობლები,  
 იმარჯვებდნენ, უხაროდათ, თავისუფლების საზღვარი,  
 დააძარცხეს იქ ფაშიზმი, გაუბრწყინდათ მათ თვალები.  
 მოიშუშეს ჭრილობები, სამშობლოსკენ გამოსწია,  
 ოჯახს, შვილებს მოეკიდა, მშენებლობას მიჰყო ხელი,  
 ბევრი აღარ უცოცხლია, მხოლოდ ოცდაშვიდი წელი,  
 შევაგროვე „დოკუმენტი“,  
 სხვა ვერაფრით ვერა ვშველი.....!

### თამარის მეფობის ხანა

თამარი მიდის ლაშარსა,  
 ადგას უღელი შრიანი,  
 ფეხშველა ველს მიუყვება,  
 თვითონ არს თავაზიანი.  
 ლაშარს ავიდნენ იქ დასხდნენ,  
 ლოცვად აანთეს სანთელი.

ავედრეს ურიცხვი ჯარი,  
გამარჯვებულად სათქმელი,  
შიში არა აქვს ხვალისა,  
ბრწყინავს მეფური თვალები,  
იცის ომს არა წააგებს,  
ჯარა ჰყავს შეუდარები.  
ილოცა, პირჯვარ ისახა,  
მხედართ გადასცა ხატები,  
საომრად გზა დაულოცა,  
ფეხზე ჩაიცვა ფრატები.  
სჯეროდა არ წააგებდა,  
ამ ომში უფლის წყალობით,  
ტამარს მივიდა, ილოცა,  
სმენადა იქცა გალობის.  
საწუთროს მადლი შესწირა,  
უფალს კი, დიდი წყალობა,  
გაბრუნდა თვის სამეფოში,  
არ შეიმჩნია ქალობა,  
თამარი მიდის ლაშარსა,  
ადგას უღელი მზიანი,  
მტერი დახოცა მომხვედური,  
დააწყებინა ზრიალი.  
მისი მეფობა ბრწყინავდა,  
გამჭირაბ აზეთა ძფლობელის  
და ისე გაქრა წავიდა,  
არ ვიცით ადგ-სამყოფელი....!





წახდა სამყარო, ვაი..., რა ხარო,  
 სულს ნუ ბორგავ, ნაცარ ვიყარო,  
 გაძეფთა გენთა იღუმალკვნესა,  
 თვალი რას ხედავს..., ყურში რა მესმა.  
 სულ განადგურდა წესიერება,  
 სიკეთე, სითბო ველარ ერევა,  
 თავხედობს ვიღაც..., ერთობა ამით,  
 ვერ მიუთითებ, გაგლანძღავს წამით.  
 ისპობა გენთა დრო, აწ მავალი,  
 მას ვერ უშველის ვერა წამალი.  
 გაჰკვეთავს სიერცეს, გააჩანაგებს,  
 წარიტაცებს დრო..., გააფარჩაგებს...!

### სვეტიცხოვლობის ღამეს

ქრისტიანებო..., ღვთისა მძებნელნო,  
 მოუხმეთ უფალს, ლოცვით, გალობით,  
 ამ ღამეს მთვარე, როცა მზეს შეცვლის,  
 კვართი იბრწყინებს, ღმერთის წყალობით.  
 სვეტიცხოველი: შიგნით და გარეთ,  
 სულ გაბრწყინდება, ნათელის ალით,  
 სულიწმინდა კი, გადმოვა თქვენში,  
 თქვენვე შეიგრძნობთ, ღმერთისა ძალით.  
 ვერცერთი იგრძნობთ, დაღლას მუხლ-კვეთას,  
 არც უძილობის არც ერთ სიმპტომებს,  
 ისე ახლოს ხართ სულიწმინდით, რომ  
 მას თქვენ უყვარხართ და გაგამხნევებს.  
 გალობით შეხვდით, გფარავდეთ მისი,  
 ძალა, ლოცვა და კვართი მალულნი,  
 რომ გაძლიერდეთ ქრისტეში მარად,  
 ისწავლეთ მისგან ეს სიყვარული...!



გალაკტიონი ნიჭმა დალაღა,  
დარდმა დალაღა მისი ნაღარა,  
არად აგდებდნენ მის პოეზიას,  
„მეფე-პოეტი“ იყო, აბა რა.....?!  
„დრონი მეფობენ, არა მეფენი“ ,  
დრომ შემომქმედი ხელით ატარა,  
ახალგაზრდებმა ის შეიყვარეს.  
მისი ლექსები, ისმის სად არა.....  
გალაკტიონი სულ მარტო სული,  
სარკმელს გააღებს, ამბობს: აწ, კმარა,  
გადაეშვება სარკმლიდან ქვემოთ,  
ასე დამთავრდა, მისი ნაღარა.....  
უკანასკნელად, მაგრამ ტირილით,  
მისი ლექსებით, დიდი გოდებით,  
მოაცილებენ პანთეონისკენ,  
„ნულარა გვტოვებ, ნულარ გვშორდები“.  
„ლურჯა ცხენები“ მიგაცილებენ,  
„მთაწმინდის მთვარე“ კი გზას გინათებს  
და „ნიკორწმინდა“ ჯვარს გწერს „მერიზე“,  
„მესაფლავე“, კი ღამეს გითენებს.....!





საქართველოვ... უჩვეულო სიტურფით ხარ  
 გადამლილი,  
 ზღვა და სივრცე მოხატული, ვითა ქალი;  
 თმაგაშლილი,  
 მშვენიებახარ კურთხეული, უფლის  
 სამოთხისეული,  
 მარიაშის წილხვედრი ხარ, ქართველთათვის  
 ღირსეული.  
 შენ უყვარხარ უფალს ძალზედ, შენით ტკვება  
 თვალი მისი,  
 ეს სამოთხე ქართველთ ანდო, არ გახადა  
 სხვა მის ღირსი,  
 მან გადასცა...., ყველა სივრცე, ზღვა, მთები და  
 მწვანე მდელო,  
 გაიხარეთ ქართველებო..!  
 მას უწოდა საქართველო.....!

### ჩემო საქართველო

ჩემო საქართველო, არასდროს დანებდე,  
 ბევრჯერ ჩაიჩოქე, კვლავ ფეხზე დადექი,  
 შენი სიამაყე, არასდროს დაკარგო....  
 შენი წარსულით და აწმყოთი წამოდექი,  
 მალე გაზაფხული, სიმართლეს დაგვანახებს,  
 უკუნეთ სიბნელეს, გაჰკვეთავს მზის სხივი,  
 დრო ყველა ცოდვილს გაასამართლებს,  
 ხალხი კი სამართალს, ითხოვს და ჩივის...!



ანი-დან, ჰოე-მდე, ღმერთის ენაა,  
 უძველესი და მნიშვნელოვანი,  
 ის გვიცავს, გვათბობს და გვეფერება,  
 ხუთია, მხოლოდ ჩვენი ხმოვანი.  
 საწყისი ანია, როგორც ღმერთისათვის,  
 ყველა ასოს აქვს თავის წარსული,  
 ბუნება ქვეყნის არის მშვენიება,  
 ქ-ბგერა არის საწყის ქ-ართულის...  
 ჯ-ვარი, ს-ასახელო,  
 ასე დალაგდა ძველად ანბანი,  
 ყველა საწყისი ასო მთავარი,  
 იყო სიტყვისა ამოსავალი.  
 ასოებს შერწყდნენ, თან უთავსებდნენ,  
 დედამიწის და ცის არსებობას,  
 ა-დამი იყო საწყისი კაცი  
 და ვუმადლოდეთ მას მოვლინებას....  
 დალაგდა ასე, საწუთროებას,  
 ჩაიდო გულით, მთელი გონებით,  
 ენა ,მამული... სარწმუნოება...  
 ჩვენ გადმოგვცა, შთამომავლობით.....  
 ქართველი ერი, დღესაც ამაყობს ,  
 ამ დამწერლობის სიძველის არსით  
 და ჩვენც , მოძავალს გადავულოცავთ,  
 ანის და ჰოეს..... ისწავლონ ფასი.....!

დალი შენგელია



## გვანცა წივილაშვილი

### დედავ შენი ხმაო

იავნანას მიმღეროდი  
ჰანგის რხევა მახსოვს,  
შენი „ნანა“ მენატრება,  
შენს ხმას გული ლამობს.  
იავნანით ვიწყებ დილას  
„იავნანი ნაო...  
როგორ ძლიერ მენატრება,  
დედავ შენი ხმაო...





მე შეგადარე თამარ დედოფალს,  
 ყველაზე ლამაზ ქალ-მზეს,  
 მლიერს, უდრეკს და უშიშარს,  
 ყველა სიკეთის მაცნეს.  
 შენმა წუხილმა გული დამიდნო,  
 შენს მონატრებას დავსდევ,  
 რატომ წახვედო?!  
 რატომ დამტოვე?!  
 რად დამიტოვე ღამე,  
 რატომ გაიქცა ბედის ბორბალი,  
 თუმც დადევნება ვცადე,  
 დედა შენს ნატვრას ვერ გავექეცი,  
 გნატრობ დღეცა და ღამეც.  
 შენ ჩემი გული ისე წაიღე,  
 როგორც მზის სხივი ღამემ,  
 დამრჩა ლოდინი და მონატრება,  
 გათხოვ... დამიბრუნდე მალე.

## გელი ერთგული შენი

გაფრინდი შალ ყორანო,  
 და თან წაიღე სენი,  
 შენი შავბნელი სილაღე-  
 შენი სიმრუდე ფერის.  
 მოფრინდი თეთრო ფრინველო,  
 გელი ერთგული შენი,  
 მათრობს სილაღე, სიაძე,  
 ადამის მოდგმის სენი.  
 გარიყრაჯს სანთლით მივეყვები,

მსურს და ვინათებ გზას,  
 მივეყვები ბილიკებს ლელიანს,  
 გზა თავად მოუხიზობს გზას,  
 არა მწამს, არა მწამს სინათლე  
 რომელიც არ მომჭრის სვალს,  
 ვივლი სანამ არ ვიპოვი,  
 ტაძართან მისასვლელ გზას.

## კომპოზიცია

მოჩანს გორები  
 უნაპირო ზღვა,  
 ნაძვი კლდოვანზე  
 და გრძელი გზა,  
 ბალახი მწვანე  
 გორა წითელი,  
 გამხმარი ტოტი,  
 ვენახი-რთველი,  
 შშის ტკაცუნი,  
 ოთახი თბილი,  
 ჰაერი-გრილი,  
 პანგები-ტკბილი,  
 წუთები მიდის  
 სწრაფი სიჩქარით  
 გვერდს ვერ აუვლი  
 ნელი ნაბიჯით.  
 ზღვა - უნაპირო,  
 ლურჯ ცაზე დიდი,  
 თვით გზაც ცხოვრების  
 მიდის და მიდის.....

გვანცა წივილაშვილი



## დავით ფელიცა

**შე იმ კაცს მოვკლავ!**

კიდევაც დაიზრდებიან  
ალგეთს ლეკვები მგლისანი

შაბათ-კვირის დადგომას სულმოუთქმუნლად ელიან. ოთხნი არიან, ბიძაშვილ-მამიდაშვილები. გოჩა უფროსია, მერე სალომე მოდის, გაა და ნაბოლარა ნუგზარი. ეს უკანასკნელი 4 წლისაგ არაა ჯერ და არც იცის, რატომ დელავს. უფროსი დისა და მამიდაშვილების ფორიაქი გადასდებია - მათ ხომ იციან, ზაბუ რომ თავის „ნისლას“ გამოიყვანს ფარეხიდან. ბავშვებს ჩასხამს და ჰაიდაა! ხან თულავისკენ აიღებენ გეზს, სადაც ალავერდსა და გრემსაც უსათუოდ მოივლიან, ხან კოჯორში ავლენ, მცხეთაშიც არაერთხელ ყოფილან, უფრო



შორსაც გასულან - გელათი და მოწამეთა დაუთვალეირე ბიათ. ნუგზარისთვის კი ეს პირველი მოგზაურობაა და ამდენად, ვერც აცნობიერებს, რა ელის, დედა რომ ზღაპრებს უყვება, იქ მანქანა არ შეხვედრია. არც მოგზაურობის ამბები ახსოვს. შიშიც იპყრობს - დედის გარეშე პირველად მიდის ასე შორს!

ასეა თუ ისე, ბაბუმ თავისი „ნისლა“ (გოჩამ შეარქვა ეს სახელი - მართლაც ნისლის ფერი მანქანა იყო) გაამზადა და მოდიოა, ბავშვებო, დღეს საგურამოში წავიდეთ, ილიას სახლ-მუზეუმი მოვინახულოთო, ბავშვების ჟივილ-ხივილმა გააყრუა იქაურობა! თუმცა რა, ბაბუს რომ ეთქვა, დღეს კოჯორში ავიდეთო, ნაკლები ჟრიაბული ატყდებოდა?!

დაადგენენ საგურამოს გზას, ბავშვები, განსაკუთრებით პატარა ნუგზარი გაფართოებული თვალებით იყურებიან აქეთ-იქით, მისთვის ეს ყველაფერი უცხოა და ავი ვთქვით, ცოტა არ იყოს, ბუნებრივი მღელვარებაც დაჰყვება.

მუზეუმი დაკეტილი დახვდათ და სანამ მორიგე თანამშრომელს მოძებნიდნენ, ბავშვები ეზოს მოედვნენ, როგორც პატარებს სჩვევიათ ხოლმე, ყველა კუთხე-კუნჭული მოირბინეს.

როცა მორიგე გამოჩნდა და მუზეუმიც გაიღო, უფროსი ბავშვებისთვის ყველაფერი ნაცნობი იყო და მაშინვე მისცვივდნენ იმ თაროს, სადაც სამარცხვინო ტყვიაა გამოფენილი. გიდმა უამბო მათ ამ საბედისწერო ტყვის ისტორია. უფროსმა ბავშვებმა ეს ამბავი კარგად იცოდნენ. მაგრამ მაინც სულგანაბული და ამპარად შეწუხებულები ისმენდნენ. სამწლინახევრის ნუგზარიც იქ იყო, მაგრამ უკვე დაღლილი და თავგადუნული განზე იდგა, სხვა ბავშვებისგან განსხვავებით მისი სახე არც სიბრაღულს გამოხატავდა და არც შემფოთებას.

მერე ბავშვებმა ზედაზენზე ასვლა მოითხოვეს, მცხეთის უგემრიელესი ხორციანი ღვეზელებიც მაირთვეს, ლიმო-

ნათებითაც გაიჰყვიპნენ და შინისკენ რომ გამოზრუნდნენ, უკვე შებინდებული იყო. ბავშვები გატაცებით ლაპარაკობდნენ ახალ შთაბეჭდილებებზე, მხოლოდ ნუგზარი იყო გაყურებული.

არც შინ ამოუღია ხმა, მშობლებმა იფიქრეს, ეტყობა ბავშვი დაიღალა და ლაპარაკის თავიც იმიტომ აღარ აქვსო!

დამინების დრო რომ მოვიდა, დედამ ნუგზარი ლოგინში დააწვინა და ზღაპრის მოსაყოლად გაეშადა. და უცებ ბიჭმა ძალიან მშვიდად, ბავშვისთვის დამახასიათებელი შეუვალი სიმტკიცით თქვა: რომ გავიზრდები, იმ ცუდ კაცს მოვკვლავო!

სათამაშო თოფი და ტანკები კი ჰქონდა, პაწუა ჯარისკაცებიც ჰყავდა, მაგრამ ასეთი აგრესიულობა მანამდე არ გამოუჩენია და იმიტომ დედა გაკვირვებით ჩაეკითხა, ვინ გაგაბრაზა, ნუგო, ვინ უნდა მოკლაო. ვინა და, ვინც ის კარგი კაცი მოკლა, ჩვენ რომ ვიყავითო დღეს. ესეც ისე მტკიცედ თქვა, მის წინ რომ დამდგარიყო ის კაცი, უთუოდ დაუმოზნებდა თავის სათამაშო თოფს!

არადა, ავი ვთქვით, ნუგზარს საგურამოდან მოკიდებული ხმა არ გაუღია და სახეზეც ვერაფერს შეატყობდი...

დავით ჭელიძე





## თამუნა ჟიღლაძე

### თითოეულ ჩვენს შვილს

სასწაული ხარ ჩემი ცხოვრების,  
შენს ირგვლივ ბრუნავს ეს დედამიწა,  
ამ სამყაროში ჩემთვის მოხვედი  
და სანამ გყავარ მუდამ დაგიცავ.  
რაც დაიბადე იმ პირველ დღიდან,  
ზედნიერებას შეესხა ფრთები,  
თუმცა აღარ ვარ წყნარად და მშვიდად,  
ახლა განსაცდელს სხვა ძალით ვხვდები.  
ფიქრში ხარ ბევრი, გულში მთლიანად...  
შენ იღიმი და მე მკერდზე ვიფენ,  
მადლობა უფალს, რომ მაზიარა  
ამ სიყვარულის უსაზღვრო სივრცეს.  
გვიმედები, გჭირდები, ვხუდავ,

თვალეზში დიდი სითბოთი მიძზერ,  
 ამაზე ტკბილი რა არის ნეტავ,  
 როცა მაგ ხელებს ჩემსკენ იმიზნებ  
 და მეხუტები. მე კვლავაც ვფიქრობ,  
 როგორ გიჩვენო გზები სიკეთის,  
 რომ ბოროტება ადვილად იცნო  
 და გაამართლო ჩემი იმედი.  
 საჩუქარი ხარ ჩემთვის იცი, რომ.  
 შენს ირგვლივ ბრუნავს ეს დედამიწა.  
 (ვშიშობ , სევდა რომ ვერ მოგიჩინო?!...  
 რომ გეტკინოს და მე ვერ დაგიცვა?!...)

\*\*\*\*

მე ქალი ვარ და რომ გამიგო მართლა რთულია.  
 მე ქალი ვარ და ყველაფერი უნდა დამითმო,  
 როცა ჩემთან ხარ ჩემთვის მუდამ გაზაფხულია,  
 მიყვარხარ და აი ამიტომ....

შენ უნდა შეძლო, გაღიმება ჩემი ყოველთვის,  
 შენ უნდა შეძლო რომ შავ ცაზეც კი მზე ამინთო,  
 მე ქალი ვარ და ქვეყანაზე შენთვის მოვედი.  
 მიყვარხარ და აი ამიტომ...

თუკი წავედი, არ ელოდო უკან დავბრუნდე,  
 მთელი ცხოვრება არ გეყოფა მე რომ გამიცნო,  
 ნუ დაიზარებ, ხშირად თითო ვარდი მაჩუქე,  
 ქალი ვარ და აი ამიტომ...

გაზაფხულია ყვავილების თოვა იმატებს,  
 მე შემიძლია მზეზე მეტად სული გაგიტბო,  
 შენთან გავჩნდები სწორედ მაშინ როცა მინატრებ.  
 მიყვარხარ და მხოლოდ ამიტომ!

ფიქრებში უცნაურ შეგრძნებად გამიჩნდი  
 არ მინდა რატომღაც წახვიდე ახლა, რომ.  
 მგონია, რომ სულაც არა ხარ ნამდვილი,  
 ან მე ვარ შეშლილი და ან ეს სამყარო.  
 არასდროს ვმშვიდდები, არც ნება მქონია,  
 შენ არც კი იცი, რომ ათასჯერ დაგხატე,  
 სულ ჩემთვის შექმნილა ეს მელანქოლია  
 ისეთი მორცხვი და უთქმელი გამხადე.  
 ყოველ დღე მარცებ-გითხარი ამ დილით  
 და კოცნა მომპარე შენ როგორც გჩვევია,  
 მე ისიც მგონია-არ იყო ნამდვილი  
 შენ-ჩემი ღიმილი არ გაშოგრჩენია.  
 რატომღაც არ მინდა ახლა რომ წახვიდე,  
 ფიქრებში უცნაურ შეგრძნებად გამიჩნდი,  
 გიყურებ და თითქოს ყველაფერს მავიწყებ,  
 არა, შენ არა ხარ, არა ხარ ნამდვილი.

**„მოგონებებით დავითოვები“  
 ეძღვნება ნაირა თუხაშვილი ს.**

შემოდგომა ვარ. გაცვეთილი კაბით მოვედი  
 და ჩვევად მექცა ჩემი თავის გამოტირება.  
 ალბათ ამაღამ მოგონებით დავითოვები,  
 ან შევიშლები(თუკი ღმერთმა ასე ინება).  
 რაღამ მომზიბლოს, გამაკვირვოს ანდა რაღამ მე...  
 მზიან დღეებში ჩემი თავი ტვირთად მებარა.





თუმც ეს ცხოვრება ალაგ-ალაგ ლაღი გავხადე,  
 მაინც მგონია, რომ ხელიდან გამოძეცალა.  
 დავითოვები... ზამთრის დილაღ უნდა გავთენდე...  
 და მოგონებებს მოვიხურავ მხრებზე ქურქივით,  
 ჩემზე გიამბუ, აღარ მახსოვს უკვე რამდენჯერ ...  
 შენ კი ვერცერთხელ ვერ გაიგე ჩემი წუხილი....

## სისულელე (სოფიოს)

ახლა ჩემი ბედი ღმერთს მივანდე,  
 თითქოსდა ამიმხედრდა მსოფლიო,  
 იქნებ ოდნავ მაინც შეგიყვარდე,  
 სულ მთლადაც ნუ გამწირავ სოფიო.  
 შენს თავს რომ მართმევენ ხომ იციან  
 მე ვერ დაგიბრუნებ მოტაცებით,  
 ჩემთვის იმედიც არ მოგიცია,  
 თორემ იმედიცაგ მომარჩენდი.  
 თევზებს ჩემს სიცოცხლეს შევატოვებ,  
 ზღვაში გემივით რომ ჩავიძირო,  
 მოდი, დიდხანს ნულა შემაყოვნებ,  
 მოდი სისულელე ჩავიძინოთ.



ვერ გავჩუმდები რადგან მიყვარხარ,  
 თუმცა საქვეყნოდ არ ღირს ვიყვირო.  
 ყველა არნათქვამ სიტყვას ვინახავ,  
 შენ გაიგონებ მაინც, ვიცი, რომ...  
 ბედნიერება სევდისფერია.  
 ხან შემოდგომას ვამსგავსებ თითქოს.  
 ნუთუ ჯერაც არ შეგიმჩნევია,  
 რომ მე ყოველწუთს სიყვარულს ვითხოვ?!  
 იქროლებს ქარი ამ ღამით, ისევ,  
 წაართმევს ხეებს შერჩენილ ფოთლებს.  
 ალარასოდეს არ დაგისიზმრებ,  
 რადგან სიზმარში ყოველთვის მტოვებ.  
 რა დამაძინებს, მთვარის შუქით აივსო ღამე,  
 მახრჩობს ჰაერი და ვხვდები, რომ მიჭირს ადგომა,  
 (არადა თითქოს ყველა ძვალი გავიფოლადე...)  
 შენ ვერ გაიგებ, მაგრამ მე ხომ ვიცი რატომაც  
 ვიჭრი ღეროებს.  
 კვლავ ვიზრდები, როგორც ბალახი.  
 არც ნაყოფი ჩანს იმ დღეების, მე რომ დავხოცე  
 და დანაშაულს, "წლების უკან", ჩუმად ვმაღავდი.  
 ახლა ეს მთვარე გონარეულს ისე მაცოფებს...  
 უმალ დავთმობდი მისი მზერის ყველა ნათებას...



ზეციდან მოდის  
გაზაფხულის სუნი  
საამო  
და დედამიწას  
გულისცემა  
გასჩერებია.  
დღეს ისევ ვგზავნი  
ღია ბარათს  
უმისამართოდ,  
რომ იქნებ შენთვის  
ერთხელ მაინც  
გათენდეს  
დილა  
სავსე სინათლით.  
შენ მზის სხივებს  
მიქცევ იეზად.  
მარტით დაიწყოს  
გაზაფხულიც

ახლა საჩვენო.  
მე ქალი ვარ და  
ყველაფერი მეპატიება,  
მოდო,  
დღეიდან ეს სამყარო  
ჩვენთვის ვაშენოთ.  
მინდა, რომ შენთვის  
ზედნიერი გათენდეს  
დილა.  
ისევ ჩამქოლეს,  
გადამთელეს  
შენზე ფიქრებმა.  
უნდა ამიხდეს ყველა  
ნატვრა,  
რადგან მე მინდა.  
რადგან ქალი ვარ,  
ყველაფერი მეპატიება.

თამუნა ჭილაძე



## ირაკლი ხანიკაძე

...

როცა სარკმლიდან სავსე მთვარე შემოანათებს, სევდა იღვიძებს ჩემი გული წუხილს ეძლევა, თვალზე ცრემლების ორი გუნდა მკრთალად ანათებს, მთვარის სხივი წუხილს ისევ თავზე ევლება.

წარსულ იარას ვერ ივიწყებს ჩემი გონება, მე ზომ ისედაც მუდამ თან მდევს მელანქოლია, ჩემი ცხოვრება ამ წარსულის ლანდს ემონება, სხვა წარსული მე არასდროს არა მქონია.

შენით შევიგრძენ სიყვარულის ნაზი სურნელი, რომლის მსგავსი არცერთ ყვავილს არ ზომებია, ამით გავიკვალ დამკებში გზები მუქ-ბნელი, ასეთი ფრთები თვით პეგასსაც არ ჰქონებია.

ახლა იქეცი სულის ტანჯვად, გულის იარად, უკურნებელი შემამთხვიე მე სევდის სენი, ღვინოსთან ერთად ვსვამ წარსულის ნაბომ ფიალას, რაშიც იგრძნობა ის წარსული და სითბო შენი.



## მადონა ჯავახიშვილი

რ დათმობს ქართველი  
მე რწმენით ვიცხოვრე,  
არ დავუც ფარ-ხმალი.  
ბევრჯერ ეკლიანი,  
გზაც შემხვდა სავალი.  
ხშირად წავბოროძიკდი,  
ტირილით დავეცი,  
მარამ უცხო კერპებს  
თაყვანი არ ვეცი-  
ისევ წამოვდექი.  
ჯვარი ავიკიდე.  
იმ ეშმაკს, უფლის მტერს,  
სული არ მივყიდე.

მტერიც გამალეზით,  
ფეხდაფეხ დამსდევდა,  
ხან ფრთებს მატეხავდა,  
ხან მიწას მართმევდა.  
იქნებ დაავიწყდა,  
რომ მე ვარ ქართველი,  
მრავალი ომის და  
ტკივილის მნახველი.  
არ არის ადვილი  
გატეხვა სულისა,  
დავითის მოდგმის და  
თამარ- ასულისა!  
მე, მახსოვს ვინა ვარ

და ვისი გორის!,  
არ მიყვარს ლაჩრულად  
წაგება ომისა,  
ჩვენ ათასწლეუბიან  
ქარცეცხლში ვიარეთ,  
უფალი ვადიდეთ

ქრისტეს ვეზიარეთ,  
მამ მტერო, შინ წადი,  
დაგადგეს საშველი,  
სამშობლოს ადვილად  
არ დათმობს ქართველი.



## სველი ვალსი

წუხელ გიჟი წვიმა ასფალტზე ცეკვავდა,  
წვეთები უკრავდნენ მინაზე არიებს.  
ფიქრებმა სიზმრების კარი შემოაღეს  
გული ააჩქარეს და სულ გადაძრიეს.  
მღეროდნენ შხეფები ისევ იმ სიმღერას,  
შენ, რომ მომიძღვენი ოდესღაც ფარულად.  
მუსიკას გავყევი და ვალსი ვეცეკვე,  
წლები ფეხაკრეფით სადღაც გაპარულან.  
მერე ღრუბლებიდან წარსულმა იელვა,  
შეჩერდა ორკესტრი დამშვიდნენ წვეთები.  
წამით გაიელვა ღამის სიბნელეში,  
შიშით აცახცახდნენ ძლიერი ვერხვები.  
და თუკი ფეხშველი ვეცეკვავდი წვიმაში,  
ვის რა დავუშავე რატომღაც ვერ ვხდები:  
ხანდახან შევხვდები ჩემს ბავშვურ ოცნებებს  
ცხოვრებით დაღლილი, მკლავებზე ვეხვევი,  
როდესაც იწვიმებს, კვლავ მოხვალ წვეთებად,  
არ დამეძინება მუსიკის ლოდინში.  
ვერასდროს გავბედე, რომ ცხადში გვეცეკვა,  
ალბათ გვიანია დღეს, ჩემი ბოდინშიც.

ღმერთო, მტერი დამილოცე!  
 ისეთი მტერი მყოლოდეს,  
 შეგნებული და ჭკვიანი.  
 თეთრს და შავს გამოარჩევდეს,  
 არ იყოს თავქარიანი,  
 ვიღაცა იტყვის გაგიჟდი,  
 მტერს რას ნატრულობ ნეტაო?  
 გახსოვთ უფალმა უმტეროდ,  
 შვილიც არ გაიმეტაო.  
 მტერი მყოლოდეს ისეთი,  
 ძალა შემმატოს ბრძოლისა.  
 სულ ფხიზლად მქონდეს გონება,  
 დრო არა მომცა წოლისა.  
 მერწმუნეთ მტერი კაია,  
 ცხოვრებას აძლევს ძალასა.  
 სულელ მეგობარს გერჩივნოს,  
 რომ შეგყრის ხათაბალასა.  
 მტერი არა ჰყავს გლაზაკსა.  
 არც საცოდავს და მხდალსაო.  
 მტერი ვერაფერს დააკლებს  
 განსვენებულსა მკვდარსაო.  
 უფალო მტერი დალოცე,  
 შეგნებული და ჭკვიანი.  
 ჯავსა რად უნდა მტერობა,  
 ვარგია მუდამ მტრიანი;



## საქართველო მეპარტიზა მგონი



ფრთებშესხმული დავდიოდი მიწაზე,  
მქონდა ენა, მამული და რწმენა.  
სხვისი რამე არასოდეს მდომია,  
მე მდიდარი გამაჩინა ზენამ.  
მქონდა ენა, დამწერლობა, ანბანი  
ათასობით ერს, რომ არ აქვს დღესა.  
მქონდა მიწა, წინაპართა საფლავი.  
სხვა სურნელი ასდიოდა ტყესა.  
მთა და ბარი, გადამლილი ველები,  
ხშირად მესმა მე ჩუღჭული ზღვისა,  
ყველაფერი მქონდა ჩემი საწილო.  
რაღა უნდა შემხარბვოდა სხვისა?  
ვაზიც მქონდა და მის ძირში აკვანი,  
შიგ, რომ ზრდიდნენ ილიას და შოთას.  
რწმენაც გვქონდა უფლისა და მომავლის  
უდიდესი განა ასე ცოტა?  
საამაყი შვილიც გვახსოვს მრავალი,  
მის სახელს, რომ იფიცებდა ერი.  
სიყვარულით ერთმანეთის გატანით,  
ბევრჯერ თურმე გააკვირვა მტერი.  
დღეს კი მხარზე მოტეხილი ფრთა მტკივა,  
ნელა-ნელა შეკარგება ღონი.  
;დედა ენას; დაუკარგეს დიდება,  
ქართულ სიტყვას თავილობენ მგონი.  
ჩემს მამულში ჩამოსახლდნენ მღრსელები,  
იტაცებენ მაყვედრიან მიწას,  
სადაც ჩემი წინაპრების ძვლებია,  
მათი ლოცვა თაობებს, რომ იცავს.  
უფლის რწმენაც ისე დაპატარავდა,  
რამის ღმერთთან გააჩაღონ ომი.  
მე დღეს მხარზე მოკვეთილი ფრთა მტკივა,  
საქართველო შეკარგება მგონი.

მადონა ჯავახიშვილი





## ანიკო კობახიძე

აგატირე ! წამწამები ცრემლის მორევს ერთვიან,  
გამიბრაზდი! შენ ხარ ჩემთვის მართლა ერთადერთია,  
გაიცინებ! ეგ თვალები შენზე უკეთ მეტყვიან,  
გაგახარო! ჩემი გული შენი გულის მსხვერპლია.  
მე ხომ შენი ოცნების და ნატვრის საღერღელი ვარ,  
გულში სული...ჩამიწურავს, შენი გრძნობის მცველელი ვარ,  
გულისცემას გიკონტროლებ, გულის რიტმის მთვლეელი ვარ.  
ღმერთო, ერთსლა გვედრები როდის მეტყვი შენი ვარ.  
აგატირე! ჩემი გული შენმა გულმა დალია,  
გამიბრაზდი! ჩემი არა, სიყვარულის ბრალია,  
გაგაციხო! ჩემს გულში ხომ ისევ ისე დარია,  
გაგახარებ, შენ ხარ ჩემთვის მართლა საფიქრალია.  
მე ხომ დილის ზმანება ვარ, გრძნობის გაზაფხული ვარ,  
შენ კი სიზმრის საწყისი ხარ , კარგი დასასრული ხარ.

წამები წამებით წამებში იწვიან,  
 მზერა შლის მაგ თვალებს უძიროს, ნაფიქრებს,  
 იციან, მთვარემაც ღამემაც იციან,  
 ნაფიქრი. მათიქრებ, ო რარიგ მათიქრებ,  
 ჩიტყვით ჩამავუდა გარინდდა სამყარო,  
 განგებამ მომიწყო განკითხვის დღეები,  
 რად გინდა ღამესთან და ძილთან გამყარო,  
 რად გინდა თვალეები ამეცხოს შრეებით.  
 მცილდები! ძვირფასო ვხედები რომ მცილდები,  
 სხვა დასთვლის შენს გვერდზე და ყელში ნაკოცნებს,  
 იყო დრო გიყვარდი ახლა არ გქირდები,  
 ერთს შეგთხოვ იმ ვნებით იმ ლტოლვით ნაკოცე-  
 დღეს ხომ თოთხმეტია,  
 თებერვლის თოთხმეტი,  
 შენთვის ნაყიდ ვარდს რად გასდევს ხვიარა,  
 მშვიდობით იგოდე ამ ქვეყნად შენს მეტი,  
 ვერავინ შეძიძსებს გულს ნადენ იარას.

### **\*ლექსებს გადვხსნი საგულეს\*\***

მინატრე, ღამით გინატრებ,  
 ალიონს ვტყუორცნოთ ისარი,  
 ვინც გულს გადმიხსნის, მიყვარებს,  
 ჩემი ოჩეულიც ის არის  
 რად გენანება ვარდები,  
 რად მჩუქნი მხოლოდ დეკასა,  
 ღიმილი გამაიბეჭე  
 გულზე რად მაყრი ეკალსა

არ გაიცვლები სხვის თოლზე,  
 ცის შენადები თოლები,  
 რა ნამკლავს ჩემო შეუყვებ  
 თუ გვერდით შენ შეეოლები.  
 ლექსებს გადვუხსნი საგულეს,  
 დავღვრი სურნელად ვარდების,  
 ცისფერს გაპკურავ თოლებზე,  
 მერე ხომ შეგიყვარდები.  
 ზაქავ შენ ჩემო გრძნობავ და  
 ამდელგებელო სულისა,  
 ფიქრების მესაიდუმლევ,  
 ამტკიებელო გულისა.

### შენი ვარ, შენი ვარ, შენი ვარ....

ვინ ეტყვის, ამ თვალებს ვინ მართავს,  
 ძვირფასო! ჩემი ხარ ვინ ეტყვის,  
 ან ვისიან ვიპოვი სამართალს,  
 შენთან ვარ, შენი ვარ შენ გეტრფი,  
 დავსტირი ჩემს ბედს და განაჩენს,  
 ვაქავ გულს ნაფენო იარად,  
 ღრმულზე დაგმდერი არაკებს,  
 გრძნობას ჩაეხვეულოვარ ხვიარად,  
 შენი ვარ... შენი ვარ... შენი ვარ...  
 მოვეყვები შენს ნავალ ზილოკებს,  
 მე შენი ფიქრების ფერი ვარ,  
 არასდროს გტოვებ და გივიწყებ.

აპრილმა ჩამიკრა გულში და  
შხის სხივი დანატრის თავგასულ ლიანებს,  
მიყვარხარ...

ატმის რტო ვარდებს გულს უხსნის და  
წვიმის წვეთს შენატრის,  
რად დაიგვიანე?

გელოდი და ახლაც მოგელი,  
მიყვარხარ...

შენ მაინც გამწირე, შარტის თვეს მადარე  
და მე კი აპრილის ნატყუებ სიოსგან,  
და+ნაქალწულებ ნუშის კვირტს გადარე,  
რად მომეაპრილე...

რად გამიძაისდი...

რად შემომეყვარე უნაზეს ფერებით,  
არასდროს გამკიცხო...

ნურც ჩამეძიები...

ნებართვის გარეშე თუ მოგეყვრები.

### ...სიყვარულის ჰიზნი...

შეხსენით სიყვარულს გრძნობების საკინძე,  
ახსენით აზღუდი სირცხვილის მანტიას,  
ჭაწურეთ ვნებები შხის სხივზე აკინძეო,  
ურცხვად შეაფეთეთ თვალები განთიადს,  
გულები დაძენძეთ, ღამეში ჩაყარეთ  
ვარდებს დაუკოცნეთ სათუთად კვირტები,  
ცრემლები ოცნების გუბეში ჩაღვარეთ,  
შეამკეთ ერთურთი ღამაში სიტყვებით.

„მიყვარხარ,  
 ძვირფასო,  
 სადა ხარ,  
 შენი ვარ“

უშენოდ სიცოცხლე შავთეთრი ფერია,  
 მე შენი ფიქრების სათუთი მცველი ვარ,  
 შენ მყავხარ ყვავილთა დამშტკვერი ფერია.  
 აღიდეთ სიცოცხლე, ღვთისგან ნაბომები,  
 თვით სიყვარულიც ხომ შხის დანაფერია,  
 ჩაწურეთ სულელები გრძნობების მორევში  
 და მერე მიხვდებით სამყარო თქვენია.

\*\*\*

არც დარი მინდა არც ავი,  
 არც ვინმე გამეშხიანოს,  
 არას ვჭემულობ სხვისასა,  
 ნურც ნურვინ გამეზიაროს,  
 დღედაღამ უფალს ვევედრი,  
 სამშობლო გამიმთლიანოს,  
 მტრისგან ნაწამი ვაჭკაცის,  
 საფლავი გამიმზიანოს,  
 ორბი გკორტნიდეს მიწა მძღარს,  
 მტერო! ოხერო ტიალო,  
 უკუთვნ ცის მნათმაც მაბრმავოს,  
 სჯობს მოვევდე, არ მეციალოს,  
 ღმერთო იქამდის მაგოცხლე,  
 სისხლი ჯერ არ ამიღიაო,  
 სანამ ღიახვის პირასა,  
 უტირი ძვლები ყრიაო,  
 სანამ საფლავს ყოფს შვა'ხედა,



ეკალ ბარდების ხვიაო  
მანამდე მხევდე ზეცაო!  
ღრუბელ ნუ გადგიყრიაო,  
ცრემლ მაბრჩობს სევდამ მიგუა,  
გული ვერ გამოლიაო,  
ვერ ვიცან ეკალ ბარდს მიღმა,  
წელმოტეხილი იაო.

აჭიკო ჯოჯიშვილი



...და როცა სიტყვა „აცეკვდება“ კალამის წვერზე და თეთრ ფურცელზე სიტყვა რთული, რთველივით უხვი, რითმას რიტმებად რომ მოქარგავს ლექსი მტეუნებად და პოეზიის სურნელება, ტკბილი ზედაშე მკითხველის გულში განცდის ქროლვად ბინას დაიდებს, მაშინ მკითხველო, ნუ აკადრებ ამ წიგნს „დახურვას“ და ბოლო გვერდსაც უწყალოზე თვალის „აღერსი“. შენ ხომ თავად წაიკითხე ამ ავტორთა „სიტყვა“ მარღვიანი, თავად ხომ ისმინე მათი სულის „ბორცვა ხანიერი“ და რაოდენ მნიშვნელოვანია ქართველი ავტორებისთვის გზის „გაკაფვა“ თქვენამდე, მკითხველამდე, რომ დაგარწმუნონ... ქართული სიტყვა არ წაქცეულა, არც წაბორძიკებულა... ის „გააჩერეს“. გულცივობის და უყურადღებობის ბარიკადები აუგას და დღევანდელ ეპოქაში თვით გალაქტიონს მხოლოდ „პოპულარული“ პოეტის სტატუსიც მიღებაც კი ძალისხმევის გარეშე გაუჭირდებოდა...

გთხოვ მკითხველო, დაიმახსოვრე ამ ავტორთა სახელები, რადგან მათთვის ყველაზე დიდი საუნჯე თავად თქვენ ბრძანდებით... დააფასეთ ეს ადამიანები, იამაყეთ მათია და გწამდეთ, დადგება დრო როცა ამ წიგნებს „დღის შუქზე“ ხელის ცეცებით დაუწყებენ ძებნას, რომ იამაყონ და პატივი მიაგონ ქართული სიტყვის მებაიახტრეთ, რაძე თუ მათი სულიერი საგანძური ქართული ლიტერატურისადმი უანგარო მსახურებაა, რომელიც რომ პიროვნულ დირსებად მიუჩნევიან და „აქა დგანან და სხვაგვარად არ ძალგით“.

.....წაიკითხე და შეინახე ეს წიგნი მკითხველო, შენს შთამომავალს შეუნახე როგორც ქართული ლიტერატურის მომცრო საუნჯე.

გიორგი აღნიაშვილი, პროზაიკოსი



❖ დავით არახაშია	21
❖ არჩილ ალექსიშვილი	29
❖ გიორგი აღნიაშვილი	38
❖ ნანა აბულაძე	47
❖ ნაზი აბაშიძე	51
❖ ლიანა ბედინაძე	56
❖ ნანა ბერაია	66
❖ შორენა გაბელაშვილი	76
❖ ანა გელაშვილი	82
❖ ინგა გოგიბერიძე	85
❖ ნანი გულბანი	91
❖ მზია გუმბერიძე	97
❖ მაყვალა დავლაძე	104
❖ ია ეკელი	112
❖ როდამ თევდორაშვილი	123
❖ ამირან თოდუა	130
❖ მარინა თოფურია	145
❖ აჩიკო თხინვალელი	151
❖ მეა ივანისელი	153
❖ ზაირა კელოშვილი	162
❖ იზა კვანჭილაშვილი	171
❖ ნონა ლატარია	176
❖ ლეილა მაჩაიძე	187
❖ თეა მეგრელიშვილი	192
❖ ციური მესხიშვილი	196



❖ ნანა მეტრეველი	203
❖ ზუკა ნემსაძე	208
❖ მზალო ოსიშვილი	214
❖ მაია რაზმაძე	219
❖ ნელი-სანებლიძე	226
❖ იზო სანთელაძე	233
❖ რუსუდან სალუქვაძე	238
❖ ნინო სპანდერაშვილი	245
❖ თამარ ხირშილაძე	252
❖ მარინა ხუჭუა	258
❖ ხათუნა შავგულიძე	263
❖ დალი შენგელია	270
❖ გვანცა წივილაშვილი	279
❖ დავით ქელიძე	282
❖ თამუნა ჭილაძე	285
❖ ირაკლი ხაჩიკაძე	291
❖ მადონა ჯავახიშვილი	292
❖ აჩიკო ჯოჯიშვილი	296



სამყაროს - დედამიწა - ქვეყანა - სთაყელს - ქალაქი - ერთ - უშანი...

ამათგან უშანი ყველაზე თბილია და ახლთმული...

უშანში ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი აქვს - ადამიანს, სახლს, სადარბაზოს, აივანს, აივანზე ჩამწკრივებულ ქვთნის ყვავილოებს, აივანიდან აივანში, აკანჯებიდან თანჯერამდე, საბაქების თაუქშივით გაბ-  
რულ გადამახილოებს, - და სამოშთილას თმული შუდიდან აბთაქრინილ პა-  
ცატა შუქურებს...

სამყაროში მზის ყველა სხივი აღწევს მიწამდე...

ან, იქნებ - ვერც აღწევს...

უშანი კი, მზის ელვებების თითოეული მისხალის უდანაკატვდე შიქ-  
რებია, - და ამიტომაც არის ყველაზე თბილი, შიშველთმის თუთაელეცვრის  
მიუყვამდე...

ლიცვრატვრული სივრცე სამყაროსავეთ-უნაბლვრთა და უკიდევან...

ეს არის სივრცე, რთმულივ მრავალი ლექსის, რთმანის, მთხსრთმის,  
ნეყურის, თუ ჩანახატის რთმულითმით, შიქამთა - ერთ უშანდაც გატ-  
დისსახტს...

სამყაროს - წიგნი - მიშლითთუკა - ლიცვრატვრული კავა, - და ვთვ-  
ლივე ეს ერთ უშანში, რთმულიც ყველაზე თბილია და ახლთმული...

ყველა ლიცვრატვრული ნაქარბთაუვი რთნადრად თბილი ვერ იქნება,  
- რადგანაც მათი წიაღიდან, გაბათხულის წვიმების შიქივე, ცისარტყე-  
ლას თურადლვანი სმეჭვრის სანაცვლდე, სმითაც შავ - თოთის შიქაც  
იჩველუმა, დღე - ტამის განსაყართან დამადრშიული მთვარის ვერცხლის-  
თუბი სხივების შიქაცად, - შავტამ თითოეულ მათგანში სინათლის სხივი  
მანივ კიათმს...

ეს ის სხივია, რთმულიც ლიცვრატვრის რსაბლვრთ სივრცეს ერთ რ-  
ნად აივებს ...

სამყაროს - დედამიწა - ქვეყანა - სთაყელს - ქალაქი - უბი - უშანი...

ამათგან უშანი - ყველაზე თბილია და ახლთმული...

განსაყოთრბით კი მამინ, რთელსაც მას -ინგას უშანი ზევია...

მადრი სეულამი  
პოეტი.

